საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№32 (219)
4 - 10 სექტემბერი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

4 რას მოუტანს საქართველოს ომი სირიაში?

# მოვედი ვნახე წავედი!



გამოდის, რომ, თუ მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება, ივანიშვილი წავა, ხოლო თუ იგი არჩევნებს წააგებს, პრემიერი იძულებული გახდება, პოსტზე დარჩეს! რა ურჩევნია ქართველ ხალხს – მარგველაშვილი პრეზიდენტად ივანიშვილის გარეშე თუ ივანიშვილი პრემიერად მარგველაშვილის გარეშე?
ამ კითხვაზე პასუხი ნათელია. მთელი ეს „ნაგავი“ (ჩემი ტერმინი არ არის!) ხალხმა ივანიშვილის ხათრით აიტანა.

2

# ამერიკელი ჟურნალისტი ადასტურებს!

ჯეფრი სილვერმანი:

## საქართველოში არსებული ლაბორატორიების ქსელს, ფაქტობრივად, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი მართავს და მას შეტევითი პოტენციალი აქვს

6



ამერიკელები ჯერ კიდევ პირდაპირ არიან ჩართულნი ბიოკვლევით პროგრამებში საქართველოში, მიუხედავად იმისა, ის სამოქალაქო თუ სამხედრო მიზნებისთვის იქმნება. ამერიკელები ისევ იქ არიან და ისევე მუშაობენ მას შემდეგ, რაც ლუგარის ლაბორატორია გაიხსნა 2010-ში



8 «ნაციონალების» იდეოლოგიას ვინც მხარს უჭერდა, ყველა უნდა მოხვედრო და სანაგვეზე გადაყარო

9 თუ ამერიკელები საქართველოს აეროდრომებს გამოიყენებენ, გამორიცხული არ არის, შეტევა ჩვენ წინააღმდეგაც განხორციელდეს

10 კოალიცია «ქართული ოცნება» პრაქტიკულად დაშლილია

11 «ვის თამაშს თამაშობენ «ნაცების» სატელიტები და გეგმავენ თუ არა სერიოზულ არეულობას არჩევნებში?»

16 ვინ ვართ ჩვენ და რას ნიშნავს, იყო ქართველი

ბუშის ადმინისტრაცია ახლო აღმოსავლეთში ბირთვულ პროვოკაციას ამზადებდა 14

ლენტეხში «ოცნების» ორი წარმომადგენელი ერთმანეთს ებრძვის, საკრებულო არ ფუნქციონირებს და რაიონი პარალიზებულია 13

3 რა უნდა სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილს

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გამოდის, რომ, თუ მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება, ივანიშვილი წავა, ხოლო თუ იგი არჩევნებს წააგებს, პრემიერი იძულებული გახდება, პოსტზე დარჩეს! რა ურჩევნია ქართველ ხალხს – მარგველაშვილი პრეზიდენტად ივანიშვილის გარეშე თუ ივანიშვილი პრემიერად მარგველაშვილის გარეშე? ამ კითხვაზე პასუხი ნათელია. მთელი ეს „ნაგავი“ (ჩემი ტერმინი არ არის!) ხალხმა ივანიშვილის ხათრით აიტანა. მის გარეშე „ნაგვის“ ამარა დარჩენის პერსპექტივა ვერავის მოხიბლავს.**

# მოვედი, ვნახე, წავედი!

**უკანასკნელი ორი დღე ქართული პოლიტიკური ელიტა, ძირითადად, პრემიერმინისტრის წასვლის შესახებ ღია წერილის კომენტირებით არის დაკავებული. ეს იშვიათი გამონაკლისია, როცა დღის წესრიგი ივანიშვილმა განსაზღვრა და არა სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობამ“. მანამდე „ქართული ოცნება“ სწორედ მათ განცხადებებზე კომენტარების კეთებით იყო დაკავებული.**




**როგორც ჩანს, სააკაშვილის და ივანიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ «ხელისუფლება უკვე სტაბილურია და სწორი მიმართულებით მიდის», ერთმანეთს ემთხვევა**

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ისე მოჩვენებითად ჭმუნავენ, თითქოს სწორედ მათ არ აუხდათ ოცნება — ივანიშვილის წასვლა პოლიტიკიდან! ვის — ვის და მათ ყველაზე უკეთ მოეხსენებათ, რომ ივანიშვილის გარეშე „ოცნებაში“ შემავალი პარტიები მათ ვერც ოპონირებას გაუწევენ და ვერც მომდევნო არჩევნებში დაამარცხებენ. აკი თავად პრემიერმინისტრიც აკეთებს მინიშნებას: **„ამასთანავე, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ვინმემ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე გადაწყვიტოს კოალიციის გარეთ პოლიტიკური აქტიურობის გაგრძელება. ვფიქრობ, ეს იქნება კონკრეტული პირისა თუ ჯგუფის პოლიტიკური შეცდომა, რომელიც მხოლოდ თავად მათ დააზარალებს. ამგვარი ცალკეული მოვლენებისგან კოალიცია არც ჩემი ლიდერობის დროს არის დაზღვეული და არც ჩემ გარეშე იქნება“.**

ვინ არის ეს „კოლმეურნეობის თავმჯდომარე“, ჩვენი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი. ამიტომაც არის, რომ „ამ პირთა ჯგუფს“ მეორე ადგილზე ბაქრაძის გასვლა ურჩევნია, ვიდრე ბურჯანაძისა. **კოალიციის დაშლა ივანიშვილის წასვლისთანავე დაიწყება და რთული სავარაუდო არ არის, ვის გვერდით აღმოჩნდებიან ეს პირები — ვინც მეორე ადგილზე ურჩევნიათ, იმის გვერდით, ანუ სააკაშვილის გვერდით!**

„ნაციონალების“ კიდევ ერთი ქომაგი წავიდა, წამოვიდა და ისევ საყვარელ თემას მიუბრუნდა: **„ივანიშვილის ღია წერილმა, რომელსაც, წესით, ივანიშვილის პოლიტიკურ მომავალში სიცხადე უნდა შეეტანა, სინამდვილეში კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერსპექტივა. ალბათ, ერთადერთი, ვისაც ამ წერილის წაკითხვა ნამდვილად გაუხარდა, ნინო ბურჯანაძეა“.**

შესაბამისად, ეს არ უნდა უხაროდეთ „ქართული ოცნების“ სახეებს, ისინი კი ერთხმად იწონებენ ივანიშვილის გადაწყვეტილებას წასვლის თაობაზე, ზოგიერთი კი „გათავისუფლების“ მოლოდინში სიხარულს ვერ მალავს.

ვფიქრობ, ივანიშვილი ჯერჯერობით არ წავა, რადგან, როგორც თავად წერს ღია წერილში, წასვლამდე საკუთარი პარტიის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ორგანიზაციულსტრუქტურული მშენებლობის დასრულებას აპირებს, მაგრამ ეს არა და არ ხერხდება. აქაც „პირთა ჯგუფის“ ფაქტორია; **მათ არ სჭირდებათ ივანიშვილის პარტია — გაცილებით უფრო მომგებიანია, იგი მათ პარტიებზე იყოს დამოკიდებული და მათ აფინანსებდეს. ამიტომაც ხდება, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებში „ოცნების“ აქტივი სხვა პარტიების, მათ შორის, „ნაციონალების“ წარმომადგენლებმა ჩაანაცვლეს.**

დღემდე „ნაციონალთა“ რიგებში მყოფნი კი, „ქართული ოცნების“ დამსახურებით, სიმართლეს ამბობენ (როგორ უნდა მოახერხო, რომ „ნაციონალს“ სიმართლე ათქმევინო?!): **„პრემიერის განზრახვა ქვეყნისთვის სერიოზულ რისკს შეიცავს. ქართული ეკონომიკისთვის, რომელიც ისედაც ღრმა კრიზისის მდგომარეობაშია, ასეთი ტიპის განცხადება ძალიან სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან არასტაბილურობის განცდას აძლიერებს და ნებისმიერი უცხოელი ინვესტორის ან ქართველი ბიზნესმენისთვის, რომელიც ქვეყანაში ბიზნესის დაწყებას გეგმავს, რამდენიმეთვიან გაურკვევლობას ნიშნავს.**

**დაპირებების უმეტესობა დღემდე შეუსრულებელია. მაგალითისთვის, ასი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა, 230-ლარიანი პენსია, იპოთეკარების დახმარება და კრედიტების დაფარვა. პრემიერმინისტრის წასვლა ნიშნავს იმას, რომ ეს დაპირებები დაპირებებად დარჩება და მოსახლეობა ვერ მიიღებს იმას, რის გამოც კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა“.**

მართლაც, პენსია მხოლოდ 25 ლარით, 150 ლარამდე გაიზარდა, საწარმოები აღარ იხსენება, იპოთეკარები გალიმებული დატოვეს, მხარი კი ბიზნესს – „ამაგდარ“ ბანკებს დაუჭირეს! და ამის შემდეგ წამსვლელი პრემიერი ხალხისგან მის მიერ წამოყენებული სუსტი საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდაჭერას ელის! ივანიშვილი ღია წერილში ამბობს: **„ჩემი მისიაა მესიების მისიების დასრულება საქართველოში. ამისთვის კი არსებული მესიის დამარცხება არ არის საკმარისი, — აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ თავადაც მესიად არ ვიქცე“.**

კარგი სიტყვებია, ოღონდ მისი წასვლის პირობებში მარგველაშვილს მხოლოდ მესია თუ გაამარჯვებინებს და ამის მოლოდინი უკვე საკუთარი თავის მესიად წარმოდგენას წააგავს.

კიდევ ერთი „კოლმეურნეობის თავმჯდომარე“ პრემიერის მორიგ განცხადებას წასვლის შესახებ ერთობ ენაკვიმატად ეხმიანება: **„ზვიადი ამბობდა, მე თუ წავედი, ბანდიტები და ყაჩაღები მოვლენო. გვარდიელები და მხედრიონელები ამბობდნენ: ჩვენ რომ წავიდეთ, მოვა შევარდნაძე და ესენგეში შეგვიყვანსო. შევარდნაძე ამბობდა: მე კი წავალ სახლში, მაგრამ მიშა ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, მოგენატრებათ მამათიო. მიშა ამბობდა: მე თუ წავედი, რაც ამ ქვეყანაში ნაგავია, ყველა ისევ ამოტივტივდებაო. ჰოდა, აქამდე ხომ ყველას გაარტყა და ახლა ბიძინა ამბობს: მე რომ წავალ, ყველაფერი კარგად იქნებაო და, ეგება და, თვალი არ ეცეს, თვალი“!**

საოცარია პირდაპირ, როგორი ხალისით გვამცნობს ამ სტრიქონების ავტორი, რომ ივანიშვილმა ნაგავი ამოატივტივა, როცა ისიც და მისი პარტიაც, სწორედ პრემიერის სურვილით ტივტივებს დღეს პოლიტიკაში და, თუ მისსავე სიტყვებს („კოლმეურნეობის თავმჯდომარისას“) ვენდობით, მიშას წინასწარმეტყველება „ნაგვის ამოტივტივების“ შესახებ სრულად გამართლებულა! **გილოცავთ, ბატონებო! ჯერ არ მინახავს ადამიანი** (არამცთუ პოლიტიკოსი), **რომელიც საკუთარ თავს ნაგავს ადარებდეს და ეს სრულებით არ აწუხებდეს!**

სულ ახლახან „ქართული ოცნებიდან“ გამოჟონა ინფორმაციამ, რომ **ბიძინა ივანიშვილმა საკუთარ გუნდს უსაყვედურა: „თქვენ მე მატყუებთ!“.** როგორც ჩანს, მას იმის შესახებაც ატყუებენ, რომ წინასაარჩევნო ყველა დაპირება შესრულდა. აკი საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე პირდაპირ გვაყრის ნაცარს თვალში: **„ვფიქრობ, რომ, რაც თქვა, მან ყველაფერი შეასრულა, რაც საზოგადოებას შეჰპირდა“.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი თავადვე არ მოიტანდა საკუთარი, ორი წლის წინანდელი პირველი ღია წერილის ციტატას:

**„გადავწყვიტე, გარკვეული დროის განმავლობაში, დაახლოებით 2-3 წელი, პირადად გავუწიო კოორდინაცია შემდეგ პოლიტიკურ პროცესებს:**

**• ჩემ მიერ შექმნილი ახალი პოლიტიკური პარტიისა და არსებული ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანებით მოვახდინოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების აბსოლუტური უმრავლესობით მოგება;**

**• გავარკვიოთ და ხალხთან ერთად შევიმუშაოთ ქვეყნის მართვის ოპტიმალური მოდელი, მოვახდინოთ ისეთი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომ მომავალში არათუ საშუალება, სურვილიც კი არ გაუჩნდეს ვინმეს, რომ კონსტიტუცია საკუთარ თავს მოარგოს;**

**• პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა მივიღო ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში და პასუხისმგებლობა ვიკისრო მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რათა ბოლომდე აღმოიფხვრას ისეთი მასშტაბის ელიტარული კორუფცია, რომელშიც სააკაშვილის ახლანდელი მთავრობის მაღალი ეშელონებია ჩაფლული;**

**• დავიწყოთ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა და იგი შეუქცევად პროცესამდე მივიყვანოთ;**

**• პერსპექტიული გავხადოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა;**

**• შევქმნათ რეალურად საინტერესო საინვესტიციო გარემო და ერთი ჯგუფის მიერ მონოპოლიზებული ბიზნესის ნაცვლად საფუძველი ჩავუყაროთ ქვეყანაში ბიზნესის აღორძინებას;**

**• ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული პირველი პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის აღორძინებას ეხება და რეალობას დავუახლოვოთ მეორე პროექტი — ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებისა და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ;**

**• დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება;**

**• გავაღრმავოთ აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია“...**

როგორც ჩანს, პრემიერმინისტრს გულწრფელად სჯერა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დაპირება უკვე შესრულდა. მივყვეთ რიგითობით:

**2012 წლის საპარლამენტო არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ აბსოლუტური უმრავლესობით ვერ მოიგო — მანდატების 40% პარლამენტში კვლავაც „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს.**

**ხალხთან ერთად ქვეყნის მართვის ოპტიმალური მოდელის შექმნის ნაცვლად, ახალი ხელისუფლება ძველთან კოჰაბიტაციის რეჟიმში აღმოჩნდა, ხოლო საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა ჯერაც არ დაწყებულა.**

**მასშტაბური ელიტარული კორუფციის აღმოფხვრაზე არაფერი ისმის, სამაგიეროდ, ხშირია ხმები იმის შესახებ, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ძველებთან „ბიზნეს-კოჰაბიტაციაში“ არიან შემჩნეულნი.**

**დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა ვერ დაიწყო.**

**აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენის პერსპექტივა არ ჩანს.**

**ბიზნესი გარინდულია, მისი დემონოპოლიზაციის ნიშანწყალი არ ჩანს. ინვესტიციები არ შემოდის.**

**რუსეთთან ურთიერთობის დალაგება სიტყვის დონეზეა.**

**აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია, ძირითადად, მათგან თავსმოხვეულ კოჰაბიტაციაში გამოიხატება.**

ერთადერთი, რაც ნამდვილად გაკეთდა, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაა, თუმცა მიწების მოხვნის პარალელურად სოფლის მეურნეობის სამინისტროს თავკაცი და მისი ხელქვეითები დაკითხვებზე დადიოდნენ და მათი მომავალი ბედი დღესაც უცნობია.

ერთი სიტყვით, დაპირებები შესრულებული არ არის და, კაცმა რომ თქვას, არც ის ორი-სამი წელი გასულა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ამ ამოცანების შესასრულებლად ასახელებდა. აკი თავადაც ღია წერილის ბოლოს „ყველაზე დიდი სკეპტიკოსებისთვის“ წერს:

**„მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ამის საჭიროება არ დადგება, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, მე დავუბრუნდები აქტიურ პოლიტიკას. ვფიქრობ, ამ წერილის შემდეგ აღარ უნდა დარჩეს კითხვები პოლიტიკიდან ჩემი წასვლის მიზეზებისა თუ მიზნების შესახებ. რაც შეეხება წასვლის დროს, ამასაც წინასწარ ვაცნობებ საზოგადოებას მას შემდეგ, რაც დავრწმუნდები, რომ წარმატებით ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. მჯერა, რომ ამ არჩევნებში პირველივე ტურში გაიმარჯვებს კოალიციის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. მე წავალ მაშინ, როდესაც დავრწმუნდები, რომ ჩვენ არჩეულ კურსს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის, როდესაც ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი მწყობრად იმუშავებს და როდესაც დავრწმუნდები, რომ ქვეყანა სტაბილურად ვითარდება“.**

გამოდის, რომ, თუ მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება, ივანიშვილი წავა, ხოლო თუ იგი არჩევნებს წააგებს, პრემიერი იძულებული გახდება, პოსტზე დარჩეს! **რა ურჩევნია ქართველ ხალხს — მარგველაშვილი პრეზიდენტად ივანიშვილის გარეშე თუ ივანიშვილი პრემიერად მარგველაშვილის გარეშე?** ამ კითხვაზე პასუხი ნათელია. მთელი ეს „ნაგავი“ (ჩემი ტერმინი არ არის!) ხალხმა ივანიშვილის ხათრით აიტანა. მის გარეშე „ნაგვის“ ამარა დარჩენის პერსპექტივა ვერავის მოხიბლავს.

ამასობაში კი სააკაშვილი მყინვარწვერის დასალაშქრად ემზადება. როგორც ჩანს, მისი და ივანიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ „ხელისუფლება უკვე სტაბილურია და სწორი მიმართულებით მიდის“, ერთმანეთს ემთხვევა. სამაგიეროდ, იგი არ ემთხვევა ამომრჩევლის შეფასებებსა და განწყობილებებს.

ბიძინა ივანიშვილი ქართული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად პოლიტიკური მესიანიზმის მიმართ ლტოლვას მიიჩნევს და გამორიცხული არაა, რომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად, ამ ეტაპზე, წინა პლანზე ნაკლებად ქარიზმატული, ბელადისტური კომპლექსების არმქონე პოლიტიკოსების წამოწევას განიხილავს.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

2 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილმა თავის პოლიტიკურ კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, გადაჭარბების გარეშე, საეტაპო განცხადება გააკეთა და პოლიტიკიდან წასვლაზე დეტალურად ისაუბრა. პრემიერი შეეცადა, კონკრეტული პასუხი გაეცა კითხვებზე, რომლებიც საზოგადოებას მას შემდეგ არ ასვენებს, რაც დარწმუნდა, რომ ივანიშვილი თანამდებობას ახლო მომავალში ნამდვილად დატოვებს.

# რა უნდა სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილს

ვიდრე სტრატეგიულ პერსპექტივაზე ვისაუბრებთ, ალბათ, მიზანშეწონილია, რიგ ტაქტიკურ საკითხებს შევეხოთ, რომლებიც ივანიშვილის წასვლასთან დაკავშირებით ქართულ აუდიტორიას აღელვებდა, მითუმეტეს, რომ ნებისმიერი მასშტაბური ჩანაფიქრი შეიძლება ბანალურმა პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ შეიწიროს. ივანიშვილმა განაცხადა, რომ მმართველი კოალიცია ერთიანობას, როგორც მინიმუმი, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე შეინარჩუნებს, ხოლო თუ ვინმე მის დატოვებას დააპირებს, ამას შეაფასებს როგორც „შეცდომას". ამასთანავე, მან თქვა, რომ „ქართული ოცნების" (იგულისხმება პარტია და არა კოალიცია) გაძლიერებას აპირებს. **ამ განცხადებით, მან, ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვა ყველა რეალურ თუ წარმოსახვით გეგმას, რომლებიც ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ითვალისწინებდა პარლამენტში რესპუბლიკელების, ალასანიას ჯგუფისა და „ნაციონალების" ალიანსის ჩამოყალიბებას, რომელიც გაურკვევლობაში მყოფი „ოცნების" ცალკეულ ნამსხვრევებს შემოირთებდა და ახალი უმრავლესობის ფორმირებას მოახდენდა** (ამას, დიდი ალბათობით, საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის უკიდურესი გაღიზიანება და, მისგან გამომდინარე, მწვავე კრიზისი მოჰყვებოდა). ივანიშვილმა ცალსახად მიანიშნა, რომ ასეთ (ან რაიმე მსგავს) დრამატულ ტრანსფორმაციას ეწინააღმდეგება. ამასთანავე, **განცხადების ბოლოს მან აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკაში დაბრუნდება, რაც სხვა ყველაფერთან ერთად, ალბათ, იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ ზოგიერთი „ნაციონალის" ცეცხლოვანი ფანტაზიები მასშტაბური კრიზისის მოწყობასთან დაკავშირებით პრემიერის გადადგომის შემდეგ ფუჭია და, თუ სიტუაცია კრიტიკული გახდება და დიქტატორული რეჟიმის რესტავრაციის რეალური საფრთხე შეიქმნება, დაპირისპირება ისევ ივანიშვილთან მოუწევთ, ეს კი მათთვის ფრიად არასახარბიელო პერსპექტივაა.**

ეს ორი გზავნილი ძალზე მნიშვნელოვანი იყო როგორც პოლიტიკური სპექტრისთვის, ისე სრულიად საზოგადოებისთვის, რომელსაც დესტაბილიზაცია აშინებს. **დამატებით „დამამშვიდებელ" ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დიდ ცვლილებებს არც სამთავრობო გუნდში უნდა ველოდოთ** (იმ ტონალობიდან გამომდინარე, რომელშიც ივანიშვილმა მასზე ისაუბრა); **ძირითადი ბირთვი, სავარაუდოდ, შენარჩუნდება.** ახალი პრემიერის კანდიდატურა არ დასახელებულა, თუმცა, რიგი ნიუანსების მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს არ იქნება „ბელადისტური ტიპის" ფიგურა, რომელიც საზოგადოებაში ემოციურ ამოფრქვევას და მორიგ დაპირისპირებას გამოიწვევს, არამედ ის, ვინც უფრო ახლოს დგას განსაზღვრებასთან „ეფექტური მენეჯერი", თუ არა „ტექნიკური მუშაკი". **ბიძინა ივანიშვილი ქართული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად პოლიტიკური მესიანიზმის მიმართ ლტოლვას მიიჩნევს და გამორიცხული არაა, რომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად, ამ ეტაპზე, წინა პლანზე ნაკლებად ქარიზმატული, ბელადისტური კომპლექსების არმქონე პოლიტიკოსების წამოწევას განიხილავს.** ეს, ცხადია, არასაკმარისია პოლიტიკური მესიანიზმის აღმოსაფხვრელად, თუმცა, სათანადო სურვილის არსებობის შემთხვევაში, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც დროებითი, ახალ რეალობასთან შეგუებისთვის სასარგებლო დამატებითი ზომა.

პოლიტიკური მესიანიზმის თემას ამ განცხადებაში ერთი პარადოქსული გარემოება უკავშირდება. ერთის მხრივ, ივანიშვილი მას ერთ-ერთ მთავარ პრობლემად განიხილავს, მაგრამ მეორე მხრივ, ამოცანებს, რომელთაც ის საკუთარი თავის წინაშე აყენებს (საზოგადოების საფუძვლიანი გარდაქმნა სამოქალაქო სექტორის დახმარებით; ამას, ალბათ, გაჭირვების ჟამს პოლიტიკაში „მეორედ მოსვლის" დაპირება უნდა მივუმატოთ), არსებითად მესიანისტური მასშტაბი აქვს. ცხადია, რომ **გადადგომის შემდეგ საზოგადოების ნაწილი ივანიშვილს განსაკუთრებულ სტატუსს მიანიჭებს და პროცესებზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას მიაწერს** (მიუხედავად იმისა, რეალურად მოახდენს მას თუ არა). **უამრავი ადამიანისთვის, პოსტის დატოვების მიუხედავად, ის მაინც დარჩება პოლიტიკურ მესიად.** არაფერი კარგი ამაში არ არის, თუმცა სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ: **ეს იქნება სისტემა, რომელშიც ივანიშვილის ფიგურას განსაკუთრებული როლი მიენიჭება და გარდაქმნა, ასე თუ ისე, ნორმალურ დემოკრატიად მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება მის პოზიციაზე, უფრო ფართოდ კი — მსოფლმხედველობაზე.**



მცირე ჩანართი: ამას წინათ, რამდენიმე საინტერესო ექსპერტი შეიკრიბა (სუფრასთან, მაღალი გრადუსების ფიზიკაზე სამსჯელოდ რომ იკრიბებიან ხოლმე) და, სხვა ყველაფერთან ერთად, (ამაოდ) შეეცადა პოლიტოლოგიის ტერმინებში აღეწერა ის სისტემა, რომელიც ივანიშვილის გადადგომის შემდეგ შეიქმნება. იქ უნიკალური, **„განვითარებადი დემოკრატია კრიპტოკრატიული ავტორიტარიზმის ელემენტებით"** ტიპის ფორმულირებები გაისმა, თუმცა საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბება ამ ფრიად გამოცდილმა ადამიანებმა ვერ მოახერხეს. ვერც ისინი და ვერც საზოგადოების უდიდესი ნაწილი ჯერჯერობით ვერ ხედავენ ახალ სისტემას მთლიანობაში და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის როლია, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი მასში სამოქალაქო სექტორს ანიჭებს, ოღონდაც არა არსებულს, რომელიც 2 სექტემბრის განცხადებაში ჩანასახს შეადარა, არამედ ახალს, უფრო მრავალრიცხოვანს, რომელიც არა მხოლოდ გააკრიტიკებს ხელისუფლებას, არამედ კონსტრუქციული იდეებით მოამარაგებს და მასთან მუდმივი დიალოგის რეჟიმს შეინარჩუნებს და ამასთანავე, გადაიქცევა, ასე ვთქვათ, **„ახალი კადრების ბანკად",** როგორც სახელისუფლო სტრუქტურებისთვის, ისე კერძო სექტორისთვის.

პრემიერი შეეხო ამ ახალი სამოქალაქო სექტორის აღმზრდელობით ფუნქციას საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლების საქმეში (ეს მოტივი უფრო მკაფიოდ „ბლუმბერგისთვის" მიცემულ ინტერვიუში გამოჩნდა) და აქ, ალბათ, ორიოდე სიტყვა იმ საფრთხეზე უნდა ვთქვათ, რომელიც საკითხის ასე დასმას უკავშირდება. **თავის დროზე, 90-იანებში პირველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თავს სწორედ რომ განმანათლებლებად განიხილავდნენ და დროთა განმავლობაში ბევრი მათგანი მივიდა შიზოფრენიულ იდეამდე, რომ ისინი არიან ჭეშმარიტების მატარებლები ბნელი და უვიცი მასის გარემოცვაში.** ამის შემდეგ, **ამ წრეში იბადებოდა სრულიად არაადეკვატური თეორიები საქართველოს ქირურგიული ტრანსფომაციის აუცილებლობაზე და ვრცელდებოდა უცნაური სიძულვილი საკუთარი სამშობლოს მიმართ, მოკლედ ყოველივე ის, რაზეც სააკაშვილმა „მენტალური რევოლუციის" და „ახალი ადამიანის შექმნის" დაფუძნება სცადა.** მისი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა, მაგრამ ეს გაკვეთილი, ალბათ, კარგად უნდა გავაანალიზოთ. გარკვეული ჯგუფისთვის (აპრიორი) მასწავლებლის, განმანათლებლის (და, ამასთანავე, ხელისუფლების მაკონტროლებლის) როლის მინიჭებამ მასში შემავალი ახალგაზრდების ფსიქიკაზე, მათ მსოფლმხედველობაზე შეიძლება დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინოს. **მართალია, პრემიერმა ისაუბრა იმაზე, რომ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა თავად უნდა ისწავლონ და განვითარდნენ, საბოლოოდ კი ჩვენ უნდა მივაღწიოთ იდეალურ მდგომარეობას, როდესაც თითოეული მოქალაქე იპოვის საკუთარ ადგილს აღმშენებლობის პროცესში და საერთო საქმის მონაწილე გახდება, თუმცა ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფსიქოლოგიური ნიუანსი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, უყურადღებოდ, ალბათ, არ უნდა დავტოვოთ.** ძველი გამონათქვამის „ვინ უდარაჯებს დარაჯს?" არ იყოს, ძალზე მნიშვნელოვანია, ვინ და როგორ აღზრდის აღმზრდელს.

იყო ერთი პასაჟი, რომელიც მედიის წარმომადგენლებს, სავარაუდოდ, არ მოეწონათ. ილიასდროინდელ საქართველოზე საუბრისას, პრემიერმა განაცხადა: **„მაშინდელი ქართული პრესის მესვეურები დღევანდელი ჟურნალისტებისგან რამდენიმეს თუ აიყვანდნენ სამსახურში პროფესიონალიზმისა და სიცრუის არკადრების გამო".** როგორ უნდა უპასუხოს ამას მედიამ, ასე ხომ არა? **„მაშინდელი ქართული ელიტის წარმომადგენლები დღევანდელი პოლიტიკოსებისგან მხოლოდ რამდენიმეს თუ აიყვანდნენ მეჯინიბედ იმ მიზეზების გამო, რომელთა ჩამონათვალიც მოცულობით „ვეფხისტყაოსანს" გადააჭარბებს".**

**თანამედროვე ქართულ მედიას საკმარისზე მეტი პრობლემა აქვს, მაგრამ მსგავსი პრობლემები აქვს აბსოლუტურად ყველას, უპირველესად კი, პოლიტიკურ ელიტას.** იყო თუ არა საჭირო მედიის ცალკე გამოყოფა და რამდენად კარგი შესავალია ეს ახალი დიალოგისთვის?

თუმცა ეს მაინც მეორეხარისხოვანი თემებია, **ერთ-ერთი მთავარი, ოდნავ შენიღბული გზავნილი** კი იმაში მდგომარეობდა, რომ **ახალი სამოქალაქო სექტორი, სხვა ყველაფერთან ერთად, სოციალური ლიფტის კარის გაღებასაც დაუკავშირდება.**

ეს ძალზე მნიშვნელოვანია დღევანდელ საქართველოში, სადაც „საერთო საქმის", თუ გნებავთ „ეროვნული საქმის", კეთებას ძალიან ცოტა მოქალაქე დაიწყებს, თუ ახალო პერსპექტივაში საკუთარი თავისთვის სერიოზული ბონუსების მიღების რეალურ შანსს არ დაინახავს. ეს ძალიან ცუდია, თუმცა რეალობას ვერ გავექცევით, ამაზე წერდა მერაბ მამარდაშვილი (ცნობილი მონაკვეთი ბინების კეთილმოწყობისა და სადარბაზოების შესახებ), წერდა ილია ჭავჭავაძე და, ფეოდალური ეპოქის მატიანეს თუ ჩავუღმავდებით, ამ მოტივს და შესაბამის გულისწყრომას, დიდი ალბათობით, იქაც აღმოვაჩენთ.

სტიმულირების გარეშე, ალბათ, არაფერი გამოვა, მაგრამ **აქ ძალზე მნიშვნელოვანია ზომიერების დაცვა, რათა ახალი სამოქალაქო სექტორის ნაცვლად ახალი პარაზიტული სისტემა არ მივიღოთ.** ეს არ არის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის საქმე, მიუხედავად იმისა, რომ პროცესის მთავარი სპონსორი ის იქნება, რადგან შეცდომის შემთხვევაში პრობლემა მთელ ქვეყანას შეექმნება. ჩვენ არ ვიცით, თუ რა კონკრეტულ პრინციპებზე დაყრდნობით აპირებს ის სამოქალაქო სექტორის განვითარების ხელშეწყობას, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ **მის მიერ შექმნილი პოლიტიკური ორგანიზმი** (და მასთან დაკავშირებული საზოგადობრივი და მედია სტრუქტურები) **არასაკმარისად ჯანსაღია, უხეშად რომ ვთქვათ, იქ, ხშირ შემთხვევაში, დასაშვებზე მეტი პარაზიტიზმია. იმედია, სამოქალაქო სექტორში იმავე შედეგს არ მოვიმკით.**

ბიძინა ივანიშვილი მოუწოდებს საზოგადოებას, გაგებით მოეკიდოს მის გადაწყვეტილებას გადადგომის თაობაზე, მის სიტყვას ენდოს და ახალ წამოწყებაში მხარი დაუჭიროს. **მისი ავტორიტეტიდან და იმ უნიკალური როლიდან გამომდინარე, რომელიც მან სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟში შეასრულა, საზოგადოება, დიდი ალბათობით, მიიღებს თამაშის ახალ წესებს, რომელთაც ივანიშვილი სთავაზობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწილისთვის ის** (განხილული განცხადების შემდეგაც) **კვლავინდებურად გაუგებარი და ბუნდოვანია.** ადაპტაციას ახალი რეალობის მიმართ გარკვეული დრო დასჭირდება, თუმცა იმედია, ეს გარდამავალი პერიოდი მალე დასრულდება და საზოგადოება ბოლოსდაბოლოს იპოვის პასუხს კითხვაზე, რომელიც ამდენი ხანია აწუხებს: **რა უნდა სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილს?**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკა

**ნამდვილად არაა გამორიცხული, რომ მკვეთრ მოქმედებას აშშ-ის მხრიდან (თუნდაც ასადის რეჟიმი დაემხოს), მოჰყვება უარესი დესტაბილიზაცია როგორც სირიაში, ისე მთელ რეგიონში, რომელიც კიდევ უფრო აქტიურ ჩარევას მოითხოვს და საბოლოოდ აშშ-ს აღმოსავლური „გრძელი ომიდან“ გამოსვლის შესაძლებლობა არ მიეცემა, რაც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.**

# რას მოუტანს საქართველოს ომი სირიაში?

**ბოლო ორი კვირაა, მსოფლიო თვალს ადევნებს სირიის გარშემო განვითარებულ მოვლენებს და გამონაკლისს ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს. სოციალურ ქსელებში იმართება მრავალსაათიანი დებატები და მათი მონაწილეები, როგორც გულშემატკივრები სტადიონზე, ორ, თითქმის თანაბარ ბანაკად იყოფიან. მაგრამ ომი არ არის საფეხბურთო მატჩი, ხოლო სიტუაცია სირიაში არ დაიყვანება სიკეთისა და ბოროტების გამარტივებულ, შავ-თეთრ დაპირისპირებამდე, რასაც ბოლო წლებში სააკაშვილის პროპაგანდამ მიგვაჩვია; სიტუაცია გაცილებით რთულია. კონფლიქტის მომდევნო ესკალაციის სავსებით რეალურმა საფრთხემ, ალბათ, უნდა დააფიქროს მთავრობა და საზოგადოება ახალ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება საქართველოს შეექმნას.**



## ბარაკ ობამას დილემა

ბარაკ ობამას 31 აგვისტოს გამოსვლამ კომენტატორებს არაერთგვაროვანი შთაბეჭდილება დაუტოვა. **აშშ-ის პრეზიდენტმა, ერთის მხრივ, განაცხადა, რომ მზადაა, ასადის ძალებზე იერიში მიიტანოს, თან დასძინა, რომ მას კონგრესის სანქცია დასჭირდება და იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს იქნება დროში შეზღუდული ოპერაცია, სახმელეთო კომპონენტის გარეშე.** ზოგმა ოპონენტმა ეს დამატებითი შენიშვნები, ხანგრძლივი ყოყმანი ამ განცხადების გაკეთებამდე და რიგი ფორმულირების ბუნდოვანება სისუსტედ ჩაუთვალა, თუმცა, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ **აშშ-ის პრეზიდენტი ძალიან რთული, შეიძლება ითქვას, ტრაგიკული დილემის წინაშე დგას.**

აქ, ალბათ, საინტერესო იქნება რამდენიმე ისტორიული პარალელის გავლება. **ბარაკ ობამა, ისევე, როგორც თავის დროზე რიჩარდ ნიქსონი, ომისგან გადაღლილი, ძალზე სახიფათო კრიზისის პირას მდგომი ქვეყნის სათავეში ომის დასრულების ლოზუნგით მოვიდა. დღეს ნიქსონის ფიგურა, უპირველესად, უოტერგეიტის სკანდალთან ასოცირდება, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნიქსონმა დაასრულა ვიეტნამის ომი და უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ჩინეთთან განმუხტვის რეჟიმში გადაიყვანა.** მარტივად რომ ვთქვათ, ნიქსონმა მოუტანა ამერიკას სასიცოცხლოდ აუცილებელი მშვიდობა მაშინ, როდესაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა, რათა კონცენტრაცია შიდა კრიზისის დაძლევაზე მოეხდინა.

ომის დასრულება მყისიერი პროცესი არ არის; **ნიქსონს ვიეტნამში, ხოლო ობამას ერაყსა და ავღანეთში** (ობამასთვის პროცესი ჯერაც არ დასრულებულა) **წლები დასჭირდათ, რათა გაეტარებინათ „ვიეტნამიზაციის“, „ერაყიზაციის“, „ავღანიზაციის“ პროცესები, ამერიკული ძალების მონაწილეობა ოპერაციებში თანდათან მინიმუმამდე დაეყვანათ და, ასე თუ ისე, მისაღები სამშვიდობო შეთანხმებებისთვის მიეღწიათ.** ამასთანავე, იყო ეპიზოდები, როდესაც გარემოებათა გამო ამერიკელები უკანდახევის ლოგიკის წინააღმდეგ შეტევაზე გადადიოდნენ. მაგალითად, 1970 წლის აპრილში ნიქსონმა კამბოჯაში შეჭრის ბრძანება გასცა, რათა ამ ქვეყანაში ვიეტნამელი კომუნისტების ბაზები გაენადგურებინა. ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ, სამხედრო თვალსაზრისით, ეს სავსებით გამართლებული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ შეერთებულ შტატებში მას ძალიან დიდი არეულობა მოჰყვა. ცნობამ იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებაში სამშვიდობო ლოზუნგებით მოსულმა ნიქსონმა მასშტაბური შეტევა დაიწყო, ქუჩაში ასიათასობით გაცოფებული დემონსტრანტი გამოიყვანა. მათ ათეულობით სამთავრობო შენობა დაწყვეს და 16 შტატში წესრიგის დასამყარებლად საჭირო გახდა ეროვნული გვარდიის გამოყენება; შეტაკებებში რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. სწორედ იმ დღეებში ფართოდ დამკვიდრდა ტერმინი **„შეზღუდული ოპერაცია“**, ნიქსონის ადმინისტრაციამ გაავლო ხაზი კამბოჯის რუკაზე და დაჰპირდა ამერიკულ საზოგადოებას, რომ აშშ-ის ძალები მას არ გადაკვეთენ, ამასთანავე, მათი გამოყვანის კონკრეტული თარიღი დაასახელა (ეს დაპირება შესრულდა).

**ახალი მსოფლიო წესრიგი თუ ახალი მსოფლიო ქაოსი? საით მივდივართ, ბატონო პრეზიდენტო, ან ვის მივყავართ ამ მიმართულებით?.. აშშ-ის პრეზიდენტი ძალიან რთული, შეიძლება ითქვას, ტრაგიკული დილემის წინაშე დგას**

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ **ბარაკ ობამა ოპერაციას „შეზღუდულს“ ჯერ კიდევ მის დაწყებამდე უწოდებს. გამორიცხული არაა, რომ მის ადმინისტრაციას იდეალურად ესახება დაახლოებით ისეთი სცენარი, როგორიც ლიბიაში ვიხილეთ** (ოღონდაც დროში გაწელვის გარეშე) — დასავლელი მოკავშირეების სარაკეტო და საავიაციო იერიშები, მრავალმხრივი დახმარება მეამბოხეებისთვის, მაგრამ, ამავე დროს, მტკიცე, აპრიორი დაფიქსირებული უარი სახმელეთო ძალების გამოყენებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ჩამოთვლილი ასადის დასამხობად შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს.

მართალია, დღეს ობამა, ნიქსონისგან განსხვავებით, არ დგას შტატების შიგნით მასშტაბური არეულობის საფრთხის წინაშე, მაგრამ, ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი ომის ან თუნდაც „შეზღუდული ოპერაციის“ მიზანი „უკეთესი მშვიდობის“ მიღწევაა, მარტივად რომ ვთქვათ, სიტუაცია ამ აქტის შემდეგ უნდა გაუმჯობესდეს. მაგრამ **ნამდვილად არაა გამორიცხული, რომ მკვეთრ მოქმედებას აშშ-ის მხრიდან** (თუნდაც ასადის რეჟიმი დაემხოს), **მოჰყვება უარესი დესტაბილიზაცია როგორც სირიაში, ისე მთელ რეგიონში, რომელიც კიდევ უფრო აქტიურ ჩარევას მოითხოვს და საბოლოოდ აშშ-ს აღმოსავლური „გრძელი ომიდან“ გამოსვლის შესაძლებლობა არ მიეცემა, რაც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.**

დღეს ობამა კონგრესის მიმართ თავისი აპელირებით და ორაზროვანი ფორმულირებებით არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება, თუმცა მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, „ქორებმა“ შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე პასუხისმგებლობა გაიზიარონ. **შესაძლოა, ყველაფერი, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, ამერიკული ელიტის შიგნით მომხდარი დიდი განხეთქილების, ლამის „ცივი სამოქალაქო ომის“ ანარეკლია;** მსგავსი პრობლემა ნიქსონს არ ჰქონია, იმ წლებში კონსენსუსი საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე ცარიელი სიტყვა არ იყო. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე აზრთა სხვაობა ორ პარტიას შორის, **საუბარია მსოფლიოში აშშ-ის როლის პრინციპულად განსხვავებულ ხედვაზე და ამ დაპირისპირებაში უკვე ჩართულია არა მხოლოდ ამერიკული ელიტის ორი ბანაკი, არამედ მათი მოკავშირეები საზღვარგარეთ** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს, უპირველესად, ალბათ, არაბულ სანავთობო მონარქიებსა და ისრაელს ეხება). **საკმაოდ სიმპტომატურია ბრიტანელი პარლამენტარების ფაქტობრივი ვეტო სირიის ოპერაციაში ჩართვაზე.** ბრიტანელებს პოლიტიკური ალღო და წინდახედულობა იშვიათად ღალატობთ, შესაძლოა, მათ იგრძნეს, რომ მათი მთავარი პარტნიორის შიდა საქმეებში რაღაც სერიოზულად აირია და საქმე ეხება არა მორიგ ჯვაროსნულ ლაშქრობას დემოკრატიის სახელით, არამედ გაცილებით სერიოზულ რყევებს; **ბრიტანელებმა დისტანცირება ამჯობინეს.**

## გზად წესრიგიდან ქაოსამდე

**შემდგომი ესკალაცია, თუნდაც მას ასადის დამხობა მოჰყვეს, დიდი ალბათობით, მოიტანს სირიის გადაქცევას ტოტალური ქაოსის** (ლიბიაზე გაცილებით უარეს) **ზონად, რეგიონში რადიკალური ისლამისტების და „ალ ქაიდას“ გაძლიერებას, თურქეთისა და ისრაელის გარდაუვალ „შეტოპვას“ ამ ჭაობში, ირანის საგარეო აქტიურობის მკვეთრ რადიკალიზაციას** (იქ, სავარაუდოდ, ალყაშემორტყმული ბანაკის ფსიქოლოგია და ხსენებული ალყის გარღვევის სურვილი დამკვიდრდება), **შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირების ზრდას, რუსეთისა და ჩინეთის გადასვლას, ასე ვთქვათ, გლობალური არმაგედონისთვის მზადების სამობილიზაციო რეჟიმში.**

**ახალი მსოფლიო წესრიგი თუ ახალი მსოფლიო ქაოსი?** ნამდვილად არაა გამორიცხული, დღეს თეთრ სახლში რომ გაისმოდეს სევდიანი კითხვები: **საით მივდივართ, ბატონო პრეზიდენტო? ან ვის მივყავართ ამ მიმართულებით?**

**მსოფლიოში არ არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გამოიყენა ქიმიური იარაღი სირიაში;** ამის დადგენას მიუ- ▶

---

მოკლედ

## პენსია და დახმარება 1272250 პირს გაეზარდა

**ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, სექტემბრიდან მინიმალური პენსიები იზრდება. ასაკით პენსიონერთათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი რაოდენობა 125 ლარიდან 150 ლარამდე იზრდება.**

პენსიის მატება შეეხება 681392 პენსიონერს, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია (I ჯგუფის ინვალიდი) 125 ლარიდან 150 ლარამდე გაიზრდება. პენსიის მატება შეეხება 21892 პირს, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია (II ჯგუფის ინვალიდი) — 70 ლარიდან 100 ლარამდე გაიზრდება, პენსიის მატება შეეხება 72200 პირს, ასევე ბავშვობიდან შშმპ პირების პენსია 70 ლარიდან იზრდება 100 ლარამდე, მატება შეეხება 12921 პირს. მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრების სოციალური პაკეტი 55 ლარიდან გაიზრდება 100 ლარამდე, მატება შეეხება 26700 პირს, პოლიტრეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის სოციალური პაკეტი 62 ლარიდან იზრდება 107 ლარამდე, მატება შეეხო 1350 პირს, სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია 272 ლარიდან 292 ლარამდე გაიზრდება, მატება შეეხება 17 126 პირს.

მინისტრის განცხადებით, საერთო ჯამში, მატება შეეხო 1 მილიონ 272 ათას 250 პირს. დავით სერგეენკოს ინფორმაციით, 2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სოციალური გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენა 110 მილიონ 922 ათას 825 ლარს, 2013 წლის სექტმებრიდან აღნიშნული გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენს დაახლოებით 154 მილიონ 529 ათას 303 ლარს.

# საქართველოს, ცხადია, ხელს არ აძლევს მზარდი დესტაბილიზაცია რეგიონში — ისლამისტი რადიკალების გაძლიერება, თურქეთის არაპროგნოზირებადი ტრანსფორმაცია, ირანის საგარეო პოლიტიკის რადიკალიზაცია, ომი და ტერორისტების აქტიურობა ჩვენი საზღვრის სიახლოვეს; ხელისუფლება ვალდებულია, ადეკვატურად შეაფასოს საფრთხეები, რომლებმაც სულ მალე შეიძლება ერთი მეორის მიყოლებით კარზე მოგვიკაკუნოს.

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კერძოებელი საერთაშორისო კომისიის მიერ კიდევ საკმაო დრო დასჭირდება, მაგრამ რაოდენ ცინიკურადაც უნდა გაიჟღეროს, **არსებითი მნიშვნელობა ამას უკვე აღარ აქვს — საზოგადოებრივი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ასადის ძალებმა გააკეთეს, დასავლეთში უკვე ჩამოყალიბებულია და ობამას ადმინისტრაცია ამ ვერსიის წინააღმდეგ არ** (და ვერ) **წავა;** ოპონენტების ზეწოლა წარმოუდგენლად ძლიერია — ერთადერთი, რის გაკეთებაც ობამას რეალურად შეეძლო, კონგრესის სანქციის მოთხოვნა და „შეზღუდულ ოპერაციაზე" საუბარია.

თუ ის „გატყდება" და ამერიკას მორიგ სისხლიან ომში ჩააბამს, უმცროსი ბუშის ეპოქის ცინიზმისგან და ორმაგი სტანდარტებისგან გადაღლილი მილიონობით ამერიკელი ამომრჩევლის გულში მოკვდება მათი კერპი, იდეალისტი ობამა, რომელსაც ხმა 2008-ში მისცეს. თუ ის ამაზე არ წავა, მისი მოწინააღმდეგეები იზრუნებენ, რომ ის შევიდეს აშშ-ის ისტორიაში, როგორც „კარტერზე სუსტი" პრეზიდენტი და, დიდი ალბათობით, საწადელს მიაღწევენ. თუმცა ყველაფერი ამქვეყნად ფარდობითია, მათ შორის ჯიმი კარტერის სისუსტეც, მან მთელ რიგ სიტუაციებში საბედისწერო ზღვარს არ გადააბიჯა, უკან დაიხია, მაგრამ, შესაძლოა, ამით ამერიკა ვიეტნამზე უარესი განსაცდელისგან იხსნა. გავიხსენოთ თუნდაც ყოვლისმომცველი კრიზისი მუსლიმანურ სამყაროში 70-იანების ბოლოს, თუ კარტერის ადგილას თეთრ სახლში უმცროსი ბუში იჯდებოდა, აშშ, დიდი ალბათობით, მიიღებდა ახალ ვიეტნამს ან სულაც მესამე მსოფლიო ომს. ან რატომ არ უნდა ჩაითვალოს უდიდეს მიღწევად კემპ-დევიდის შეთანხმება, რომელსაც კარტერის ადმინისტრაციამ მიაღწია?

**ბარაკ ობამა შუალედურ გადაწყვეტილებას ეძებს, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ სწორედ „ნაკლები ბოროტების" ეს ძიება უარეს პრობლემებამდე მიიყვანს. შესაძლოა, ასეთ ვარიანტად დღეს თეთრ სახლში „შეზღუდული ოპერაცია" განიხილება. საინტერესო კია,** (აზრი 90-იანი წლების ქართული პოლიტიკის დაუვიწყარ სტილში რომ ჩამოვაყალიბოთ) **არსებობს კი ეს ბილიკი „ბუშის გზასა" და „კარტერის გზას" შორის?**

ასადს, კადაფისგან განსხვავებით, საკმაოდ სერიოზული, მათ შორის ხომალდსაწინააღმდეგო შეიარაღება აქვს. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი რთული არჩევანის წინაშე დგება: რაც უფრო მეტ ზიანს მიაყენებს ამერიკულ დაჯგუფებას, მით უფრო გაიზრდება იმის ალბათობა, რომ ამერიკელები ოპერაციას გააგრძელებენ, ამიტომ მან შეიძლება შემდეგი გადაწყვეტილება მიიღოს: პასუხის გაცემის გარეშე გაუძლოს ამ „შეზღუდულ შეტევას" და, უბრალოდ, მის დასრულებას დაელოდოს. თუმცა **გარანტია, რომ ამერიკულ დაჯგუფებას საფრთხე არ შეექმნება, არ არსებობს, რადგან გარკვეული ძალები შეიძლება ძალიან სერიოზულ, სისხლიან პროვოკაციაზე წავიდნენ. და არც ისაა გამორიცხული, რომ ასადი რადიკალურ სცენარს აირჩევს.**



**შემდგომი ესკალაცია, თუნდაც მას ბაშარ ალ-ასადის დამხობა მოჰყვეს, დიდი ალბათობით, მოიტანს სირიის გადაქცევას ტოტალური ქაოსის (ლიბიაზე გაცილებით უარეს) ზონად...**

**რუსეთისა და ჩინეთის რეაქცია ამერიკულ ოპერაციაზე, სავარაუდოდ, ასიმეტრიული და საკმაოდ მკვეთრი იქნება, რაც, ამ ორი ქვეყნის პოტენციალის გათვალისწინებით, გლობალურ სტაბილურობას კარგს არაფერს მოუტანს.** ჩვენ, ალბათ, უნდა დავშორდეთ სულელურ კონსპიროლოგიურ თეორიებს იმის თაობაზე, რომ ზესახელმწიფოები დიდ საჭადრაკო დაფაზე ფიგურებს ცვლიან (საქართველოს — სირიაზე, რუანდას — ბურუნდიზე და ა. შ.), მაგრამ **კონფრონტაციის გაღრმავება უდავოდ აისახება ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკური კონკურენციის ყველა ზონაში, მათ შორის სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.** ალბათ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეცვლილ სიტუაციაში ირანთან საიმედო სახმელეთო კავშირის დამყარება, ერთგვარი „ხიდის" აგება რუსეთისთვის (ჩინეთისთვისაც, თუმცა ეს ნაკლებად გვეხება) ფრიად აქტუალური გახდება.

## საქართველო დიდი შტორმის წინ

**საქართველოს, ცხადია, ხელს არ აძლევს მზარდი დესტაბილიზაცია რეგიონში — ისლამისტი რადიკალების გაძლიერება, თურქეთის არაპროგნოზირებადი ტრანსფორმაცია, ირანის საგარეო პოლიტიკის რადიკალიზაცია, ომი და ტერორისტების აქტიურობა ჩვენი საზღვრის სიახლოვეს; ხელისუფლება ვალდებულია, ადეკვატურად შეაფასოს საფრთხეები, რომლებმაც სულ მალე შეიძლება ერთი მეორის მიყოლებით კარზე მოგვიკაკუნოს.** ჩვენი რესურსები ძალზე შეზღუდულია და ამიტომ დროული მომზადება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. იმის ნაცვლად, რომ ვუყუროთ სირიის მოვლენებს, როგორც საფეხბურთო მატჩს (მითუმეტეს, რომ სირიის „ჩემპიონატში" არც ასადის გუნდი გვესიმპათიურება და არც ოპოზიციის), ან განვიხილოთ სირიის კონფლიქტი აშშ-რუსეთის ბიპოლარული დაპირისპირების პრიმიტიული და არსებითად არაადეკვატური მოდელის ფარგლებში, ალბათ, აჯობებს, დავფიქრდეთ, **რა შეიძლება გაკეთდეს დღეს და ხვალ საქართველოს უსაფრთხოების გასაძლიერებლად, გამორიცხული არაა, რომ ჩვენ არც ისე ბევრი დრო გვაქვს.**

სულ უფრო ხშირად ხდება ინციდენტები, რომლებშიც ერთ მხარეს ქრისტიანი, ხოლო მეორე მხარეს მუსლიმანი მოქალაქეები დგანან; დღეს ეს ლოკალური მასშტაბის ეპიზოდებია, ხელისუფლება კონფლიქტებს ასე თუ ისე არეგულირებს, მაგრამ **რეგიონში პროცესების ყოვლისმომცველმა რადიკალიზაციამ და უცხო ქვეყნების ფარულმა ჩარევამ ახლო მომავალში შეიძლება ნამდვილი ხანძარი გააჩინოს.** პრობლემის ანიჰილაციის რეცეპტი, ცხადია, არ არსებობს, თუმცა, ალბათ, მსგავსი **ინციდენტების პრევენციისთვის მთავრობამ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს, ხოლო თითოეულმა მოქალაქემ მაქსიმალური სიფრთხილე გამოვლინოს, ნებისმიერმა გაუფრთხილებელმა ქმედებამ ან თუნდაც რეპლიკამ სრულიად მოულოდნელად შეიძლება დეტონატორის როლი შეასრულოს.**

ალბათ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ქართულ პოლიტიკაში არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც, საყოველთაო აღიარებით, მოაწერს ხელს აბსოლუტურად ყველაფერზე, ოღონდაც ხელისუფლებაში დაბრუნდეს.** ცხადია, ეს გარემოება თავისთავად ვერ გახდება საბაბი „ნაციონალური მოძრაობის" აკრძალვისთვის, მაგრამ, ალბათ, **როგორც მთავრობამ, ისე საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა მაქსიმალურად შეამცირდეს „პროვოკაციის სივრცე", რომელშიც ამ ადამიანებს ოპერირება შეეძლებათ.** სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ იმ მომენტში, როდესაც სიტუაცია რეგიონში, უხეშად რომ ვთქვათ, საბოლოოდ აიჭრება, ეს ჯგუფი მოკლებული იყოს შესაძლებლობას, პუტჩი, არეულობა და დივერსიები მოაწყოს. რა თქმა უნდა, ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფციიდან უნდა ამოვიდეთ, მაგრამ იმ ფაქტსაც ვერ გავექცევით, რომ **ეს ერთადერთი ჯგუფია საქართველოში, რომელთან დაკავშირებით საზოგადოებაში ძალიან ფართოდ გავრცელებულია ეჭვი, რომ ის ყოველივე ზემოთქმულზე წამსვლელია.** საბოლოო ჯამში კი, **ეს არა ცალკე აღებული პოლიტიკის, არამედ ეროვნული უსაფრთხოების საკითხია.**

ცხადია, უსაფრთხოების კონტექსტში, გაცილებით რთული და მასშტაბური საკითხები არსებობს, თუმცა მათზე საუბარი ერთობ უადგილო იქნება, ვიდრე საქართველო ბანალურ სტაბილურობასა და ელემენტარულ მდგრადობას არ მიაღწევს. ქვეყანა უნდა დალაგდეს, მოემზადოს, როგორც პატარა გემი დიდი შტორმის წინ, ჩხუბი მის ბორტზე უნდა შეწყდეს, ხოლო კაპიტანმა თავისი ადგილი დაიკავოს და მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს.

**დიმიტრი მონიავა**

## ბაშარ ალ-ასადი: ვინც ბრალს მდებს ქიმიური იარაღის გამოყენებაში, მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს

**ნებისმიერმა, ვინც ბრალს მდებს, ქიმიური იარაღის გამოყენებაში, მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს, — ამის შესახებ სირიის ლიდერი ბაშარ ალ-ასადი ფრანგულ გაზეთ Le Figaro-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს. როგორც ბაშარ ალ-ასადი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს სთხოვა, წარედგინათ მტკიცებულებები. სირიის ლიდერი განმარტავს, რომ აღნიშნულ ბრალდებაში ლოგიკას ვერ ხედავს.**

„ნებისმიერმა, ვინც ბრალს მდებს ქიმიური იარაღის გამოყენებაში, მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს. ჩვენ ვთხოვეთ აშშ-სა და საფრანგეთს, თუნდაც ერთი მტკიცებულება წარედგინათ. ობამამ და ოლანდმა ვერ შეძლეს ეს, თუნდაც საკუთარი ხალხის წინაშე. არაფერს ვამბობ იმაზე, ფლობს თუ არა სირიის ჯარი მსგავს იარაღს. მოდით ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ჯარს სურს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება: შესაძლოა თუ არა, მან ეს იარაღი გამოიყენოს იქ, სადაც ჯარი დგას და სადაც თვით ჯარისკაცები დაშავდნენ ამ იარაღით, როგორც ეს აღნიშნეს გაეროს ინსპექტორებმა, როდესაც ისინი საავადმყოფოში მოინახულეს?! სად არის ლოგიკა?!" — აღნიშნა ბაშარ ალ-ასადმა.

**ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორი იქნება სირიის პასუხი სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, ბაშარ ალ-ასადი აცხადებს, რომ არავინ იცის, თუ რა მოჰყვება პირველ დარტყმას.**

**„ახლო აღმოსავლეთი დენთის კასრია და დღეს ცეცხლი უახლოვდება ამ რეგიონს. უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა მოჰყვება პირველ დარტყმას. არავინ იცის, რა მოხდება. ყველანი დაკარგავენ სიტუაციის კონტროლის სადავეებს, როდესაც დენთის კასრი აფეთქდება. სამაგიეროდ, ქაოსი და ექსტრემიზმი მოიდგამს ფეხს. ეს კი ომის საფრთხეს მთელი რეგიონის მასშტაბით მოიცავს",** — აღნიშნა ბაშარ ალ-ასადმა.

**სირიის ლიდერმა ქვეყნის მტრებზეც ისაუბრა.** „ნებისმიერი, ვინც მოქმედებს სირიისა და სირიელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, მტერია. ფრანგი ხალხი არაა ჩვენი მტერი, მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკა მტრულია სირიელი ხალხისადმი. მანამ, სანამ ეს პოლიტიკა მტრული იქნება, საფრანგეთი ჩვენი მტერი იქნება. ეს მტრობა კი მაშინ მორჩება, როდესაც საფრანგეთი შეცვლის თავის პოლიტიკას", — აღნიშნა ბაშარ ალ-ასადმა.

მოკლედ

## მთავრობა იპოთეკარებისთვის ვალების პატიებას არ აპირებს

**დაზარალებული იპოთეკარებისთვის ვალების პატიების შესახებ საუბარი არ არის, — ამის შესახებ ჟურნალისტებს იპოთეკარების მოთხოვნების კომენტირებისას ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განუცხადა.** ვიცეპრემიერის თქმით, აღსრულების ეროვნული ბიურო, დაზარალებულებს საკმაო ვადებს აძლევს, რათა მათ საკუთარი ნებით ახალ პირობებთან შეგუება შეძლონ.

**„იმაზე, რომ ამ ადამიანებს ვალები ეპატიოთ, საუბარი არ არის. ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად ადამიანური მიდგომები გამოვიყენოთ, ამ ეტაპზე მეტის გაკეთება შესაძლებელი არ არის",** — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

იპოთეკარებმა სასტუმრო „რადისონთან" საპროტესტო აქცია გამართეს და ამბასადორიალის მონაწილე მინისტრებს მათთან შეხვედრისკენ მოუწოდეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, თუ ხელისუფლება მათ დასახმარებლად ზომებს უახლოეს მომავალში არ მიიღებს, „ქართული ოცნების" კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების ყოველგვარ შანსს დაკარგავს.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნამდვილად იყენებენ თუ არა ქართველებს ამ სახიფათო ბიოლოგიური პროგრამებისა და ვაქცინების კვლევებისთვის? ამის მტკიცება შეიძლება ძნელი იყოს, მაგრამ წლების წინ შეერთებული შტატები საკუთარ მოქალაქეებზეც კი ატარებდა ექსპერიმენტებს, ამიტომ მას შეუძლია საქართველოს მოსახლეობაც გამოიყენოს ვაქცინების საველე კვლევის ნაწილად მისი თანხმობის გარეშე“.**

ჯეფრი სილვერმანი:

# საქართველოში არსებული ლაბორატორიების ქსელს, ფაქტობრივად, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი მართავს და მას შეტევითი პოტენციალი აქვს

2013 წლის 27 აგვისტოს ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა პოლიტიკური გამოძიების სფეროში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და დაზვერვის ყოფილი თანამშრომლების გამოცემის „ვეტერანები დღეს“ (Veterans Today) მთავარმა რედაქტორმა, გორდონ დაფმა, გამოაქვეყნა სტატია „შეერთებული შტატების კონტრაქტორები სირიაზე ქიმიურ შეტევას ადასტურებენ“ (US Contractors Cited for Syrian Chem Attacks) და ვიდეო სახელწოდებით „სირიაზე საჰაერო შეტევასთან სირიის რეგულარულ არმიას საერთო არაფერი აქვს“ („Syrian Gaz Attack Proof Syrian Army Has No Ivolvement“), რომლებშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ვიდეო, რომელსაც თქვენ უყურებთ, სირიაშია გადაღებული. მასზე ასახულია ქიმიური იარაღი, რომელიც საქართველოდან გადმოგზავნეს. ამ ყველაფრის უკან ამერიკა დგას. ჯეკ კემი ის ადამიანია, რომლის დახმარებითაც ეს იარაღი საქართველოდან თურქეთის გავლით სირიაში აშშ-ის ხელშეწყობით ჩამოვიდა. შეხედეთ ამ იარაღს, რომელიც ვიდეოზეა გადაღებული, შეხედეთ, როგორ მოჰყავთ ის მოქმედებაში. აშშ-ის ქიმიური იარაღის პროგრამა სირიელ ამბოხებულებს მასობრივი განადგურების იარაღით უზრუნველყოფს.

მკვლევართა ჯგუფმა აღმოაჩინა ამერიკის მიერ კონტროლირებადი რეგიონიდან ქიმიური იარაღის მოწოდება. ქიმიური იარაღის კვალს საქართველოს რესპუბლიკიდან მოჰყვნენ, იგი „ალ ქაიდას“ ტერორისტებს სირიის ტერიტორიაზე თურქეთის არმიის ქვედანაყოფებმა ჩამოუტანეს.

ჟურნალისტებმა — ჯეფრი სილვერმანმა და ლიკა მოშიაშვილმა აღმოაჩინეს საიდუმლო არალეგალური ოპერაციები აშშ-ის მიერ კონტროლირებად ცენტრალურ ლაბორატორიაში (აშშ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია (CPHRL)) თბილისის გარეუბანში, ალექსეევკის დასახლებაში“.

ამ შემაშფოთებელი ინფორმაციის გავრცელებისთანავე „საქართველო და მსოფლიო“ ამერიკელ ჟურნალისტსა და მკვლევარს — ჯეფრი სილვერმანს დაუკავშირდა:



**«ამერიკელები ისევ იქ არიან და ისევე მუშაობენ მას შემდეგ, რაც Lugar-ის ლაბორატორია გაიხსნა 2010-ში»**



**— ბატონო ჯეფრი, მოკლედ გვიამბეთ ბიოლოგიური ლაბორატორიების შესახებ. როგორ აღმოაჩინეთ ისინი?**

— კოლეჯში სწავლის წლებში ჩემი სამხედრო სამსახურის ერთ-ერთი ეტაპი აშშ-ის არმიის ქიმიური იარაღის საწყობში — კენტუკის შტატში, რიჩმონდში მდებარე ბლუგრასის სამხედრო საცავში გავიარე, სადაც რამდენიმე ტრენინგი მქონდა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის საკითხებში. იქ დღემდე ინახება ნერვული ზემოქმედებისა და სხვა ქიმიური იარაღი. იმ დროს ახალი დასრულებული მქონდა ტრენინგი ფორტ ნოქსში და გავდიოდი სამხედრო მომზადების კურსს კენტუკის უნივერსიტეტში, ლექსინგტონში.

ჯერ კიდევ 2004 წელს შევიტყვე აშშ-ის თავდაცვის კონტრაქტორების, მათ შორის თურქებისგან, ბეჩელის ეროვნული პროექტის შესახებ და რომ საქართველოში თბილისის აეროპორტის მახლობლად არსებობდა ბიოლოგიური იარაღის საწყობი. შემდგომ მე უფრო ღრმად დავიწყე ამ თემის გამოკვლევა ერთ ქართველ და ერთ ნორვეგიელ ჟურნალისტთან ერთად. პირველი კითხვა, რომელიც მე დამებადა, იყო: **რატომ აეროპორტის მახლობლად და რატომ საქართველოში?**

მალე შევიტყვე, რომ აშშ-ის მთავრობასა და თავდაცვის დეპარტამენტს სურდათ, გამოეკვლიათ ახალი ინფექციური შტამები, როგორიცაა ჯილეხი, რომელიც მსხვილფეხა საქონელს ემართება საქართველოს რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ ეს პატარა ქვეყანა.

მე საშუალება მქონდა, გავცნობოდი საპროექტო გეგმებს, მესაუბრა კონტრაქტორებთან, საქმეში ჩახედულ სხვა პირებთან. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ **საქართველოში არსებული ლაბორატორიების ქსელს, ფაქტობრივად, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი მართავს და მას შეტევითი პოტენციალი აქვს.**

ზოგიერთი უფრო შორსაც კი მიდის და აცხადებს, რომ **აშშ-ის მთავრობა საქართველოსა და მის მოსახლეობას თავისი მიმდინარე კვლევებისთვის იყენებს. მეც ამგვარი ეჭვი მაქვს და ვცდილობ, უფრო სარწმუნო ცნობები მოვიპოვო ამის დასადასტურებლად.** ყოველივე ეს ბადებს კითხვას, **ნამდვილად იყენებენ თუ არა ქართველებს ამ სახიფათო ბიოლოგიური პროგრამებისა და ვაქცინების კვლევებისთვის? ამის მტკიცება შეიძლება ძნელი იყოს, მაგრამ წლების წინ შეერთებული შტატები საკუთარ მოქალაქეებზეც კი ატარებდა ექსპერიმენტებს და ამიტომ მას შეუძლია საქართველოს მოსახლეობაც გამოიყენოს ვაქცინების საველე კვლევის ნაწილად მისი თანხმობის გარეშე.**

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული ლაბორატორიები „ჭიპითაა“ მიბმული იარაღის გავრცელების პრევენციის პროგრამასა და მის ფარგლებში მოქმედ სხვადასხვა პროექტთან, რომლებიც ერთგვარად ფარავენ ამ პროგრამის სავარაუდო შეტევის ხასიათს. თუკი ეს შტამები ანტიბიოტიკურად მდგრადი აღმოჩნდებიან, მაშინ ბაქტერიების გამანადგურებელი და ანტიბიოტიკების მიმართ მდგრად ინფექციებზე შემტევი ვირუსების მიმდინარე კვლევების შედეგები მალე გახდება ხელმისაწვდომი. ვინც ასეთ ინფორმაციას ფლობს, სწორედ ის აკონტროლებს ბიოლოგიური იარაღით ბრძოლის ველს.

**— რა კომენტარები მიიღეთ „ვეტერანთა დღისგან“?**

— ეს არის ყოფილი ამერიკელი სამხედროების ჯგუფი, ამერიკის კონსტიტუციის მცველების, თავდაცვითი და უსაფრთხოების კონტრაქტორების და ა.შ. ისინი იკვლევდნენ, თუ როგორ მიეწოდებოდათ ტერორისტულ დაჯგუფებებს ქიმიური იარაღი საქართველოს გავლით ან მეშვეობით. მათ შესაბამისი დოკუმენტაციაც კი აქვთ. **მათ ასევე ხელი მიუწვდებათ დაზვერვის ინფორმაციასთან, რომლის თანახმადაც ქართული პორტები გამოიყენებოდა მძიმე ბომბების გადასაზიდად, რომლებიც მოგვიანებით უნდა გამოყენებულიყო ირანისა და სხვა სამიზნეების წინააღმდეგ.** ისინი დაინტერესდნენ ჩემი ნამუშევრით; მათ იციან, რომ მე სანდო წყარო ვარ ჩემი სამხედრო და ჟურნალისტური გამოცდილების გამო.

ჩვენ განვიხილეთ ისიც, თუ როგორ მიიმწყვდია აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ თავი კუთხეში, როდესაც დაახლოებით ერთი წლის წინ განაცხადა, რომ „წითელი ხაზი“ არ უნდა გადაკვეთილიყო. შედეგად, ახლა აშშ-მა უნდა იმოქმედოს შესაბამისად, რომ არ ჩაითვალოს ისეთ ქვეყნად, რომელსაც მხოლოდ საუბარი შეუძლია და არა მოქმედება.

სხვა სიტყვებით, **ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის „ჩექმით მიწაზე“ გადაგდება არ არის ვაშინგტონის პირველი პრიორიტეტი ამ მომენტისთვის და არც წარსულში ყოფილა. სირიელმა ხალხმა თვითონ უნდა გააკეთოს ეს საქმე, სავარაუდოდ, მცირე დახმარებით, მაგრამ ისე, რომ ამ პროცესში ტერორისტებს არ დავეხმაროთ.**

გორდონ დაფი, მისი მთავარი რედაქტორი, დაინტერესდა ჩემი გამოძიებით და იმით, თუ რას აკეთებდა აშშ საქართველოში.

პირდაპირი ციტატა: „თქვენ ხართ მნიშვნელოვანი რეგიონის ცენტრში, მუშაობთ საკვანძო პროექტებზე და, რომ შემეძლოს, მე თქვენკენ გადმოვისროდი დაზვერვის აქტივებს“.

რამდენიმე წლის წინ, როგორც მან აგვიწერა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჯგუფი ჩამოვიდა საქართველოში. მან მათ მიაწერა 2008-ში, საქართველო რუსეთის ომში, ისრაელის აქტივების გამოყენება და იარაღითა და სხვა მასალებით მომარაგება.

ვფიქრობ, იგი საუბრობს კლასტერული ტიპის ჭურვებსა და რჩევებზე, მათ შორის იმის მსგავსი ჯგუფების მონაწილეობაზე, რომლებსაც მე ვიძიებდი, არქიანგელოზისა და კუბიკის, ორი თავდაცვითი კონტრაქტორის, კავშირს საქართველო-რუსეთის ომის დაწყებასთან 2008-ში. ისინი განზრახ მოიქცნენ იმგვარად, რომ დარწმუნებულიყვნენ, საქართველო არ იქნებოდა სტრატეგიულად წარმატებული ან პროექტის უქონლობის, ან არაკომპეტენტურობის გამო.

შეიძლება ომი წააგო, მაგრამ მაინც გაიმარჯვო, პირობების თვალსაზრისით, სხვა გზით. გორდონმა მითხრა, იცის, რომ „საქართველო, რა თქმა უნდა, არის ტრანზიტული ზონა იარაღისთვის აზერბაიჯანისა და სხვა საბოლოო მყიდველებისთვის“, და ასევე მითხრა, თუ აქტიურად რამდენი იმუშავა იმისთვის, რომ „ეს გზა დახურულიყო“. მე მაქვს დოკუმენტაცია ამის შესახებ და ის ახალ მთავრობას გავუზიარე.

გორდონ დაფი არ არის სირიის მთავრობის მეგობარი... **„ასადის დამცველის პოზიცია საკმაოდ რთულია და არ ვარ მისი ფანებიდან ერთ-ერთი. მე მყავს საკმარისზე მეტი სირიელი მეგობარი, რომლებსაც ყელში აქვთ ამოსული მისი მმართველობა. მიუხედავად ამისა, მესმის, რატომ ვერ მოახერხა მან სირიის დემოკრატიზაცია, რადგან ვიცი, რომ ლიდერს ეს ენდომებოდა. როგორც კი ჩექმა კისერს მოშორდებოდა, მაშინვე ყველაფერი აფეთქდებოდა,“** — თქვა მან.

შემიძლია დავადასტურო, რომ გორდონ დაფი არის ერთგული ამერიკელი ისე, როგორც ამას ჯონ კენედი განსაზღვრავდა და არა ▶

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არსებობს ძალიან ახლო კავშირები ქართველ ბიზნესმენებს შორის, მათ შორის ზოგი ლიბანური წარმომავლობისაა, რომლებიც ძალიან ახლო კავშირში არიან ამერიკულ და საუდის სადაზვერვო სამსახურებთან. მე ვიძიებდი ამ კავშირებს წლების განმავლობაში, ეს ქსელი დიდი ხნის ჩამოყალიბებულია, რის შესახებაც სრული ინფორმაცია აქვთ აშშ-ის მთავრობას და ზოგ ელემენტებსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან“.**



# «აშშ-ის მთავრობა საქართველოსა და მის მოსახლეობას თავისი მიმდინარე კვლევებისთვის იყენებს»



◀ ჯორჯ ბუში. რთული იქნებოდა გარეშე პირისთვის იმის გაგება, თუ რა დაემართა ამერიკულ სადაზვერვო საზოგადოებას... და როდესაც ის იყო ჩემთვის ნაწილობრივ მენტორი, მან ამიხსნა, რომ... **„შენ უნდა იცოდე... დაარქვი ამას „დანაწევრება“ ან „პრივატიზაცია,“ მაგრამ შენ ახლა მუშაობ დაზვერვით გარემოში, სადაც „გუგლის“ საინიციატივო ჯგუფებია ახლა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო. ნეტა, ვხუმრობდე. ისინი ჩაიდენენ ისეთ საქციელს, როგორსაც ვირთხაც არ გააკეთებდა.**

**ჩემმა შეზღუდვებმა უნდა იმუშავოს ინდუსტრიაში, სადაც ყოველდღე თვალში თითს კვრა მიწევს. თუმცა სულ ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინე, რომ ჩემი ისტორია, სადაც მართალი ვარ, და ჩემი მაღალი რანგის სტატუსი და კონტაქტები არის იმის ღირსი, რომ გადავხედო ჩემს პოლიტიკურ მიკუთვნებას ისეთ ცნებებთან როგორიც არის ჭეშმარიტება და ღირსება.“**

**ვეტერანების უკან დღეს დგას ყველაზე დიდი კერძო სადაზვერვო ორგანიზაცია მსოფლიოში, რომელიც დაფუძნებულია HUMINT-ზე, ანუ ადამიანის ინტელექტზე და რომელიც უფრო დიდია, ვიდრე თვით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო; ის თავს იქებს იმით, რომ მას შეუცვლია პოლიტიკა და შეუძლია ცვლილებების განხორციელება.**

მისი მკვლევარების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ უკანასკნელ პერიოდში ობამამ და კერიმ, როგორც ჩანს, გონება დაკარგეს. მათ იციან, რა ხდება საქართველოში და ამბობენ, რომ მათ დაიწყეს „გუგლის“ იდეური ჯგუფების თვალთვალი STRATFOR-ის და Wikileaks-ის კაბელური ჭიშკრის მეშვეობით, და თუ სად იყვნენ ხმელეთზე. აქ ომამდე დაიწყეს იარაღის თვალთვალი და მოგვიანებითაც, 2010-ში, აშშ-ის Grapple-ის საკითხთან დაკავშირებით, ისრაელის ფლოტის ჩართვის შესახებ, იარაღის ტრანზიტისა და ა. შ.

გორდონი და მისი ჯგუფი მნიშვნელოვანი წყაროები იყვნენ რუსეთსა და თურქეთში, მათ შორის, ისრაელის თვითმფრინავების მოძრაობის სამეთვალყურეოდაც, რომლებიც გადაჰქონდათ აზერბაიჯანში, თუმცა აეროდრომის შესახებ წყაროები უმაღლეს დონეზე იყო გასაიდუმლოებული... და აბსოლუტურად დადასტურებული — მე ფოტოებით დავადასტურე ისრაელის უპილოტო თვითმფრინავების ტექნიკოსების საქართველოში ყოფნა.

გორდონმა დაწერა რამდენიმე სტატია ამის შესახებ და ისაუბრა კიდეც ამ საკითხზე, რომელსაც შედეგად მოჰყვა დიპლომატიური კონფრონტაცია აზერბაიჯანსა და ირანს შორის. აზერბაიჯანელმა ოფიცრებმა ზემოხსენებული ინფორმაციის უმეტესი ნაწილი შარშან მსოფლიო პრესას დაუდასტურეს და ეს ინფორმაცია ასევე მოცემულია მის წყაროებში სომხეთში.

მე ამჟამად ვთანამშრომლობ გორდონთან და მის გუნდთან სადაზვერვო მიმოხილვაზე და მან მთხოვა შემეფასებინა, ჩემი აზრით, თუ რა მოხდა სირიაში და ვითომდა ქართულ, საუდის და თურქულ კავშირებზე.

მათ უნდათ, რომ მე დავამატო ნარევში ნარკობიზნესი, სამხედროები, აშშ-ის კონგრესი, ცენტრალური სადაზვერვო ბიურო, ნავთობის ფიუჩერსებით მანიპულაცია და მილსადენის შემოსავლები. არსებობს ასევე სხვა ფაქტორებიც, რომლებსაც თქვენ უწოდებდით „შირმას“... და ისინი შეიძლება გამოვიყენოთ, რათა ავხსნათ, თუ რატომ მიმართავენ სახელმწიფოები ისეთ ქმედებებს, რომლებსაც არანაირი აზრი არ აქვს, აყოვნებენ ტექნოლოგიას, იწყებენ კონფლიქტებს უმიზეზოდ და ასე შემდეგ.

**— რა ტიპის გამოძიება ჩაატარეთ ლიკა მოშიაშვილთან ერთად?**

— არანაირი, არასდროს არ მიმუშავია მასთან ერთად ამ გამოძიებაზე. მას არც კი ვიცნობ. უბრალოდ, ვიცი, რომ მან დაწერა რამდენიმე სტატია ჩემი სამუშაოს შესახებ. მან აღწერა, როგორ უპასუხა აშშ-ის საელჩომ ჩემს სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუებს ჯერ კიდევ აპრილში. როგორლაც, მის სტატიებზე დაყრდნობით ერთმანეთს დაუკავშირა რომელიღაც დასავლური მედიასაშუალებები და ჩემი გამოძიებები.

მან დააჯამა ჩემი ინტერვიუები და ის, თუ როგორ განვაცხადე საჯაროდ, რომ ლაბორატორია შექმნილი იყო იმისთვის, რომ ჩაეტარებინა საშიში ექსპერიმენტები ვირუსებსა და ბაქტერიებზე, რომლებსაც შეეძლოთ გამოეწვიათ დაავადების გავრცელება საქართველოში და ზოგადად მთელს რეგიონში. იგივე ინფორმაცია გაავრცელეს სხვა მედიასაშუალებებმაც.

მე მხოლოდ იმას ვაცხადებდი, რომ **იარაღი გადიოდა საქართველოდან სხვა ქვეყნებში რაღაც დროის განმავლობაში, რომ საუდის დაზვერვა აქტიურად ჩართულია პროცესში, რომ, თუ მსგავსი იარაღი ჩავიდოდა ახლო აღმოსავლეთში, საქართველო საამისოდ იდეალური ტრანზიტული ზონაა მისი ადგილმდებარეობის გამო და აქვს უკანონო ხელშეკრულებების გამოცდილება როგორც მსგავსი იარაღების გაცვლისა ნარკოტიკულ საშუალებებში, ასევე იარაღით ვაჭრობისა აფრიკაში და ა.შ.**

**არსებობს ძალიან ახლო კავშირები ქართველ ბიზნესმენებს შორის, მათგან ზოგი ლიბანური წარმომავლობისაა, რომლებიც ძალიან ახლო კავშირში არიან ამერიკულ და საუდის სადაზვერვო სამსახურებთან. მე ვიძიებდი ამ კავშირებს წლების განმავლობაში. ეს ქსელი დიდი ხნის ჩამოყალიბებულია, რის შესახებაც სრული ინფორმაცია აქვთ აშშ-ის მთავრობას და ზოგ ელემენტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან.** დროდადრო მე ვუზიარებდი ჩემს ზოგიერთ ნაშრომს ბიოკვლევით ლაბორატორიას, როგორც ნახსენებია ქართულ და საერთაშორისო მედიაში. ეს ინფორმაცია, მისი უმეტესი ნაწილი ღიაა.

თუმცა გამოვთქვი ჩემი უდიდესი წუხილი იმის შესახებ, რაც ხდება საქართველოში, დასასრულ კი მასთან ერთად განვიხილე რუსეთის რეაქციის შესაძლებლობა, რაც ხდება სირიაში და რომ მათ შეიძლება საპასუხოდ გამოიწვიონ პრობლემები საქართველოში. რუსებს არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ აშშ-ის წინააღმდეგ სამყაროს სხვა ნაწილში, მაგრამ საქართველოში არის მრავალი სუსტი ადგილი, იარაღის ტრეფიკინგის ქსელის აწყობის გამო, რომელიც წინა მთავრობამ შექმნა.

**— რა შეგიძლიათ თქვათ რუსეთის ჩარევაზე?**

— რუსები დარწმუნებულნი არიან, რომ ქართველები და მათი მეგობრები, NATO, აკეთებენ იმას, რაც არ არის დაშვებული საერთაშორისო ბიოიარაღის შესახებ შეთანხმებებით. ეს საჯაროა, რომ **ორივეს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, აქვთ ბიოკვლევის პროექტები საქართველოში. ისინი ნიღბავენ ამ ყოველივეს, თითქოს სამოქალაქო კვლევას ახორციელებენ. რუსები უკვე იყენებენ ამერიკელების წინააღმდეგ კავშირს ბიოიარაღთან იმ თამაშში, რომელიც მიმდინარეობს სირიის გარშემო, „ყალბი დროშის ოპერაცია“, რომელშიც სირიის სახელმწიფომ გამოიყენა ქიმიური იარაღი და მოკლა 500 მოქალაქე.**

რუსული მედია იყო საქართველოში რამდენიმე კვირის წინ და გადაიღო საგამოძიებო დოკუმენტური ფილმი, რომ აშშ-მა ამჟამად დროებით შეაჩერა ალექსეევკაში ბიოიარაღის განვითარების გეგმა რუსული პრესის გამო.

ვფიქრობ, რომ კარგია. რუსეთს შეუძლია გამოიყენოს ბიოკვლევის პროგრამები, როგორც საბაბი, რათა გაავლოს ხაზი სირიის ქვიშაში აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი მეამბოხეების საპასუხოდ, რომლებმაც გამოიყენეს ბიოიარაღი მოქალაქეების წინააღმდეგ, როგორც ხრიკი, რათა გარე ძალები ჩაერთოთ სამოქალაქო ომში.

მე გარკვეული დრო გავატარე რუს ჟურნალისტებთან და მომეჩვენა, რომ ისინი მენდობოდნენ, რადგანაც ჩემი 19 წლის ვაჟიშვილი მოსკოვშია. მათ ესმით ჩემი სურვილის მოტივები, რომ შევაჩეროთ ბიოიარაღის გამოკვლევა, როგორც პირად, ასევე პროფესიონალურ დონეზე. **ნათელია, რომ აშშ-მა დაარღვია ბიოიარაღის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება/კონვენცია და ეს მოხდა დაუსჯელობის გრძნობით საქართველოში.**

**ვფიქრობ, რომ შედეგად აშშ დათმობს სირიას, რადგან ესმის, რომ, თუ თავს დაესხმება ქიმიური იარაღის საბაბით, მაშინ რუსეთი შეძლებს იგივე გააკეთოს ბიოლოგიურ იარაღზე და DOD-ის ექსპერიმენტული ვაქცინის პროგრამებზე საქართველოში.**

მე ასევე მითხრეს, რომ მეგობარი მუშაობს ელიავას ინსტიტუტში, სხვა ბიოკვლევით ინსტიტუტში, რომელიც ასევე დაიღალა აშშ-ის სამხედრო პროექტებით, რომელიც სადღაც მთელ ამ ბინდიან ზონაში არის მარადმწვანე სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც შემოდის ჩუმად, NATO-ს პროგრამის საფარქვეშ, შემდეგ ის უკავშირდება Bechtel National-ს და ვინ იცის, რამდენად დიდია ეს მკვლევარების და პატრონაჟის საშიში ქსელი.

**— რა პრობლემები ან კომენტარები შექმნა აშშ-ის სახელმწიფომ ან საელჩომ გამოძიების პროცესში და მის შემდეგ?**

— უბრალოდ, გაიხსენეთ, რამხელა პიარს დებენ ამერიკელები ჩემი დისკრედიტაციის მცდელობაში, საელჩოს საიტზეც კი და მათ რეკრიმინაციებზე, რადგან ისინიც იმავე მიზეზს ემსახურებიან. **მათ არ სჭირდებათ ყურადღება რეალურ საკითხებზე და არ სურთ, ქართველმა ხალხმა გაიგოს, რომ მათ აქვთ ის, რაც სხვას არავის აქვს მსოფლიოში — ანტიბიოტიკების ალტერნატივა, მეოთხე დონის ბიოსაშიში ხოჭოების წამალი და მომაკვდინებელი გველის ნაკბენის განკურნების საშუალება.**

მათ იციან, ვისთან ერთად ვმუშაობ. საერთო სურათი ბევრად დიდია. ქართული ლაბორატორია არ ფუნქციონირებს, მაგრამ იქაური კადრები მუშაობენ ფარულ ოპერაციებში რეგიონში, სირიის მსგავსად. ეს რომ მარტო ქართულ ლაბორატორიებს ეხებოდეს, მაშინ რა პრობლემა იქნებოდა ეს აშშ-ს საელჩოს გადმოსახედიდან?

**აშშ-ს საელჩო და ზოგიერთი დაქირავებული ჟურნალისტი, ზოგიერთ ამერიკელ ჟურნალისტთან ერთად, კონცენტრირებულად ცდილობდა ჩემს დისკრედიტაციას წლების განმავლობაში. ჯერ კიდევ აპრილში დაიდო განცხადება მათ ვებგვერდზე, რომ მე არ ვიყავი სანდო წყარო და ყველაფერი, რაც მოცემული იყო სტატიაში აშშ-ის პოლიტიკის შესახებ, იყო სრულიად ყალბი.**

მაგრამ ეს არ იმუშავებს, რადგან ჭეშმარიტება მალე გამოაშკარავდება, თუ რატომ დაიხარჯა ამდენი ფული ამ ლაბორატორიაზე, კერძოდ, 300 მილიონი დოლარი, და როგორ იყენებდნენ აშშ, თურქეთი და საუდის არაბეთი საქართველოს, რათა მიეწოდებინათ ქიმიური და ჩვეულებრივი იარაღი ტერორისტებისთვის... ძირითადად, ეს „ალ ქაიდა“ არის აშშ-ის საუკეთესო მეგობარი, თურქეთი კი — მთავარი სუბკონტრაქტორი ბიოლაბორატორიის აშენებაში აქ, თბილისში.

ეს არ არის დამთხვევა!

ერთი რამ ნათელია: **ამერიკელები ჯერ კიდევ პირდაპირ არიან ჩართულნი ბიოკვლევით პროგრამებში საქართველოში, მიუხედავად იმისა, ის სამოქალაქო თუ სამხედრო მიზნებისთვის იქმნება. ამერიკელები ისევ იქ არიან და ისევე მუშაობენ მას შემდეგ, რაც LUGAR-ის ლაბორატორია გაიხსნა 2010-ში.**

ერთმა ასეთმა ამერიკელმა, Scott.smith@ch2m.com-მა, ახლახან მიიღო მოწვევა, რომ მისი კონტრაქტი კიდევ 2 წლით გაგრძელდეს. ცნობილია, რომ ქართველებს არ შეუძლიათ ასეთი ლაბორატორიის მუშაობის უზრუნველყოფა. მათ არ აქვთ აქტიური მოვლა-პატრონობისა და მონიტორინგის კონცეფცია. CH2M Hill და Battelle, Bechtel-ის და Dod-ის ორი ძირითადი კონტრაქტორი ჯერ კიდევ აქ არიან ტექმომსახურების მიზნით.

**— როგორ გაიგეთ, რომ ქიმიური იარაღი სირიაში საქართველოდან გაჰქონდათ და საერთოდ, რა ინფორმაციას ფლობთ ამის თაობაზე?**

— ეს ინფორმაცია გორდონ დაფმა მომაწოდა. იგი სანდო წყაროებზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ ქიმიური იარაღი გემით საქართველოდან სირიაში გაჰქონდათ. მათ გააჩნიათ ადამიანური დაზვერვის წყაროები მსგავსი მასალების მოსაპოვებლად. მე ხელისუფლებას ის დაფარული საიდუმლო ჩანაწერები მივაწოდე, რომლებიც მოვიპოვე. მათ შორის იყო საქართველოში იარაღის თაობაზე გარიგებებთან დაკავშირებული მასალები. ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციის სიზუსტე, იმავე ისრაელთან იარაღის თაობაზე არსებულ გარიგებებთან და სხვა მატერიალურ დახმარებასთან დაკავშირებით, დაადასტურეს გორდონმა და მისმა საგამოძიებო გუნდმა. ეს არის ვეტერანთა ჯგუფი, რომლის შრომისმოყვარეობით გამოაშკარავდა, რომ სირიაში ქიმიური იარაღის მიწოდება გარედან, თურქეთის გავლით მოხდა. მათ აქვთ მტკიცებულება, რომ 2010 წელს საქართველოში მძიმე მასალები შემოვიდა, რომელთა გამოყენება შეიძლება როგორც მიწისქვეშა ბუნკერების, ასევე სპეციალური მიწისქვეშა ქიმიური, ბიოლოგიური ან სულაც ბირთვული კვლევითი დაწესებულების მოსაწყობად.

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დედა უნივერსიტეტში დახურეს ვაჟას, ილიას, აკაკის, რუსთაველის კაბინეტები იმ მოტივით, რომ არაფრისმომცემი არ იყოო; ეს კაბინეტები მომავალ თაობებს ზრდიდნენ და ქართულ კულტურას აზიარებდნენ. შემდეგ კი უნივერსიტეტში თურქი პოეტის იუნუ სემრეს კაბინეტი გახსნეს... თუ ასეთი კაბინეტების გახსნით ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობები განვითარდება, ძალიან კარგია, მაგრამ ეს პოლიტიკაა. ქართული კულტურა დღეს ძალიან დასუსტებულია, მისი მორევა ადვილი გახდა.“**



ელიზბარ ჯაველიძე:

# «ნაციონალების» იდეოლოგიას ვინც მხარს უჭერდა, ყველა უნდა მოხვეტო და სანაგვეზე გადაყარო

**მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება აქტიურ ფაზაში შედის. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორი კანდიდატია ოფიციალურად დარეგისტრირებული, პრეზიდენტობის მსურველი რამდენიმე ათეული საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა. მათ შორის მოსახლეობისთვის ცნობილი ძალიან ცოტაა. ჰოდა, ფსონიც ამ „ძალიან ცოტაზე“ იდება. ზოგი მათგანი ყველასთვის ნაცნობია, „მარადმწვანე“ მსურველი და ხალხიც იმდენად მიჩვეულია, რომ არ გამოჩნდნენ, თავად დაუძახებენ. მაგალითად, ქართლოს ღარიბაშვილი თავისი ჩიბუხით ძალიან უხდება საპრეზიდენტო არჩევნებს. არიან ადამიანები, რომელთაც საკუთარი თავის ცნობა არ შეუძლიათ და ყველაფერს კადრულობენ, არ აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა და, როგორც ჯაბა იოსელიანი იტყოდა, მათ პრეზიდენტობა „ლობიობა“ ჰგონიათ. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება ცესკოს აწ უკვე გადამდგარი თავმჯდომარე ხარატიშვილი და მისი კანდიდატურის წარმდგენი პოლიტიკოსებიც. პოლიტიკური არენიდან გაკრეფილ პარტიებზე, მათ ლიდერებზე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და მოსალოდნელ შედეგებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ეწვია.**



**— ბატონო ელიზბარ, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი უკვე რამდენიმე ათეულმა ადამიანმა გამოთქვა. გასაგებია, როცა ამას ისეთები აკეთებენ, რომლებიც მხოლოდ სიცილს იწვევენ, მაგრამ რას ფიქრობთ ქარდავა-დავითაიას დუეტსა და მათ მიერ წარდგენილ კანდიდატ ზურაბ ხარატიშვილზე?**

— როდესაც თვალს ვავლებ იმ ადამიანების სიას, რომელთაც პრეზიდენტობის სურვილი გაუჩნდათ, გაოცებული ვარ. ეს დემოკრატიის დამადასტურებელი ფაქტი კი არ არის, არამედ იმისა, რომ **საქართველოში პროფესიონალიზმის შიმშილია. ადამიანებმა დაკარგეს თვითშემეცნებისა და აზროვნების უნარი. ის ფაქტი, რომ პრეზიდენტობის ამდენი მსურველია, თავისმოჭრაა.** ეს იმან გამოიწვია, რომ სააკაშვილი (არაფერი წარსულის მქონე, არასმცოდნე პიროვნება) პრეზიდენტი გახდა და მთელმა მსოფლიომ აღიარა, როგორც პოლიტიკოსი. ახლა ყველას ჰგონია, რომ ეს ადვილია და შესაძლებელი. აი, რა გააკეთა სააკაშვილის გადიდკაცებაში ამერიკის ძალისხმევამ. ყველა მათგანი მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობს.

თქვენი შეკითხვის პასუხად გეტყვით: იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ქარდავაცა და დავითაიაც „ნაციონალების“ ხალხი იყვნენ. რაც შეეხება ხარატიშვილს, ის ქურდია, მან საქართველოს არა მარტო ხმები, არამედ ბედი, მომავალი მოჰპარა. მისი პრეზიდენტობა ჭკუათმყოფელ ადამიანს აზრად არ შეიძლებოდა მოსვლოდა. **ხარატიშვილის პრეზიდენტობა რომ მოიფიქრო, ბუნების შეცდომა უნდა იყო, სწორედ ასეთ კაცად მიმაჩნია ქარდავა. ვინ არის? რას ლაპარაკობს? როგორ იქცევა? რა დედამ შობა? რა ქვეყანა გავხდით? ბაჩუკი ქარდავა რომ გამოდის და პოლიტიკაზე მსჯელობს, ქართველი ერის სირცხვილია. დავითაიაზე საუბარი საერთოდ არ ღირს, ის ფუტუროა, არაფერი.** არაფერზე როგორ უნდა ილაპარაკო?! ეს ადამიანები მომავალზე არ ფიქრობენ, იმიტომ, რომ არაფერს წარმოადგნენ და მომავალში მათი ადგილი, როგორც პოლიტიკოსებისა, არ არის. **„ნაციონალების“ იდეოლოგიას ვინც მხარს უჭერდა, ყველა უნდა მოხვეტო და სანაგვეზე გადაყარო.**

## «გიორგი თარგამაძე გახლავთ კლასიკური მაგალითი, სახე მოღალატე კაცისა; ის მათ ღალატობს, ვინც გამოზარდა და ძუძუ აწოვა»



თარგამაძესთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება არაერთხელ გამომითქვამს. **გიორგი თარგამაძე გახლავთ კლასიკური მაგალითი, სახე მოღალატე კაცისა. ის მათ ღალატობს, ვინც გამოზარდა და ძუძუ აწოვა. ერთ თურქ პოეტს აქვს ასეთი ლექსი, ნუ ენდობით გაციებულ გველებს — როგორც კი უბეში ჩაისვამთ და გაათბობთ, მაშინვე კბენას დაგიწყებენო.** მისი მხრიდან ასლანის ღალატი არაფრით შეიძლებოდა. ასლანი კარგი ქართველია. მან აჭარაში არც ერთი თურქი არ გააჭაჭანა, დღეს იქ 70 ათასი თურქია, ფაქტობრივად, აჭარა დაკარგულია.

**— რადგან ამ თემას შევეხეთ, მინარეთის გარშემო ატეხილ ამბებზე რას იტყვით?**

— დღეს მაგაზე არ უნდა ვიდავოთ. ისინი გვიპირისპირდებიან რელიგიით და საშიშიც სწორედ ეს არის. ეს არ არის კონსერვატორული ისლამი, ესაა პოსტმოდერნისტული ისლამი, მათი იდეოლოგია პირდაპირ მიმართულია ადამიანების გადაბირებისკენ. **ისინი არ გემუქრებიან იარაღით, მათი იარაღია ფული, ეკონომიკა, კულტურა, ამას „ჩაღლარის“ სისტემა ჰქვია, რომელიც კულტურით დაპყრობას ცდილობს, ამ ყველაფრის ერთ-ერთი სულისჩამდგმელია ჩემი გაზრდილი გიული ალასანია.** თურქული ლიტერატურის წინააღმდეგი არ ვარ, პირიქით, მე ამ საქმეს მთელი ცხოვრება შევწირე, მაგრამ ეს არ არის მეცნიერებასთან დაკავშირებული, ეს პოლიტიკაა. მათ გახსნეს სკოლები, ცენტრები, ბავშვები გაცვლითი პროგრამით მიჰყავთ, ტვინს ურევენ, ახლა ამბობენ, რომ ჭელა თურქული სოფელია და იქ მინარეთი არ უნდა მოეხსნათო. რატომ არის ჭელა თურქული სოფელი? ვინ თქვა ეს? თუ ვინმემ ისლამი მიიღო და სწამს, იწამოს, მაგრამ ქართველებს პრეტენზიას ნურავინ გამოუცხადებს!

**დედა უნივერსიტეტში დახურეს ვაჟას, ილიას, აკაკის, რუსთაველის კაბინეტები იმ მოტივით, რომ არაფრისმომცემი არ იყოო; ეს კაბინეტები მომავალ თაობებს ზრდიდნენ და ქართულ კულტურას აზიარებდნენ. შემდეგ კი უნივერსიტეტში თურქი პოეტის იუნუ სემრეს კაბინეტი გახსნეს. იგი ძალიან კარგი პოეტია, მასზე მონოგრაფიაც მაქვს დაწერილი, ამ კაბინეტს წიგნებიც გავუგზავნე. თუ ასეთი კაბინეტების გახსნით ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობები განვითარდება, ძალიან კარგია, მაგრამ ეს პოლიტიკაა. ქართული კულტურა დღეს ძალიან დასუსტებულია, მისი მორევა ადვილი გახდა.**

ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა უყუროს იმას, თუ რას იტყვის ევროპა და ამერიკა, მან ხალხს უნდა მოუსმინოს და გადაწყვეტილება ისე მიიღოს.

**— ბატონო ელიზბარ, სირიაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით?**

— სირიაში რაც ხდება, ამას დიდი ფიქრი და მსჯელობა არ სჭირდება. ამერიკა თავად იგონებს მიზეზებს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელში ჩაიგდოს მთელი აღმოსავლეთი.

**— საქართველოს რაიმე ემუქრება?**

— არა, საქართველოს არაფერი ემუქრება, უბრალოდ, რუსეთი და ჩინეთი ამერიკის ქმედების წინააღმდეგნი არიან, რადგან იციან ამერიკის მიზანი იმასთან დაკავშირებით, რომ გააფართოოს თავისი გავლენის სფეროები, საქართველოსაც იმიტომ ელოლიავება ასე; მათ ის კი არ უნდათ, რომ ჩვენ კარგად ვიცხოვროთ, მათი გავლენის ქვეშ რომ ვიყოთ, ის უნდათ.

**ყველა ომის დაწყებას ქიმიური იარაღის გამოყენებას აბრალებენ. რაც არ უნდა უმსგავსო ხელისუფლება იყოს, თუნდაც ისეთი, როგორიც სააკაშვილის ხელისუფლება იყო, ქიმიური იარაღის გამოყენებას ვერავინ გაბედავს. მოკლედ, სირიაში რაც ხდება, გავლენის სფეროების განაწილებაა, იქ რუსეთს ჰქონდა გავლენა. ამერიკა ვერ იტანს, როდესაც მას უარს ეუბნებიან.** გაიხსენეთ, რა მოხდა ჩაუშესკუს შემთხვევაში. მან ნასესხები 27 მილიარდი ძალიან მალე უკან დააბრუნა, უარი უთხრა ავღანეთში შესვლაზე და სწორედ ამიტომ შექმნეს მისგან მტრის ხატი.

ვფიქრობ, რომ, **როგორც მთელი მსოფლიოს მოქალაქეები, ქართველებიც ამერიკის ქმედების წინააღმდეგ უნდა გამოვიდეთ. ამერიკაზე ტირანი და ვერაგი ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ არსებობს.**

## «ამერიკაზე ტირანი და ვერაგი ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ არსებობს»

**— ბატონო ელიზბარ, არ შემიძლია არ გკითხოთ: როგორი პირი უჩანს მომავალ არჩევნებს, გააყალბებენ?**

— გაყალბების ნიშნები აშკარად იკვეთება. პირველი ისაა, რომ მარგველაშვილი სახელისუფლო რესურსს იყენებს, თუმცა ამას უარყოფს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ივანიშვილმა, ჩემი კაციაო, განაცხადა და დიდის ამბით კალამიც აჩუქა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აცხადებს, არჩევნებში არ ჩავერევიო, მაინც დიდ ეჭვს იწვევს, რადგან ჩვენ ვნახეთ, რა უქნეს კახა კუკავას შუალედურ არჩევნებში. მათ კუკავას არჩვენები კორძაიას გამო გაუყალბეს, თუმცა მე არ ვიცი, მაგ ქალს, პარლამენტში კი არა, საქართველოში რა უნდა.

ხალხის განწყობა კარგად ვიცი, ისიც ვიცი, რომ არჩევნებს გააყალბებენ.

ზურა ბიგვავას კვლევა ერთი შეხედვით სასაცილო, მაგრამ შემაშფოთებელი და საფრთხილოა. ხელისუფლების მხრიდან ხალხის ფსიქიკაზე ასეთი აშკარა ზემოქმედება სირცხვილია. ბიგვავამ ფული აიღო, ვითომ კვლევა ჩაატარა და ამით ვიღაცის სიამოვნება სცადა. **53 პროცენტი, რომელიც ბიგვავას კვლევის მიხედვით მარგველაშვილს აქვს, წარმოუდგენელია, რადგან ახლა კენჭი ივანიშვილმაც რომ იყაროს, ამდენი პროცენტი მასაც არ ექნება.**

**ადამიანი, რომელიც თავისი პირით ამბობს, რომ ივანიშვილის კაცი ვარო, და თავად ივანიშვილიც ამბობს, ჩემი კაციაო; ვინც უნდა იყოს და როგორი კარგიც, კაცის კაცი უკვე ძალიან ცუდია.**

ყოვლადწარმოუდგენელია, რომ ხელისუფლება იყოს ივანიშვილის, პარლამენტიც, ის იყოს ქვეყნის პრემიერი და პრეზიდენტიც — მისი კაცი. ასეთი მიდგომა სიკეთეს არ მოიტანს.

## «ხარატიშვილის პრეზიდენტობა რომ მოიფიქრო, ბუნების შეცდომა უნდა იყო, სწორედ ასეთ კაცად მიმაჩნია ქარდავა. დავითაიაზე საუბარი საერთოდ არ ღირს, ის ფუტუროა»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ქართულ ოცნებასაც“ ხელს აძლევს მეორე ადგილზე გასული „ნაციონალები“, ვინაიდან არც ერთს არ სურს ვადამდელი არჩევნების ჩატარება. ვერც „ნაციონალები“ მიიღებენ იმავე როდენობის ხმებს და ვერც „ქართული ოცნება“ — უმრავლესობას. ეს ჩვენ ვერ ვხედავთ ამას, თორემ მათ შორის კოჰაბიტაცია კი არ მოხდა, არამედ ერთი ოჯახი შექმნეს უკვე. მართალია, ოჯახშიც ხდება კონფლიქტები, მაგრამ მაინც ყველაფერზე თანხმდებიან.“**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუ ამერიკელები საქართველოს აეროდრომებს გამოიყენებენ, გამორიცხული არ არის, შეტევა ჩვენ წინააღმდეგაც განხორციელდეს

**მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ესაუბრება.**

**— საზოგადოების გარკვეულ ნაწილი გამოსავალს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში ხედავს. თქვენი აზრით, რამდენად შეცვლის ეს არჩევნები პოლიტიკურ ვითარებას?**

— არ ვიცი, უშველის თუ არა ქვეყანას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ ერთი რამ ცხადია — **საზოგადოებაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისადმი განწყობა რეალურია, ვინაიდან შარშან, 1 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა იყო და მთავარს მაშინ „ნაციონალების“ დამარცხება წარმოადგენდა.** საზოგადოებას მიაჩნდა, რომ, ბიძინა ივანიშვილის პარტიის გარდა, სხვა პარტიები ვერ შეძლებდნენ „ნაციონალების“ დამარცხებას. ამიტომ ეს არჩევნები არ შეიძლება ნამდვილ არჩევნებად ჩაითვალოს. ეს იყო გარკვეული აუცილებლობითა და შიშის ფაქტორით განპირობებული კენჭისყრა.

**— განწყობა გასაგებია, მაგრამ იმ ფონზე, როცა ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი იგივეა, რას მივიღებთ ამ არჩევნების შედეგად, გარდა იმისა, რომ დღეს პარლამენტს გარეთ დარჩენილი რამდენიმე პარტიაც შეიძლება ვიხილოთ პარლამენტში?**

— საზოგადოება ამ ერთი წლის განმავლობაში ძალიან უკმაყოფილოა. ხელისუფლება გვპირდებოდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები დაისჯებოდნენ, მაგრამ დაპირება არ შესრულდა. ხალხმა მიიღო ორპარტიული პარლამენტი და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ისევ თავი წამოყო. დღეს პარლამენტში „ნაციონალების“ 40%-ია და ხალხს იმდენად მოაბეზრეს თავი, რომ საზოგადოებას მათი თავიდან მოშორების ერთადერთ საშუალებად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ესახება. **„ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავე ორგანიზაციაა და ასე არ უნდა ყელყელაობდეს. არჩევნები რომ არ გაყალბებულიყო, „ნაციონალები“ 40%-ს ვერ მიიღებდნენ.**

ცხადია, საზოგადოება არსებულ პოლიტიკურ სპექტრში ახალს ვერაფერს აღმოაჩენს, ვინაიდან ახალი, ავტორიტეტული სახეები ჯერ არ ჩანან.

**— თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები „ნაციონალებს“ მოგვაშორებს, „ქართული ოცნება“ რატომ ეწინააღმდეგება არჩევნების ჩატარებას?**

— „ქართული ოცნება“ ისეთი პოლიტიკოსებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში „ნაციონალებთან“ მშვენივრად თანამშრომლობდნენ. „ოცნების“ „დამკვრელი ძალა“ ოქტომბრის არჩევნებამდე შესანიშნავად პოულობდა საერთო ენას „ნაციონალებთან“; მაგალითად, რესპუბლიკელები. **2003 წელს, როდესაც „ნაციონალები“ პარლამენტის დარბაზში შევარდნენ, სადაც, სხვათა შორის, მეც ვიმყოფებოდი, „ნაციონალებს“, ხიდაშელ-უსუფაშვილთან ერთად, რესპუბლიკელების მთელი კოჰორტა გვერდს უმშვენებდა. მშვენივრად იყვნენ სააკაშვილთან და დღემდე კარგად იქნებოდნენ, ამ უკანასკნელს მათი ამბიციები რომ დაეკმაყოფილებინა. მათ შორის უთანხმოება იდეოლოგიურ საფუძველზე არ მომხდარა.**

დასავლეთს რომც დაეძალებინა კოჰაბიტაცია „ნაციონალებთან“, ნორმალური ხელისუფლება არ გაითვალისწინებდა, რადგან კრიმინალი, რომელიც „ნაციონალებმა“ ჩაიდინეს, ნებისმიერ ქვეყანაში მკაცრად დაისჯებოდა. თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ომის დამთავრების შემდეგ მეუღლესთან და მეგობართან ერთად ლას-ვეგასში იყო დროს სატარებლად და ღამეში 20 ათას აშშ დოლარს ხარჯავდა. ნებისმიერ ქვეყანაში მინისტრის ასეთ საქციელს სერიოზული რეზონანსი მოჰყვებოდა...

**— ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ არაერთხელ განაცხადა. ამის თაობაზე ორიოდე დღის წინ გავრცელებულ თავის ღია წერილშიც დაადასტურა, რომ წავა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა დაპირებას შეასრულებს და დარწმუნდება, რომ ქვეყანა სტაბილურად ვითარდება. თუ ბიძინა ივანიშვილი მართლაც წავიდა პოლიტიკიდან, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— პოლიტიკოსმა ასეთი განცხადებები არ უნდა გააკეთოს. წასვლაზე ამდენი ლაპარაკით საზოგადოება უკვე დაიღალა. არ ვიცი, რა სურს ივანიშვილს,



**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

**თუ მარგველაშვილმა გაიმარჯვა, ბაქრაძე მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში წავიდა, ეს ხელისუფლება «ნაციონალების» «დაკრულზე მოცეკვავე» ხელისუფლება იქნება**

უნდა, რომ ხალხმა დაუჩოქოს? თუ მართლა წავიდა, მაშინ საერთოდ რატომ მოდიოდა პოლიტიკაში, გაუგებარია.

ამას გარდა, სიტუაციის დალაგებას ორი-სამი წელი კი არა, ალბათ, 50 წელი დასჭირდება. ახალი თაობა უნდა მოვიდეს. ქვეყანაში ძალიან მძიმე ვითარებაა. შეხედეთ, რანი ვართ დღეს, შევხედოთ ჩვენს თავს. დღეს ჩვენ მახინჯი საზოგადოება ვართ. ყველა იმას ფიქრობს, სხვას რა წაჰგლიჯოს. ელემენტარულად დააკვირდით, როგორია ოჯახის დამოკიდებულება სკოლისადმი, სკოლის ბავშვებისადმი. უვიცი, განუვითარებელი მასწავლებლები გვყავს. გაიარეთ ქუჩებში, იშვითად ნახავთ ადამიანურ დამოკიდებულებას. ივანიშვილი 2-3 წელიწადში როგორ გარდაქმნის ქვეყანას? ამ ყველაფერს ორ წელიწადში ვინ შეცვლის?!

**— საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. 49 პრეზიდენტობის მსურველმა მიმართა ცესკოს. რას შეიძლება ველოდოთ არჩევნების შემდეგ?**

— კანდიდატების რაოდენობა არ მიკვირს, საქართველოში ყველას უნდა, პირველი პირი იყოს, მაგრამ დავფიქრდეთ: **პოლიტიკური პარტიების სიმრავლე იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ სხვა საქმე, უბრალოდ, არ აქვთ საქართველოში და იმიტომაც იცვლიან პარტიებს ასეთი სისწრაფით? ვფიქრობდი, ბიძინა ივანიშვილი შეცვლიდა ვითარებას, ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ასე არ მოხდა...**

ბევრმა კანდიდატმა კარგად იცის, რომ არჩევნებს ვერ მოიგებს, მაგრამ ტელეეკრანზე რომ იქნება და ყურადღების ქვეშ მოექცევა, მისთვის ესეც საკმარისია. მაგალითად, აკაკი ასათიანმა იცის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს ვერ მოიგებს, მაგრამ მისი სახელი იტრიალებს. ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურს ასევე სალომე ზურაბიშვილს, რომლის კანდიდატურაც საზოგადოებისთვის მისაღებია, რადგან ის საფრანგეთში დაბადებულია, მის ოჯახს დიდი ისტორია აქვს, მაგრამ არავინ ფიქრობს, ვინ არის და რას წარმოადგენს თავად სალომე ზურაბიშვილი? პირველი, რაც მან საქართველოში ჩამოსვლისთანავე გააკეთა, ის იყო, რომ ევროკავშირის წარმომადგენელ ფილიპ დიმიტროვთან და ამერიკის ელჩთან გაიქცა, რათა დაეხმარონ და არჩევნებში მონაწილეობა მიაღებინონ, რისი უფლებაც მას კანონით არ აქვს. ამის მიუხედავად, თავხედურად აიძულებს ყველას, რომ, გინდა თუ არა, უნდა მიviღო მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიჩივლებო.

**„ნაციონალებისთვის“ ამ ეტაპზე მეორე ადგილი მნიშვნელოვანია. ამიტომ იკლავენ ასე თავს, თითქოს საპრეზიდენტო არჩევნები კი არა, ჩემპიონატი იყოს. სურთ ხალხს, უცხოეთს დაუმტკიცონ, რომ მათი კანდიდატი მეორე ადგილზე გავიდა, ესე იგი ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. საქმე ისაა, რომ „ქართულ ოცნებასაც“ ხელს აძლევს მეორე ადგილზე გასული „ნაციონალები“, ვინაიდან არც ერთს არ სურს ვადამდელი არჩევნების ჩატარება. ვერც „ნაციონალები“ მიიღებენ იმავე როდენობის ხმებს და ვერც „ქართული ოცნება“ — უმრავლესობას. ეს ჩვენ ვერ ვხედავთ ამას, თორემ მათ შორის კოჰაბიტაცია კი არ მოხდა, არამედ ერთი ოჯახი შექმნეს უკვე. მართალია, ოჯახშიც ხდება კონფლიქტები, მაგრამ მაინც ყველაფერზე თანხმდებიან.**

თუ ამ სცენარით განვითარდა მოვლენები — მარგველაშვილმა გაიმარჯვა, ბაქრაძე კი მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში წავიდა, ეს ხელისუფლება „ნაციონალების“ „დაკრულზე მოცეკვავე“ ხელისუფლება იქნება. ამგვარი სცენარი ამერიკის შეერთებულ შტატებსაც ხელს აძლევს, რადგან ისინი ფიქრობენ, თუ შემდგომ წლებში „ქართული ოცნება“ წაიფორხილებს, „ნაციონალები“ იქვე იქნებიან.

**— რაც შეეხება საგარეო ვითარებას, საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობებში სხვადასხვა მიმართულებით სერიოზული წინსვლა აქვს.**

— წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ასეა როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირისა თუ ნატოს საქმე. დღევანდელი სირიის მდგომარეობამ რეალური სურათი დაგვანახა. ვითომ ისეთი მჭიდროდ შეკრული კავშირი, როგორიც ნატოა, არც ისე შეკრული ყოფილა. ბრიტანეთმა, გერმანიამ უარი განაცხადეს ამ კონფლიქტში მონაწილეობზე, საფრანგეთი ყოყმანობს. ამას გარდა, რასმუსენმა განაცხადა, რომ ნატო არ აპირებს სირიის კონფლიქტში მონაწილეობის მიღებას. ეს იმას ნიშნავს, რომ **გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ამ ქვეყნებს შორის უკვე სერიოზული დაპირისპირებაა. დიდი ხანია, თავად ამერიკელი ექსპერტები და პოლიტიკოსებიც ამბობენ, რომ ნატომ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და, როგორც სამხედრო ორგანიზაცია, აღარ უნდა არსებობდეს.**

ევროკავშირს რაც შეეხება, საქართველო მისი წევრი ვერასდროს გახდება. რომც მიგვიღონ ევროკავშირში, ამით რას მივიღებთ? შესაძლოა, ღვინის წარმოება საერთოდ აგვეკრძალოს, ვინაიდან ბაზარი უკვე გაჯერებულია. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებს რძის პროდუქტების წარმოება, ფაქტობრივად, ნულამდე დაუყვანეს. ამაზე არავინ ფიქრობს, რადგან ამას მაია ფანჯიკიძისნაირი პრიმიტიული ტვინი ვერ განსაზღვრავს, ის არის ერთი ქარაფშუტა მასწავლებელი, რომელიც მამის პროტექციით მოხვდა კოტე გაბაშვილთან საელჩოში და 16 წელი ტექნიკურ მუშაკად მუშაობდა და ყავას ადუღებდა. ეს ადამიანი ვერ გახდება ფართო აზროვნების პოლიტიკოსი. დიპლომატია ყავის მოდუღება არაა.

მოგეხსენებათ, მალე ვილნიუსში სამიტი ტარდება და, **რადგან რუსეთი აღმოსავლეთით ნატოს გაფართოების წინააღმდეგია, ამ ქვეყნებისთვის მოიფიქრეს აღმოსავლური პარტნიორობა. თუმცა საკითხავია, რას მოუტანს ეს საქართველოს? რა საქონელს ვაწარმოებთ ისეთს, რომ ევროპის ბაზარზე გავიტანოთ? ევროპიდან კი უამრავი მდარე ხარისხის საქონელი ყოველგვარი კონტროლის გარეშე შემოვა. დღეს ასოცირებული წევრობა და საერთო ბაზრის შექმნა მხოლოდ ევროპისთვისაა მომგებიანი.**

**— და ბოლოს, მსოფლიოში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა. აშშ-ის კონგრესში სირიის საკითხზე 9 სექტემბერს იმსჯელებენ, თუმცა ბარაკ ობამას კონგრესისა და გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშეც შეუძლია სირიაზე დარტყმის განხორციელება. ამ შემთხვევაში რა ვითარებაში აღმოჩნდება საქართველო?**

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რთულად მოიძებნება ამერიკის პრეზიდენტი, რომელსაც პატარა ან დიდი ომი არ ეწარმოებინოს. როგორც ჩანს, ობამას თავისი პოზიციების განმტკიცების სურვილი აქვს, ვინაიდან მას ძალიან სუსტ პრეზიდენტად მოიხსენიებენ. **რატომ უნდა წავიდეს ასადი? ის, რომ ასადი დიქტატორი და ჯალათია, ზოგადი ფრაზებია. დემოკრატიის თვალსაზრისით, სირია ასჯერ უკეთესია, ვიდრე ნებისმიერი არაბული ქვეყანა, თუნდაც აშშ-ის მოკავშირე ყატარი ან საუდის არაბეთი. თუ ისრაელი და ირანი კონფლიქტში ჩაერთო, საქართველო რთულ ვითარებაში აღმოჩნდება.** როგორც ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, საქართველო ცივილიზებული მსოფლიოს გვერდით, ანუ აშშ-ის გვერდით დადგება. გვერდზე დგომა რას ნიშნავს? იმას ხომ არა, რომ საქართველოს აეროდრომებს ამერიკელები გამოიყენებენ? თუ ასე მოხდა, გამორიცხული არ არის, შეტევა საქართველოს წინააღმდეგაც განხორციელდეს.

**დღეს ჩვენ მახინჯი საზოგადოება ვართ**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ძალიან ბევრია უკვე უკმაყოფილო და ეს უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება. ამან დაღუპა თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლება, ეს დაღუპავს „ოცნებასაც". ყოველ შემთხვევაში, რა გზითაც დღეს ესენი მიდიან, წარმატების გზას ვერ დავარქმევთ. თუ ასე გაგრძელდება, კოალიცია ძალიან მალე გაქრება..."



ვასილ ჭიჭინაძე:

# კოალიცია «ქართული ოცნება» პრაქტიკულად დაშლილია

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.**

**— ბატონო ვასილ, რამდენიმე დღის წინ ბიძინა ივანიშვილმა ამბასადორიალზე განაცხადა, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა იყოს სამაგალითო. მისივე თქმით, დიდწილად ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი წინსვლა, დემოკრატიული განვითარება და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია. 27 ოქტომბრამდე ორი თვეც არ რჩება. როგორც დიპლომატს, რა შთაბეჭდილება გექმნებათ და საერთოდ, როგორ აფასებთ წინასაარჩევნო პროცესებს?**

— ნატოს გაფართოება, ისევე, როგორც ჩვენთვის ევროკავშირის, ამ ეტაპზე ზღაპარია. ყოველ შემთხვევაში უახლოეს 15-20 წელიწადში იქ არავინ მიგვიღებს და **რანაირი დემოკრატიაც უნდა ავაშენოთ, სულ მთლად ტყავიდანაც რომ გამოვძვრეთ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქოლგას ვერ ვეღირსებით.** ახლა რაც შეეხება არჩევნებს: ყველაფერი შედარებითია და დარწმუნებული ვარ, ესენი „ნაციონალებზე" უკეთ ჩაატარებენ ამ პროცესს, მაგრამ, მეორე მხრივ, ბოლო პერიოდი რასაც ვუყურებ, **მრჩება შთაბეჭდილება, რომ მმართველი გუნდი მთლიანობაში რაღაცნაირად დანებდა. ამ კაცს, მარგველაშვილს, ან არ უნდა გამარჯვება, ან გამოფიტულია და მეტი აღარ შეუძლია, ან კიდევ ვერ გავიგე, რა უნდა...**

**— რატომ გრჩებათ ასეთი შთაბეჭდილება?**

— პოლიტიკაში ანბანური ჭეშმარიტებაა, — პოლიტიკოსები, ცხადია, ოპონენტებს ვგულისხმობ, ერთმანეთის საპირისპიროდ გარკვეულ მოქმედებებს ახორციელებენ. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს შეურაცხყოფას და მტრობას, მაგრამ მთელი ამ წინასაარჩევნო პროცესების მანძილზე, რაც კოალიციამ საკუთარი კანდიდატი დაასახელა, ფაქტობრივად, ვერანაირ ოპონირებას ვერ ვხედავ. ყველა მარგველაშვილს ესხმის თავს, ყველა მის დისკრედიტებას ცდილობს, თვითონ კი პრაქტიკულად ინერტულია. ასეთი მიდგომა თავისთავად კითხვებს აჩენს და საერთოდ, ვფიქრობ, რომ ეს **ქრონიკული უმოქმედობა „ქართულ ოცნებას" საბოლოოდ ძალიან ძვირი დაუჯდება.**

**— თავის მხრივ, მარგველაშვილს წამოსაძახებელი, პრინციპში, ბევრი არც არაფერი აქვს.**

— გეთანხმებით, მაგრამ მას არც პოლიტიკური წარსული აქვს. ვინ იყო აქამდე მარგველაშვილი? — ჩვეულებრივი ექსპერტი, რომლის მსგავსიც შეიძლება არაერთი ყოფილიყო. რაც შეეხებათ დანარჩენ კანდიდატებს, ადრეც მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: **თუ ვინმეს რაიმე წამოსაძახებელი აქვს დღეს ქართულ პოლიტიკაში, უპირველესად, ესაა ნინო ბურჯანაძე. ასევე შალვა ნათელაშვილზეც შეგვიძლია ვისაუბროთ და სხვებზეც. დავით ბაქრაძეზე საერთოდ არაფერს ვამბობ...**

**— დავაკონკრეტოთ: ბურჯანაძის მიმართ რა პრეტენზიები შეიძლება არსებობდეს?**

— საზოგადოებას და მით უფრო ისტორიას არაფერი ავიწყდება. ამას წინათ ინტერნეტში გავრცელდა 7 ნოემბრის კადრები და რა კომენტარებს აკეთებდა მაშინ ბურჯანაძე. ყველას კარგად გვახსოვს მისი განცხადება პარლამენტში, რომ თურმე სახელმწიფო გადარჩა. ეს იყო პირდაპირ მისალმება და ტაშის დაკვრა იმ არაადამიანურ, არადემოკრატიულ ქმედებაზე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა განახორციელა.

**— ამაზე მან ბოდიში მოიხადა.**

— ბოდიშის მოხდა ყოველთვის არაა პოლიტიკური დივიდენდის მიღების საშუალება. ასე რომ იყოს, მაშინ სააკაშვილსაც, მერაბიშვილსაც, ახალაიასაც და მთლიანად „ნაცმოძრაობასაც" ექნებოდა დღეს მობრუნების სერიოზული შანსი. **ბურჯანაძესთან დაკავშირებით უამრავი კითხვაა და, დღეს რომ ამაზე აქტიურად არ საუბრობენ, არაფერს ნიშნავს.** იმავე წყნეთის აგარაკთან დაკავშირებით ატეხილი სკანდალი რომ გავიხსენოთ, მისთვის სერიოზული ლაქაა. ასე რომ, ერთი ბოდიში ვერანაირად გადაწონის ამდენ მინუსს. პოლიტიკაში ასე იოლად არ ხდება შეცდომებისგან განწმენდა.

**— ესე იგი, თქვენი აზრით, მომავალ არჩევნებზე ბურჯანაძის შანსი მცირეა?**

— ის რომ ფავორიტი არ არის, მგონი, ამაში ყველა დამეთანხმება, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: უკვე იმდენ შეცდომას უშვებს „ოცნება" და იმდენად არასწორი სტრატეგიით მოქმედებს, რომ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

**— რას გულისხმობთ?**

— ქუჩური სლენგით თუ ვიტყვით, ესენი გაიჩალიჩებენ იმას, რომ ბურჯანაძე გავიდეს. აქ ასევე მეორე მომენტიცაა: **ახლახან ინტერნეტში გავრცელდა რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილის განცხადება: ბურჯანაძეს დავით ბაქრაძე მირჩევნიაო. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ერთი გუნდი ხომ არის კოალიცია?!** მე ველარ გავიგე უკვე!

**— ამასწინათ ალასანიამაც, ცოტა არ იყოს, დამაბნეველი განცხადება გააკეთა ამერიკიდან, როცა სააკაშვილს მადლობა გადაუხადა მისი პრეზიდენტობის პერიოდში გაკეთებული საქმეებისთვის.**

— ეს განცხადება, დამაბნეველი კი არა, აბსოლუტურად კონტექსტიდან იყო ამოვარდნილი, რა დროს ქათინაურებია და საამებელი სიტყვები, ვის სჭირდება ეს?! საერთოდ, ამ ალასანიას რომ ვაკვირდები, მრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკურად ჩამოუყალიბებელია; ან მეორე ვარიანტია: მას არ აქვს „ოცნებაში" იმხელა დასაყრდენი, რომ პრინციპულობა შეინარჩუნოს. ნებისმიერ შემთხვევაში,

## «ვშიშობ, «ქართული ოცნება» იმდენს იზამს, ერთ-ორ წელიწადში «ნაციონალებს» მოაბრუნებს»

**კოალიციის რეიტინგზე ძალიან ცუდად აისახება ის ტენდენცია, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო ნათლად იკვეთება. მხედველობაში მაქვს მასში შემავალი სტრუქტურების მიერ გაკეთებული ურთიერთგამომრიცხავი, საპირისპირო განცხადებები...**

**— გინდათ თქვათ, რომ მმართველ გუნდში, შესაძლოა, შიდადაპირისპირება იყოს?**

— მარტივად შევხედოთ ამ ყველაფერს. მარგველაშვილი რომ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში რეგიონებში დადის, გინახავთ სადმე მასთან ერთად კოალიციის ლიდერები — ან ალასანია, ან ბერძენიშვილი, ან რომელიმე სხვა? მარტო მინისტრები დაჰყავს. ეს ხომ თავისთავად კითხვებს აჩენს? ვერ დაიმალება, რაც სინამდვილეში ხდება — რა თქმა უნდა, კოალიციაში შიდა დაპირისპირება არის.

**— როგორ ფიქრობთ, რა საფრთხეს უქმნის ეს „ქართულ ოცნებას"?**

— „ქართული ოცნება" პრაქტიკულად დაშლილია. ის უკვე აღარაა ერთიანი გუნდი. ზუსტად ამიტომ უნდა დაიშალოს მოქმედი პარლამენტიც და ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. ამას საზოგადოება მოითხოვს. ასე რომ, რაც უფრო ადრე შეისმენს მმართველი გუნდი ხალხის სურვილს, მისთვისაც და ქვეყნისთვისაც უკეთესი იქნება. თუ არა და, ყველა ვხედავთ, ახლა რა პროცესიც მიდის — **„ოცნების" რეიტინგი თვალსა და ხელს შუა ქრება.**

**— იქნებ ამიტომაც ჩქარობს პრემიერი პოლიტიკიდან წასვლას?**

— მისმა ამ განცხადებამ საერთოდ თავდაყირა დააყენა ყველაფერი. ვერ გავიგე, რას აპირებს ეს კაცი: ხან ამბობს, მივდივარო; ხან — არ მივდივარო... გვირილაზე რომ თამაშობენ „მიყვარხარ, არ მიყვარხარ"-ს, ისეა ჩვენი საქმე.

**— მან თქვა: ქვეყანას რომ დავალაგებ, მერე წავალო.**

— ის ახალი წლის მერე აპირებს წასვლას და რაღა დარჩა იქამდე, ოთხი თვეც არაა, ამ ოთხ თვეში მოახდენს სასწაულს? ღმერთმა ქნას, მაგრამ, იცით რა, ხალხიც აღარაა უკვე ისეთი მიმნდობი და გულუბრყვილო, ადრე რომ იყო; არავის სჯერა ვიღაც-ვიღაცების ყოვლისშემძლეობის. **რწმენას, უპირველესად, საქმე აჩენს. სად არის ეს საქმე?! პლასტელინივით კაცის იმედად თუ ტოვებენ ქვეყანას, ყველაფერი გასაგებია...**

**— რაც შეეხება სირიაში განვითარებულ მოვლენებს, ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ, თუკი იქ შეიარაღებული მოქმედებები რეგიონულ ხასიათს მიიღებს, ამ პროცესში, შესაძლოა, საქართველოც ჩაერთოს. თქვენ წლების მანძილზე ახლო აღმოსავლეთში ელჩად იყავით, როგორ ფიქრობთ, რეალურად რა საფრთხეები არსებობს?**

— ის, რაც დღეს სირიაში ხდება, უამრავი წინაპირობითაა გამოწვეული და ამაზე საუბარს ერთი საგაზეთო ინტერვიუ ნამდვილად არ ეყოფა, მაგრამ ჩვენ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, ამ პროცესებს ჩვენი ინტერესების ჭრილიდან უნდა ვუყუროთ. მე ყურადღებით ვაკვირდები, რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება და, რასაც ვხედავ, ეს არის ყოვლად წარმოუდგენელი, რადგან, ელემენტარულად, ხალხის გამოყვანას ვერ ახერხებენ. რატომ? რის გამო? — ჯერ კიდევ როდის ვთქვით, რომ საელჩოები უაზროდ და, ფაქტობრივად, უფუნქციოდაა გახსნილი. მაგალითად, სირიას ფარავს ეგვიპტე, ამ დროს არც ესაზღვრებიან ერთმანეთს. ნორმალურია ეს?! ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც. ასე რომ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ჩვენი პოლიტიკა.

**— საქართველოზე რამდენად მოახდენს გავლენას იქ მიმდინარე პროცესები?**

— თავისთავად ეს აისახება ჩვენზე. ამას დიდი გათვლები არ სჭირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ მუსლიმები რამდენი არიან, თითქმის მილიარდნახევარი. ამ დროს ნუ დაგვავიწყდება, სად ვცხოვრობთ, — აგერ გვყავს თურქეთი, აზერბაიჯანი და არც ის სირიაა შორს.

**— ამით რის თქმა გინდათ?**

**— თუკი ამერიკის გეგმა განხორციელდა, სირია მოაქცია თავის გავლენის ქვეშ და შემდეგ დაარტყა ირანს, ჩვენ აღმოვჩნდებით პირდაპირ საცეცხლე წერტილში. ჯერ ვერ ხედავთ, თბილისში რა ხდება, რამდენი ირანელია? იქით, აჭარაში კიდევ 40 ათასი თურქია ჩაწერილი. ექსპანსია მეტი კი არაფერია.**

**— ახალმა ხელისუფლებამ ხომ გაამკაცრა ვიზების გაცემა. უცხოელებზე მიწის გაყიდვაც აიკრძალა.**

— ჩვენ ამ შემთხვევაში შედეგით ვიმსჯელოთ. **ვერ ხედავთ, რა ხდება თბილისში? — პლეხანოვზე გაივლი, თურქეთი გეგონება, რუსთაველზე — ირანი; ახლა კიდევ ეს სირიელები თუ მოგვაწვნენ, ისე გავქრებით, ვერც გავიგებთ.** მიწას რაც შეეხება, კარგია, რომ კანონი მიიღეს და უკვე აღარ იყიდება უცხოელებზე, მაგრამ რაც მანამდე გაიყიდა, იმას რას ვუშვებით?! რაღად გვინდა ეს კანონი აწი, თუ იქამდე გასხვისდა და განიავდა ყველაფერი.

## «პლეხანოვზე გაივლი, თურქეთი გეგონება, რუსთაველზე — ირანი»

**— დასასრულ ისევ არჩევნებზე გკითხავთ: არ მინდა მკითხაობასავით გამოგვივიდეს, მაგრამ, თქვენი აზრით, რა შეიცვლება 27 ოქტომბრის შემდეგ და რა რეალობას მივიღებთ?**

— ეს საუბარი შეიძლება მართლა მკითხაობას დაემსგავსოს, წინასწარ პროგნოზების გაკეთება ყოველთვის ძნელია. ალბათ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, ვინ გაიმარჯვებს. მით უფრო, რომ ახლა ძალიან საეჭვოა, მარგველაშვილი გავა თუ არა...

**— ვთქვათ, მარგველაშვილი დამარცხდა და გაიმარჯვა სხვა კანდიდატმა, მაგალითად, ბურჯანაძემ.**

— ასეთ შემთხვევაში დაიშლება პარლამენტი და ჩატარდება ვადამდელი არჩევნები. ეს იქნება, ალბათ, ადგილობრივ არჩევნებთან ერთად.

**— მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში გამორიცხავთ ვადამდელ არჩევნებს?**

— ხომ თქვა ივანიშვილმა, რომ პატივი უნდა ვცეთ კონსტიტუციას. მას იმის თქმა უნდოდა, რომ ვადამდელი არჩევნები არ იქნება.

**— თუ ხალხი მოთხოვს?**

— მერე რა, ვინ დაშლის პარლამენტს? მარგველაშვილი? კაცი, რომელიც იძახის, ბიძინას შენიშვნას არ მივცემო? ეს არ მოხდება. კოალიციაში დღეს არ არსებობს ცალკე აღებული ერთი რომელიმე ძალა, ივანიშვილის წინააღმდეგ რომ წავიდეს და რეალურად შეაცვლევინოს მას რაიმე.

**— გამოდის, რომ მომავალ არჩევნებში საზოგადოების დიდი უმრავლესობისთვის მისაღები კანდიდატურა, ფაქტობრივად, არ მონაწილეობს.**

— სამწუხაროდ, ასეა და ვფიქრობ, ეს ძალიან ცუდად აისახება არჩევნების საბოლოო სურათზე. ის კი არა, **ვშიშობ, რომ კოალიცია იმდენს იზამს, ერთ-ორ წელიწადში „ნაციონალებს" მოაბრუნებს.**

**— არსებობს ამის თეორიული შანსი?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, არსებობს. **ძალიან ბევრია უკვე უკმაყოფილო და ეს უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება. ამან დაღუპა თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლება, ეს დაღუპავს „ოცნებასაც".** ყოველ შემთხვევაში, რა გზითაც დღეს ესენი მიდიან, წარმატების გზას ვერ დავარქმევთ. თუ ასე გაგრძელდება, კოალიცია ძალიან მალე გაქრება...

ესაუბრა ჯაბა ჟვანია

„კოაბიტაციამ სასტიკად დაგვაზარალა. მე ამის წინააღმდეგი ვარ და ვყვირი კიდეც ყველგან. მაგრამ მე იმედი მაქვს პრემიერმინისტრის და ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატის, რომელმაც თქვა, რომ არჩევნების შემდეგ სამართლიანობა სწრაფი ტემპით დაიწყებს აღდგენას და კოაბიტაციაც დამთავრდება. და თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ჩემი და მათი გზები გაიყოფა, დიახ, მე ამ ხალხთან, ფაქტობრივად, საერთო არაფერი მექნება.“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის თამაშს თამაშობენ «ნაცების» სატელიტები და გეგმავენ თუ არა სერიოზულ არეულობას არჩევნებში?

**დაიწყო საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია და წარსულის პოლიტიკოსებიც გააქტიურდნენ. აგული ერისთავის არ იყოს, ერთი წელი ხდება, რაც არც ერთ გამოფენაში არ მიმიღია მონაწილეობაო, თქვეს და ახალი ძალ-ღონით ჩაერთვნენ ამ, ცოტა არ იყოს კომიკურ, წინასაარჩევნო კამპანიაში. ამომრჩევლის მოტყუებით, ფულის შოვნით განთქმულმა პოლიტიკოსებმა ისევ ამოყვინთეს და გამწარებულები ცდილობენ, არჩევნების მოგებას თუ არა, არჩევნებში არეულობის შეტანას მაინც. საპარლამენტო უმრავლესობა ამ საკითხს არც ისე სერიოზულად უყურებს... „საქართველო და მსოფლიოს“ „ქართული ოცნების“ წევრი, დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრა.**



## ომარ ნიშნიანიძე: კოაბიტაციამ სასტიკად დაგვაზარალა

**— ბატონო ომარ, საპრეზიდენტო არჩევნები კარსაა მომდგარი. მახსოვს, ადრე თქვენ გააკეთეთ განცხადება დავით საგანელიძის დიქტატის შესახებ, როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ წინასაარჩევნოდ „ქართულ ოცნებაში“?**

— ახლა ყველანი საარჩევნო მარათონში ვართ ჩაბმულნი, ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია – მუდმივად გვაქვს ხალხთან კონტაქტი, ვუხსნით, თუ რატომ უნდა აირჩიონ საქართველოს პრეზიდენტად ჩვენი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, რა ღირსებები აქვს, რა გაუკეთებია და ა. შ., ანუ ჩვენ საარჩევნო რეჟიმში ვართ. რაც შეეხება საგანელიძეს, სიმართლე გითხრათ, ბოლო დღეებია, არ მინახავს, შესაბამისად, მისი განწყობებიც არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი ბევრი კოლეგა უკმაყოფილებას გამოთქვამს მისი მისამართით. დიახ, ის ცდილობდა, ჩვენი პარტია, „ქართული ოცნების“ დეპუტაცია, განერიდებინა პროცესებისგან. რამდენიმეჯერ ვიკითხე, როდის შეიძლება ჩვენი ჩართვა საპრეზიდენტო არჩევნებში-მეთქი, მაგრამ პასუხი არ იყო. არადა, შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო ორგანიზებულად, თორემ დოზას ვერავინ განგვისაზღვრავდა; შეიძლებოდა, ვყოფილიყავით პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლები ან ნდობით აღჭურვილი პირები. ვფიქრობ, ეს უკეთეს შედეგს მოიტანდა, თუმცა საგანელიძემ ამ ყველაფრისგან თავი შეიკავა.

**— „მე-9 არხი“ დაიხურა, სექტემბერი გაძვირებით დაიწყო, ეს ყველაფერი იმისთვის ხომ არ ხდება, რომ მარგველაშვილი დამარცხდეს? ითქვა, არსებობდა მოლაპარაკება, რომ „ოცნებას“ არ დაესახელებინა ძლიერი კანდიდატი, რათა სხვა გასულიყო. მარგველაშვილი წასაგებად არის განწირული?**

— ვერ დაგიდასტურებთ. არა მგონია, რომ ასე იყოს. მაგრამ, თუ ჩვენგან ფარულად ხდება ეს ყველაფერი, არ ვიცი. სხვათა შორის, თავიდან მეც ასე მეგონა, **ვფიქრობდი, მარგველაშვილს გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს-მეთქი, მაგრამ რომ გავიდა ხალხში, მისი რეიტინგი საგრძნობლად გაიზარდა, ის ხალხთან ძალიან უშუალო გამოჩნდა, თითქოს ფილოსოფიურად მოაზროვნე იყო, მაგრამ არ ყოფილა ასე. ხალხთან შეხვედრებმა დაგვანახა, როგორი უშუალო და გულწრფელი ადამიანია. თითქოს ბატონი ბიძინას გულწრფელობა გადაედო.** შეიძლება ასეთიც იყო მარგველაშვილი, მაგრამ ახლა გამოჩნდა, ამიტომაც აზრი შევიცვალე. ახლა უკვე დარწმუნებული ვარ, მისი კანდიდატურა იმიტომ არ დასახელდა, რომ სხვას გაემარჯვა. მინდა გითხრათ, **მარგველაშვილს გამარჯვების ძალიან დიდი შანსი აქვს, მეტიც, ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაუტოლდება მას ამ ეტაპზე.**

რაც შეეხება 1 სექტემბრის გაძვირებით შეხვედრას, არ მგონია, ეს შეგნებულად ხდებოდეს, თუმცა **არ გამოვრიცხავ, რომ საბოტაჟის ნიშნები იყოს ჩვენი ხელისუფლების ქვედა რგოლებში, სადაც ჯერ კიდევ „ნაციონალური“ დაავადებით შეპყრობილი ადამიანები არიან დასაქმებულნი. სახელმწიფო სტრუქტურები ვერ გავწმინდეთ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ მივიყვანეთ ეს საქმე. და ამ დროს გვეუბნებიან, ბევრი ადამიანი გაათავისუფლეთ სამსახურიდანო, ნეპოტიზმშიც კი დაგვადანაშაულეს.** გახსოვთ, რომ დაგვდევდნენ ალისტრახოები და ვილაცები? გუშინ მითხრეს, ალისტრახო ქუთაისის აეროპორტის პრესსამსახურის ხელმძღვანელად დანიშნესო. გულზე შემომეყარა, გახსოვთ ალბათ, რა დღეში გვაგდებდნენ ისინი... აი, ასეთი ადამიანებიც კი ვერ გავათავისუფლეთ სამსახურებიდან, პირიქით, დაწინაურდნენ კიდეც. ეს საზოგადოებაში ძალიან დიდ გულგატეხილობას იწვევს. ჰოდა, ასეთი ადამიანები, ბუნებრივია, საბოტაჟს მოუწყობენ ჩვენ საქმიანობას, რაც გარკვეულწილად ჩვენი ბრალია.

**— კი მაგრამ, თავად ივანიშვილის რეიტინგს, ცოტა არ იყოს, კრიტიკულად უყურებენ პოლიტიკოსები. აგერ, გიორგი თარგამაძემაც კი განაცხადა, რომ საქართველოს პრემიერმინისტრი აღარ ჰყავს, ამაზე რას იტყვით?**

— გიორგი თარგამაძის სიტყვებზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? თარგამაძეს, ალბათ, ის მოსწონდა, მიშა სააკაშვილი რომ ჰყავდა ხელისუფლებაში, ეს ტერორისტი, აღვირახსნილი, დამნაშავე კაცი. დიახ, აი, ეს ქოსატყუილა კაცი რომ ჰყავდა პრეზიდენტად, ეს მოსწონდა და ეს უფრო აწყობდა, რადგან მისი პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტი პარტია იყო. ამიტომაც ვეუბნები მას, საქართველოს ჰყავს ღირსეული პრემიერმინისტრი, რომელიც სახელმწიფოებრივად აზროვნებს და სწორად მართავს ქვეყანას და, თუ ის არაორდინალურად მოაზროვნე ადამიანია, ამას ჩვენ ნაკლად ნუ ჩავუთვლით. ვიმეორებ, **ბატონ ბიძინას სურს ეს ქვეყანა ბელადომანიით კი არ მართოს, არამედ რეალურ დემოკრატიაზე დააფუძნოს ჩვენი სახელმწიფო, ყოველი მისი ნაბიჯი აქეთაა მიმართული. და გიორგი თარგამაძესა და მისნაირებისგან საყვედურის თქმას ბიძინა ივანიშვილი არ იმსახურებს და ვერც მიიღებს.**

მეტსაც გეტყვით, პარლამენტში ვინც ვერ მოხვდა, ყველაზე მეტად ის აქტიურობს დღეს. ეს ბუნებრივიცაა, გულდაწყვეტილები არიან, რომ არ აქვთ ადგილი ხელისუფლების რიგებში. და ვისი ბრალია? არ გამოიჩინეს თავი დროულად, მაშინ, როდესაც ჩვენ (არჩევნების წინ) რისკზე მივდიოდით და თავს სასწორზე ვდებდით. დიახ, მაინტერესებს, სად იყვნენ მაშინ ეს ადამიანები? **შეიძლება დღევანდელი პარლამენტი ვერ პასუხობს ხალხის განწყობას, სწორად არ ასახავს ძალთა თანაფარდობას, მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეს რეალობაა და ამას უნდა შევეგუოთ, ცოტაც მოვითმინოთ და თანდათანობით გადავდგათ ნაბიჯი წინ.**

**— პარლამენტი არ ასახავს რეალობას, პოლიტიკოსები კრიტიკულად არიან განწყობილნი, ხომ არ არის საფრთხე, რომ მთელი პოლიტიკური სპექტრი თქვენ წინააღმდეგ განეწყოს? მაგალითად, პაატა დავითაიამ წამოაყენა პრეზიდენტობის კანდიდატად ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე, „ნაცების“ უერთგულესი კაცი. ეს როგორ მოხდა — „ნაცების“ დაკვეთით თუ საკუთარი ინიციატივით?**

— აგაშენა ღმერთმა ამ კითხვის დასმისთვის... დღეს არის დემაგოგიის აღლუმი. ხომ ხვდებით, არა? დღეს, ჩვეულებრივი პოლიტიკური თამაში მიმდინარეობს. და ეს, სამწუხაროდ, დღევანდელი სიტუაციისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ აქ პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ჩვენზეა. უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს ბატონ პრემიერს. მან, ალბათ, ჩვენზე უკეთ იცის, თუ როგორ და რანაირად უნდა მართოს ეს ქვეყანა.

**— „ნაცების“ ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ მისმა სატელიტებმა ერთხანს ჩირგვებში ჯდომა არჩიეს, მაგრამ ახლა ისევ გააქტიურდნენ – ფული სჭირდებათ, „ნაცების“ დაკვეთით მოქმედებენ თუ „ოცნების“ ინტერესებში შედის მათი ასეთი ფორმით გააქტიურება?**



## «ძალიან ჭრელია პოლიტიკა და ასეთივე ჭრელი პოლიტიკური სიტუაციაა დღეს საქართველოში»

— ძალიან ჭრელია პოლიტიკა და ასეთივე ჭრელი პოლიტიკური სიტუაციაა დღეს საქართველოში. ზოგ პოლიტიკურ ძალას შეიძლება მართლაც ფული აინტერესებს, ამას არ გამოვრიცხავ, ზოგს კი ხელისუფლებაში მოსვლისა და გარკვეული სოციალური პრივილეგიების მიღების სურვილი აქვს; ყველას თავისი ინტერესი ამოძრავებს. **სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები საქართველოში ძალიან ცოტანი არიან. არადა, სახელმწიფოებრივად უნდა ვიაზროვნოთ, მითუმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც ჩვენს საზღვრებთან ახლოს ასეთი კონფლიქტი მწიფდება, სირიას ვგულისხმობ. ასეთ დროს ზედმეტად გააქტიურება და არასტაბილურობა ქვეყანას დააზიანებს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც იქ თურქეთის, რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების ინტერესებია.** ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილნი და ზომიერად უნდა ვიმოქმედოთ, ამიტომ არ გამოვრიცხავ, ასეთ ვითარებაში ჩვენს საშინაო პოლიტიკაში ხელი ჩვენმა ვითომ კეთილისმსურველი მეზობელი სახელმწიფოების სპეცსამსახურებმა რომ აფათურონ. ვიმეორებ: ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

**— ამ სატელიტ პოლიტიკოსებს გარე ძალები მართავენ?**

— არ გამოვრიცხავ. საქართველოში ყველას პირველკაცობა სურს, მეორე კაცობა არავის უნდა. დღეს მთავარია, მშვიდობიანად მივიდეთ არჩევნებამდე, რასაც სამართლიანობის აღდგენაც მოჰყვება, რისი ტემპიც დღეს ძალიან დაბალია. **კოაბიტაციამ სასტიკად დაგვაზარალა. მე ამის წინააღმდეგი ვარ და ვყვირი კიდეც ყველგან. მაგრამ მე იმედი მაქვს პრემიერმინისტრის და ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატის, რომელმაც თქვა, რომ არჩევნების შემდეგ სამართლიანობა სწრაფი ტემპით დაიწყებს აღდგენას და კოაბიტაციაც დამთავრდება. და თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ჩემი და მათი გზები გაიყოფა, დიახ, მე ამ ხალხთან, ფაქტობრივად, საერთო არაფერი მექნება.**

**— ანუ დატოვებთ „ქართულ ოცნებას“?**

— ორ თვესაც მოვითმენ, იმედი მაქვს, პროცესები ისე წარიმართება, როგორც ქართველ ხალხს სურს. იქნებ, ბოლოსდაბოლოს, ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესებით ვიხელმძღვანელოთ. დიახ, დავტოვებ პარტიას, თუ ეს კოაბიტაცია გაგრძელდა. **ჩვენ ხალხმა აგვირჩია, რათა სამართლიანობა აღგვედგინა, სახელმწიფოებრივი აზროვნება დაგვებრუნებინა და რეალური დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა დაგვეწყო. ჩემი მოვალეობაა, წინა რეჟიმი ვამხილო, რომ არასდროს განმეორდეს ასეთი რამ საქართველოში. სააკაშვილის რეჟიმი უნდა გასამართლდეს.**

**— ამ კოაბიტაციის გამოც ხომ არ გარბიან „ოცნებიდან“ ბურჯანაძესთან?**

— ძალიან ცუდი ავტორიტეტი შეგვიქმნა ჩვენ ამ კოაბიტაციამ, რომელიც დასავლეთის დავალებაა და იძულებული ვართ, ასე მოვიქცეთ. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენს მეზობლებს – დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც, მაგრამ ზედმეტად კოაბიტირება დამღუპველია ჩვენთვის. ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი, ვიმეორებ: სააკაშვილის რეჟიმი უნდა გასამართლდეს. რაც შეეხება ბურჯანაძეს, თითო-ოროლა კანდიდატი, რომელიც თავის დროზე ჩვენ გვიჭერდა მხარს, მაგრამ ნინო ბურჯანაძის პარტიიდან იყო (უბრალოდ, ჩვენთან ერთად იბრძოდა არჩევნებში), ახლა თავის პარტიას, თავის კანდიდატ ნინო ბურჯანაძეს დაუბრუნდა. ამაში კატასტროფულს ვერაფერს ვხედავ.

ესაუბრა
ქეთი ხომერიკი

საქართველო და მსოფლიო
ჩემპიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართველმა ბარბაროსებმა პასუხი უნდა აგონ არა მარტო მორალურად, არამედ ფინანსურადაც და სასამართლოს ვთხოვთ, სტალინის სახლ-მუზეუმის სასარგებლოდ მათ 100 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისროს.“**

გრიშა ონიანი:

# ბიძინა მიდის, სტალინი მოდის!

**რამდენიმე დღის წინ ქალაქ თელავში მოხდა ამაზრზენი ამბავი — უცნობმა ვანდალებმა შეღებეს ი. ბ. სტალინის ძეგლი. კომენტარისთვის მივმართეთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარეს — გრიშა ონიანს.**



**— სტალინის ძეგლი თელავშიც შეღებეს, ბატონო გრიშა, როგორც ალვანში, ხომ არ მიიღებთ რაიმე ზომებს ვანდალიზმის აღსაკვეთად?**

— სტალინის საზოგადოების თელავის ორგანიზაციამ უკვე მიიღო ზომები და შეიტანა საჩივარი კახეთის პოლიციის რეგიონულ სამმართველოში. ვნახოთ, რა პასუხს მივიღებთ.

**— როგორც ცნობილია, ალვანში ვანდალიზმში მონაწილეობა აღიარა ვინმე გია ნოდიას ცოლმა. აპირებთ თუ არა მის მიმართ საქმის აღძვრას, რადგან ალვანის მოსახლეობის მიერ გადახდილი თანხით რესტავრირებული ძეგლი დაზიანდა? ამავე დროს, მორალური ზიანი მიადგა როგორც ალვანის მოსახლეობას, ისე საერთაშორისო საზოგადოება „სტალინს“.**

— ჩემთვის ცნობილია არა მარტო გია ნოდიას ცოლი, არამედ მისი თანამზრახველებიც. არის მოსაზრება, რომ თელავის ვანდალური აქტიც მათი და მათი დამქაშების ნამოქმედარია. ასევე ცნობილია, რომ მათ სათავეში უდგანან საქართველოს დამაქცევარი „თავისუფლების ინსტიტუტის“ თავკაცები.

**— რა სასჯელს ითხოვთ თანამედროვე ბარბაროსების მიმართ?**

— მიკვირს, როდესაც „ცერეუს“ ქართველი აგენტები საქართველოში შეურაცხყოფენ სტალინის ძეგლს. ამ დროს კი, თვით აშშ-ში, ქალაქ ბედფორდში, სამხედრო მემორიალური კომპლექსის ტერიტორიაზე დგამენ სტალინის ძეგლს; ბერლინის შუაგულში მდებარე „ტრეპტოფ პარკი“, რომელიც გადაჭიმულია 10 ჰექტარ ფართობზე, მთლიანად აღიქმება, როგორც სტალინის მემორიალი; **ავსტრიის დედაქალაქ ვენაში კი იმ სახლზე, სადაც სტალინი სულ სამიოდე კვირა ცხოვრობდა, მიკრულია უზარმაზარი ბარელიეფი წარწერით: „აქ 1913 წელს ცხოვრობდა სტალინი, რომელმაც დაწერა გენიალური ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხები“; დრეზდენის გალერეის გზამკვლევში სტალინი მოხსენიებულია, როგორც ამ უნიკალური მუზეუმის გადამრჩენი და მთელი ქალაქის მფარველი.**

ქართველმა ბარბაროსებმა პასუხი უნდა აგონ არა მარტო მორალურად, არამედ ფინანსურადაც და სასამართლოს ვთხოვთ, სტალინის სახლ-მუზეუმის სასარგებლოდ მათ 100 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისროს.

**— ბატონო გრიშა, ბიძინა ივანიშვილი მიდის, რაიმე კომენტარს ხომ არ გააკეთებდით?**

— ბიძინას პოლიტიკიდან წასვლა გასული ოცწლეულის განმავლობაში ყველაზე მტკივნეული გამოწვევაა საქართველოში.

**— ასე ტრაგიკულად რატომ აღიქვამთ ამ მოვლენას?**

— ბატონი ბიძინა კეთილშობილი დედის აღზრდილი და მამაპაპური ტრადიციების დამცველი კაცია, რომელმაც პირადი მაგალითით დაამტკიცა, რომ ის სისხლით და ხორცით ქართველია, მაგრამ ქართველებმა არ გაუმართლეს და გული ატკინეს.

**— მაინც რაზე უნდა იყოს ასე განრისხებული ბატონი ბიძინა, რომ ზურგი აქციოს თავის ხალხს?**

— პირველად, ალბათ, მაშინ გაუტყდა ქართველზე გული, როცა არჩევნების მეორე დღეს კახელები გამოვიდნენ და პროტესტი გამოთქვეს, მიწებს რატომ არ გვიხნავსო; მეორედ, როდესაც მის კარზე მოშიმშილეები დასვეს მისმა მოსისხლე მტრებმა — „ნაციონალებმა“; მესამედ, როდესაც საბოტაჟი მოუწყვეს სხვადასხვა ჯურის ნაძირლებმა, მაშინ, როდესაც ატლანტის მგლებშემოსეული ბიძინა ივანიშვილი, გარეშე მტრებთან ერთად შინაურ მტრებსაც იგერიებდა. ბატონი ბიძინა არ გატეხილა, არ შეშინებულა. თუ მიდის, მიდის უმადურობის, დაუფასებლობის, ჭორების გამო.

**— და სხვა არაფრისთვის?**

— რომ არ მისცეს საქართველო. **ბორჯომში, რომანოვების სასახლის ეზოში ერთი პატარა მონუმენტური ფიგურა დგას — კურდღელზე ჩაბღაუჭებული არწივი და ძერა. იმ კურდღლის როლშია საქართველო, ბიძინამ კი ვერ გამოსტაცა იგი ორ**




**მტაცებელს და გაერიდა. ბატონი ბიძინა კი იპოვის თავის ადგილს, მაგრამ ვაი საქართველოს!**

ასე რომ, ფინალი ასეთია:

ბიძინა მიდის, სტალინი მოდის, როგორც თავად სტალინმა იწინასწარმეტყველა და დეგოლმაც დაადასტურა: **„სტალინი წარსულში კი არ გადაბარგდა, არამედ მომავალში განიბნა!“.**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

# «ვერც ერთმა ძლევამოსილმა პიროვნებამ ვერ შეძლო იმის გაკეთება, რაც სტალინმა ხალხისთვის გააკეთა»

**ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ თითქმის ყველა რაიონში, სადაც სტალინის ძეგლი იდგა და „ნაციონალებმა“ აიღეს, ძეგლების თავის ადგილას დაბრუნებაზე საუბრობენ.**
**საინტერესოა, რომ თითქმის არც ერთ შემთხვევაში ძეგლი აღებისას არ დაუზიანებიათ, ამიტომ ადვილად შეძლეს მათი უკან დაბრუნება.**
**ახლახან ორგანიზაცია „სტალინის“ ინიციატივითა და მოსახლეობის მხრდაჭერით, თელავში სტალინის ძეგლი დადგეს. ეს ინფორმაცია იმთავითვე ყველა ტელევიზიამ გააშუქა და ერთი ამბავიც ატყდა: ვინ დადგა, ჰქონდათ თუ არა ნებართვა და ა.შ. კომენტარი გააკეთა რაიონის გამგებელმაც და განაცხადა, რომ ძეგლი უნებართვოდ დაიდგა და რომელიღაც კანონიდან რაღაც მუხლი დაასახელა. თელაველები გაბრაზებულები არიან იმის გამო, რომ ძეგლს ვილაცამ შეუაცხყოფა მიაყენა — საღებავი შეასხა.**
**„საქართველო და მსოფლიო“ სტალინის ძეგლის დადგმის ინიციატორებს — მებრძოლ-პატრიოტთა და ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის წევრს — ივანე ბუჩუკურს და ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარეს — შოთა ლაზარიაშვილს დაუკავშირდა.**

**— ბატონო ვანო, საიდან გაჩნდა იდეა და რა მოსაზრებით დაიდგა სტალინის ძეგლი?**

— სტალინის ძეგლის დადგმას რა იდეა და მოსაზრება უნდა?! სტალინის ძეგლი საქართველოში უნდა იდგეს! თანაც არ მესმის, **მარტო სტალინზე რატომ გაამახვილეს ყურადღება?! ჩვენ აქ მთელი კომპლექსი დავდგით, ეს იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი და სტალინის ძეგლი, თუმცა ამას არავინ ახსენებს.**

**— მეჩვენება, რომ თქვენც თავს იმართლებთ ძეგლის დადგმისთვის. ნუთუ არ უნდა იყოს სტალინის ძეგლი?**

— როგორ თუ არ უნდა იყოს?! რას მიქვია, თავს ვიმართლებ! სტალინის ძეგლი უნდა იყოს. თავი იმან გაიმართლოს, ვინც ძეგლს შეურაცხყოფა მიაყენა.

**— რაიონის ხელმძღვანელობა ძეგლის დემონტაჟს აპირებს. თქვენ როგორ გაუმკლავდებით?**

— ჯერ კარგად აგვიხსნან, რის საფუძველზე უნდა აიღონ ძეგლი და მერე მივიღებთ ზომებს. ჩვენ ყველაფერი კანონიერად გავაკეთეთ, ყველასთან შეთანხმებულად.

**სტალინი დიდი ქართველი იყო, მან არა მხოლოდ ჩვენ, მთელი მსოფლიო იხსნა ფაშიზმისგან. იმაზე საუბარი, რომ მას საქართველოსთვის სიკეთე არ მოუტანია, სისულელეა. ამას ისინი ამბობენ, ვისაც არ უნდა დანახვა. სტალინი დიდი პიროვნება იყო, მისი გაგება ყველას არ შეუძლია.**

**— რაიონის ხელმძღვანელობამ თუ მაინც გადაწყვიტა ძეგლის დემონტაჟი, რას იზამთ?**

— ამას მარტო ჩვენ არ გადავწყვეტთ. ამას მთელი მოსახლეობა გააპროტესტებს. დღესაც გრძელდება ხელმოწერები იმასთან დაკავშირებით, რომ თელავში სტალინის ძეგლი იდგეს. ხალხი არ დაანებებს მის აღებას.

**«საბჭოთა კავშირში სტალინს სოციალურად დაცული ადამიანები ჰყავდა, ჰქონდა პროფკავშირები, უფასო სწავლება, ჯანდაცვა. აი, ასეთი კაცი შეურაცხყვეს თელავში»**

**— ვინ ემტერება თქვენს ინიციატივას?**

— არ ვიცი, ასე პირდაპირ ხელს ვერავის დავადებ. ვფიქრობ, გამოძიება დაადგენს.

**— ჩივილს აპირებთ?**

— მე არაფერს ვაპირებ, ამას ხალხი იზამს და მტყუან-მართალსაც გამოააშკარავებს.

**— ბატონო შოთა, ვინ და რატომ შეურაცხყო ბელადის ძეგლი?**

— მთელი კომპლექსი დავდგით, მაგრამ ვიღაც მოვიდა და მარტო სტალინის ძეგლი შეურაცხყო. გრანიტის ქვაზე სოსელო დავხატეთ, ქვეშ მისი ლექსი: „აყვავდი, ტურფა ქვეყანავ...“ მივუწერეთ და ეს შეღებეს. ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ ვიტყვი, რომ ამის გამკეთებელი უკანასკნელი ნაძირალაა. კატეგორიულად მოვითხოვთ, დადგინდეს ამის ჩამდენის ვინაობა.

ვინც ეს გააკეთა, რას ფიქრობს? ჰგონიათ, რომ შევწყვეტთ სტალინის მოვლასა და პატრონობას?

საუკუნეების მანძილზე მეფეებს, ბატონებს და ა. შ. გლეხები, მონები, გლადიატორები პირუტყვთან ჰყავდათ გაიგივებული. ასეთი ამბავი იყო უხსოვარი დროიდან, **ვერც ერთმა ძლევამოსილმა პიროვნებამ ვერ შეძლო იმის გაკეთება, რაც სტალინმა ხალხისთვის გააკეთა. ის მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის იბრძოდა. საბჭოთა კავშირში სტალინს სოციალურად დაცული ადამიანები ჰყავდა, ჰქონდა პროფკავშირები, უფასო სწავლება, ჯანდაცვა. აი, ასეთი კაცი შეურაცხყვეს თელავში. ჩვენ ისევ სოციალიზმი გვინდა და მებაირაღედ სტალინი გვყავს.**

პიკასომ თქვა: **„თუ ვინმე გენიოსი არსებობს დედამიწაზე, ყველანი, ერთად აღებული, სტალინთან ვერ მოვლენო“.** რა გავხდით ასეთი ეს ქართველები, რომ ვერაფერი დავინახეთ. ვიღაც ამბობს, პაპა გადამისახლაო. იმიტომ გადაგისახლა, რომ მეზობელმა დააბეზღა, სტალინი რა შუაშია?!

ახალგაზრდებმა ეს უნდა იცოდნენ. **ჩვენ ყველა საშუალებას გამოვიყენებთ იმისთვის, რომ საღად მოაზროვნე თაობა გავზარდოთ. მთელი რუსეთი სტალინზე ლოცულობს და ჩვენ ქართველებს რა გვემართება?!**

ნახევარი საქართველო შიმშილობს, ყველა მშიერი ადამიანი სტალინზე ლოცულობს, ის ხომ ჩვენისთანების გამკითხავი და პატრონი იყო.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ღვთისგან და კაცისგან მიტოვებულ და გოგი ლიპარტელიანის ხელში ჩავარდნილ ლენტეხში ხალხმა პროტესტის უკიდურეს ზომას — შიმშილობას მიმართა; ხელისუფლების წარმომადგენლის ჩასვლას ითხოვენ, ოღონდ არა დავით საგანელიძისას, რადგან სვანებს ეშინიათ, რომ თავს ვერ შეიკავებენ და რაიმეს დამართებენ.**

რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლენტეხში «ოცნების» ორი წარმომადგენელი ერთმანეთს ებრძვის, საკრებულო არ ფუნქციონირებს და რაიონი პარალიზებულია

**„ქართულ ოცნებაში“ კვლავ განხეთქილებაა. ეს გასაკვირი არ იქნებოდა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რამდენი ჭრელი პარტია და ადამიანია მასში გაერთიანებული, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ საარჩევნო მარათონში ჩაბმული სახელისუფლო ძალა მოღალატესა და მომხრეს რომ ვერ არჩევს, ეს სულ სხვა პრობლემაა. ერთ პატარა რაიონში ორი საარჩევნო შტაბი რომ იხსნება, არც ეს უნდა იყოს კარგი საქმე.**

## ირინა კონდრატიევა:

## ექვსი თვის თავზე, როდესაც ზაზა ლიპარტელიანის მოხსნის საკითხი დადგა, გამგებლის გვერდით მხოლოდ მისი ნათესავები და ოჯახის წევრები დარჩნენ

დიდი ხანია, საზოგადოებას ხან არმაზ ახვლედიანის, ხან დავით საგანელიძის მისამართით მუქარა ესმის. საინტერესოა, რას აკეთებენ ეს ადამიანები იმისთანას, რომ ბოლოს საკუთარ მხარდამჭერებთან გამოჩენის ეშინიათ და 2 ათას ამომრჩევლიან რაიონში ჩასვლას ვერ ბედავენ.

საგანელიძის ფიტულიც კი დაწვა ისეთმა უწყინარმა ხალხმა, როგორიც მარტვილელები არიან. გულდაწყვეტილმა უმრავლესობის ლიდერმა პრემიერს საყვედურიც შეჰკადრა, არავინ დამიცვაო. იმან კი უპასუხა, რომელი ილია ჭავჭავაძე შენ მყავხარო. ოღონდ დიდი ილია რა შუაში იყო, ეს ვერავინ გაიგო. ილია, „ნაციონალებისა“ და რესპუბლიკელების გარდა, დასაცავი არავისგან არასოდეს ყოფილა.

ღვთისგან და კაცისგან მიტოვებულ და გოგი ლიპარტელიანის ხელში ჩავარდნილ ლენტეხში „ოცნების“ ორი წარმომადგენელი ერთმანეთს ხოცავს. ხალხმა პროტესტის უკიდურეს ზომას — შიმშილობას მიმართა, ხელისუფლების წარმომადგენლის ჩასვლას ითხოვენ, ოღონდ არა საგანელიძისას, რადგან სვანებს ეშინიათ, რომ თავს ვერ შეიკავებენ და რაიმეს დამართებენ.

„საქართველო და მსოფლიო“ ლენტეხში ნეიტრალურ პიროვნებას, გამგეობის წევრ **ირინა კონდრატიევას** დაუკავშირდა და შეეცადა, მისგან ზუსტი და მიუკერძოებელი ინფორმაცია მიეღო.

**— ირინა, რა ხდება ლენტეხში, რატომ მოხსნეს გამგებელი და რას ითხოვს ხალხი?**

— დაწვრილებით მოგიყვებით ყველაფერს. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამგებლად ზაზა ლიპარტელიანი დაინიშნა. მის ამ თანამდებობაზე დანიშვნას ნახევარი ლენტეხი გულშემატკივრობდა. ყველა ფიქრობდა, რომ ლიპარტელიანის დანიშვნით რაიონში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდებოდა. ექვსი თვის თავზე, როდესაც მისი მოხსნის საკითხი დადგა, გამგებლის გვერდით მხოლოდ მისი ნათესავები და ოჯახის წევრები დარჩნენ.

**— ექვს თვეში სახელი ისე გაიტეხა, რომ გულშემატკივარი აღარავინ დარჩა?**

— დიახ, ეს მოახერხა. როგორც კი თანამდებობაზე დაინიშნა, სამსახურიდან გაათავისუფლა განურჩევლად ყველა, სოფლის რწმუნებულების ჩათვლით. სამსახურებიდან გათავისუფლებულმა ადამიანებმა სასამართლოს მიმართეს და თითქმის ყველა მათგანი კანონიერი გზით თანამდებობაზე დაბრუნდა, თან გამგეობას სამი თვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა, რომელიც საერთო ჯამში 30 ათას ლარს შეადგენდა. გამგებელს კი სახელმწიფო ფულის გაფლანგვასა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში დასდეს ბრალი.

საკრებულოს წევრები, რომელთანაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ზაზა ლიპარტელიანი არ თანამშრომლობდა, შეიკრიბა და გამგებელს გამოუცხადეს, რომ თანამდებობიდან გათავისუფლებულია. მოგეხსენებათ, საკრებულო ნიშნავს გამგებელს, შესაბამისად, აკონტროლებს კიდეც.

**დღეს ზაზა ლიპარტელიანის მიერ თანამდებობებზე დანიშნული საკუთარი დეიდაშვილები, ბიძაშვილები, რომლებიც იქ მრავლად არიან, აპროტესტებენ მის მოხსნას, დაიწყეს შიმშილი, ქუჩაში ტრანსპარანტებითა და შეძახილებით დადიან და მის თანამდებობაზე აღდგენას მოითხოვენ. მათ საკრებულოს შენობა მთლიანად პარალიზებული აქვთ.**

ლიპარტელიანის ადგილი ხუტა ფულერიანმა დაიკავა, რომელიც იმთავითვე „ქართული ოცნების“ გვერდით იდგა. ისევე, როგორც ზაზა ლიპარტელიანი, ფულერიანიც „ოცნების“ შტაბს ხელმძღვანელობდა. ამ ადამიანის ზურგზე გადაიარა თავის დროზე „ნაციონალების“ სისასტიკემ. იმის გამო, რომ ის „ქართული ოცნების“ წევრი იყო სამსახურიდან გაათავისუფლეს და მასზე ზეწოლები ხორციელდებოდა. დღეს კი, საკუთარი თანაგუნდელები მის გამგებლობას აპროტესტებენ, კაბინეტში უვარდებიან და მუშაობის საშუალებას არ აძლევენ. **ლენტეხში საკრებულო, მეათე დღეა, არ ფუნქციონირებს.**

**— საგანელიძეს რატომ ემუქრებიან?**

— „ოცნება“ ორად არის გაყოფილი. ლიპარტელიანიცა და ფულერიანიც ორივე „ქართული ოცნების“ წევრები არიან. ახლა ხუტა ფულერიანი უკვე აღარ უნდათ, შიგნით საშინელი ქაოსია. ზუსტად არ ვიცი, რომელ ფრთას უჭერს მხარს საგანელიძე, მაგრამ ვიცი, რომ შიგნით დიდი არეულობაა. რადგან მუქარა საგანელიძის მისამართით ლიპარტელიანების მხრიდან ისმის, ე. ი. საგანელიძე ფულერიანის მხარდამჭერია.

**— საარჩევნო შტაბი თუ აქვთ გახსნილი?**

— შტაბი გახსნილი აქვთ, მაგრამ ახლა მეორე ფართსაც ეძებენ და ამბობენ, რომ შტაბი უნდა გავხსნათ, მეორე ფრთა უნდა გამოეყოსო.

**— ხელისუფლების წარმომადგენლის ჩამოსვლას თუ ითხოვენ?**

— ითხოვენ, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ დრომდე არავინ გამოჩენილა. მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მოძრაობენ — ზოგი ახლადგამოჩეკილი და ზოგიც ძველი. ესენი საქმეს ვერ აგვარებენ და არც არავინ ჩანს მისი მომგვარებელი. რაიონი პარალიზებულია.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# ვაი ჩხატარაშვილის თავს, უბედურს!

**რისხვა და მეხი მტერს, რომელსაც „შენი კვდომა და მოსპობა სწყურია“, ფარულსა თუ ხილულს, შინაურსა თუ გარეულს, რომლებიც იბრძვიან სიტყვით თუ კალმით, „ხიშტით“ თუ „პარაბელუმით“ ქართველი ხალხის წინააღმდეგ, მისი ისტორიის წინააღმდეგ, მისი კულტურის — ხელოვნების მისათვისებლად და გასასხვისებლად. ასეთად მეჩვენება არქიტექტორ ბაადურ ჩხატარაშვილის სტატია გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ (ა.წ. 14-20 აგვისტო „ქართულ დროშაზე გამოსახულია „ხაჩ ვორდან კარმაზის“ ხუთეული“).**

მოკლედ, შოკირებული ვარ, ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს; ნუთუ, რაც შიგ წერია, მართალია?! მაშინ ამ სიმართლის არგასაჯაროება სჯობდა. ხომ არის ნათქვამი: „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“... სომხები გვეტყოდნენ ამას, ზურგი რომ ჰქონებოდათ ბოლოსდაბოლოს. რასაც არქიტექტორი ბრძანებს, იგივეა, რასაც „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში XI საუკუნის სომეხი თუ პროსომეხი ავტორი ლეონტი მროველი გვამცნობს: მე-2, მე-3 საუკუნემდის ძველი წელთაღრიცხვით, ე. ი. ფარნავაზის დრომდის საქართველოში სომხური ენა იყო განვრცობილი, ამის ტოლფასია ჩხატარაშვილის „აღმოჩენა“; ან კიდევ იმის ტოლობაა, რომ ქართული ანბანი სომეხმა მაშტოცმა შექმნა, მაშინ, როცა პირიქითაა: **სომხური ანბანი მე-5 საუკუნის შუაწლებში შექმნეს დიდმა ქართველმა მოაზროვნეებმა იოანე ლაზმა და პეტრე იბერმა, და საერთოდ, მაშინ სად იყო სახელი „საქართველო“? იბერიული ენა ჰეგემონობდა, ხოლო ისტორიის მამამთავარი ჰომეროსი კავკასიაში საერთოდ ვერ ხედავს სომხებს იმიტომ, რომ ისინი მაშინ აქ, უბრალოდ, არ ცხოვრობდნენ... სამაგიეროდ ცხოვრობდნენ სპერები, სასპერები და კოლხები.**

**და იმას, რომ საქართველოს ისტორია მითებიდან და ლეგენდებიდან არ დაგვეწყო, ბრძანებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, ჩვენ კი, პირიქით, დაჟინებით ამას „ვაწვებით“** („საქართველოს ისტორიის ბოლო ოთხტომეულის“ გამოცემა) **და ერთდროულად საქართველოს ისტორიის წარსულს ათასწლეულობით ვკვეცავთ, ჩვენივე ლეგიტიმირებული, სახელოვანი ისტორიკოსების მეშვეობითაც.**

ხოლო ბ-ნი ჩხატარაშვილი შემოვლით თუ პირდაპირ არგუმენტირებს: **„ბოლნისის სიონის შენობა წარმოადგენს სომხური ტრადიციის ტიპიურ ბაზილიკას, აგებულია სომხური წყობის ტექნიკის გამოყენებით; იგი დეკორირებულია სხივური ჯვრის გამოსახულებით, რომელიც ჩასმულია სომხური კლასიკური სამკუთხა ორნამენტით დეკორირებულ მედალიონში“.**

ან კიდევ **„ტაძარი მდებარეობს იმავე პერიოდში აშენებული ნასახლარის ცენტრში და აბსოლუტურად ყველა გარშემო მდგომი შენობა გვირგვინიანი დარბაზის ტიპისაა“.** აქედან გამომდინარე. ტაძარი ააგო სომხეთიდან დაპატიჟებულმა „არტელმა“ და ა.შ. თურმე ნუ იტყვით: **„ჯვრის ტაძრის კონსტრუქცია... სომხეთში აგებული ავანის, ვაგარშაპატის, არამუსის სრული ანალოგია, 682-689 წლებში ქართლში აშენდა კიდევ ერთი, მცხეთის ჯვრის სრული ასლი — ატენის სიონი“...** ჩხატარაშვილის ლოგიკით, რა თქმა უნდა, ისიც სომხურია... და ბოლოს, **„ჯვრის ფასადზე განთავსებული ბარელიეფები მოჭრილია ვარდისფერი ტუფის ფილებზე, რომელიც საქართველოში არ მოიპოვება“.** აგრძელებს: **„ტაძრის ცენტრალური შესასვლელის თავზე, სხივური ჯვრის ქვეშ, ჩაშენებულია კლასიკური სომხური ხაჩკარის გამოსახულება“.** და არა მარტო საქართველოში აშენებდნენ სომხები, არამედ „უპროტოსომეხთა“ — „მუშკების“ ტომი, **„ბალკანეთიდან ანატოლიაშიც შეჭრილან და შემდგომ რომელიღაც მეფემ ურარტუში ჩამორეკა გაწაფული მშენებლების ტომი „მუშკები“.** ბოლოსდაბოლოს **„სომხეთში ფართოდ ვრცელდება მოჩუქურთმებული ქვის სტელების — ხაჩკარების კულტურა“** (ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ! მაგრამ არა ჩვენს ხარჯზე)... **„სომეხი ქვის მთლელები იყენებდნენ სხივური ჯვრის ნახატს“.** აქ მარხია „ძაღლის თავი“ და სხვაგანაც ასე დაწვრილებით და საგულდაგულოდ ეძებს ქართველი არქიტექტორი თუ ისტორიკოსი სომეხ ოსტატთა კვალს, კვალს კი არა, თავს ჩვენს საფიცარ და სალოცავ ეკლესია-მონასტრებში... და „ბრწყინვალედ“ აჭეშმარიტებს: **სომხური სტილია, სომხების გაშენებულია, საშენი მასალა სომხურია, წარწერებიც ზოგჯერ სომხურია, მაშასადამე, სომხეთისაა, სომხის ტერიტორიაზეა გაშენებული, „აჭეშმარიტებს“ და ფიანდაზად მიართმევს ქართული კულტურის საგანძურს სომხეთს.** ასევე, სიამოვნებით შესთავაზებს, ნამდვილად, თუ პირობა შეექმნა ცნობილ ქართველ ისტორიულ მოღვაწეებს — იმავე სომხეთს, რომელთაც უიმისოდაც ისაკუთრებენ სომეხი ფსევდოისტორიკოსები, ასევე, ფსევდოხელოვნებათმცოდნეები, მწერლები, სასულიერო პირები და ა. შ.

**დავიჯეროთ, დიდი ილიას „ქვათა ღაღადი“ არ აქვს წაკითხული არქიტექტორს? უწიგნურს არ ჰგავს. მით უარესი ჩვენთვის. იმასაც ამბობს: „მე ამერიკა არ აღმომიჩენია“-ო. ყასიდად ამბობს, თორემ „აღმოჩენაც“ გააკეთა და პოპულარული გაზეთის გამოყენებით, ფართო აფიშირებაც.**

დავასკვნათ: ეს „ბაიათები“ იმისთვისაც დასჭირდა (გარდა ზემოთ ნათქვამისა. — ა. თ.), რომ გვითხრას: დღევანდელი ქართული დროშა — ჰერალდიკური სიმბოლო, წითელ დროშაზე გამოსახული სხივური ჯვარი — სომხურიაო. ფერიც წითელი სომხურიაო, როგორც თავშია, დღევანდელ ქართულ დროშაზე გამოსახულია „ხაჩ ვორდან კირგიზის ხუთეული“ სომხურია.

**და თუ მართლა მტერი არ ხარ და ეს იცი, რამ გაგაჩუმა მთელი 9 (ცხრა) წელიწადი? ივანიშვილის მოსვლას ხომ არ ელოდებოდი? თუ სომხურ დროშას ვაფრიალებდით, სად იყავით აქამდის?**

ჩემის აზრით, **რაც თქვენ ქართველობას სამსახური გაუწიეთ თქვენი „დიდოსტატური“ გამოკვლევით, უბოროტესი მტერი ვერ იზამდა ამას.** „ნაბან წყალს („ნაცმოს“), ბავშვსაც (საქართველოს) აყოლებთ“...

კომპეტენტური პიროვნებები, პროფესიონალები, რიგითი ქართველები ყველაფერ ამაზე მოგკითხავენ; ვფიქრობ, თქვენს გარჯას „უყურადღებოდ“ არ დატოვებენ...

**ალეკო თოდუა,**
**„ფაზისის“, „ქალდეას“ და „აიას“ აკადემიების წევრი, ზუგდიდი**

დემოკრატიის სახელით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობის კომენტარით, ადგილი ჰქონდა „პროცედურული შეცდომების უპრეცედენტო სერიას, რომლითაც გამჟღავნდა იარაღთან ურთიერთობის წესების დაცვის ეროზია“. მაგრამ, სპეციალისტების მტკიცებით, დაუდევარი დაცვა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში პროცედურული გულგრილობის შედეგი კი არ იყო, არამედ ამ პროცედურების შეგნებული და თანმიმდევრული მანიპულაციით განხორციელებული ოპერაციის შემადგენელი ნაწილი.**

# ბუშის ადმინისტრაცია ახლო აღმოსავლეთში ბირთვულ პროვოკაციას ამზადებდა

## დაკარგული ბირთვული ქობინები და ირანზე თავდასხმის გეგმები




**სენსაცია და სკანდალი ის იყო, რაც აშშ-ში დატრიალდა 6 ბითვული ქობინის დაკარგვის დროს და მას შემდეგაც, თორემ ჩვენი მეშჩანურ-ობივატელური სკანდალები, ვინ რა თქვა და ვინ როგორ შეურაცხყო მავანი, ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება-მოღვაწეობის პროვინციული ხასიათის დამადასტურებელია მხოლოდ.**
**ეგ იქით იყოს!**
**დღეს სტაბილიზაცია-დესტაბილიზაციის მანომეტრი იმ დონის დესტაბილიზაციისკენ არის გადახრილი, რომ ქარიშხალი ჰა და ჰა დაატყდება მსოფლიოს: ამერიკანიზებული „დრანგ ნახტ ოსტენ!“ („შეტევა აღმოსავლეთისკენ“).**



დაარტყამს თუ არა ამერიკა სირიას ამ ახლოაღმოსავლურ ქვეყანაში მასობრივი მოწამვლის იარაღის გამოყენების გამო?

ვინ გამოიყენა: ხელისუფლებამ, ანუ ბაშარ ასადის რეჟიმმა თუ მეამბოხეებმა, ჯერ ვერ დაუდგენიათ, მაგრამ ობამა ირწმუნება, რომ, აშშ-ის დაზვერვის მონაცემებით, ოფიციალურმა დამასკომ გაიმეტა თავისი მოქალაქეები.

ასადი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

ზემოთ ნახსენები სკანდალი, რომელიც შტატებში დატრიალდა, დღევანდელ ვითარებაში წამოჭრილ ბევრ კითხვაზე, პასუხის გაცემად თუ არა, მინიშნებად შეიძლება გამოდგეს: **ქვეყანა, რომელშიც ატომური იარაღი იკარგება, რასაც აშშ-ის მასმედია უმაღლეს დონეზე ღალატად მიიჩნევს, რომელშიც ჩათრეულია შეიარაღებული ძალების ყველა დონის ხელმძღვანელობა, პრეზიდენტის ჩათვლით, არ უნდა გაგვიკვირდეს, ყველა უბედურების თავი და თავი რომ იყოს.**

მათ შორის — ქიმიური იარაღის გამოყენების პროვოცირებით ახლოაღმოსავლეთის თეატრში მორიგი სისხლისმღვრელი ტრაგედიის დაწყების.

**ამერიკა აღმოსავლეთის ქვეყნებს ახალი ტიპის კოლონიებად გადაქცევით ემუქრება.**

**მიზანი — ერთპოლუსიანი მსოფლიოს პოზიციების განმტკიცება და მსოფლიო ენერგოშემცველებზე აშშ-ის სრული კონტროლის დაწესება, უფრო ზუსტად, მიტაცება.**

იყო დრო (და არცთუ დიდი ხნის წინათ), როცა აშშ-ის ადმინისტრაცია ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებულ მილიტარისტულ გამოხდომებს ოფიციალური განცხადებებითა და მასმედიით გავრცელებული დეზინფორმაციის მეშვეობით ამართლებდა — **თითქოს ეს იყო სირია-ირან-ჩრდილოეთ კორეის რაღაც ღერძის თუ ალიანსის მიერ ბირთვული იარაღის ტექნოლოგიების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიება.**

ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, ბირთვული უპირატესობის მიღწევა აშშ-ის შეიარაღებული ძალების უმთავრესი მიზანი იყო. საამისოდ აუცილებელ და ურთიერთდაკავშირებულ პროცესებად მიჩნეული იყო კოსმოსის მილიტარიზაცია, „რაკეტული ფარი“, კონფლიქტები ატომური იარაღის გამოყენებით.

**მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის მომიზეზებით, ამერიკა შეიჭრა ერაყში და აღმოჩნდა, რომ მსგავსი არაფერი არსებობდა მესოპოტამიაში.**

**სახეზე იყო ფიასკო: ბირთვული იარაღის დაშინებით იდეის დევალვაცია.**

ამიტომ ამჟამად ახალი საშიშროება გამოიტანეს „ავანგარდულ მიზეზად“ — მომწამვლელი ნივთიერებანი, რომლებითაც ასობით ადამიანი დახოცეს სირიაში ან „ამათ“, ან „იმათ“.

გაეროს ექსპერტები, როგორც იქნა, შეუშვა ასადმა დაზიანებულ რაიონში და იმათაც აღებული ნიმუშები გამოსაკვლევად წაიღეს სპეციალურ ლაბორატორიებში.

და სანამ დრო გვაქვს, გავიხსენოთ ატომური ბომბების დაკარგვის ისტორია.

### გულგრილი დაცვა თუ საიდუმლო სპეცოპერაცია?

გავრცელებული ინფორმაციით, **ექვსი ბირთვული ქობინი №80-1, რომლებითაც აღიჭურვება მფრინავი რაკეტები AGM-129, 36 საათის განმავლობაში აშშ-ის მთელი ტერიტორიის გადაკვეთით**

**ბირთვული იარაღის გადაადგილება შესაბამისი ნებართვების გარეშე შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში დოკუმენტების წინასწარგანზრახული ფალსიფიცირება და გადაადგილების პროცესებით მანიპულირება წარმოუდგენელია**

**მაინოტის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან ჩრდილოეთ დაკოტაში ბარკსდეილის ბაზამდე ლუიზიანაში გადაიტანეს და... დაკარგეს.**

ოფიციალური მონაცემებით, მფრინავებმა არ იცოდნენ(!), რომ ბომბდამშენებით გადაჰქონდათ მასობრივი განადგურების იარაღი, ამიტომ, როგორც კი ჩავიდნენ ლუიზიანაში, ბაზაზე სპეციალური დაცვის გარეშე, ფაქტობრივად, სრულიად უყურადღებოდ მიატოვეს ბირთვული იარაღი ასაფრენ ზოლზე რამდენიმე საათის განმავლობაში.

ამ დროის მანძილზე, ბომბების კი არა, თვითმფრინავების მოპარვაც შეიძლებოდა.

მოპარვა თუ სპეცოპერაციის ჩატარება, პილოტების უყურადღებობის თუ რეალური სიტუაციის არცოდნის ლეგენდის საფარქვეშ?

**სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობის კომენტარით, ადგილი ჰქონდა „პროცედურული შეცდომების უპრეცედენტო სერიას, რომლითაც გამჟღავნდა იარაღთან ურთიერთობის წესების დაცვის ეროზია“.**

მაგრამ, სპეციალისტების მტკიცებით, **დაუდევარი დაცვა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში პროცედურული გულგრილობის შედეგი კი არ იყო, არამედ ამ პროცედურების შეგნებული და თანმიმდევრული მანიპულაციით განხორციელებული ოპერაციის შემადგენელი ნაწილი.**

ამ პოზიციას აშშ-ის პრესა დეტალურად ასაბუთებს:

ჯარისკაცმა, საზღვაო ქვეითმა, მფრინავმა და მეზღვაურმა თუნდაც თოფის მისაღებად, ანუ იარაღის, რომელსაც შეუდარებლად ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ნაკლებ საშიშია და გაცილებით იაფია, ვიზირების მკაცრი წესები უნდა გაიაროს, რაც გულისხმობს ბრძანების გაცემისა და დოკუმენტების ბრუნვის გრძელ ჩამონათვალს. შემოწმებისა და აღრიცხვის სამხედრო სისტემის ეს ნაწილი აშშ-ის შეიარაღებული ძალების ყველა სამსახურში აუცილებლად სრულდება.

**მით უფრო მკაცრია ეს მოთხოვნები ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით. ამ სფეროში სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ ის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც ატესტირებულნი არიან ამ სპეციფიკური პროცედურების შესასრულებლად.**

ნებისმიერი სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც დავალებული აქვს ბირთვული იარაღის გადაადგილება, ვალდებულია, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტს, მასვე ეკისრება სრული პასუხისმგებლობა. აუცილებელი დოკუმენტები უნდა შეავსონ ოფიცრებმა, ბაზების მეთაურების ჩათვლით, რომლებმაც შესაბამისი განკარგულება გასცეს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ბირთვული იარაღის გადაადგილება შესაბამისი ნებართვების გარეშე შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში დოკუმენტების წინასწარგანზრახული ფალსიფიცირება და გადაადგილების პროცესებით მანიპულირება წარმოუდგენელია.**

**სტრატეგიული ბომბდამშენები, რომლებიც აღჭურვილია ბირთვული იარაღით, ვერ აფრინდება უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელებისა და ბაზის მეთაურის ნებართვის გარეშე.**

**დაკარგული ქობინების შემთხვევაში ბრძანებები გაცემული იყო და გაფრენაც — ნებადართული.**

თავისთავად იბადება შეკითხვა: **თუ ის, რაც მოხდა, პროცედურული შეცდომაა, მაშ, რომელ სამხედრო-პოლიტიკურ მიზანს ისახავდა ის, ვინც ბრძანებებს გასცემდა?**

„საკითხავი, აი, ეს არის“.

და ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად **„მილიტარი ტაიმსს“** მკითხველები თანდათან მიჰყავს ლოგიკური დასკვნის მისადგომებთან.

**რობერტ სტორმერმა, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილმა კაპიტან-ლეიტენანტმა,** შექმნილი სიტუაციის კომენტირებისას თქვა: **„პრესაში გავრცელებული ცნობები თავდაპირველად აქცენტირებული იყო სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ დაშვებულ შეცდომაზე, რის შედეგადაც ბირთვული იარაღით აღჭურვილმა ბომბდამშენებმა გადაიფრინეს შეერთებული შტატების თავზე, რითაც დაარღვიეს სამხედრო-საჰაერო ძალებში მოქმედი ბრძანებები და საერთაშორისო შეთანხმებები. ამასთან, სრულად გამორჩათ გაცილებით სერიოზული საკითხი — როგორ მოხდა, რომ ექვსი მფრინავი რაკეტა ბირთვული ქობინებით დაიკარგა?“**

სტორმერმა ფარდა ახადა პენტაგონისეულ მცდელობას მიეჩუმათებინა მომხდარი უპრეცედენტო ფაქტი. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბირთვული იარაღის დაცვის წესების დარღვევას, რომლებიც არაორაზროვანი, ზუსტია და დაეჭვების საბაბს არ იძლევა: **„დაცვას (ატომური იარაღისას) უფლება აქვს, გახსნას ცეცხლი მოსასპობად ატომური იარაღის მიმართ ნებისმიერი საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში, მისი მოპარვის მცდელობის ჩათვლით“.**

ამასთან, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ **არავის ძალუძს შეუმჩნევლად გადააადგილოს რაკეტა, რომელიც ერთ ტონას იწონის, მით უფრო, როცა ასეთი რაკეტა ექვსია.**

აბა, რა მოხდა?

მოხდა კი ის, ირწმუნება ამერიკული პრესა, რომ ყველასთვის, ვინც ამ „გაუგებარ“ მოვლენებს თვალს ადევნებს, ნათელია: **აშშ სახელმწიფო მართვის საჭესთან დგას დამნაშავეთა მთავრობა, შეუძლებელია ექვსი ბირთვული რაკეტის შეცდომით აღჭურვა, მით უფრო, რომ ქობინების, რომლებიც ცალკე ინახება, მათზე დაყენება შეუძლია მხოლოდ ამ მნიშვნელოვან საქმეში სპეციალურად განსწავლულ და დაოსტატებულ ადამიანებს.**

როცა აცხადებენ, რომ მაინოტსა და ბარკსდეილის ბაზებზე სამხედრო პერსონალმა „მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები“ დაუშვა, სადაა იმის გარანტია, რომ სხვა ბაზებზეც ასევე არ „შეცდებიან“?!

არადა, **კონტროლის სისტემაში, რომელიც პრაქტიკულად აბსოლუტურია, ჩართულია აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია.** ეს კონტროლი, რომელიც K-2 კოდითაა დაშიფრული, არის ბრძანებების ხაზი, რომელიც თეთრ სახლთანაა დაკავშირებული. **მის გარეშე წარმოუდგენელია ბირთვული იარაღის გაშლა ან დატენვა,** ▶

**თავის დროზე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი დიკ ჩეინი ფიქრობდა, ეთხოვა ისრაელისთვის, სარაკეტო დარტყმა მიეყენებინა ბირთვული ობიექტისთვის ნათანზში. ჩეინი ვარაუდობდა, რომ ირანის მხრიდან საპასუხო დარტყმის შემდეგ შეერთებულ შტატებს საკმარისი მიზეზი ექნებოდა ირანზე მასობრივი შეტევის განსახორციელებლად. მაგრამ ისრაელის ირანზე თავდასხმის ბრძანების გაცემა შეიცვალა სირია-ირან-ჩრდილოეთ კორეის ვითომდა არსებულ ერთობლივ ბირთვულ დანადგარზე ჩრდილოეთ სირიაში დარტყმის მიყენების ჩანაფიქრით.**

დემოკრატიის სახელით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ტოდ ბლუ


ჯონ ფრუ


კლინტ ჰაფი


ადამ ბარსი


ჩარლზ რაიჩერსი


რასელ დოფერტი

◀ანუ ის, რაც სამხედრო-საჰაერო ძალების მაინოტის ბაზაზე მოხდა.

ამასთან, თავდაცვის სამინისტროს საშუალება აქვს, თვალი მიადევნოს ბირთვული იარაღის ადგილსამყოფელს „აკვნიდან საფლავამდე“, ანუ „შექმნის მომენტიდან უტილიზაციამდე“.

ამიტომაა, რომ **„მილიტარი ტაიმსი“** ხაზგასმით აღნიშნავს: **ოფიციალური ვერსია სიცრუეა და ის, რაც მოხდა, არ არის მხოლოდ შეცდომა. „თავდაცვის სამინისტროს აქვს თვალთვალის კომპიუტერიზებული სისტემა იმის დასადგენად, თუ სად არის მისი თითოეული ბირთვული ქობინი“, — ამბობს ჰანს კრისტინსენი, ამერიკელი მეცნიერების ბირთვული ინფორმაციის ფედერაციის პროექტის დირექტორი.** ექვსი ბირთვული ქობინი ბომბდამშენ B-52-ზე რომ დააყენონ, თითოეული უნდა გამოიწერონ შენახვის ბუნკერიდან და გადაიტანონ თვითმფრინავთან.

ამის შეუმჩნევლობა, გამორიცხულია.

## საიდუმლო დალუქვების რიგი

**არა არს საიდუმლო, რომელიც არ გამჟღავნდების, რადგან მაქსიმალურად გასაიდუმლოებული ფაქტიც კი ადამიანებთან არის დაკავშირებული. ეს ცნობილია. ამიტომ, როგორც წესი, ამგვარი საიდუმლოს დაცვა ადამიანების გაუგებარ და აუხსნელ გაქრობასთან არის დაკავშირებული.**

არ არის ადამიანი — საიდუმლოების დაცვაც გარანტირებულია.

ასე თუ ისე...

**რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა საიდუმლო ვითარებაში ინციდენტის გამჟღავნებამდე ცოტა ხნით ადრე და მის შემდეგაც. ლაპარაკია იმ ადამიანებზე, რომელთაც ასე თუ ისე ჰქონდათ შეხება ინციდენტთან ან უშუალოდ მასში იყვნენ ჩართულნი.**

ეს სავარაუდოა, რადგან არ არსებობს კონკრეტული სამხილები იმისა, რომ ეს ტრაგიკული შემთხვევები უშუალოდაა დაკავშირებული მაიტონიდან ბარკსდეილში გადაფრენასთან.

გაქრნენ ისევე, როგორც უსამა ბენ ლადენის ლიკვიდაციის მონაწილე სამხედროების უმრავლესობა.

შემთხვევითობაა თუ ერთი ხელწერა?

ზუსტად არავინ არაფერი იცის, რადგან, როგორც კანონიერი მთავრობისთვის ბრძოლის მოქალაქეთა საზოგადოება აღნიშნავს, **აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში მალავენ, რომ გარდაცვლილები დაკავშირებულნი იყვნენ ინციდენტთან.**

რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ამოკრეფილია რიგი წყაროებიდან სამხედრო საინფორმაციო საშუალებების ჩათვლით:

**ტოდ ბლუ — ავიაციის პირველი კლასის რიგითი.** გარდაიცვალა შვებულებაში ყოფნისას, როცა თავის ოჯახში ჩავიდა ვიტვილში (ვირჯინია). 20 წლის. მე-5 რაზმი, რომელშიც ირიცხებოდა, აკონტროლებდა ბაზაზე უცხო პირების დაშვებას, შეიარაღების დაცვის სისტემას, აშშ-ის საკუთრების არასანქცირებულ გადაადგილებას;

**ჯონ ფრუ — სამხედრო-საჰაერო ძალების კაპიტანი.** მკვდარი იპოვეს ვაშინგტონის შტატში ცარიელ მანქანასთან, რომელიც დაქირავებული ჰქონდა. იგი იყო აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების ძებნისა და გადარჩენის სპეციალისტი. მისი სიკვდილი ბადებს ეჭვს, თუ რატომ არ გამოიძია ეს შემთხვევა თვით სამხედრო-საჰაერო ძალებმა და საქმე პოლიციას დაუთმო, რაც ყოვლად წარმოუდგენელია მოქმედი წესებით;

**კლინტ ჰაფი — უფროსი რიგითი,** რომელიც ცოლთან ერთად ავტოკატასტროფაში დაიღუპა, სამხედრო მეტეოროლოგი იყო. დანაყოფი, რომელშიც იგი მსახურობდა, ეკუთვნოდა 26-ე ოპერატიულ-მეტეოროლოგიურ რაზმს, რომელიც ფრენების ნებართვას გასცემდა;

**ვესტონ კაისელი — პირველი ლეიტენანტი, B-52X „სტრატოფოტრესის“ მფრინავი,** დაიღუპა მოტოციკლეტით ავარიაში, ტენესიში, მაშინ, როცა ორ თვეზე ნაკლები იყო დარჩენილი ბირთვული იარაღით აღჭურვილი B-52X-ის გაფრენამდე. იგი მაინოტში მსახურობდა.

მაინოტის ბაზიდან იყო **უფროსი რიგითი ადამ ბარსიც**, რომელიც მოტოციკლით მგზავრობდა, **სამხედრო-საჰაერო ძალების პირველი კლასის რიგითთან, სტეფან გარეტთან,** ერთად. ისიც მაინოტის ბაზაზე მსახურობდა.

## დაკარგული ბომბები და ირანზე თავდასხმის გეგმები

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ფუნქციონერი **ჩარლზ რაიჩერსი, თადარიგის ოფიცერი და ოსტატი-ნავიგატორი,** ასევე გარდაცვლილი იპოვეს. იგი ითვლებოდა სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი აღმასრულებელი სამსახურის წევრად, იყო

## რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა საიდუმლო ვითარებაში ინციდენტის გამჟღავნებამდე ცოტა ხნით ადრე და მის შემდეგაც. ლაპარაკია იმ ადამიანებზე, რომელთაც ასე თუ ისე ჰქონდათ შეხება ინციდენტთან ან უშუალოდ მასში იყვნენ ჩართულნი



სამხედრო-საჰაერო ძალების შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე.

სავარაუდოდ, მან თავი მოიკლა, რაშიც დაეჭვდა **„ვაშინგტონ პოსტი“**, რომლის პუბლიკაციაში პირდაპირ იყო თქმული, რომ იგი მოკლეს, რადგან მონაწილეობდა ზემოთ მითითებულ სისტემაში არსებულ გაფლანგვებსა და თაღლითობაში.

მაგრამ **ანალიტიკოსები, რომლებიც დაზვერვის პრობლემებზე მუშაობენ, მიიჩნევენ, რომ ჩარლზ რაიჩერსის თვითმკვლელობა იყო მცდელობა, გადაეფარათ მისი მკვლელობა, რომელიც განხორციელდა იმის გამო, რომ იგი დაკავშირებული იყო ბირთვული იარაღით აღჭურვილი თვითმფრინავების გადაფრენასთან აშშ-ის თავზე.**

გაზეთმა **„პრავდამ“** კი ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა: **„რუსეთის დაზვერვის ანალიტიკოსებმა განაცხადეს, რომ აშშ-ის ომის პარტიის ლიდერებმა მოაწყვეს სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთი თავიანთი უმაღლესი ფუნქციონერის, ჩარლზ რეიჩერსის, „თვითმკვლელობა“ იმ დროს, როცა მათი უთანხმოება უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობასთან ირანზე ატომური დარტყმის განხორციელებასთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, აშკარა დაპირისპირებაში გადაიზარდა“.**

იტყობინებოდნენ, რომ ინციდენტი დაკავშირებული იყო ბირთვული იარაღის ქურდობის მცდელობასთან ირანთან ომის დასაწყებად.

როგორც ჩანს, ეს შემთხვევა არის იმ ოპერაციის ნაწილი, რომელსაც უმალავენ სამხედროების უმრავლესობას და სრულიად საიდუმლოდ ინახავენ.

**აღნიშნული ოპერაცია ვერ ჩატარდებოდა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და პენტაგონის ერთზე მეტი უმაღლესი ეშელონის მონაწილეობის გარეშე.**

**ერთადერთი საშუალება სამეთაურო ჯაჭვის გვერდის ასავლელად შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როცა „ყველაზე მაღლა ხარ“.**

სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობამ კი დაადასტურა, რომ „შეცდომა“ დაუშვა, მაგრამ ის ფაქტი, რომ სამოცდაათზე მეტი სამხედრო მოსამსახურე დაისაჯა „დაკარგული“ ბირთვული იარაღის საქმესთან დაკავშირებით, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ უფროსი მეთაურები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ სპეციალური ოპერაციის ჩატარებაზე, გამოვლენილნი და დასჯილნი არიან. **ის სამხედრო მოსამსახურენი კი, რომლებიც ტრიბუნალის წინაშე წარსდგნენ, განტევების ვაცები აღმოჩნდნენ, რომლებმაც საბოლოო ჯამში დაიფარეს ნამდვილი მოღალატენი.**

ამერიკელი ჟურნალისტები თავისი ალოგიკურობით გაუგონარ ფაქტზე საუბრისას იხსენებენ ჯორჯ ორუელს: **„საყოველთაო სიცრუის დროში სიმართლის თქმა რევოლუციურ აქტად წარმოდგება“.**

სიმართლე კი ისაა, რომ **აშშ-ის ორი მთავარი პარტიის რომელი წარმომადგენელიც გინდა გახდეს შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ამ ქვეყნის სიუზერენული მისწრაფებანი არც იცვლება და არც ცხრება.** თუ ბუში უმცროსის ხისტი საგარეო პოლიტიკა კოვბოური მიხდომის ხასიათს ატარებდა, ობამას პოზიცია, ერთი შეხედვით რბილია, მაგრამ არსობრივად იგივეა — ლაშქრობა აღმოსავლეთზე, რომელიც მდიდარია (ჯერჯერობით მაინც) ენერგოშემცველებით. შეადარეთ ბუშის თავდასხმა ერაყზე და ობამას მზადება სირიაზე თავდასასხმელად.

ანალიტიკოსები ამ შემთხვევაში ერთ მომენტს გამოყოფენ განსაკუთრებით: რა აქვთ საერთო ყოფილ იუგოსლავიას, ერაყსა და სირიას? არც ერთს არ გააჩნია ბირთვული იარაღი.

ჩრდილოეთ კორეას აქვს.

ირანს შეიძლება ჰქონდეს.

ამიტომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომლებიც პროამერიკულ პოლიტიკას არ განახორციელებენ, იარაღის ძალით იმორჩილებენ, რადგან მათ ადეკვატური პასუხის გაცემა არ შეუძლია.

ჩრდილოეთ კორეას აქვს. არ აიტკივებს აშშ თავს კორეაზე თავდასხმით.

ირანს — ვაი, თუ ჰქონდეს! არ ღირს გარისკვად. თუმცა როგორც „ნიუსუიკი“ იტყობინებოდა, **თავის დროზე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი დიკ ჩეინი ფიქრობდა, ეთხოვა ისრაელისთვის, სარაკეტო დარტყმა მიეყენებინა ბირთვული ობიექტისთვის ნათანზში. ჩეინი ვარაუდობდა, რომ ირანის მხრიდან საპასუხო დარტყმის შემდეგ შეერთებულ შტატებს საკმარისი მიზეზი ექნებოდა ირანზე მასობრივი შეტევის განსახორციელებლად.** მაგრამ ისრაელის ირანზე თავდასხმის ბრძანების გაცემა შეიცვალა სირია-ირან-ჩრდილოეთ კორეის ვითომდა არსებულ ერთობლივ ბირთვულ დანადგარზე ჩრდილოეთ სირიაში დარტყმის მიყენების ჩანაფიქრით.

ბირთვული იარაღის მომიზეზებით თავდასხმების მოდა გადავარდა, არ შეცვლილა სამიზნე, როგორც ვთქვით, სირია რჩება აშშ-ის სამიზნედ, ამჯერად მომწამვლელი ნივთიერების გამოყენების ბრალდებით.

ჩვენ რა?

ჩვენ ის, რომ **მალე დადგება დრო, როცა წყალი ნავთობზე ძვირი გახდება და მოგვადგებიან. რომელი ატომური ქოლგა ჩვენ გვაქვს, თავი რომ დავიცვათ და, ღმერთმა არ ქნას, საქართველოში განმეორდეს ან იუგოსლავიის, ან ავღანეთის, ან ერაყის, ან სირიის ვარიანტი.**

ან შეიძლება იმ დროისთვის კიდევ „დაიკარგოს“ შეერთებული შტატების ბირთვულქობინიანი მფრინავი რაკეტები...

არ დაკარგულა თუ რა?

**არმაზ სანებლიძე**

ეროვნება არ აქვს მხოლოდ ცხოველს

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაცია უდიდეს გავლენას ახდენს კულტურული გლობალიზაციის ფორმირების პროცესზე. ამასთან, თუ ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის პროცესები დროში ძირითადად თანხვდება ერთმანეთს, კულტურული გლობალიზაციის ფორმირება მათ დროში აუცილებლად ჩამორჩება, უფრო გვიან მოხდება... კულტურული გლობალიზაცია თავისთავად უკვე ეროვნულობის გაქრობას, ეროვნულობის ყოველგვარი ნიშანწყლის მოსპობასაც ნიშნავს.**



# ვინ ვართ ჩვენ და რას ნიშნავს, იყო ქართველი

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

თქვენი გაზეთის სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ მის სპეციალურ ინტერესს წარმოადგენს საქართველოს და მსოფლიოს პრობლემათა ურთიერთობის სფერო. ამასთან დაკავშირებით მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ, მცნება „ქართველის“ განსაზღვრაში. მცნება „ფრანგის“ განსაზღვრის დისკუსია რამდენიმე წლის წინათ წამოიწყეს საფრანგეთში... ისრაელში ყოფნისას შემექმნა შთაბეჭდილება, — ჩვენი ებრაელი კოლეგები შეწუხებულნი არიან იმის გამო, რომ იუდეველობა ავტომატურად ნიშნავს ებრაელობას...

მე ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მქონია ურთიერთობა სხვადასხვა ერის წარმომადგენლებთან და, ალბათ, ამიტომაც ვერც ერთ ერს (თუ ეთნოსს) სხვა ერზე „დაბლა“ ან „მაღლა“ ვერ დავაყენებ. კარგად მესმის, რომ ზულუსი შეიძლება ძალიან განაწყენდეს, თუ მას ქართველს დაუძახებენ. ალბათ, იმიტომ, რომ ზულუსი ზულუსია, ქართველი — ქართველი. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივად იბადება კითხვა: რით განსხვავდება ქართველი ზულუსისგან, რა მინიმალურ მონაცემებს უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდი, რომ იყოს ქართველი და არა ზულუსი? საკითხი გენეტიკოსების, ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ხელოვანთა, პოლიტიკოსების განსახილველია, თუ მცნების განსაზღვრისთვის საკმარისია გენეტიკის სპეციალისტების აზრი?

ახლახან ambebi.ge-ზე გამოქვეყნდა ინტერვიუ კამერუნელ მიტერან იემენთან, რომელიც აცხადებს, ბაკურიანში 4 წლის ცხოვრების შემდეგ, მე უკვე თითქმის ქართველი ვარო. აპირებს გორელი ცოლის მოყვანას, „და ნახევრად ქართველი შვილები შეგვეძინება“.

ამ კამერუნელმა მიტო ჭავჭავაძე დაირქვა.

რამდენად რეალისტური შეიძლება იყოს მიტერან იემენის-მიტო ჭავჭავაძის გაქართველება?

თუ არა, რატომ?

ასეთი შემთხვევა არა ერთი და ორია.

პატივისცემით,

**გელა ლეჟავა,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**პროფესორ გელა ლეჟავას მიერ დასმული საკითხი ფრიად აქტუალური და პრობლემურია. რედაქციამ გადაწყვიტა, დაიწყოს დისკუსია ამ თემაზე და საკუთარი აზრის გამოსათქმელად მოიწვია ცნობილი ქართველი დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე. ამასთან, ვთხოვთ ყველა დაინტერესებულ პირს, უწინარესად, ქართველ მეცნიერებს, პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს, კულტურის მოღვაწეებს, მონაწილეობა მიიღონ ამ დისკუსიაში. პრობლემა საინტერესო ჩანს.**

**ადამიანი იმ ეროვნებას ეკუთვნის, რომელი ეროვნების ცნობიერებაც გააჩნია. გამონაკლისი არც ქართველია. ქართველია ყველა, ვისაც ქართული ცნობიერება აქვს. ისტორიულად ქართული ცნობიერება სოფელში ჩამოყალიბდა. ქართულმა სოფელმა განსაზღვრა ქართული ცხოვრების წესი, უძველესი კულტურა და მდიდარი ტრადიციები, ყოფაქცევის ნორმები, ადათები, რიტუალები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მდიდრდებოდა და რომლებმაც საბოლოოდ ქართველი ხალხის ფსიქიკურ წყობასა და ერთობაში იჩინა თავი.**

უხსოვარი დროიდან ხდება ქართული ცხოვრების წესის ჩასახვა და განვითარება, დაკვირვების, გამოცდილების საფუძველზე ადათების, ქცევის ნორმების, ტრადიციების თანდათანობით ფორმირება. მათ განვითარების უაღრესად ხანგრძლივი გზა გაიარეს და ჩვენამდე მოაღწიეს დახვეწილი სახით. შეიქმნა სრულყოფილი ტრადიციები, რომლებმაც ასახვა ჰპოვა ქართველი კაცის ხასიათში, მის ქცევაში, მშობლებისა და ქალისადმი დამოკიდებულებაში, შრომაში, პატივისცემაში, ჭირისა და ლხინის გაზიარებაში, ძმობასა და მეგობრობაში, სიყვარულში, ოჯახის სიწმინდის დაცვაში, სტუმარ-მასპინძლობაში, გარდაცვლილთა პატივისცემასა და ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროებში, რისთვისაც ღირს ერის და, საერთოდ, ადამიანის სიცოცხლე.

**ტრადიციები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა, მთელი ხალხის კუთვნილება ხდებოდა. ჩვენი ეროვნულობა ჩვენს შრომისმოყვარეობას, სულიერი ცხოვრების განუმეორებლობას, ორიგინალობასა და ინდივიდუალურობას ეფუძნება.**

ისტორიულად ქართველი კაცის ცხოვრებაში, მისი ცნობიერების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ ჩვენ მიწათმოქმედი ხალხი ვიყავით. ამან გაამდიდრა, უფრო სრულფასოვანი გახადა ჩვენი ეროვნული ცნობიერება და გაამძაფრა ქართული მიწის სიყვარული. ამიტომ არის, რომ ჩვენი უძველესი ლიტერატურული ძეგლები, ხალხური ზეპირსიტყვიერება სამშობლოს სიყვარულის არნახული გამოვლინებით არის სავსე. ძნელად თუ მოიპოვება სადმე პარალელი იმ დიდი შინაგანი განცდისა, რომელსაც გრძნობს VIII საუკუნის მოღვაწე იოანე საბანისძე თავისი ქვეყნის, თავისი ერის უმძიმესი მდგომარეობის გამო. კერძოდ, VIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში არაბებისა და სპარსელების მოზღვავებაა. დიდი მამულიშვილი იოანე საბანისძე ხედავდა, რომ აღარ „იყო ზრუნვა სულიერი“ და უცხო ტომისა და ხალხის მოძალების ჟამი იდგა, ქართველ ხალხს აშკარად გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა. ამ საფრთხესა და გადაგვარების გზაზე დამდგარ ელემენტებს იოანე საბანისძემ „ლონეი სიტყვისაი“ დაუპირისპირა: **„აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესაგან... სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა“.** მან გამოაფხიზლა ქართველი ხალხი და საკუთარი სახის დაკარგვის მოსალოდნელი საშიშროება დაანახა. მრავალი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება ჩვენი წარსული ცხოვრებიდან.

**ადამიანებს ყოველთვის ამოძრავებდათ საკუთარი კუთხის, სამშობლოს მიწა-წყლის სიყვარული. მის დასაცავად სიცოცხლესაც არ იშურებდნენ.** ცნობილია, რომ დიდი პოლონელი კომპოზიტორის, შოპენის, ანდერძის თანახმად, პარიზიდან მისი გული ვარშავაში გადაასვენეს.

სამშობლოს სიყვარულმა დიდი და პატარა ქვეყნები არ იცის. სამშობლოს სიყვარულის განზოგადებული მაგალითი მოჰყავს გამოჩენილ დაღესტნელ პოეტს, **რასულ გამზათოვს,** თავის შესანიშნავ წიგნში **„ჩემი დაღესტანი“:**

**„დე, მაპატიონ ინდოეთის პაგოდებმა, ეგვიპტის პირამიდებმა და იტალიის ბაზილიკებმა, მაპატიონ ამერიკის ავტოსტრადებმა, პარიზის ბულვარებმა, ინგლისის პარკებმა და შვეიცარიის მთებმა, მაპატიონ პოლონელმა, იაპონელმა და რომაელმა ქალებმა — თუმცა, ვტკბებოდი თქვენით, გული მაინც მშვიდად ცემდა; ხანდახან ოდნავ თუ ამიჩქროლდებოდა, ისე კი არა, რომ ყელი გამშრომოდა და თავბრუ დამხვეოდა.**

**ახლა კი, კლდეების ფერხთით შეყუჟული სამოცდაათი ქოხი დავლანდე, რატომ შემიქანდა გული ისე ძალუმად, რომ ნეკნებში გამიარა მწველმა ტკივილმა, თვალთ დამიბნელდა, თავბრუ დამეხვა, თითქოს მთვრალი ვიყო ან ავადმყოფი?**

**ნუთუ დაღესტნის პატარა აული ვენეციაზე, ქაიროსა და კალკუტაზე უფრო მშვენიერია? ნუთუ ბილიკზე მიმავალი ზურგზე ფიჩხმოკიდებული ხუნძი ქალი უფრო მშვენიერია, ვიდრე მაღალ-მაღალი, ოქროსფერთმიანი სკანდინაველი?**

**ცადა, დავეხეტები შენს მინდვრებში და დილის ცივი ცვარი მისუსხავს დამაშვრალ ფეხებს. მთის ნაკადულები რაა, წყაროს წყალს ვისხურებ პირზე... შენ წყარო ხარ, ცადა, მუხლებზე გიჩოქებ და მხურვალე ბაგეებით გეწაფები“.**

აი, ეს არის ის, რასაც ადგილის დედის, შენი სამშობლოსა და ერის სიყვარული ჰქვია და, თუ კაცი, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, ან ჭკუანაკლები არ არის, ან რომელიმე პარტიის პროგრამით ხელფეხშებორკილი, არ შეიძლება ამ სიყვარულს რაიმე შეუტოლოს, იგი უსაზღვრო და უნაპიროა.

ახლა საკითხავია, VIII და უფრო ადრინდელი საუკუნეებიდან დაწყებული, XXI საუკუნემდე რა შეიცვალა სამშობლოს სიყვარულში? — არაფერი. მხოლოდ 2004 წლიდან 2013 წლამდე „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლება თავისი ინსტიტუტებით თავგამოდებით ცდილობდა ამ გრძნობის ჩაკვლას, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებში. ჩნდება კითხვა: **რატომ ჩავუკალით ჩვენს ახალგაზრდობას ქვეყნის მომავალზე ზრუნვისთვის ფიქრი? რატომ ვთავაზობდით მათ ასე მონდომებით ქუჩის კონცერტებს, სამარცხვინო, ადამიანური ღირსების, ქართული სულიერებისგან დაცლილ შოუებს?**

რატომ უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების წესის განმსაზღვრელი, ცალ ყურზე საყურედაკიდებული და სპეციალურად თმააბურძგნილი ვინმე ნიკა გრიგოლია, რომელსაც სოფელ ძლოურდანეთშიც კი ზიზღის გარეშე არავინ უყურებს, ან ამ ანდღულაძეებს, ფხაკაძეებს და სხვა მათ მსგავსებს რატომ ეძლევათ გასაქანი? რატომ გვიდგენენ ჩვენი ცხოვრების წესს თეძოებით მოაზროვნე მოდელები და ჰოლივუდის უწიგნური მსახიობები? და კიდევ რამდენი „რატომ“ შეიძლება ითქვას. **ყველაფერი ეს ხელისუფლებას სჭირდებოდა, რათა ახალგაზრდობა დაეყვანა პრიმიტიულ აზროვნებამდე, იმ მდგომარეობამდე, როცა ინგრევა და მახინჯდება ახალგაზრდობის ფსიქიკა, როცა მას აღარ აინტერესებს სამშობლოს ბედ-იღბალი, ეროვნული ღირებულებები, ოჯახი და ხდება ზნეობრივად გაღარიბებულ სამყაროში მცხოვრები პიროვნება, რომლის მართვაც ადვილია.** რა ცოდვა ჩავიდინეთ ისეთი, რომ ახლაც კი თუთბერიძეებს, დარჩიაშვილებს, წიკლაურებს, გაბაშვილებს, თარგამაძეებს, ავალიანებს, ჯაფარიძეებს, ოჩიაურებს და მათ მსგავს ფინთიკოზებს უნდა ვუსმინოთ? ვაი, საცოდავო ჩვენო ხალხო!

**ეროვნულობა, უპირველეს ყოვლისა, სულიერი კულტურის სფეროში უნდა ვეძებოთ. აქ იჩენს იგი ყველაზე მეტად თავს თავისი წარსულით, აწმყოთი და, თუ გნებავთ, მომავლით. ეროვნული სულიერება განუმეორებელი და დამოუკიდებელი ფენომენია, რომელშიც ასახულია ერის მთელი წარსული ცხოვრება თავისებურებებითა და სიდიადით.**

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში, როდესაც გლობალიზაციამ, წარსული საუკუნეებისგან განსხვავებით, მართლაც გლობალური მასშტაბები მიიღო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უცერემონიოდ შეიჭრა, განსაკუთრებით მცირერიცხოვან ქვეყნებს თავსატეხი გაუჩინა. გლობალიზაციის პროცესი ერთიანობაში მოიცავს პოლიტიკასაც, ეკონომიკასაც და კულტურასაც.

პოლიტიკის გლობალიზაცია მაინც უდიდესი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებით ფორმირდება. მსოფლიო პოლიტიკას ისინი წარმართავენ და ჩვენ თავი არ უნდა მოვიტყუოთ, რომ რაიმე, თუნდაც მცირეოდენი, წვლილის შეტანა შეგვეძლოს მსოფლიო პოლიტიკაში. ნატოშიც მაშინ გავწევრიანდებით, როცა ამას რუსეთი, ამერიკა და დასავლეთის ქვეყნები ჩათვლიან საჭიროდ და მაშინაც ჩვენ ბევრს არაფერს შეგვეკითხებიან. მაპის მონიჭება ან ჩვენი ასპირანტ ქვეყნად დასახელება თავის შექცევაა და მეტი არაფერი. ბალტიისპირეთის ქვეყნები, დიდი ხანია, მიიღეს ნატოში, მაგრამ იქ სხვა, ღია თუ დაფარულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ამის საფუძველი შექმნა. **ნატოში გაწევრიანება ქართველმა ხალხმა პანაცეად არ უნდა გაიხადოს. ნატოში გაწევრიანების შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე დიდი სახელმწიფოს მხრიდან საშიშროება დაგვემუქრა, ნატოს წევრი რომელიმე დიდი სახელმწიფო თავს არ მოიკლავს ჩვენი ინტერესების დასაცავად — მსოფლიო იმდენად გაჯერებულია მასობრივი მოსპობის ბირთვული იარაღით, რომ აბსურდია ასეთი ლოკალური მოვლე-** ▶

**საუკუნეობით ადამიანის ცხოვრებაში გამჯდარი ეთნიკური, კულტურული თავისებურებანი გაცილებით ძნელად ექვემდებარება საერთო გლობალურ პროცესს და ეს არც არის საჭირო**

ეროვნება არ აქვს მხოლოდ ცხოველს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სოფლებს აღარ დარჩათ საძოვრები, მოსახლეობის გამრავლების შემთხვევაში სამარაგო მიწები. ქართველი გლეხი უმიწაწყლოდ დარჩა. დღეს, როდესაც ქვეყანაში უმწვავესი დემოგრაფიული ვითარებაა, იმის მაგივრად, რომ, მოსახლეობის ადგილზე დამაგრების მიზნით, გლეხებისთვის უფასოდ გადაგვეცა სოფლის მიწები, რომლებიც, ფაქტობრივად, თავის დროზე მათ წინაპრებს, სოფლის თემს ეკუთვნოდა, და ტექნიკითაც დავხმარებოდით მათ, გლეხები სოფლიდან გამოვაძევეთ.

◀ **ნების გამოდევნება და მსოფლიოს ბედ-იღბლის სასწორზე დადება, თუ, რა თქმა უნდა, ეს დიდი სახელმწიფოების სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესებში არ შედის.** ასეთ შემთხვევაში ისევ მოლაპარაკებებზე დაიწყება საუბარი, რომლებიც კვლავ ჩვენს საზიანოდ დასრულდება. ძველ ბერძენ ისტორიკოსს, პლუტარქეს, აქვს გამონათქვამი: გასაქცევი არის, მაგრამ გააჩნია — ვისთანო. ჩვენ უნდა შევძლოთ გონების დაფილტვრა და ერთი ამოჩემებულად არ უნდა ვაქოთ და მეორე კი დუჟმორეულმა ვაძაგოთ — უნდა დავაბალანსოთ ურთიერთობები ამერიკასა და რუსეთთან.

პოლიტიკური გლობალიზაციის ინტერესებს ვერც ეკონომიკის გლობალიზაციისას გამოვრიცხავთ და ძნელია, ვირწმუნოთ, რომ იგი ყველასთვის ერთნაირად სიკეთის მომტანი იქნება. ეკონომიკური გლობალიზაციის დროსაც პირველი ვიოლინო დიდი და ძლიერი სახელმწიფოების ხელშია, რომელიც თავისი ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტს უქვემდებარებს სხვა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრობლემებს.

**პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაცია უდიდეს გავლენას ახდენს კულტურული გლობალიზაციის ფორმირების პროცესზე. ამასთან, თუ ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის პროცესები დროში ძირითადად თანხვდება ერთმანეთს, კულტურული გლობალიზაციის ფორმირება მათ დროში აუცილებლად ჩამორჩება, უფრო გვიან მოხდება**;

მას გაცილებით მეტი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევს, რადგან საუკუნეობით ადამიანის ცხოვრებაში გამჯდარი ეთნიკური, კულტურული თავისებურებანი გაცილებით ძნელად ექვემდებარება საერთო გლობალურ პროცესს და ეს არც არის საჭირო. **კულტურული გლობალიზაცია თავისთავად უკვე ეროვნულობის გაქრობას, ეროვნულობის ყოველგვარი ნიშანწყლის მოსპობასაც ნიშნავს.** შეგვიძლია ამის უამრავი მაგალითიც მოვიყვანოთ ჩვენი ცხოვრებიდან, ხშირად ჩვენივე ბედოვლათობით გამოწვეული. საქართველოს ერთ-ერთ ტელეარხზე (თუ არ ვცდები, „რუსთავი 2"-ზე) რამდენიმე თვე მიდიოდა გადაცემა „საქართველოს ვარსკვლავი". კონკურსანტებს თავი არ დაუზოგავთ უცხოური, ძირითადად, ამერიკული რეპერტუარიდან შერჩეული სიმღერების შესრულებით, სამაგიეროდ არც ერთი ქართული სიმღერა არ მოუსმენია მაყურებელს. კონკურსანტები, როგორც იტყვიან, შუაზე გაიფხრიწნენ, მათ პირველყოფილი ადამიანის მანჭვა-გრეხით აიკლეს სცენა, მაგრამ, სამაგიეროდ, გულმოწყალე ჟიურის წევრების ქებათა-ქება დაიმსახურეს. ანდა ავიღოთ კინოფილმები. **ადრე, იმ საზიზღარი კომუნისტების ბატონობის პერიოდში, ტელეარხები რუსულ, იტალიურ, ფრანგულ, პოლონურ, ინდურ ფილმებსაც კი აჩვენებდნენ, ახლა კი მხოლოდ უაღრესად მარტივი და არაფრისმთქმელი შინაარსის მქონე ამერიკულმა ჰოლივუდის ფილმებმა წალეკეს ტელეარხები.** ამჟამად „მაესტრო" აჩვენებს ქართულ ქორწილებს, მაგრამ რად გინდა! ქართული ქორწილის მშვენების ნატამალიც არსად ჩანს. სამაგიეროდ, ქორწილის დასაწყისში ქორწილის ვილაც მონაწილე მარჯვენა ხელის იდაყვის ზემოთ გულიანად მარცხენა ხელს დაირტყამს და ამ ჟესტით კარგა ლაზათიანად შეგვაგინებს, შემდეგ ქართველი პატარძლისთვის სრულიად უცხო მტლაშა-მტლუშით გვაბეზრებენ თავს, ბოლოს კი ვილაც აფროამერიკელი გაუგებარი სიმღერით ამთავრებს ქორწილს. რას იზამ, გვიხედნიან ყურსაც და თვალსაც. რაც შეეხება „მაესტროს", მადლობა — გაწეული სამსახურისთვის — სწორად მოწოდებული მოვლენებისა და პროცესებისთვის, მაგრამ ამჟამად მისთვის მადლობის სიტყვები ნამდვილად არ გვემეტება. ამასთან, **უკბილო იუმორიც გამოერია ვასიკო ოდიშვილს. ნურავის და ნურც მას ჰგონია, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ვინმეზე ნაკლებად იცის, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან" კოჰაბიტაცია შეუძლებელია და „ნაცმოძრაობამ" აუცილებლად უნდა დატოვოს პოლიტიკური სივრცე, მაგრამ გარეშე ვითარება და ისტორიული პასუხისმგებლობა ამ ეტაპზე მეტის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.**

**პოლიტიკურ და განსაკუთრებით ეკონომიკურ გლობალიზაციას, რაოდენ ერთფეროვანი სქემებით უნდა განხორციელდეს იგი, მაინც მეტი მზაობით მიიღებენ ადამიანები და ცივილიზაციები, თუკი ის საყოველთაო სიკეთეს მოიტანს. მართალია, კულტურული გლობალიზაციის დროს ხდება სხვადასხვა ცივილიზაციის ურთიერთშეღწევა და ურთიერთგავლენა, მაგრამ საეჭვოა, ეს პროცესი ბუნებრივად წარიმართოს და გაბატონებულ ცივილიზაციათა კარნახით საერთო გლობალიზაციის პროცესს რაღაც დოზით მაინც არ ემსხვერპლოს ცალკეული ეთნოსისთვის სასიცოცხლო ფასეულობები.**

არსებობს კულტურათა გაერთფეროვნების არცთუ უსაფუძვლო საშიშროება. და, თუ მაგალითად, კეთილდღეობის მომტანი ეკონომიკური გლობალიზაცია, როგორი სტანდარტული და ერთფეროვანიც უნდა იყოს იგი, ადამიანებისთვის მისაღებია, მაგრამ კულტურული გლობალიზაცია, მის გამოვლინებათა დიდ უმრავლესობაში, არათუ მისაღები, არამედ გარკვეულად საშიში ხდება კაცობრიობისთვის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, 1909 წელს აღნიშნავდა **გერონტი ქიქოძე: „კაპიტალისტური საზოგადოების ტექნიკა არსებითად განსაცვიფრებელი ერთფეროვნებით მეორდება სხვადასხვა ერის წარმოებაში, იაპონიიდან დაწყებული ინგლისამდე"** (გ. ქიქოძე. რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1964, გვ. 16). ამ გაგებით ეკონომიკური გლობალიზაცია, ეკონომიკური ერთფეროვნება არა თუ მისაღები, არამედ საზოგადოებრივი პროგრესის აუცილებელი პირობაა, მაგრამ კულტურული გლობალიზაცია, კულტურული ერთფეროვნება დამღუპველია არა მარტო ეროვნულობის, არამედ საერთოდ ნებისმიერი საზოგადოებისთვის.

**სამშობლო მიწის გარეშე არ არსებობს. ქართული მიწა იგივე სამშობლოა. და როდესაც მიწას ყიდი, მაშინ სამშობლოსაც ყიდი, ამიტომ არის, რომ მთელი კაცობრიობის ისტორია მიწისთვის ბრძოლის, მისი შენარჩუნებისთვის თავდადების ისტორიაცაა. ასეულ მილიონობით ადამიანმა დაღვარა სისხლი თავისი მიწის დაცვისთვის. მრავალი ხალხური სიბრძნეც მიწას დედად მიიჩნევს. ილია ჭავჭავაძეც ბრძანებდა: „ტყუილად კი არ ეძახიან მიწას დედას, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე-და-ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის".**

> **ქართული სოფელი კვდება და, მაშასადამე, ის ურთიერთობებიც საგრძნობლად ღარიბდება, რომლებიც ქართველ ხალხს ერთმანეთში აქვს, ასევე ღარიბდება ქართული ენა, თითქმის აღარ ხდება ერის შევსება ინტელექტუალური ძალებით**

**აკაკი წერეთელი** კი მწარედ მოთქვამდა იმის გამო, რომ მტერსა და ორგულს გაატანეს მამაპაპური მიწა-წყალი, **„ზოგი გაყიდვით, ზოგი წართმევით, ზოგიც უფლების ჩამორთმევითა და ყველამ კლიტე დაადგა ენას საუკუღმართო აღმა-კმევითა"** (აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები, ხუთ ტომად, ტ. I, 1988, გვ. 552). პოეტის სამართლიანი მოთხოვნით, არ შეიძლება ქართულ მიწა-წყალთან ხუმრობა **(„ნუ ადგამთ ბიჯს ზედ წარამარად")**, რადგან ერთ გოჯსაც ვერსად ნახავთ, რომ ის არ იყოს სისხლით მორწყული და იმის სიღრმეში ჩამარხული ჩვენი წინაპრების სული და გული. იმ პერიოდში მიწის გაყიდვა დიდ ეროვნულ ტრაგედიად მიაჩნდათ და მას უშუალოდ ქართველების არსებობის პრობლემას უკავშირებდნენ. ისევ აკაკი წერეთელს მივმართოთ: **„ის ადგილ-მამული, მიწა-წყალი, რომლის გულისთვისაც ჩვენი ძველები თავს იწირავდნენ, დღეს ხელიდან გვეცლება ჩვენისავე დაუდევრობითა და ბედოვლათობით. დღევანდელი საუკუნის ერთი უმთავრესი მოთხოვნილებათაგანი ის არის, რომ ჩვენ ჩვენს საკუთრებას ყური ვუგდოთ, ვიშრომოთ, ვიღვაწოთ თავდაუზოგავად, და გარეშეს ხელში არ ჩავაგდოთ-რა"** (ა. წერეთელი, ტ. XII, 1960, გვ. 329).

ვითარება ამ მხრივ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში რომ, მართლაც, რთული იყო. ეს ნათლად ჩანს 1902 წელს ბერლინში ფილოსოფიის დოქტორის ბ. იშხანიანის გერმანულ ენაზე გამოცემულ წიგნში „კავკასიის ხალხები", რომლის რუსული თარგმანი 1916 წელს პეტროგრადში დაისტამბა. ბ. იშხანიანი კმაყოფილებით აღნიშნავს: **„მთელი ქართველი მოსახლეობის 5,26 პროცენტი შედგება შთამომავლობითი თავადაზნაურობისგან, რომელიც, თავის მხრივ, კავკასიაში მთელი თავადაზნაურული წოდების 41,5 პროცენტს შეადგენს. ვერსად შევხვდებით სხვა მსგავს მაგალითს, რომ შუა საუკუნეების ფეოდალური გადმონაშთი რომელიმე ხალხის ახალ საზოგადოებრივ წყობაში ასეთი დიდი რაოდენობით იყოს წარმოდგენილი. დიდი ნაწილი ამ დაძაბუნებული წოდებისა უკვე პროლეტარიზებულია და გლეხობის, ხელოსნებისა და მუშების რიგებში გადავიდა... ამ წოდების უმაღლესი ფენა, რომელიც მდიდარი ქართველი მიწათმფლობელი თავადებისგან შედგება, ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, თანდათან ქვეითდება და ფულადი მეურნეობის ზეგავლენით იძულებულია თავისი ადგილ-მამული გამარჯვებულ, მსხვილი კაპიტალის მფლობელ მაგნატებს მიჰყიდოს. სომეხი და უცხოელი კაპიტალისტები იძენენ დიდძალ მიწის ნაკვეთებს გაკოტრებული თავადაზნაურობისგან".** ამ პერიოდში აფხაზეთსა და აჭარაში ქართველებს აკრძალული ჰქონდათ მიწის ყიდვა და იქ მიწებს ათასი სხვადასხვა რჯულის ხალხი იძენდა. უცხოელები ჩალის ფასად ეპატრონებოდნენ არა მარტო ქართულ მიწებს, არამედ ბინებს და სხვა უძრავ-მოძრავ ქონებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ თბილისში სასახლის ქუჩასა და გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი) მხოლოდ ორადორი სახლი ეკუთვნოდათ ქართველებს. ოქტომბრის რევოლუციამ, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო.

ამ ამბებიდან ერთი საუკუნის შემდეგ **არნახული მასშტაბით დაიწყო ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვა. მიწის დიდ მასივებს ყიდულობენ უკვე ინდოელები, პაკისტანელები, ჩინელები, საქართველოში საცხოვრებლად მოისწრაფვიან აფროამერიკელი ხალხები და სხვ. ვინც ასეთ ანტიეროვნულ საქმეში ხელს უწყობენ უცხოელებს და ქართული მიწის გასხვისებაში საშიშს ვერაფერს ხედავენ** (არადა, უნდა დაინახონ), **მათ ქართველად ვერ მივიჩნევ.**

**ქართველ კაცს საფიქრალს რა გამოულევს. ყველაზე დიდი საფიქრალი კი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც რუსეთიდან ჩამოსულმა მილიონერმა და „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ეკონომიკის მინისტრად დანიშნულმა კახა ბენდუქიძემ უაპელაციოდ განაცხადა: საქართველოს ეროვნული სიმდიდრე, საერთოდ ყველაფერი უნდა გაიყიდოს, სინდისის გარდა.** ეროვნული სიმდიდრე კი ქვეყნის ძლიერების ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც მოიცავს თითქმის ყველაფერს, რაც ქართველ კაცს შეუქმნია, აგრეთვე, ბუნებრივ რესურსებს, სავარგულებს, ტყეებს, სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს, მეცნიერულ ცოდნასა და მოსახლეობის კულტურულ დონესაც კი. ჩემი აზრით, **ჩვენი ქვეყნის წილი მზე და ჰაერიც ეროვნული სიმდიდრეა, რომელიც კ. ბენდუქიძისაა და, მაშასადამე, „ნაციონალების" აზრით, უნდა გაიყიდოს მიწასა და ტყესთან ერთად. ყველაფრის გაყიდვის შემთხვევაში „სამშობლოს ცნება გასაკვირველი" რეალურად აღარ იარსებებს ქართველი კაცისთვის. თუ ყველაფერს გავყიდით, დაკაბალება არ აგვცდება, ჩვენი სარჩო-საბადებლის ბატონ-პატრონი ისევ სხვა გახდება და უკეთეს შემთხვევაში იაფ მუშახელად ვიქცევით.**

თუ ყველაფერს გავყიდით, „ნაციონალებმა" კი ყველაფერი გაყიდეს, რისი გაყიდვაც მოასწრეს, ვინ იქნება პასუხისმგებელი 20 ან თუნდაც 10 წლის შემდეგ მოსალოდნელ შედეგებზე, გვაქვს კი რაიმე დამცავი მექანიზმი შემუშავებული? რა თქმა უნდა, კარგად ცხოვრების დაპირებები ევას ვაშლივით მაცდურია, მაგრამ, თუ ყველაფერი ილუზია გამოდგა, მაშინ ხომ საშვილიშვილოდ დავიღუპებით! ბანის მთქმელები ყოველთვის მოიძებნებიან, მაგრამ ვაი თუ ყველას ჩემიები არიან, თავის ცეცხლს უკიდებენ და მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზრუნავენ. მოკლედ, ხალხს ეშინია, „იყო და არა იყო რა" არ გამოგვივიდეს და პირში ჩალაგამოვლებულები არ დავრჩეთ. ეს მით უფრო დასაფიქრებელია, რომ „ნაციონალების" მიერ არაერთი ეროვნული ნიშნით მონათლული ღონისძიების განხორციელების შედეგად მხოლოდ ნაქურჩალი დაგვრჩა და თავში საცემად გაგვიხდა საქმე. ან ისე ხომ არ დაგვემართება, როგორც კომუნისტების პერიოდში საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ერთ ხალხურ სასიმღერო ლექსშია: „დიმტი-ტარო, დამტი-ტარო, თავმჯდომარეს დიდი ტარო, ღარიბსა და გაჭირვებულს პატარა და კვიჟი ტარო"?!

**უკანასკნელ წლებში პრესისა და ტელეგადაცემათა მეშვეობით საკმაოდ ფართოდ გაშუქდა ქართულ სოფლებში საუკეთესო მიწების უცხოელებზე გაყიდვის შემთხვევები. ხშირად მიწები იყიდებოდა ისე, რომ გლეხებმა არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. მიწები შეიძინეს განსაკუთრებით: ინდოელებმა, ჩინელებმა, პაკისტანელებმა, ბურებმა, არაბებმა და სხვ.** ცხადია, ინდოეთიდან და პაკისტანიდან არც 1 და არც 10 ჰექტარი მიწის საყიდლად არავინ ჩამოვა — მათ საკმაოდ დიდი ფართობები შეიძინეს ამ მცირემიწიან ქვეყანაში. **სოფლებს აღარ დარჩათ საძოვრები, მოსახლეობის გამრავლების შემთხვევაში სამარაგო მიწები. ქართველი გლეხი უმიწაწყლოდ დარჩა. დღეს, როდესაც ქვეყანაში უმწვავესი დემოგრაფიული ვითარებაა, იმის მაგივრად, რომ, მოსახლეობის ადგილზე დამაგრების მიზნით, გლეხებისთვის უფასოდ გადაგვეცა სოფლის მიწები, რომლებიც, ფაქტობრივად, თავის დროზე მათ წინაპრებს, სოფლის თემს ეკუთვნოდა, და ტექნიკითაც დავხმარებოდით მათ, გლეხები სოფლიდან გამოვაძევეთ.** ამით გადავჭერით მოსახლეობის გამრავლების მთავარი ძარღვი. მაშინ, როდესაც ჩვენს მეზობელ ქვეყნებში სოფლად შობადობის დონე მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ქალაქად, ჩვენთან პირუკუ მოვლენას აქვს ადგილი — სოფლად შობადობის დონე თითქმის ორჯერ დაბალია ქალაქთან შედარებით. ფაქტობრივად, **ქართული სოფელი კვდება და, მაშასადამე, ის ურთიერთობებიც საგრძნობლად ღარიბდება, რომლებიც ქართველ ხალხს ერთმანეთში აქვს, ასევე ღარიბდება ქართული ენა, თითქმის აღარ ხდება ერის შევსება ინტელექტუალური ძალებით.**

„ნაციონალები" მთელი 9 წლის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდნენ ყოველივე ეროვნულის წინააღმდეგ. **საქართველოს არც ერთ მტერს ისეთი სულიერი ტკივილი არ მიუყენებია ქართველი ხალხისთვის, როგორიც „ნაციონალებს". ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ შესაძლებელი გახდა ამ პრობლემაზე ერთწლიანი მორატორიუმის დაწესება — ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვა, სანამ სრული აღწერა არ მოხდება. მაგრამ მოინახნენ ადამიანები, მე ვიტყოდი „ნაცმოძრაობის" ნარჩენები, უმეტესწილად თავქეიფა ახალგაზრდები, რომლებიც წინ აღუდგნენ პარლამენტის ამ სამართლიან გადაწყვეტილებას.** პრესაში უკვე გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში მიწების უცხოელებზე გასხვისების თაობაზე კანონის ნორმა შეიძლება კვლავ ამოქმედდეს, რადგან არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა" ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვას ეწინააღმდეგება და საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით ცდილობს, ეს აკრძალვა გააუქმოს. არ არის გამორიცხული, რომ, „საერთაშორისო გამჭვირვალობის" სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კვლავ დაიწყოს მიწების უცხოელებზე გასხვისება.

**ანზორ თოთაძე,**
*პროფესორი, დემოგრაფი*

**დასასრული შემდეგ ნომერში**

გრიფით «საიდუმლოდ»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რამდენიმე დღეში ე. წ. დეზერტირების ბაზართან იპოვეს მამაკაცის გვამი, ისიც თავის არეში მიყენებული დაზიანებით, გვამთან ეყარა წინა დღეებში მოკლული და გაძარცული მეცნიერ-მუშაკის პირადობის დამადასტურებელი საბუთები, აშკარა იყო, რომ ორივე მკვლელობა ერთნაირი ხელწერით ერთი და იმავე ჯგუფის ჩადენილი იყო, ორივე შემთხვევა პირველი მაისის რაიონის ტერიტორიაზე მოხდა.“**

# სერიული მკვლელები თბილისში



**შინაგან საქმეთა პოლკოვნიკი ზურაბ მაჩაიძე განაგრძობს საუბარს იმ კრიმინალურ საქმეებზე, რომელთა შესახებ ჩვენმა საზოგადოებრიობამ მხოლოდ მოარული ხმების დონეზე თუ იცოდა რამე. მაშინ სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევებით სპეკულირება ქართულ პრესასა და ტელე-რადიოში მიღებული არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ისეთი თვითკმაყოფილების გრძნობისა და უნიჭობის დემონსტრირებით, რომლის მოწმენიც დღეს ვართ. მილიციის „ქვეყნის ხერხემლად“ და ერთადერთ რეალურ ძალად წარმოდგენა ცუდ ტონად ითვლებოდა. მაიაკოვსკისეულ „Моя милиция меня бережет“-ს ერთგვარი იუმორითაც აღიქვამდნენ.**

**მაგრამ მუშაობდა „უსადენო კავშირი“, შინაგან საქმეთა განყოფილებებიდან ჟონავდა ინფორმაცია და მოქალაქეებმა იცოდნენ ყველაფერი, რაც ქალაქში ხდებოდა. ბოლოსდაბოლოს, დანაშაული იზოლირებულ სივრცეში არ ხდება: ყოველთვის არიან მოწმენი და თვითმხილველნი.**

**ან — თითქმის ყოველთვის. იყვნენ მთხრობელნიც. მაგრამ ნახევარტონებში, რათა ძალოვანთა საცნობარი არ გამხდარიყო „ჭორების“ გამავრცელებლის ვინაობა. ეს ამბავი სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ხდება. თბილისში გავრცელდა ხმები უცნაური მკვლელობების შესახებ, რომლებიც მსხვერპლისთვის თავში მუშტის ჩარტყმით ხდებოდა, შეიძლება ბლაგვი საგნის ჩარტყმითაც, მაგრამ ეს ნაკლებ სარწმუნო ჩანდა. მკვლელობა — გაძარცვის მიზნით, მაგრამ მსხვერპლს გასაძარცვი და გასატაცებელი ბევრი არაფერი გააჩნდა. ბოროტმოქმედები, ასე ვთქვათ, კაპიკებზე მუშაობდნენ.**

**ბატონი ზურაბ მაჩაიძე ყვება, რა და როგორ იყო:**

— ერთი მკვლელობა დეზერტირების ბაზართან მოხდა, მეორე — ტელმანის ქუჩის კუთხეში.

პირველი მსხვერპლი ერთი მეცნიერ-მუშაკი იყო, გვარად გამცემლიძე (გვარი, რა თქმა უნდა, შეცვლილია, რათა, მართალია ძველი, მაგრამ მაინც მოურჩენელი ჭრილობა, არ განვუახლოთ მის ჭირისუფლებს), მას თავს დაესხა რამდენიმე ყაჩაღი. თავში ჩარტყმით გათიშეს და გაძარცვეს.

რა უნდა ჰქონოდა ჩვეულებრივ მეცნიერ-მუშაკს ისეთი, ყაჩაღების დაინტერესება რომ გამოეწვია?! მაგრამ მაროდიორების ლოგიკა აფთრის ჩვეულებასავითაა — ყველაფრის მკადრებელია, არაფერს უცხოობს.

აფთარი მძორით იკვებება, მაროდიორი — ამორალურობით.

გონებადაკარგული გამცემლიძე არამიანცის საავადმყოფოში მიიყვანა ერთმა გამვლელმა თბილისელმა. თავდამსხმელთა მსხვერპლი გონზე არ მოსულა, ისე გარდაიცვალა.

**რამდენიმე დღეში ე. წ. დეზერტირების ბაზართან იპოვეს მამაკაცის გვამი, ისიც თავის არეში მიყენებული დაზიანებით, გვამთან ეყარა წინა დღეებში მოკლული და გაძარცული მეცნიერ-მუშაკის პირადობის დამადასტურებელი საბუთები, აშკარა იყო, რომ ორივე მკვლელობა ერთნაირი ხელწერით ერთი და იმავე ჯგუფის ჩადენილი იყო, ორივე შემთხვევა პირველი მაისის რაიონის ტერიტორიაზე მოხდა.**

სასწრაფოდ შეიკრა ოპერმუშაკების ტანდემი ვაჟა ასათიანის და ავთანდილ სანაძის შემადგენლობით. პირველი მუშაობდა ქ. თბილისის შს სამმართველოს სს სამძებრო განყოფილების ინსპექტორად და ზონალურად ემსახურებოდა აღნიშნულ რაიონს.

ხელჩასაჭიდი არაფერი ჩანდა: ბოროტმოქმედებს არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ. არც მოწმე და თვითმხილველი ჩანდა ვინმე. თეთრი ფურცლიდან უნდა დაეწყოთ, ეს კი საქმის გახსნის კარგა ხნით გაჭიანურებას ნიშნავდა, თუ საერთოდ გაიხსნებოდა ეს საშინელი დანაშაულები.

სწორედ ამ საქმის გახსნისას გამოავლინა არაჩვეულებრივი დაკვირვებულობა და ოპერატიული მუშაკის იშვიათი გუმანი ვაჟა ასათიანმა. მან ყურადღება მიაქცია ერთ გარემოებას, ერთ დეტალს, რომელიც გამოცდილ გამომძიებლებსაც და პროკურატურის თანამშრომლებსაც ყურადღებიდან გამორჩათ.

**ვაჟა ასათიანმა, სისხლის სამართლის განყოფილების ჩვეულებრივმა ოპერმუშაკმა, სწორედ ამ უმნიშვნელო დეტალზე გააკეთა აქცენტი და, როგორც საქმის მსვლელობამ დაადასტურა, ეს აღმოჩნდა არიადნას ძაფი, რომელმაც მრავალუცნობიანი ლაბირინთების ხლართებიდან გაგვიყვანა.**

**კვალმაძიებლის ნიჭი თანდაყოლილია, ის ან გაქვს, ან — არა, გამოცდილებით, რა თქმა უნდა, შეიძლება მისი შეძენა, მაგრამ პირველყოფილს, ბუნებრივს ვერ შეედრება. ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი სწორედ აქედან მოდის.**

ვაჟამ, როგორც ჩანს, ამ ნიჭის წყალობით ყურადღების კონცენტრირება მოახდინა სხვების მიერ იგნორირებულ დეტალზე: საავადმყოფოს მიმღებში ასათიანს უთხრეს, რომ უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი გამცემლიძე თავისი მანქანით მოიყვანა უცნობმა პირმა, რომლის მონაცემები დაფიქსირებული იყო საავადმყოფოს მისაღების ჟურნალში.

ვაჟა შეხვდა ამ ადამიანს და სთხოვა, ამ შემთხვევის შესახებ ეამბნა:

— **ღამის პირველი საათი იყო,** — უყვება ჩვენს ოპერს ეს თბილისელი კაცი, — **მივდიოდი „დინამოს“ სტადიონის მიმართულებით და ვხედავ, სამი კაცი ურტყამს მიწაზე დაგდებულ ერთ კაცს. პირდაპირ მივანათე მანქანის ფარები. სამი თავდამსხმელი დაფრთხა და გაიქცა. ერთმა მათგანმა დანარჩენ ორს დაუძახა:**

**— ჩორნა, მარჯვნივ გაიქეცი! ამბაკო — პირდაპირ! — და თვითონ იქვე ეზოში შევარდა. დაიქსაქსნენ და მიიმალნენ.**

აი, ეს იყო ის ძაფი, რომელზეც ზემოთ ვთქვი: გაცხადდა ორი მეტსახელი. აშკარად ქურდული „კლიჩკა“ — „ჩორნა“ და „ამბაკო“, რომლებიც უთუოდ შერქმეული იყო.

მთელი ქალაქის ოპერატიულ შემადგენლობას მივეცით დავალება, ყურადღება გაემახვილებინათ ამ სახელებსა და მეტსახელებზე — ამოვარდებოდა სადმე თუ არა, დაუყოვნებლივ ჩადგომოდნენ კვალში, რომელიც ასე თუ ისე გამოიკვეთა გამცემლიძის მკვლელობის დროს.

**ავჭალის და თემქის გასაყარზე ქუჩაში დაგდებული ქალის ნახევრადშიშველი ცხედარი იპოვეს: ჩამოგლეჯილი საყურეების, გაუპატიურების, შემოხეული საცვლებისა და ძალადობის კვალით.**

ზამთარია, 1975 წლის თებერვალი. მაროდიორებს არც კაბის, არც პალტოსა და ფეხსაცმლის წაღება უთაკილიათ. სხეულის დაზიანება, ექსპერტიზის დასკვნით, იგივეა, რაც წინა შემთხვევებში. ქალაქის პოლიციის ოპერატიული შემადგენლობა გადაყვანილ იქნა სადღეღამისო მუშაობის რეჟიმზე.

**გადის რამდენიმე დღე და ჩვენს საიდუმლო მუშაკს, რომელიც სამმართველოს წინასწარი დაკავების საკნებში ეჭვმიტანილებს ამუშავებდა, ამოაქვს ერთ-ერთი ეჭვმიტანილის მიერ მისთვის გამოტანებული ბარათი. ამ მუშაკმა, რომელმაც ეჭვმიტანილის ნდობა მოიპოვა, დაარწმუნა თავისი დამუშავების ობიექტი, რომ „თავისუფლებაზე“ გადიოდა, და იმანაც ისარგებლა შემთხვევით, გამოატანა წერილი თამბაქოს ქარხანაში მომუშავე ვინმე მარო ხევსურისთვის გადასაცემად.**

დაკავებული კაცი ტაქსის მძღოლის გაძარცვაში იყო ეჭვმიტანილი და მას ვამუშავებდით ჩვენი საიდუმლო მუშაკის დახმარებით.

წერილში ეწერა: **„გააფრთხილე ამბაკო და კიკა, რომ ძალიან მაწვებიან ცხენის თავთან დაკავშირებით** *(ბრინჯაოს ცხენის თავზეა ლაპარაკი, სკულპტურაზე, რომელიც ერთ-ერთი ოჯახიდან იყო მოპარული)*, **რომ გაეიდნენ ქალაქიდან“.** ხელს აწერდა **გიგო.**

ეს გიგო, შემდეგ გაირკვევა, არის „ჩორნა“ — გამცემლიძის მკვლელობის მონაწილე.

ვაჟა ასათიანი და ავთო სანაძე იმავე წუთს მიდიან თამბაქოს ფაბრიკაში ამ ქალის დასადგენად, რომელიც მაშინ ჩელუსკინელების ▶

**«ჩანადირი თავისი ფიზიკური შესაძლებლობების დემონსტრირებით, თავის სადისტურ ჟინსაც იკმაყოფილებდა და სიამოვნებასაც იღებდა. შეიძლება ვთქვათ, რომ ამგვარი გაუწონასწორებელი ფსიქიკით იგი დიდად არ განსხვავდებოდა სერიული მკვლელისგან და ამიტომ განსაკუთრებით საშიში იყო საზოგადოებისთვის»**

## საქართველოში ციკლონის შემოჭრას ვარაუდობენ

**აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა, მერაბ ნაკაშიძემ, „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ 4 სექტემბერს აღნიშნული სამსახური საგანგებო რეჟიმში იმუშავებს. ხუთივე მუნიციპალიტეტის თანამშრომლები შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილნი არიან. 4 სექტემბრის დილიდან ზღვაში შესვლა აკრძალება როგორც მოსახლეობას, ასევე სასეირნო კატერებს, თევზმჭერ გემებსა და ყველა სახის მცურავ ტექნიკას.**

„4-5 სექტემბერს მოსალოდნელია ძლიერი ქარი, წვიმა და ზღვის ღელვა. ჩვენი სამსახური ასეთი მოვლენების დროს ყოველთვის მზადაა. მობილიზებულია ტექნიკა, მზად არიან მუნიციპალიტეტები. ხულოს, ქედას, შუახევის, ქობულეთის, ხელვაჩაურის და ბათუმის [illegible] თანამშრომლები 24-საათიანი მორიგეობით მუშაობენ. დილიდანვე ზღვაში გასვლაზე აკრძალვა იქნება ყველა სახის ტექნიკისთვის. წითელი ალმები აიმართება სანაპიროზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზღვაზე ბანაობის მსურველებს ზღვაში შესვლა ეკრძალებათ. გარდა ამისა, სანაპიროზე მაშველები იქნებიან მობილიზებულნი, რადგან ზოგი არ ემორჩილება წითელ ალამს“, — აღნიშნა მერაბ ნაკაშიძემ.

მისი განმარტებით, მოსახლეობა პანიკაში არ უნდა ჩავარდეს, რადგან მსგავსი ქარი, წვიმა და ზღვის ღელვა აღნიშნული სეზონისთვის დამახასიათებელია.

მერაბ ნაკაშიძე მოსახლეობას მოუწოდებს, მეწყერული პროცესების განვითარების ან მდინარის ადიდების შემთხვევაში 112-ში დარეკონ.

## „ამ ბანდიტური ჯგუფის მიერ ჩადენილი იყო სხვა დანაშაულებიც. მათ შორის ერთ-ერთი — განსაკუთრებით შემზარავი. ერთ ქალს რომ ძარცვავდნენ შემთხვევით გამვლელმა მანქანამ ფარები მიანათა და დააფრთხო. კვალი რომ დაეფარათ, ის უბედური ქალი მაღალი ძაბვის ელექტროგამანაწილებელ ჯიხურში შეიტანეს და დაწვეს.“

გრიფით «საიდუმლოდ»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ *(ამჟამად თამარ მეფის პროსპექტი)* ქუჩაზე მდებარეობდა. მარო ხევსური მართლაც ამ ქარხნის მუშაკი აღმოჩნდა.

ვაჟა ასათიანი ამ ქალთან შესახვედრად წვერგაუპარსავი მივიდა — ეს-ესაა წინასწარი პატიმრობის საკნიდან გამოვედი და ეს ბარათი გიგომ თქვენთვის გადმოსაცემად გამომატანაო.

წაიკითხა ეს ბარათი ამ ქალმა და აღშფოთდა:

**— ხომ ვიცოდი, რომ დაღუპავდნენ ეს „ჩორნა“ და კიკა კარლოს. იმან კი არ დამიჯერა.**

ვაჟა ასათიანი ამბაკოზე ელაპარაკებოდა, ეს ქალი კი კარლოზე წუხდა. საუბარში გაჰყვა ამ მინიშნებას ჩვენი ოპერმუშაკი და გაარკვია, რომ ამბაკო იყო ვინმე კარლო ჩანადირი, ამ ქალის ქმარი თუ საყვარელი.

და ეუბნება ვაჟა ასათიანი მაროს, რომ კარლოს უნდა შევხვდე და პირადად გადავცე დანაბარებიო.

მაშ ასე: „ჩორნა“ არის წერილის გამომგზავნი გიგო, კიკა გაირკვა, რომ კიკაძეა, ტიპი, რომელიც მკვლელობის ორივე ეპიზოდში მონაწილეობდა. სწორედ ის უყვიროდა ბანდის წევრებს გამცემლიძეზე თავდასხმის შემდეგ — „ჩორნა“, შენ აქეთ გაიქეცი, ამბაკო, — შენ იქითო.

ეს გაირკვა.

მაგრამ ახლა საჭირო იყო მკვლელობაში მონაწილეობის სამხილების მოპოვება.

**დასამალი უკვე არაფერი იყო, შეიძლებოდა გახსნილად მოქმედება და მარო ხევსური მილიციის სამმართველოში მოიყვანეს. მოვაწყვეთ ისე, რომ სწორედ ამ დროს საკნიდან გამოიყვანეს „ჩორნა“, და ისინი დერეფანში „შემთხვევით“ შეხვდნენ ერთმანეთს.**

**ამ „მოულოდნელი“ შეხვედრის დროს ორივეს ისეთი რეაქცია ჰქონდა, რომ აშკარად შეეტყოთ — ერთმანეთს იცნობდნენ.**

დაკითხვას ცალ-ცალკე ოთახებში ვუტარებთ.

„ჩორნა“-გიგოს ვეკითხებით:

— ისეთი რა გააკეთე, რომ მარო გვეუბნება, ყველაფერი შენი ორგანიზებულია?

**— როგორ თუ ჩემი გაკეთებულია?! ბიძამისის სახლი ამბაკომ** *(კარლო ჩანადირმა)* **არ გაგვაქურდინა?! თვითონ მიგვიყვანა! იქიდან წამოღებული ყველაფერი ერთ ადგილზე დღესაც ინახება.**

ნაქურდალის ჩამოთვლის დროს მან ცხენის თავის ქანდაკებაც ახსენა, რომელიც ზემოთ გვქონდა დასახელებული.

გავარკვიეთ, რომ „ერთი ადგილი“, სადაც ნაქურდალი ჰქონდათ დამალული, ჩოდრიშვილის ქუჩაზე იყო. მივედით დასახელებულ მისამართზე გასაჩხრეკად, რომელიც ამ ქალის სახლი აღმოჩნდა. ყველაფრის ოფიციალურად გასაფორმებლად თან გავიყოლეთ გამომძიებელი ნიკოლაიშვილი.

ბინაში უამრავი ნაქურდალი ნივთი აღმოჩნდა. ჩხრეკა დადგენილი წესით და შესაბამისი აქტების შედგენით მიმდინარეობს — შრომატევადი სამუშაოა.

ამასობაში მოსაღამოვდა. **ვაჟა ასათიანმა თვალი მოჰკრა, რომ ქუჩიდან ეზოში შემოვიდა კაცი და იქვე მდგარ საპირფარეშოს — „ჩეჩმას“ მიაშურა.**

**ვაჟა და ავთო სანაძე შეუმჩნევლად გავიდნენ და ამ კაცს მოულოდნელად თავზე დაადგნენ. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ კაცმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრო.**

შემოიყვანეს მაღალი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა კაცი. აშკარად ჩანდა, რომ ნავარჯიშები იყო. ამას ადასტურებდა ის კოჟრებიც, რომლებიც ორივე მუშტზე, თითების სახსრების დაბოლოებაზე ჰქონდა და რომლებიც კონტაქტურ კარატეში სისტემატურად მოვარჯიშეებს უჩნდებათ ხოლმე. ამ კოჟრებს განსაკუთრებული ეფექტი აქვს მოწინააღმდეგისთვის დარტყმის მიყენების დროს...

ეს უკვე პირდაპირი მიმანიშნებელი იყო, რომ ამგვარად დაყენებული დარტყმით თიშავდა მსხვერპლს ეს ყაჩაღი და, მოკვდებოდა თუ გადარჩებოდა, იმ უბედურის პრობლემა იყო.

გათიშულს ძარცვავდნენ. 5 მანეთი ჰქონდა თუ ათი, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასეთია მენამცეცეების ფსიქიკა.

ეტყობა, ისიც იყო, რომ **ჩანადირი თავისი ფიზიკური შესაძლებლობების დემონსტრირებით, თავის სადისტურ ჟინსაც იკმაყოფილებდა და სიამოვნებასაც იღებდა. შეიძლება ვთქვათ, რომ ამგვარი გაუწონასწორებელი ფსიქიკით იგი დიდად არ განსხვავდებოდა სერიული მკვლელისგან და ამიტომ განსაკუთრებით საშიში იყო საზოგადოებისთვის.**

აშკარა იყო, რომ დანაშაული ამ ჯგუფის ჩადენილი იყო, მაგრამ ამ მოცემულობას, რომელიც ლოგიკურად დასტურდებოდა, რეალური სამხილები სჭირდებოდა, რათა სასამართლოს ადეკვატური განაჩენი გამოეტანა.

ამ დროს ავთო სანაძემ გაგვიმხილა, რომ აქვს რამდენიმე თვის წინათ მომხდარი ანალოგიური ძარცვის ერთი გაუხსნელი საქმე. დაზარალებული ირწმუნებოდა, რომ შეუძლია ამოიცნოს თავდამსხმელი ბანდიტები. ეს იყო კასპში მცხოვრები ვინმე არშაკ სააკაძე(!).

ჩამოიყვანეს თბილისში არშაკა. ვუთხარით, რომ სხვა საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებული გვყავს ეჭვმიტანილები, რომლებსაც ვაჩვენებდით და, თუ მათ შორის აღმოჩნდებოდნენ ისინი, ვინც იგი გაძარცვეს, ვთხოვეთ, არაფრის შეშინებოდა და ამოეცნო.

## «6–7 თვე მოვუნდით ამ ჯგუფის დაკავებას, რომლის წევრები ბევრნი იყვნენ... დაახლოებით 3 თვის განმავლობაში მათ არაერთი მკვლელობა და 60-მდე ძარცვა-ყაჩაღობა ჩაიდინეს»



უსაფრთხოების გარანტია მივეცით.

არშაკ სააკაძე დაგვთანხმდა.

მაგრამ ჯერ ის უნდა ვთქვა, როგორ გაძარცვეს ეს კაცი. **ჩამოსულა არშაკა თბილისში, თავისი დანაზოგი ფულით რაღაც უყიდია და, როცა კასპში გაბრუნებას აპირებდა, მასთან მისულან უცნობები და შეუთავაზებიათ, ყუთების გადატანაში დახმარებოდა. შესაფერის ანაზღაურებასაც დაჰპირებიან.**

**არშაკს უფიქრია, დახარჯულ ფულსაც ამოვიღებო, და გაჰყოლია უცნობებს. თანაც იმათ 30 მანეთი წინასწარ მიუციათ, მეტი დამაჯერებლობისთვის.**

**შემდეგ, მოკლედ რომ ვთქვა, ის ფულიც და ისიც, რაც თავისი ჰქონდა, წაურთმევიათ, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო** (ეტყობა, იფიქრეს, რომ ისედაც მოკვდება ეს მოხუცი კაციო), **თავში არ დაურტყამთ, თუმცა გვარიანად ჟეჟეს და გადარჩა არშაკ სააკაძე სიკვდილს, მაგრამ მძარცველების სახეები კარგად დაიხსომა.**

სამივე ბანდიტს ერთად ხომ არ წარუდგენდნენ დაზარალებულს ამოსაცნობად და ამიტომ სამჯერ, სხვადასხვა ჯგუფში თითო ეჭვმიტანილი წარუდგინეს. არშაკ სააკაძემ სამივე გამოარჩია: ეს იყო, ეს და ესო.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ბანდიტური ჯგუფის მესამე წევრი კიკა-კიკაძე სპეცკომენდატურაში იხდიდა სასჯელს სხვა საქმესთან დაკავშირებით და რუსთავიდან ამოსაცნობად ჩამოიყვანეს.

**ამ ბანდიტური ჯგუფის მიერ ჩადენილი იყო სხვა დანაშაულებიც. მათ შორის ერთ-ერთი — განსაკუთრებით შემზარავი. ერთ ქალს რომ ძარცვავდნენ შემთხვევით გამვლელმა მანქანამ ფარები მიანათა და დააფრთხო. კვალი რომ დაეფარათ, ის უბედური ქალი მაღალი ძაბვის ელექტროგამანაწილებელ ჯიხურში შეიტანეს და დაწვეს.**

თანდათან გავდივართ წინა წლებში ჩადენილ ძარცვისა და ყაჩაღობის სხვა ფაქტებზე, დანაშაულობათა შემთხვევების რაოდენობა მატულობს. გაიხსნა არაერთი საქმე და აქ აუცილებლად უნდა დავასახელო ძალოვანი სტრუქტურების ის პროფესიონალი თანამშრომლები, რომლებმაც თავგამოდებით იმუშავეს, დღე და ღამე გაასწორეს, რათა სასამართლოსთვის წარედგინათ უტყუარი მტკიცებულებანი დამნაშავეთა კანონის მთელი სიმკაცრით დასასჯელად. ესენი იყვნენ: პროკურატურიდან ჩვენთან მომაგრებული ცაცო ციციაშვილი და რეზო ტყეშელაშვილი.

თბილისის პროკურორად მაშინ ვახტანგ რაზმაძე მუშაობდა, მის მოადგილედ — ვასიკო ფოცხვერია. ისინი ისე გვეხმარებოდნენ, რომ შეუძლებელს გვიკეთებდნენ, ზოგჯერ დიდი რისკის ფასად.

**6–7 თვე მოვუნდით ამ ჯგუფის დაკავებას, რომლის წევრები ბევრნი იყვნენ, სამწუხაროდ, ყველას გვარი არ მახსოვს.**

**დაახლოებით 3 თვის განმავლობაში მათ არაერთი მკვლელობა და 60-მდე ძარცვა-ყაჩაღობა ჩაიდინეს.**

შედგა სასამართლო. ჩანადირს მიესაჯა დახვრეტა, მაგრამ მოსკოვმა შეუცვალა 15 წლით პატიმრობით, დანარჩენს — 12-დან 14 წლამდე. მათ შორის ერთი არასრულწლოვანი იყო, იმას 6 წელი პატიმრობა შეუფარდეს.

ორიოდ სიტყვასაც ვიტყვი დამნაშავეთა ამ ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ.

**ჯგუფს სათავეში ედგა კარლო ჩანადირი, რომელსაც შეგროვებული ჰყავდა თავისი ბანდის წევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მაგალითად, ანზორ შინჯიაშვილი მაიაკოვსკის რაიონიდან ჰყავდა ჩამოყვანილი, კიკაძე-კიკა — ხაშურიდან, არასრულწლოვანი თეგერაშვილი — თიანეთიდან, შოთა ცინცაძე — სოფელ ტაბახმელადან, „ჩორნა“, იგივე გიგო სახელაშვილი — სოფელ კუმისიდან, ირაკლი ბარნაბიშვილი — ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიიდან, კუნელაური თეთრიწყაროდან. მოკლედ — საქართველოს ქვეწარმავალთა ნაკრები იყო.**

ჩანადირს ამ „ბანდფორმირების“ წევრები სამ-სამკაციან „მობილურ ჯგუფებად“ ჰყავდა დაყოფილი. ეს „ტროიკები“ ერთმანეთის მონაცვლეობით გაჰყავდა „ოპერაციების“ განსახორციელებლად. ერთი სიტყვით, კარგად ორგანიზებული და აწყობილად მოქმედი სტრუქტურა იყო. მისი სრულად ნეიტრალიზება ჩვენ შევძელით და ამის შემდეგ კრიმინალების თავხედური თარეში თბილისში შეწყდა.

ჩათვალეთ, რომ ჩემი მონათხრობი ექსკლუზიურია, რადგან აქამდე ამ უაღრესად საშიში ბანდის ლიკვიდაციაზე არსად არაფერი დაწერილა.

ჩაიწერა
**არმაზ სანებლიძემ**

## «ჩანადირს მიესაჯა დახვრეტა, მაგრამ მოსკოვმა შეუცვალა 15 წლით პატიმრობით, დანარჩენს — 12-დან 14 წლამდე. მათ შორის ერთი არასრულწლოვანი იყო, იმას 6 წელი პატიმრობა შეუფარდეს»

## სამხედრო ქვედანაყოფებში მზადყოფნაა გამოცხადებული

**მოსალოდნელ ბუნებრივ სტიქიასთან დაკავშირებით ყველა სამხედრო ქვედანაყოფში გამოცხადებულია მზადყოფნა, — ამის შესახებ განცხადებას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, თავდაცვის უწყება, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ მოსახლეობას მხარდაჭერასა და დახმარებას აღმოუჩენს. საგანგებო რეჟიმში დაიწყებს მუშაობას საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების სარდლობის დასავლეთის ოპერატიული დაჯგუფება.

**„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კოორდინირებულად იმუშავებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან.**

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 4 სექტემბრის დღის მეორე ნახევრიდან საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის მხრიდან გავრცელებას იწყებს ბალტიის ზღვიდან გადმონაცვლებული ციკლონი, რომელიც გამოიწვევს დასავლეთის მიმართულების ქარის გაძლიერებას, ჰაერის ტემპერატურის მკვეთრ დაწევას, დასავლეთ საქართველოში ძლიერ წვიმებს, ზოგან სეტყვას, ზღვის ძლიერ ღელვას და ცალკეულ მდინარეებზე ძლიერ წყალმოვარდნებს. გააქტიურდება ღვარცოფი და მეწყერსაშიში უბნები“,** — აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყოფილი საბჭოთა ქვეყნები ცსს-ს უცნაურ რუკაზე არ არის აღნიშნული, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ქვეყნებიდან არაერთმა გააფორმა აშშ-თან სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება. ეს თანამშრომლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ამერიკის სამხედრო ბაზის მშენებლობა ყირგიზეთში, ცსს-ს თვითმფრინავების ფრენა უკრაინისა და საქართველოს საჰაერო სივრცეებში და გატაცებული ეჭვმიტანილების გადაყვანა უზბეკეთში.“**

# საგანგებო დავალება

## ცსს-ს აგენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ადამიანებს იტაცებენ

**მსოფლიოს ათობით ქვეყანაში, სხვადასხვა კონტინენტზე, ადამიანები ყოველგვარ მიზეზგარეშე, უბრალოდ, წყვეტენ არსებობას. ისინი ისე ქრებიან უკვალოდ, რომ არანაირ შეტყობინებას არ ტოვებენ ნათესავებისთვის, არ ტოვებენ კვალსა და ხელჩასაჭიდს მილიციისა თუ პოლიციისთვის. ასე გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, ვიდრე ერთხელაც შემთხვევით ადამიანის გაქრობის მოწმეები არ მოიძებნენ.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №30-31 (217-218)

**კლაუდიო ფავა**, ევროპარლამენტის დეპუტატი:

**— ევროპის ტერიტორიაზე მრავალი ქვეყნის ხელისუფლება როგორც აქტიურად, ასევე პასიურად თანამშრომლობდა ცსს-სთან. მათ იცოდნენ ამ სამსახურის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ. ყველა ეს ქმედება გაერთიანებული იყო ერთი საერთო სქემით.**

**დიკ მარტი**, სენატორი:

**— ჩვენ ინფორმაცია მივიღეთ ევროკავშირის თანამგზავრული ცენტრის საჰაერო შეტყობინებების ევროპული სააგენტოსგან. ეს მასალები ჯერ შესასწავლია, მაგრამ უკვე შეიძლება დაზუსტებით ითქვას, რომ ცსს-ს თვითმფრინავებმა, სულ მცირე, 300-ჯერ განახორციელეს დაშვება ძველ კონტინენტზე.**

**საიდუმლო ციხეებთან დაკავშირებულ ევროპის საბჭოს კომისიას ეს ადამიანი ხელმძღვანელობს — სენატორი დიკ მარტი. მის ხელთაა ევროკავშირის თანამგზავრული ცენტრის დოკუმენტები. საქმე ისაა, რომ თვითმფრინავი-მოჩვენებების პილოტები აეროპორტს საკუთარი რეისების შესახებ მონაცემებს არ ატყობინებდნენ და მხოლოდ თანამგზავრებიდან გადაღებულ ფოტოებს შეეძლოთ სარწმუნო ინფორმაციის მიცემა.**

**დიკ მარტი:**

**— მაგალითად, 2003 წლის 7 მარტი. თვითმფრინავი გოლდსტრიმი N379P გაფრინდა ქაბულიდან. რეისის სახელწოდებად წერია P-12, რაც იმას ნიშნავს, რომ ბორტზე 12 მგზავრი იმყოფებოდა. მფრინავების მოწოდებული ინფორმაციით, თვითმფრინავი ბუდაპეშტში დაეშვა. სინამდვილეში თვითმფრინავი დაეშვა პოლონეთში, როდესაც იქიდან აფრინდა, ბორტზე მხოლოდ 9 ადამიანი იყო, ანუ სამი მგზავრი პოლონეთში დარჩა.**

ევროპული ქვეყნების მეთაურები იძულებულნი გახდნენ, გამოეცხადებინათ, რომ ალიძრა სისხლის სამართლის საქმე ადამიანთა გატაცების მუხლით.

მიუნხენის პროკურატურამაც გასცა ორდერი ცსს-ს 13 თანამშრომლის დასაკავებლად, მაგრამ გერმანიის უმაღლესმა კანცლერმა ანგელა მერკელმა მოქალაქის გატაცებას დანაშაულის ნაცვლად შეცდომა უწოდა.

**ანგელა მერკელი**, გერმანიის კანცლერი:

**— მე განვიხილე ეს საკითხი ქალბატონ კონდოლიზა რაისთან ერთად და მივედით დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომა, რომელიც მომავალში, რა თქმა უნდა, აღარ განმეორდება.**

2006 წელს ცნობილი გახდა, რომ ამერიკელების მიერ გატაცებული ეჭვმიტანილების ნაწილი, მათ შორის ქალებიც და ბავშვებიც, ეთიოპიის ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი.

**მელეს ზენაუი**, ეთიოპიის პრემიერმინისტრი:

— თქვენ არ გესმით, რა ტიპის მტერს ვეჯახებით სომალისა თუ მაგადიშში. ისინი საერთაშორისო ტერორისტები არიან და ისინი ცოლებთან და შვილებთან ერთად იმალებიან სომალიში. ხდება ისე, რომ იპოვი ცოლს, მაგრამ ვერ იპოვი მის ქმარს, მაგრამ ცოლიც ხომ ბრძოლის ველზეა?! არასდროს იცი, ეს ნამდვილად ცოლია თუ ტერაქტის დაგეგმვაში მონაწილე საბრძოლო მეგობარი. ამიტომ, თუ ვპოულობთ ცოლს, აგვყავს და დავკითხავთ.

ჟურნალისტებმა ამ ქვეყნის პრემიერმინისტრს ინტერვიუს მოთხოვნა გაუგზავნეს. პასუხად მათ მიიღეს მხოლოდ ვიდეო, რომელზეც პატიმრები შიშით სავსე თვალებით ირწმუნებიან, რომ მათ კარგად ექცევიან, პირობები მშვენიერი აქვთ, საკვები — უგემრიელესი. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ამ პატიმრებს გათავისუფლებას დაჰპირდნენ, თუ არ გაამხელდნენ, რასაც ციხეში უძლებდნენ, მაგრამ ეს დაპირება არავის შეუსრულებია. არავინ იცის, სად არიან ახლა ეს ადამიანები.


კლაუდიო ფავა




მელეს ზენაუი



**რობერტ ბაერი**, ცსს-ს ყოფილი თანამშრომელი:

**— ცსს-ში არსებობს წესი: თუ ვინმეს სურს, ჩაატაროს განსაკუთრებული დაკითხვა და სწორი ინფორმაცია მიიღოს, იგი იორდანიაში ან მაროკოში უნდა გაიგზავნოს. მაგრამ თუ მისი სასიკვდილოდ წამება გსურთ, მაშინ გაგზავნეთ ეგვიპტეში ან სირიაში.**

ყოფილი საბჭოთა ქვეყნები ცსს-ს უცნაურ რუკაზე არ არის აღნიშნული, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ქვეყნებიდან არაერთმა გააფორმა აშშ-თან სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება. ეს თანამშრომლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ამერიკის სამხედრო ბაზის მშენებლობა ყირგიზეთში, ცსს-ს თვითმფრინავების ფრენა უკრაინისა და საქართველოს საჰაერო სივრცეებში და გატაცებული ეჭვმიტანილების გადაყვანა უზბეკეთში.

**კრეიგ მიურეი**, უზბეკეთში ბრიტანეთის ყოფილი ელჩი:

**— ტაშკენტი იყო ერთ-ერთი იმ სამი თუ ოთხი ადგილიდან, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა პატიმრების საგანგებო გადაყვანისთვის. უნდა აღვნიშნო, რომ ვნახე ცსს-ს მთელი სადაზვერვო სისტემა, იმიტომ, რომ ცსს და MI-6 ერთმანეთს უზიარებენ მთელ თავიანთ სადაზვერვო მასალას. მე, როგორც ინგლისის ელჩი, ამ ყველაფერს ვხედავდი. ცსს-ს ტაშკენტში ბევრი ხალხი მოჰყავდა. ცსს-ს თანამშრომლებს, რომლებიც ამას აკეთებდნენ, პირადად ვიცნობდი.**

ოფიციალურად აშშ-ის ხელისუფლება ხშირად აკრიტიკებდა უზბეკეთს, რეჟიმს არასაკმარისად დემოკრატიულს უწოდებდა.

**კონდოლიზა რაისი**, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:

**— სამწუხაროდ, ეუთოს წევრი ცალკეული ქვეყნების ხელისუფლებები, განსაკუთრებით უზბეკეთის ხელისუფლება არ ასრულებს თავის მოვალეობებს ადამიანთა უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის სფეროებში.**

მაგრამ, როდესაც უზბეკეთის ხელისუფლება დათანხმდა სამხედრო თანამშრომლობაზე და პატარა თვითმფრინავებს ტაშკენტის აეროპორტში დაშვების ნება დართო, იმავე კონდოლიზა რაისმა გამოაცხადა, რომ ქვეყანა დასავლური ღირებულებების მიმართულებით მიდიოდა.

**კრეიგ მიურეი:**

**— პატარა კერძო თვითმფრინავები ხშირად მოფრინავდნენ ტაშკენტში ვითომდა სახელისუფლო ავიახაზების მომსახურებისთვის. ფრენის ყველა განრიგში ასეც წერია: „ავიახაზების მთავარი შემსრულებელი“. ჯერ კიდევ მაშინ ვიცოდი, რომ ეს თვითმფრინავები ცსს-ს ეკუთვნოდა და მათაც იცოდნენ, რომ საქმის კურსში ვიყავი. მე ინგლისის ელჩი ვიყავი და ნება დამრთეს, მცოდნოდა, რომ ეს თვითმფრინავები ცსს-ს საკუთრება იყო.**

კრეიგ მიურეიმ საგანგებო გადაყვანის პროგრამის შესახებ დიპლომატიური მისიის მეთაურის თანამდებობის დაკავების პირველივე დღიდან იცოდა, მაგრამ გადაწყვიტა, დუმილი შეენარჩუნებინა. ორი კვირის შემდეგ კრეიგ მიურეიმ ეს გადაწყვეტილება შეცვალა. MI-


რობერტ ბაერი

## რობერტ ბაერი, ცსს-ს ყოფილი თანამშრომელი: როგორც ამერიკელი, მეც აღშფოთებული ვარ. ჩვენ ვიტაცებთ ადამიანებს და ესეც ტერორიზმია



**ჯორჯ ბუში, აშშ-ის პრეზიდენტი 2001-2008 წლებში:
— დიახ, მცირე რაოდენობით ექვმიტანილებს ტერორისტების ლიდერობაში და ტერორისტული დაჯგუფებების წევრებს ჩვენ მართლაც ვამყოფებთ ციხეში და დავკითხავთ აშშ-ის ტერიტორიის გარეთ იმ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხელმძღვანელობს. ეს პროგრამა იყო და რჩება ჩვენთვის ერთ-ერთ უმთავრეს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

6-ის დოკუმენტებს შორის მან ნახა კონვერტი, რომელშიც რამდენიმე ფოტო იდო.

**კრეიგ მიურეი:**

**— უკვე ორი კვირა იყო, რაც იქ ვმუშაობდი და როდესაც ვილაც ადამიანის სხეულის ფოტოები მივიღე.**

ელჩმა ერთი ფოტო ამოიღო და ისევ კონვერტში ჩამალა. იმ მომენტში კრეიგ მიურეი საკუთარ კარიერაზე ფიქრობდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მიხვდა, რომ ეს უნდა ენახა და, რაც მთავარია, ეს უნდა ენახათ სხვებსაც.

**კრეიგ მიურეი:**

**— სახესა და ყელზე ცემის კვალი ეტყობოდა. იგი იმის გამო მოკვდა, რომ მდუღარე სითხეში ჩაძირეს. ეს ნამდვილად ჩაძირვა იყო, მისთვის მდუღარე არ გადაუსხიათ, მის მკლავებზე გარკვევით ჩანდა თოკების კვალი.**

კრეიგ მიურეი მზვერავივით აგროვებდა ინფორმაციას. იგი მოწმეების ჩვენებებს იწერდა და საიდუმლო დოკუმენტების ასლებს იღებდა. მაგრამ არავინ ჩანდა, ვისაც ამ დოკუმენტებს გადასცემდა. **მისი ქვეყნის ხელისუფლებას საგანგებო დავალებების შემთხვევების გამოძიება არ სურდა. ორი წლის შემდეგ ბრიტანელმა ელჩმა გადაწყვიტა, რომ საუკეთესო გამოსავალი თამაშიდან გასვლა იყო.** მან სახალხოდ დაადანაშაულა აშშ-ისა და უზბეკეთის ხელისუფლებები ადამიანთა წამებასა და მკვლელობებში.

**კრეიგ მიურეი:**

**— შევსწრებივარ უამრავ შემთხვევას, როდესაც ოჯახის წევრების თვალწინ ძალადობდნენ ადამიანზე, რომლისგანაც რაღაც ინფორმაციის მიღება სურდათ. იყენებდნენ ელექტროდენით წამებასაც. ამ შემთხვევაში ელექტროდებს ადებენ ადამიანს. ამგვარი უამრავი შემთხვევა მინახავს. უზბეკეთის თაობაზე ასე ვიტყოდი: არ არსებობს არც ერთი სახეობის შემზარავი წამება, რომელსაც იქ არ იყენებენ. მე ტაშკენტს წამების მსოფლიო დედაქალაქს ვუწოდებ.**

კრეიგ მიურეი ტაშკენტს წამების მსოფლიო დედაქალაქს, შესაძლოა, იმიტომ უწოდებს, რომ ელჩად არ უმუშავია სხვა ქვეყნებში, სადაც ცსს თავის საგანგებო დავალებებს ასრულებს. უზბეკეთის შემდეგ იგი საერთოდ აღარ მუშაობს დიპლომატად. იგი საგარეო საქმეთა სამინისტროდან გაათავისუფლეს.


კრეიგ მიურეი






რობერტ ბაერი

**რობერტ ბაერი:**

— როგორც ამერიკელი, მეც აღშფოთებული ვარ. ჩვენ ვიტაცებთ ადამიანებს და ესეც ტერორიზმია.

რობერტ ბაიერს იშვიათად თუ უნახავს, რომ სამხედრო დაზვერვის თანამშრომლებს თავად ეწამებინათ პატიმრები. ამ ეგრეთ წოდებულ ბინძურ საქმეს ისინი, როგორც წესი, ადგილობრივ ხელისუფლებებს აკეთებინებენ. ამერიკელები ესწრებიან დაკითხვებს, მოხსენებებს სწერენ პენტაგონს, თვალს ადევნებენ წამებას, მაგრამ ყოველთვის შეუძლიათ თქვან, რომ ამასთან კავშირი არ ჰქონიათ. მათ მხოლოდ ჩაიყვანეს პატიმარი იმ ქვეყნიდან, რომელშიც ადამიანთა უფლებებს იცავენ, იმ ქვეყანაში, რომელშიც ამგვარი მცნება საერთოდ არ არსებობს. და სულაც არ არის სავალდებულო, რომ ამ უკანასკნელი კატეგორიის ქვეყნები მაინცდამაინც აფრიკაში ან ახლო აღმოსავლეთში მდებარეობდეს.

საგანგებიო დავალების, წამების და ცსს-ს ევროპული ციხეების შესახებ ინფორმაციამ პრესაში ჯერ კიდევ 2005 წელს გაჟონა. **პირველი ევროპული ციხე-მოჩვენება რუმინეთში გაჩნდა.** შეთანხმება ასეთი იყო: აქ განლაგებულია სამხედრო ბაზა და არც ერთ ევროპელ ჩინოვნიკს არ აქვს დაშვება. **იმის თაობაზე, რომ ამ ციხის გალავანს მიღმა ადამიანებს აწამებდნენ, თავად ქვეყნის ხელისუფლებამ გაზეთებიდან შეიტყო, მაგრამ სკანდალი არ ყოფილა. რუმინეთი ნატოს წევრობით დააჯილდოვეს იმის სანაცვლოდ, რომ ქვეყნის ხელისუფლება დაივიწყებდა ამ უსიამოვნო ინციდენტის შესახებ.**

**მისი ქვეყნის ხელისუფლებას საგანგებო დავალებების შემთხვევების გამოძიება არ სურდა. ორი წლის შემდეგ ბრიტანელმა ელჩმა გადაწყვიტა, რომ საუკეთესო გამოსავალი თამაშიდან გასვლა იყო**

კიდევ ერთი ევროპული ქვეყნის — პოლონეთის პრემიერმინისტრი ირწმუნებოდა, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. მაგრამ ევროკავშირის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი ციხე სწორედ პოლონეთში, შემანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამ ქვეყნის ხელისუფლებას ვერ ჰკითხეს ცსს-სთან თანამშრომლობის თაობაზე. იაროსლავ კაჩინსკი, უბრალოდ, გაექცა ტელეკამერებს.

სამაგიეროდ, არ დამალულა აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. ჟურნალისტები ელოდნენ, რომ ასეთი კომპრომატის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი საჩვენებლად დაითხოვდა სამსახურიდან ცსს-ს დირექტორს და გამოაცხადებდა პროგრამის დახურვის, დივერსიული ჯგუფის დაშლის თაობაზე. მაგრამ ჟურნალისტები შეცდნენ — ჯორჯ ბუში კრიტიკით არ გამოსულა. პირიქით, მან ცსს-ს მიმართ მადლიერების სიტყვები არ დაიშურა.

**ჯორჯ ბუში, აშშ-ის პრეზიდენტი 2001-2008 წლებში:**

**— დიახ, მცირე რაოდენობით ექვმიტანილებს ტერორისტების ლიდერობაში და ტერორისტული დაჯგუფებების წევრებს ჩვენ მართლაც ვამყოფებთ ციხეში და დავკითხავთ აშშ-ის ტერიტორიის გარეთ იმ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხელმძღვანელობს. ეს პროგრამა იყო და რჩება ჩვენთვის ერთ-ერთ უმთავრეს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

უბრალო ამერიკელებს ცსს-ს პოლიტიკა ესოდენ გაუმართლებლად სასტიკად სულაც არ ეჩვენებათ. აღიარება „ჩვენ ვიტაცებთ ათასობით ადამიანს“ ამერიკის პრეზიდენტის მიერ ფორმულირდება, როგორც „ჩვენ ვიყენებთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“. ამერიკული პოლიტიკის ამგვარი ევფემიზმებისგან თავისუფლად შეიძლება მთელი ლექსიკონის შედგენა:

**ადამიანის გატაცება** — **საგანგებო დავალება;**

**გატაცებული ადამიანი — ცსს-სთვის — მიზანი, პრესისთვის — ტერორისტი;**

**საჰაერო ციხე — ტრანსპორტი სახელისუფლებო ოპერაციებისთვის;**

**წამება — ეფექტური დაკითხვა;**

**წამება წყალში ჩაძირვით — დაკითხვა წყლის დაფაზე.**

**დიკ მარტი:**

**— გატაცებული ადამიანების მიმართ ოფიციალურად იყენებენ წამებას. ამას არავინ მალავს. გამოიყენება ცივილიზებულ საზოგადოებაში აბსოლუტურად დაუშვებელი ისეთი მეთოდები, როგორიცაა წყალში ჩაძირვა. ეს შემდეგნაირად გამოიყურება: თქვენ სიმულირებთ, რომ ახრჩობთ ადამიანს წყალში და მხოლოდ მაშინ ჩერდებით, როდესაც მას უკვე აღარ შეუძლია სუნთქვა.**

პროფესორი ჯეფრი ედიკატი აშშ-ის ხელისუფლებას უწევს კონსულტანტობას ტერორიზმის საკითხებში. იგი იურისტია და მიიჩნევს, რომ წყლით წამება აბსოლუტურად მისაღები მეთოდია ადამიანისგან ინფორმაციის მისაღებად.

**ჯეფრი ედიკატი, ტეხასის უნივერსიტეტთან არსებული ტერორიზმის კვლევის ცენტრის პროფესორი, იურისტი:**

**— წამების პრობლემა ძალიან რთული საკითხია, რადგან თავად სიტყვა წამება სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა რამეს აღნიშნავს. ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ადამიანების წყლით დახრჩობაა წამება. მაგრამ ადამიანების უმეტესობამ ხომ არ იცის, რას გრძნობს ადამიანი, რომელსაც წყალში ძირავენ და ახრჩობენ?**

თავად ედიკატს, ცხადია, საკუთარ თავზე არ გამოუცდია დაკითხვის ეს მეთოდი. ის არ ჩაუძირავთ ციხის კამერაში, მაგრამ მაინც დარწმუნებულია, რომ დაკითხვის დროს ეჭვმიტანილის წყალში დახრჩობა წამებას არ წარმოადგენს.

**ჯეფრი ედიკატი:**

**— როდესაც ადამიანის ფილტვებს ხელოვნურად ავსებენ წყლით, მას ექმნება მცდარი შთაბეჭდილება, რომ იძირება. მოსამართლემ უნდა გვითხრას, წარმოადგენს თუ არა ეს წამებას, სისასტიკეს თუ მეთოდს, რომელიც პატიმარს სტრესს უვითარებს. ჩემი აზრით, ეს მხოლოდ სტრესია, რომელიც თანამშრომლობას აიძულებს ეჭვმიტანილს.**

ამერიკელი უფლებადამცველები შეიკრიბნენ იმისათვის, რომ გაერკვიათ, თუ რას განიცდის ადამიანი, რომელიც გაიტაცეს და რომელსაც წყალში ძირავენ. მოხალისე მიაბეს დაქანებულ მაგიდაზე თავით ქვემოთ, აუხვიეს თვალები, პირში სველი ნაჭერი ჩაუტენეს და ცხვირში წყალი ჩაასხეს. სულ რაღაც 30 წამის შემდეგ იგი მწვავე ტკივილს განიცდიდა ფილტვების არეში და იხრჩობოდა. ცსს-ს ყოფილი აგენტები ამბობენ, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილები წყლის ამგვარი პროცედურების დაწყებიდან მეორე წუთსავე იწყებდნენ ლაპარაკს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**








**ევროკავშირის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი ციხე სწორედ პოლონეთში, შემანის ტერიტორიაზე მდებარეობდა**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ წვრთნიდა, იარაღით ამარაგებდა და აფინანსებდა მეამბოხეებს „ალ ქაიდას“ „ოპერმუშაკების“ გამოყენებით. საუდის არაბეთიც არ ზოგავდა ფულსა და იარაღს, ისრაელი ეხმარებოდა ამბოხებულებს სირიის საზღვრებს შიგნით საჰაერო დარტყმებით, ანუ ისრაელის ხელისუფლება მნიშვნელოვნად ეხმარებოდა თავის სავარაუდო მოსისხლე მტერს, მაგრამ დასავლეთის სპეციალური ძალისხმევის გარეშე ეს ომი არ გაჩაღდებოდა.**

# რას ამზადებს მსოფლიო ელიტა კოლაფსის შემდეგი სტადიისთვის

**მსოფლიო ელიტას აქვს საყოველთაო სისტემური კოლაფსის გეგმა და ყველაფერი სირიაში ომით იწყება. მრავალი წლის მანძილზე ანალიზდებოდა დაშლის ყველაზე მეტად სავარაუდო სცენარი, რომელიც აშშ-ში განხორციელდება და ამ ანალიზის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაწილს ის ეკონომიკური დესტაბილიზაცია შეადგენდა, რომელსაც დოლარის მიერ მსოფლიო სარეზერვო ვალუტისა და ნავთობდოლარის სტატუსის დაკარგვა განაპირობებდა. გარდა ამისა, აღინიშნებოდა, რომ ფინანსური კრიზისი არ იქნებოდა მოვლენა, რომელიც პოლიტიკური ვაკუუმის სიტუაციაში წარმოიშობოდა. ცენტრალური ბანკები და საერთაშორისო ფინანსისტები, რომლებმაც შექმნეს ჩვენი მიმდინარე და განვითარებადი კოლაფსი, არ დაუშვებენ, რომ ამერიკის ეკონომიკის, დოლარის ან გლობალური ბაზრების განადგურება მოხდეს იმ მოვლენების თანხლების გარეშე, რომლებიც ამ ყველაფერში მათ მონაწილეობას შენიღბავს. მათ რაღაც გრანდიოზული სჭირდებათ, რაღაც იმდენად დიდი, რომ საშუალოსტატისტიკურ მოქალაქეს შიშის ზარი დაეცეს. ბოლისა და სარკეების მაგიური ტრიუკები იმდენად სულის შემძვრელი იქნება, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაჰიპნოზებული დარჩება და ვერ შეძლებს იმ კოშმარის ფესვების გაანალიზებას, რომელსაც პირისპირ შეეჯახება. ელიტას ყალბი აპოკალიფსი სჭირდება.**



**უბედურებათა გრძელ ჯაჭვში სირია დომინოს პირველი ქვაა, რომელსაც ამერიკის მთავარი «გონებრივი ცენტრი» — RAND CORPORATION-ი ხანდახან ბალთასაც უწოდებს**

ძალიან დიდი ხნის მანძილზე საუბრობდნენ იმაზეც, რომ სირიის საკითხი გლობალური კატასტროფის იდეალურ კატალიზატორად იქნებოდა გამოყენებული. სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომი უკვე ვრცელდება მეზობელ ქვეყნებზე — ერაყზე, იორდანიასა და ლიბანზე და, თუ ფაქტებს ობიექტურად შევხედავთ, მთელი ეს ომი სხვა არაფერია, თუ არა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ფარული ქმედების შედეგი.

**აშშ წვრთნიდა, იარაღით ამარაგებდა და აფინანსებდა მეამბოხეებს „ალ ქაიდას“ „ოპერმუშაკების“ გამოყენებით. საუდის არაბეთიც არ ზოგავდა ფულსა და იარაღს, ისრაელი ეხმარებოდა ამბოხებულებს სირიის საზღვრებს შიგნით საჰაერო დარტყმებით, ანუ ისრაელის ხელისუფლება მნიშვნელოვნად ეხმარებოდა თავის სავარაუდო მოსისხლე მტერს, მაგრამ დასავლეთის სპეციალური ძალისხმევის გარეშე ეს ომი არ გაჩაღდებოდა.**

თუ გავცდებით სირიული ამბოხის მოკლე განხილვას, შეიძლება მონსტრების ორგანიზაციას მივადგეთ. მათი დანაშაულებრივი ქმედებები საგულდაგულოდაა დასაბუთებული და ამ საბუთებს შორის არის უიარაღო ტყვე ჯარისკაცების მასობრივი დახვრეტები, უდანაშაულო ადამიანების წამება, გვამების დასახიჩრება და კანიბალიზმი და რელიგიური ტირანია დაშინებული მოსახლეობის მიმართ. ეს დემონები შექმნა და შემდეგ გალიებიდან გამოუშვა აშშ-მა და ახლა ხალხი თეთრ სახლს ეხვეწება, რომ იარაღით დაუჭიროს მხარი.

**ამ ყველაფრის მთავარი მიზანი მთელს მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების კარდინალური შეცვლაა. მიზანი არის ძლიერი შიშის გაჩენა, შიშისა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კაპიტალის სახით იმის საყიდლად, რასაც გლობალისტები ახალ მსოფლიო წესრიგს უწოდებენ.**

**უბედურებათა გრძელ ჯაჭვში სირია დომინოს პირველი ქვაა, რომელსაც ამერიკის მთავარი „გონებრივი ცენტრი“ — Rand Corporation-ი ხანდახან ბალთასაც უწოდებს.** ვიდრე ამაზე ვმსჯელობთ, ობამას ადმინისტრაცია საზღვაო და სახმელეთო ძალებს საჭირო ადგილას აგზავნის და ცდილობს, დაარწმუნოს ამერიკის საზოგადოება, რომ მსოფლიოს 90% „არასწორად“ აზროვნებს და რომ სირიაზე დარტყმა აუცილებელია. როგორც ჩანს, ისტებლიშმენტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, აამოქმედოს ეს ჯაჭვური რეაქცია და დააჩქაროს გლობალური კრახი. ასე რომ, თუ დარტყმა მართლაც მოხდება, უახლოეს რამდენიმე წელში უნდა ველოდოთ მოვლენებს, რომელთა მოკლე ჩამონათვალიც კი შემზარავია...

აშშ-ის მრავალი მოკავშირე თავს შეიკავებს სირიაზე თავდასხმაში უშუალო მონაწილეობისგან. ობამა განაგრძობს მოქმედებას ცალმხრივად ან ისრაელისა და საუდის არაბეთის მუდმივი მხარდაჭერით, რაც აშშ-ზე, როგორც კრიზისის ძირითად მიზეზზე, დიდ ყურადღებას მიმართავს.

**ობამა შეეცდება, შეარბილოს საზოგადოებრივი რეზონანსი შეტევების სარაკეტო დარტყმებით შემოფარგვლით, მაგრამ ეს დარტყმები უკიდურესად არაეფექტური იქნება ერაყსა და ავღანეთში ომებთან შედარებით.**

არასაფრენი ზონა არ მომზადდება, მაგრამ აშშ-ის ფლოტი შეეცდება, დარჩეს რუსეთის მაღალი კლასის სარაკეტო ტექნოლოგიების ზონის და ეს გაახანგრძლივებს სირიის სამხედრო საჰაერო ძალების საპასუხო რეაგირების დროს, გაართულებს მას. ერაყთან და ავღანეთთან შედარებით ამჯერად ამერიკის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებში გაცილებით მეტი მსხვერპლია მოსალოდნელი.

**ირანი დაუყოვნებლივ გაგზავნის ჯარებს და შეიარაღებას სირიის მხარდასაჭერად. სირია განაგრძობს ყველას გაოცებას ათასგვარი სამხედრო ძალით, რომლებიც იბრძოლებენ იდეური მოსაზრებებით და არა წმინდაპოლიტიკური და სასაზღვრო მოტივებით. ცხადად თუ საიდუმლოდ, ბრძოლები გავრცელდება სხვა ქვეყნებშიც, როგორც ეს ვიეტნამში იყო.**

**ისრაელი გახდება პირველი ქვეყანა, რომელიც ოფიციალურ სახმელეთო ჯარებს გაგზავნის სირიაში და მიზეზად ამერიკის საჰაერო დარტყმების არაეფექტურობას მოიშველიებს. მალე მათ ამერიკის ჯარებიც მიჰყვებიან.**

**ირანი ჩაკეტავს ორმუზის სრუტეს ვიწრო ყელში რამდენიმე სატვირთო ხომალდის ჩაძირვით და საზღვაო რაკეტებს მიმართავს ნებისმიერი საწყალოსნო საშუალებისკენ, რომელიც კი გასასვლელის ნამსხვრევებისგან გაწმენდას შეეცდება. ორმუზის სრუტის გავლით ნავთობის ექსპორტი შეწყდება რამდენიმე თვით, ერთ საათში მსოფლიო ნავთობის მიწოდების 20%, უბრალოდ, აორთქლდება.**

ეგვიპტის სამოქალაქო ომი, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს, მაგრამ იგნორირებულია წამყვანი მედიასაშუალებების მხრიდან, იფეთქებს სირიაში ამერიკელების შეჭრის გამძვინვარების ხარჯზე. სუეცის არხი სახიფათო ვარიანტად იქცევა ექსპორტიორთათვის ნავთობის მისაწოდებად. აფრიკული გზებით მოგზაურობა ნავთობის მიწოდების დროს დაახლოებით ორი კვირით გაზრდის და მნიშვნელოვნად გააძვირებს პროდუქტს.

საუდის არაბეთი დაინახავს ამბოხს, რომელიც ზედაპირის ქვეშ მრავალი წლის მანძილზე მწიფდებოდა.

ბენზინის ფასი მნიშვნელოვნად გაიზრდება, სირიაზე ნებისმიერი დარტყმის შემთხვევაში ეს ზრდა ორი-სამი თვის მანძილზე 75-100%-ს შეადგენს.

ტრანსპორტით გადაადგილება გართულდება ბენზინის გაძვირების გამო. ის მცირედიც კი, რაც ეკონომიკაში ჯერ კიდევ ყვავის, დოლარის დაცემის გამო მოკვდება.

**რუსეთი ევროკავშირში გაზის ექსპორტის შეზღუდვით ან სრულად შეწყვეტით დაიმუქრება, თუ ევროპა სირიის წინააღმდეგ აშშ-ის მხარდაჭერას მოინდომებს. ევროკავშირი იძულებული გახდება, ენერგომატარებლებით რუსეთზე დამოკიდებულების გამო მისი პირობებით ითამაშოს.**

რუსეთი სამხედრო-საზღვაო ძალებს განალაგებს ხმელთაშუა ზღვაში, რათა აშშ-ზე ზეწოლა მოახდინოს. რუსეთის მხრიდან აშშ-თან პირდაპირი კონფრონტაციის ალბათობა არც ისე დიდია, რადგან ისეთ ქვეყნებს, როგორიც რუსეთი და ჩინეთია, ამერიკისთვის მტკივნეული დარტყმების მისაყენებლად მაინცდამაინც იარაღი არ ესაჭიროება.

**რუსეთი და ჩინეთი, ბოლოსდაბოლოს, საბოლოოდ უარს იტყვიან დოლარზე, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტაზე. ეს პროცესი 2005 წელს დაიწყო და ამის შესახებ გლობალური ბანკები მრავალი წლის მანძილზე საქმის კურსში იყვნენ.**

იმის გამო, რომ ჩინეთს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია ექსპორტსა და იმპორტში, მრავალი ქვეყანა მის მაგალითს მიბაძავს და ორმხრივ ვაჭრობაში უარს იტყვის დოლარზე.

**ენერგომატარებლებზე მაღალი ფასებისა და დოლარის დევალვაციის შერწყმა დიდ დარტყმას მიაყენებს საცალო ფასებს. ყველანაირი საქონლის ფასი გაორმაგდება.**



უსახლკაროების რაოდენობა სოციალური პროგრამების შემცირების შესაბამისად გაიზრდება, სასურსათო ტალონები გარდაუვალი გახდება. ამასთან, კეთილ- ▶

**„უსქესო“ მდგომარეობის გავლით მესამე სქესის შემოღება გერმანიაში განიხილება, როგორც სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაძლევისთვის გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. მაგრამ სინამდვილეში გერმანული კანონი გაურკვეველი ინტერსექსუალური გენდერის შესახებ დაბადების მოწმობაში სხვა არაფერია, თუ არა პატარა გამარჯვება იმ ადამიანთა პატარა ჯგუფის უფლებების დაცვის საქმეში, რომელთაც საკუთარი მენტალური განსაზღვრებით სქესი არ გააჩნიათ.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დღეობა არსად გაქრება, ის უბრალოდ კორექტირდება, რომ სხვადასხვა მიზანს მოერგოს. თავად უსახლკაროებს დამნაშავეებად განიხილავენ. უმუშევრებისა და უსახლკაროების ბანდების ხეტიალი, რაც დიდი დეპრესიის პერიოდში ხდებოდა, თანამედროვე კრიზისის დროს არ იქნება. სახელმწიფო და ფედერალური აგენტები იზრუნებენ იმისთვის, რომ ლატაკები გაქრნენ თვალთახედვიდან რაღაც სპეციალურ თავშესაფრებში გამწესებით. მათ აიძულებენ, მიიღონ დევნილის სტატუსი, რაც მათ მთლიანად დამოკიდებულს გახდით ფედერალურ ნარჩენებზე და ამავე დროს გამოკეტავს ფედერალურ ბანაკებში.

**ტერორისტული შეტევები ტყის ხანძრებივით მოედება ყველაფერს. აშშ-ს ამგვარი შეტევები მრავლად ელის ინფრასტრუქტურაზე კიბერთავდასხმების ჩათვლით. ამაში ბრალს დასდებენ სირიას და მტკიცებულებების ძებნით თავს არავინ შეიწუხებს. თეთრი სახლი გახდება ფართო ავტორიტარული უფლებამოსილების ინსტიტუტი, ამასთან გამოყენებული იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების განკარგულებები, პატრიოტის აქტი და სხვა მრავალი ინსტრუმენტი.**

**შესაძლოა, საომარი მდგომარეობა ოფიციალურად არავინ გამოაცხადოს, მაგრამ ამერიკის ქუჩებში თავს ყველა ზუსტად ისე იგრძნობს, როგორც საომარი მდგომარეობისას.**

ყალბი პარადიგმები განდევნიან მთავარ ღირებულებებს, რადგან ისტებლიშმენტი შეეცდება, დააცალკევოს ამერიკის მოქალაქეები. კონფლიქტი მრავალი სახისა იქნება: მუსლიმანები ქრისტიანების წინააღმდეგ, შავკანიანები თეთრკანიანების წინააღმდეგ, ლატაკები შეძლებულების წინააღმდეგ და ა. შ. თავისუფლებისთვის მოძრაობის აქტივისტები გამყიდველებად და ხელისუფლების ავტორიტეტის მტრებად გამოცხადდებიან. ნეოკონსერვატორები ყველაფერს ბარაკ ობამას დააბრალებენ. ნეოლიბერალები განხეთქილების გამო ბრალს კონსერვატორებს დასდებენ. თავისუფლებისთვის მებრძოლები მიანიშნებენ, რომ ორივე „რაზმში“ საერთაშორისო ბანკირების მარიონეტები არიან და კიდევ ერთხელ მოინათლებიან „მოღალატეებად“. ისტებლიშმენტი შეეცდება, ამერიკელების მთელი მრისხანება და მძვინვარება ერთმანეთის მიმართ მიმართოს.

**ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტროს აპარატი მთლიანად გადაერთვება ქვეყნის შიგნით მოქმედებაზე და მთელ ყურადღებას „შიდა მტრებზე“ მიმართავს. სატრანსპორტო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილება გაიზრდება და ავტომაგისტრალებსა და ქალაქების ქუჩებზეც გავრცელდება. ადგილობრივი პოლიცია მთლიანად ფედერალების დაქვემდებარებაში გადავა. Northcom-ი ჯარისკაცებს აშშ-ის საზღვრებს შიგნით გაგზავნის და იქ საქმე ექნება ქვეყნის ტერიტორიის ყველაზე ურჩ მეოთხედთან.**

ტოტალიტარიზმი ნორმად იქცევა.

shtfplan.com

# ადამიანის სქესობრივი იდენტიფიკაცია აღარ იარსებებს?

**2013 წელი გენდერული პრობლემატიკის კანონმდებლობის წლად იქცა და ევროპის სახელმწიფოებში ჰომოსექსუალური ქორწინებების დაკანონების კანონებს შორის გერმანიიდან ყველაზე უცნაურმა — უსქესო ადამიანების შესახებ კანონმა გამოანათა. ინტერსქესის შესახებ ახალი გერმანული კანონი ძალაში შედის 2013 წლის 1 ნოემბრიდან. კანონმა თვით გერმანულ პრესაშიც დიდი ინტერესი გამოიწვია ახალშობილების დაბადების მოწმობებში გრაფის — „გაურკვეველი სქესის“ არსებობის გამო.**



## ავსტრალია უარს აცხადებს ახალშობილების სქესის რეგისტრირებაზე, გერმანიაში კი შემოიღეს ახალი სქესი — ინტერსქესი

გერმანიის მოსახლეობის უმეტესობას არ ესმის, რას ნიშნავს უსქესობის მდგომარეობასთან დაკავშირებული აღნიშნული გენდერული კანონის არსი. **სწორედ ინტერსქესის შესახებ კანონთან დაკავშირებით დაიწყო ამ ქვეყანაში საუბარი ან სამყაროს აღსასრულსა და ანტიქრისტეზე, ან უფრო კონკრეტული დასავლური ცივილიზაციის აღსასრულზე.**

აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გეებისა და ლესბოსელების ქორწინების დაშვების კანონებით გერმანელებს ვეღარ მოთაფლავ, საჭიროა რაიმე განსაკუთრებულის მოფიქრება. და აი, **გერმანელების ცნობიერება შეძრა „უსქესო ადამიანმა“. ახლა გერმანიაში არა მხოლოდ უბრალო ადამიანები, არამედ უმაღლესი განათლების მქონენიც კი ვერ ხვდებიან, რა შუაშია აქ რაღაც კოსმეტოლოგიური ოპერაციები გენიტალიებზე და საერთოდ, ვინ არიან ინტერსქესის მატარებლები.** გერმანულმა ყოველდღიურმა გამოცემა Spiegel-მა, სიტუაციის განმარტების მიზნით, ამ ყველაფერთან დაკავშირებით სპეციალური მასალა გამოაქვეყნა.

გენდერული ინტერსქესის თეორეტიკოსები ვარაუდობენ, რომ ანალოგიურ პრობლემებზე ადამიანთა ნაკლებად გაცნობიერება თავისთავად წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას, რაც ეწინააღმდეგება იმ დემოკრატიის პრინციპებს, რომელიც სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ადამიანების, მათ შორის ფიზიკური გადახრებით დაბადებულთა, მარტივ მოთხოვნილებებს. პრობლემის განმარტებისთვის სიტყვა მიეცა ლესბოსელების, გეების, ბისექსუალების, ტრანსსექსუალებისა და ინტერსექსუალების საერთაშორისო ასოციაციის ევროპული განყოფილების დირექტორს — სილვან აგიუსს.

ცხადია, რომ პირველი კითხვა, რომელიც ბავშვის დაბადებისას ჩნდება, მის სქესს შეეხება. ახალშობილის ჯანმრთელობის შესახებ კითხვა მხოლოდ მეორე ადგილზეა, ამ პირველი კითხვის შემდეგ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ორსულობაზე დაკვირვების თანამედროვე ტექნოლოგიები ბავშვის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე იძლევა მისი სქესის განსაზღვრის შესაძლებლობას.

ბავშვის დაბადების შემდეგ მოქმედებას იწყებს კულტურის ფაქტორი, რაც განსაზღვრავს იმას, რასაც გენდერით შეპყრობილი თეორეტიკოსები „გენდერულ როლს“ უწოდებენ. „გენდერული როლი“ პირდაპირ კავშირშია სქესის ნიშნებთან. ამრიგად, ეს უკანასკნელი კულტურის ფარგლებში ქცევის სტერეოტიპს წინასწარ განსაზღვრავს. მოცემულ „გენდერულ როლთან“ შეუსაბამო ქცევა ადამიანთა კოლექტივში დასჯადია აღზრდის სისტემაში, ეს კი ძალადობაა და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს, — მიიჩნევენ ინტერსქესის თეორეტიკოსები. მათი აზრით, ამგვარი მიდგომა ადგილს არ ტოვებს „გენდერული თავისუფლებისთვის“ — „დისპერსიისა“ და „ორაზროვნების“ გამოხატვისთვის, ამიტომ **ინტერსქესის შესახებ კანონის ღრმა შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე დაძლიოს მორალი და უსიამოვნო დამოკიდებულება გენდერის გადახრების მიმართ. მოკლედ რომ ვთქვათ, ინტერსქესი საჭიროა იმისთვის, რომ სანკტ-პეტერბურგში ან სადმე სხვაგან გეი-ბიჭებს არ სცემონ.**

**ინტერსქესის შემოღების გასამართლებლად გამოიყენება ცნობილი იშვიათი ფენომენი ახალშობილებში გენიტალიურ გადახრებთან დაკავშირებით. როგორც წესი, მსგავს შემთხვევებში საქმეს აგვარებს ხოლმე უმარტივესი სამედიცინო ოპერაცია, რომელიც კოსმეტიკური ხასიათისაა. ისიც კი არ არის ცნობილი, ვნებს თუ არა ეს პროცედურა ადამიანების სამომავლო კეთილდღეობის შეგრძნებას. ინტერსქესის მომხრეები თვლიან, რომ ვნებს და თანაც მნიშვნელოვნად.**

მაშ ასე, გრაფა ინტერსქესის შესახებ გამზადებულია იმ ახალშობილებისთვის, რომელთაც ზემოხსენებული თანდაყოლილი გადახრები აღმოაჩნდებათ. მაგრამ ახლა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ამგვარ ახალშობილებზე ოპერაციების ჩატარებაც. დაე, ყველაფერი დარჩეს, როგორც არის და ამ ადამიანებს მიენიჭოთ ინტერსქესის სტატუსი? 2012 წელს შვეიცარიის სამედიცინო ეთიკის ნაციონალურმა საკონსულტაციო კომისიამ გაავრცელა განცხადება, რომლითაც მოუწოდებდა საზოგადოებას, შეეწყდეს გენიტალიებთან დაკავშირებული გადახრებისას ახალშობილებზე ოპერაციები წმინდა ფსიქოლოგიური მიზეზებით. კომისიის მოწოდებით, აღნიშნული პრაქტიკა უნდა გადაიდოს იმ დრომდე, ვიდრე ბავშვი არ გაიზრდება და ცნობიერად არ დათანხმდება მსგავს ოპერაციას. კომისიის ვარაუდით, დაზუსტებით არავინ იცის, რა ზემოქმედებას ახდენს ამგვარი ოპერაციები ბავშვზე, შემდგომ კი — უკვე ზრდასრულ ადამიანზე.

**„უსქესო“ მდგომარეობის გავლით მესამე სქესის შემოღება გერმანიაში განიხილება, როგორც სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაძლევისთვის გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. მაგრამ სინამდვილეში გერმანული კანონი გაურკვეველი ინტერსექსუალური გენდერის შესახებ დაბადების მოწმობაში სხვა არაფერია, თუ არა პატარა გამარჯვება იმ ადამიანთა პატარა ჯგუფის უფლებების დაცვის საქმეში, რომელთაც საკუთარი მენტალური განსაზღვრებით სქესი არ გააჩნიათ.**

კანონმდებელთა ჩანაფიქრით, გერმანიაში ინტერსექსუალური სქესის შემოღება წინ უნდა აღუდგეს უხილავი ჯგუფის დისკრიმინაციას, რადგან, მათი აზრით, მდედრობითი და მამრობითი სქესების არსებობაც კი თავისთავად ძალადობის პოტენციური ფორმაა. კანონს მნიშვნელობა აქვს გერმანული კანონმდებლობისთვის, რადგან აფართოებს ადამიანთა უფლებებს და აღნიშნავს რეალურ პროგრესს „უსქესო“ ადამიანებისთვის. ამგვარი გენდერული მდგომარეობიდან გამოსვლაში ნებისმიერი ჩარევა, ქირურგიული იქნება ის თუ ჰორმონალური, დაშვებულია მხოლოდ პაციენტის ნებართვით, ცხადია, მას შემდეგ, რაც სათანადო ასაკს მიაღწევს. წარსულ პრაქტიკას შეიძლება ვუწოდოთ პირადი ხელშეუხებლობისა და თვითგანსაზღვრის უფლებების დარღვევა და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებად შევაფასოთ.

**გერმანიის გარდა, წელს „პროგრესს“ მიაღწია ავსტრალიამაც და მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი ინტერსქეს-სტატუსის შესახებ, რომელიც სქესის არსებულ სტატუსებს აბათილებს. ავსტრალიის ხელისუფლებამ დაამტკიცა სპეციალური ინსტრუქციებიც კი, რომლებითაც უნდა განისაზღვროს სქესი და გენდერი ბავშვის დაბადებისას. ამ წესებს ახლა იცავს ავსტრალიის ჯანდაცვის სისტემა. ავსტრალია იმდენად შორს წავიდა, რომ ბავშვის დაბადებისას შესავსები დოკუმენტებიდან საერთოდ ამოიღო ყველა გრაფა, რომლებიც მის სქესს ეხებოდა. კანონმდებლობის მიღების გარდა, ავსტრალიის სენატი დაკავდა საკითხით არანებაყოფლობითი ან იძულებითი სტერილიზაციის შესახებ იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომელთაც ინტერსქეს გენდერი აქვთ.**

Spiegel-ი წერს, რომ გერმანიის ხელისუფლებამ მაგალითი უნდა აიღოს ავსტრალიისგან და განავითაროს კანონმდებლობა უსქესო ადამიანებთან პარტნიორობის ადამიანის უფლებების მიმართულებით. ასე რომ, **ახლა ევროპელებს წინ ელით არა მხოლოდ ქორწინების უფლება გეებისა და ლესბოსელებისთვის, არამედ ყველაზე ორიგინალური რამ — რომელიმე სქესის მქონე ადამიანის თანაცხოვრება უსქესო ადამიანთან.**

სხვათა შორის, ინტერსქესის შესახებ კანონი საშუალებას იძლევა, საბოლოოდ უარი ითქვას ახალშობილის დაბადებისას მისი სქესის დაფიქსირებაზე, როგორც ეს უკვე გააკეთეს პროგრესულად მოაზროვნე ავსტრალიელებმა. დაბადებისას ბავშვის სქესის დაფიქსირება ხომ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოებრივი ძალადობა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა? ვაცადოთ, გაიზრდება პატარა ადამიანი და თავად გადაწყვეტს, ვინ არის — გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსექსუალი თუ ინტერსექსუალი...

regnum.ru

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალურმა გარემო პირობებმა შექმნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, კერძოდ, სამუშაო ძალის მიგრაციის პრობლემა, რომელიც მეტად სასარგებლო იქნებოდა, საქართველოდან გასულ ადამიანებთან, რომლებიც მთელ მსოფლიოში ქმნიან დიასპორას, მუშაობის აწყობილი, სახელმწიფოებრივად ორგანიზებული სისტემა რომ გვქონდეს, რათა დიასპორა იყოს ჩვენი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.**

# დიასპორა ის ძალაა, რომელსაც აღმართში ხვნა შეუძლია

**უკვე 15 წელიწადია, რაც ჩემს ზეპირ და წერილობით გამოსვლებში მუდმივად ვამახვილებ ყურადღებას გლობალიზაციის მნიშვნელობაზე, კვლავაც გავაგრძელებ ამ საქმიანობას, რადგან მჯერა, რომ „პატარა ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტე ადამიანებისა და მათი ქონების დაცულობის შედარებით დაბალ დონეს განაპირობებს და იწვევს მყარი უსაფრთხოების შეუძლებლობის ნაღვლიან განცდას“.**

**ფრიდრიხ ლისტის ეს სიტყვები განსაკუთრებით აქტუალურია დღეს ჩვენი და სხვა — ჩვენსავით პატარა ქვეყნებისთვის, ამიტომ გლობალიზაციას უნდა შევხედოთ, როგორც ბიბლიურ ლევიათანს, რომელზეც ხელის შეხებისას, როგორც მამა ღმერთი გვაფრთხილებდა, უნდა „გახსოვდეს ბრძოლა, მეტს აღარ ეცდები“** ***(იობი 14. 32).***



გლობალიზაცია გვიზიდავს და გვითრევს მსოფლიო სისხლსავსე ცხოვრებაში. იგი გვაძლევს განვითარების არნახულ შესაძლებლობას და ამავე დროს გვიქადის გაქრობას. იგი მოდის ქარიშხალივით, მოაქვს ადამიანების, ერების, სახელმწიფოების თანაცხოვრების ცივილიზებული სტანდარტები, რესურსების გამოყენების ეფექტიანობისა და შრომისნაყოფიერების ზრდის შესაძლებლობები, მაგრამ, თუ მას ღირსეულად არ შეხვდი, არ შეაგებე შენი თვითმყოფადი, ეროვნულ ტრადიციებში გამოხატული უნიკალობა, თუ არ აგრძნობინე, რომ შენ საჭირო და აუცილებელი ხარ, როგორც არა ძალა, არამედ ამ ძალის წარმომშობი აუცილებლობა, რომლის გარეშეც მსოფლიო კულტურული მრავალფეროვნება გაღარიბდება, რომლის გარეშეც მსოფლიო ისტორია არ იქნება სრულყოფილი, მაშინ ამოქმედდება ცივილიზებული გარემოს ერთი ულმობელი კანონი, მისთვის მიუღებელი და გაუგებარი კულტურების მარგინალიზაციისა და შემდეგ მათზე უარყოფითი ზემოქმედების კანონი, რომლის ძალითაც მსოფლიო თანამშრომლობა ჩვენთვის საბედისწერო გახდება. არავის ვაშინებ, მხოლოდ ვაფრთხილებ, რადგან ჩვენი საზოგადოების ჰომეოსტაზი (მდგომარეობის ერთგვარი სიმყარე. — რედ.), ჩვენს პასუხისმგებლურ საქმიანობაზეა დამოკიდებული.

## ჩვენი საზოგადოების პათოლოგია

**მოვლენათა ზედაპირზე გლობალიზაცია ყველას, ვისაც მსოფლიო საბაზრო სისტემაში ადაპტაცია განუზრახავს, თანაბარ სტანდარტულ პირობებს სთავაზობს. ესაა სამუშაო ძალის, ფულისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება მსოფლიო ბაზარზე, შესაბამისად, იმ პირობების აღიარება და ეროვნული საზოგადოების მასშტაბით განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანისა და მისი ქონების თავისუფალ მიგრაციას.** თუ ამ თვალსაზრისით დავუკვირდებით პატარა სახელმწიფოებს, ყველგან შევნიშნავთ მოსახლეობის მობილურობასა და კვალიფიციური სამუშაო ძალის გადინებას სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს ცნება „დიასპორა“. **საქართველოსთვის, რომლის განსაკუთრებულ ნიშანსაც წარმოადგენდა მისი მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილისადმი სტაბილური დამოკიდებულება, აქტუალური გახდა პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მსოფლიო მასშტაბით ადამიანების მიგრაციას.**

ექსპერტების გათვლებით, **საქართველოდან გასულია 1,5 მილიონი ადამიანი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა დასაქმებულია გამოცდილებისა და ცოდნისთვის შეუფერებელი საქმიანობით. ასეთი მიგრანტები განვითარებულ ქვეყნებში ვერ იმაღლებენ კვალიფიკაციას, ვერ იძენენ ახალ პროფესიებს, სრულყოფილად ვერ მონაწილეობენ სოციალურ პროცესებში, ამიტომ უკან დაბრუნებულები აქტიურად ვერ ებმებიან ქვეყნის სამეურნეო საქმიანობაში.** არის გამონაკლისიც, როცა ისინი, ვინც თავიანთი კვალიფიკაციითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ იმ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, რომელშიც მოღვაწეობენ. არის პირიქითაც. არაფერი რომ არ ვთქვათ ტრეფიკინგის მსხვერპლზე, იშვიათია, თბილისში ევროპიდან დაფრინდეს რეისი, ერთიორი დეპორტირებული ჩვენი თანამოქალაქე რომ არ ჩამოიყვანოს სამშობლოში.

ამგვარად, **გლობალურმა გარემო პირობებმა შექმნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, კერძოდ, სამუშაო ძალის მიგრაციის პრობლემა, რომელიც მეტად სასარგებლო იქნებოდა, საქართველოდან გასულ ადამიანებთან, რომლებიც მთელ მსოფლიოში ქმნიან დიასპორას, მუშაობის აწყობილი, სახელმწიფოებრივად ორგანიზებული სისტემა რომ გვქონდეს, რათა დიასპორა იყოს ჩვენი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი და მის შესახებ მიმდინარეობდეს სერიოზული მეცნიერული კვლევები.**

არავის ღვაწლის დაკნინება არ მინდა: ცხადია, გარკვეული საქმიანობა ამ მიმართულებით მიმდინარეობს, არსებობს დიასპორასთან საქმიანობის სახელმწიფო ინსტიტუციონალური სისტემაც, მაგრამ საზოგადოების ინფორმირებულობა ამ სფეროში ძალიან დაბალია. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოდან, **მიზანდაუსახველად, თვითდინებით მთელ მსოფლიოში გაიფანტა მაღალმობილურობისა და საკმარისი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა, რომელიც ახალ პირობებში არ არის სათანადოდ დაცული, არ აქვს ადეკვატური შრომისა და ცხოვრების პირობები. ამის გამო ჩვენი ქვეყნის ადამიანური კაპიტალის ხარისხი დაქვეითდა, რაც ნეგატიურად აისახება ჩვენს საზოგადოებრივ საქმიანობაზე.** სამაგიეროდ, უცხოეთიდან შემოდის ფული, რომელიც აქ მოიხმარება. ამ ფულით ივსება ჩვენი ბიუჯეტი, მაგრამ, რადგან უნარიანი სამუშაო ძალა გავიდა ქვეყნიდან, შემცირდა ადგილობრივი წარმოების მოცულობა (რა თქმა უნდა, ამის სხვა მიზეზებიც არსებობს), მის ნაცვლად შემოვიდა უხარისხო და საეჭვო წარმოშობის პროდუქცია — მომხარებელი, საზოგადოების დიდი ნაწილი საკმარისი რაოდენობის კალორიებს ვერ იღებს.

დღეს დიასპორის გარეშე ჩვენი ბაზრის განვითარება წარმოუდგენელია, რადგან **ადგილობრივი ბაზრის განვითარება გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური კაპიტალის განვითარებას და, რაც მთავარია, იმ რესურსების ამოქმედებას, რომლებიც გვაქვს და იდენტურია ჩვენი განვითარების კულტურულ-ისტორიული პროფილის.**

მაშინ, როცა მთავარი რესურსი, ადამიანები, გაფანტულია მსოფლიო სივრცეში, მათი საქმიანობის ეფექტიანობის კრიტერიუმები იცვლება და საჭირო ხდება მიმდინარე პერიოდისთვის დამახასიათებელი მექანიზმების შემუშავება. ამგვარად, დიასპორასთან საქმიანობა და საქართველოდან მიგრირებული სამუშაო ძალის აქტიური ჩართვა ქვეყნის აღმშენებლობაში განვითარების სისტემური და მნიშვნელოვანი ელემენტია. უნდა გავითავისოთ, რომ **მსოფლიო საბაზრო სისტემაში ჩვენი ჩართულობის კვალობაზე სამუშაო ძალის მიგრაციას აქვს არა მხოლოდ სისტემატური ხასიათი, არამედ იგი ჩვენი ქვეყნის განვითარების სისტემურ მახასიათებლად იქცა.** ამ ახალი რეალობის სათანადო გააზრება, ანუ ქვეყნიდან გასული სამუშაო ძალის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება ჩვენს ყოველდღიურობაში ეროვნული განვითარების ახალ, აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომ ხელიდან არ უნდა გავუშვათ ამ უაღრესად მნიშვნელოვან პროცესზე კონტროლი და, რაც მთავარია, გამოვიყენოთ იგი, როგორც ეროვნული ინტერესების რეალიზაციის ქმედითი მექანიზმი.

**1990-იან წლებში საქართველოზე მაფიქრალ და მისი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ადამიანებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ ოდესმე საქართველოს მოსახლეობის ერთი მესამედი — 1,5 მილიონი ადამიანი — საზღვარგარეთ წავიდოდა სამუშაოს საძებნელად, ქვეყნისთვის საჭირო სურსათის 60 პროცენტი უცხოეთიდან შემოსატანი გახდებოდა და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი 13 მილიარდი აშშ დოლარი იქნებოდა.** ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ჩვენმა ქვეყანამ, როგორც დამოუკიდებელმა სოციალურ-ეკონომიკურმა წარმონაქმნა, შეიმუშავა გარემოსთან ადაპტაციის უნარი, რომელიც არა მარტო რეალურად მიმდინარე ობიექტური, არამედ შემეცნებითი პროცესიცაა, საიდანაც საზოგადოება იღებს გარე სამყაროში არსებულ ინფორმაციას, რომელსაც მისი შემდგომი განვითარებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, საქართველოს, რომელსაც 12 მილიონი ადამიანის გამოკვებისა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფის რესურსი გააჩნია, რად ესაჭიროება დიასპორა, თუ იგი გარესამყაროსთან ადაპტაციის ქმედითი და ეფექტიანი წარმონაქმნი არ იქნება?!

სახეზეა **სისტემური წარმონაქმნი, რომელიც წარმოიშვა სისტემაზე გარე სამყაროს დამანგრეველი ზემოქმედებისგან თავდაცვის მიზნით, მაგრამ დეფორმირებულია და მოვლენათა ზედაპირზე წარმოდგა, როგორც ჩვენი საზოგადოების პათოლოგია.**

## ქართული დიასპორა ჩვენი სიმდიდრეა

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი **დიასპორის განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთელი ჩვენი ქვეყნის პროგრესი, ამიტომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან თანამშრომლობის სახელმწიფოებრივი მექანიზმის შემუშავება გადაუდებელი ამოცანაა.** ახლავე უნდა დავიწყოთ აქტიური საქმიანობა. ჯობია, სწორი საქმე ვაკეთოთ, ისე, როგორც შეგვიძლია, ვიდრე კარგად ვაკეთოთ არასწორი საქმეები.

როცა აწ ყოფილმა ხელისუფლებამ მასშტაბურად დაიწყო ლიბერტარიანულად მონათლული, დისციპლინარული საზოგადოების მშენებლობა, ადამიანების დაბრუნების სანაცვლოდ, კვალიფიციური სამუშაო ძალის გამალებული მიგრაციის ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. **სწორედ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში შეიქმნა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ქართველ მიგრანტთა დიდი ჯგუფები. ამ პერიოდში მიიღო დიასპორის პრობლემებმა პათოლოგიური ფორმა.**

**დიასპორასთან აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა დღესაც არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ვერ გამოინახა ფორმები ქვეყნის სამოქალაქო პროცესებში დიასპორის უფრო აქტიური ჩართულობისთვის.**

ქართული დიასპორის მრავალგვარობა და მასთან მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომები ცხადყოფს, რომ პრობლემას უამრავი ასპექტი გააჩნია, რომლებიც განპირობებულია ქვეყანათა შორის ურთიერთობებით, რელიგიური თანაცხოვრების პრინციპებით, საინვესტიციო-ეკონომიკური აქტივობით, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურისა და ყველა იმ საკითხით, რომლებიც ადამიანისა და სახელმწიფოს განვითარებას უკავშირდება. ამიტომ ცხადია, რომ **გვესაჭიროება ერთიანი, ცენტრიდან მართული, მოქნილი და მეთოდოლოგიურად მრავალფეროვანი სამოქალაქო და პოლიტიკური ინსტიტუციები, რომლებიც შეძლებს მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულის პირდაპირ ჩართვას საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.**

განსაკუთრებით პერსპექტიულად მიმაჩნია ჩვენი დიასპორის ცალკეული ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობა ეთნიკურ ქართველთა მსოფლიო ერთიანობის საქმეში, მათი უფლებამოვალეობებით აღჭურვა სერიოზული პროგრამების ფარგლებში. ამ საქმიანობაში უნდა ჩავრთოთ დაუმსახურებლად დავიწყებული ისეთი პიროვნებები, როგორიც, მაგალითად, ბატონი **გივი თაქთაქიშვილია.** იგი დღეს ნიდერლანდების სამეფოში ცხოვრობს და სამეცნიერო საქმიანობას ეწევა ერთ-ერთ ავტორიტეტულ უნივერსიტეტში; ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია, 1991 წლის ქართულ პარლამენტში ეკონომიკური საკითხების კომისიას თავმჯდომარეობდა, მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა კანონი „თავისუფალი მეწარმეობის შესახებ“, რომელმაც საქართველოში ოთხი წლის განმავლობაში დაარეგულირა სამეწარმეო ურთიერთობები. რომ არა ეს კანონი, საქართველოს დსთ-ში შესვლის შემდეგ ჩვენს ეკონომიკას სრული „ბელორუსიზაცია“ ემუქრებოდა.

ასევე, გაუგებარია, რატომ არ იყენებს ჩვენი ქვეყანა უკრაინაში მცხოვრებ ქართველ პოეტს, ცნობილ დიპლომატს და დიასპორის საკითხების ღრმად მცოდნეს, ბატონ **რაულ ჩილაჩავას.** დიდი და სასარგებლო საქმეების კეთებას შეძლებდა იგი, თუ იქნებოდა ამის პოლიტიკური ნება.

როგორც სხვადასხვა საინფორმაციო არხიდან ვიგებთ, **ბევრია ისეთი ემიგრანტიც, რომლებმაც შეძლეს კაპიტალის დაგროვება იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი მეწარმე რეზიდენტები არიან, მოიპოვეს ავტორიტეტი საზოგადოებაში. ხელოვნების, მეცნიერების ცნობილ წარმომადგენლებთან და სპორტსმენებთან ერთად, ისინი გვარწმუნებენ, თუ რა დიდი შემოქმედებითი ძალის მატარებელია ქართული დიასპორა და რა ცუდია, რომ არ გვაქვს რეალური ბერკეტები ასეთი ადამიანების, საქართველოს სამსახურში ჩასაყენებლად.** ამის მაგალითად დავასახელებ ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას,** ცნობილ პოლიტიკოსსა და ბიზნესმენს, რომლის მადლიანი და უანგარო საქმიანობა, ანალიტიკური პუბლიკაციები, თუნდაც „საქართველო და მსოფლიოში“, რატომღაც ყურადღების მიღმა რჩება ჩვენს ხელისუფლებას.

**გლობალური პროცესების გაღრმავების კვალობაზე, ჩვენ და სხვა ჩვენი მსგავსი ქვეყნების ერთადერთი ხსნა ამ პროცესებში აქტიური შემოქმედებითი მონაწილეობაა. ჩვენ გაგვიჩნდა დიასპორა და მუდმივად გვეყოლება. ეს ახალი გამოწვევაა ჩვენი საზოგადოებისთვის და ვალდებული ვართ, მას ღირსეულად და პასუხისმგებლურად შევეგებოთ.**

**დავით იაკობიძე,**
**პროფესორი**

„ჩვენთვის საამაყო იშვიათ ენდემურ ჯიშებს, რომლებიც მხოლოდ საქართველოში გვხვდება, დროთა განმავლობაში, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შედეგად, შეიძლება მუტაციის, გადაგვარების საფრთხე დაემუქროს და მათი ენდემურობა დაირღვეს, რის შედეგად მათ ისტორიული დატვირთვა უკვე აღარ ექნებათ.“



SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კახა სოხაძე:

# გენმოდიფიცირებული საკვები დროთა განმავლობაში მუტაციას განიცდის, რაც მრავალი დაავადების გამომწვევი შეიძლება გახდეს

**ხშირად სუპერმარკეტებსა თუ სხვა სავაჭრო ობიექტებში სხვადასხვა სახის პროდუქცია ისე შეგვიძენია და შემდეგ გემრიელად მიგვირთმევია, რომ ეტიკეტზე გამოსახული ინფორმაციისთვის ყურადღება არც კი მიგვიქცევია. გემრიელი საკვების მირთმევის წუთიერმა სიამოვნებამ კი, დიდი ალბათობით, შესაძლოა, ჩვენს ორგანიზმზე უარყოფითად იმოქმედოს და მრავალი დაავადების გამოწვევის სერიოზული საფრთხე შექმნას. ქართულ ბაზრებზე არსებული მრავალი „ბუნებრივი“ და „ნატურალური“ პროდუქტი (როგორიცაა სიმინდი, სოიო და სხვ.), შესაძლოა, ბუნებრივი მინერალების ნაცვლად, ხელოვნური დანამატებითა და გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით იყოს გაჯერებული, რაც პროდუქციის მომხმარებელზე რომ დადებით გავლენას არ მოახდენს და მასზე ერთგვარი ბუმერანგის პრინციპით იმოქმედებს, ფაქტია. ჩვენი დღევანდელი საუბრის თემაც სწორედ საკვებ პროდუქტებში გამოყენებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმებია. საზოგადოებისთვის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხით, როგორიცაა: ეტიკეტირების წესი, საკვებ პროდუქტებზე მკაცრი კონტროლი, თითოეული მომხმარებლის ინტერესებზე სრულად მორგებული კანონი და მათი უფლება, იყვნენ ინფორმირებულნი, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა და სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსს — კახა სოხაძეს დაუკავშირდა.**





## «მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს, თუ რა შემადგენლობის პროდუქციას ყიდულობს»

**— რას იტყვით საკვებ პროდუქტებში გამოყენებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების თაობაზე და რამდენადაა მომხმარებელი ინფორმირებული მსგავსი საკვების შემადგენლობის შესახებ?**

— გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ფართო თემაა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება, როგორიცაა, მაგალითად, მეცხოველეობა, აგროსამუშაოები, აგროკულტურები და სხვ. რა თქმა უნდა, სურსათის წარმოების დროსაც გამოიყენება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები, მაგრამ ეს საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებადია. ინფორმირებას რაც შეეხება, არსებობს ე. წ. ეტიკეტირების წესი. შესაბამისად, თუკი სურსათი 0,9%-ზე მეტ გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს შეიცავს, ინფორმაცია მისი შემადგენლობის შესახებ ეტიკეტზეა მითითებული. ვერ გეტყვით, რომ ყველა გენმოდიფიცირებული საკვების შესახებაა ეტიკეტზე ინფორმაცია გამოტანილი, თუმცა, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, გარკვეულ საკვებზე ქართულად შესაბამისი მარკირება ნამდვილადაა გაკეთებული და ამის მრავალი ნიმუში შემიძლია გაჩვენოთ. **ეტიკეტირების საკითხთან დაკავშირებით, ვალდებულება აქვს როგორც მწარმოებელს, ასევე რეალიზატორს. მარკირების წესის დარღვევისთვის ამჟამად პასუხისმგებლობა არ არსებობს და მისი ეს ნაწილი 2012 წელს გაუქმდა, თუმცა ჩვენსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სააგენტოს მიერ უკვე მომზადდა ცვლილებათა პროექტი კოდექსში, რომელშიც ჩადებულია ასევე პასუხისმგებლობა დაჯარიმების სახით, როგორც ეტიკეტირების წესის დარღვევაზე, ასევე მომხმარებლის მოტყუებასა და შეცდომაში შეყვანის მცდელობაზე.** ეს კანონი საშემოდგომო სესიაზე დამტკიცდება.

ეს ყველაფერი საჭირო და აუცილებელია იმისთვის, რომ მომხმარებელი ინფორმირებული იყოს, თუ რა შემადგენლობის პროდუქციას ყიდულობს.

**— არსებობს თუ არა საქართველოში სპეციალური დაწესებულება, ერთგვარი კონტროლის მექანიზმი, რომელიც გენმოდიფიცირებულ საკვებ პროდუქტებს გამოიკვლევს?**

— კონტროლის მექანიზმი ასევე მეორე მნიშვნელოვანი საკითხია. სურსათის უვნებლობაში სამართლებრივი საფუძველი მხოლოდ აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ლაბორატორიის დასკვნა იქნება, რომელსაც გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის კვლევის მეთოდები ექნება. დღესდღეობით საქართველოში შესაბამისი ლაბორატორია ნამდვილად არსებობს, თუმცა აკრედიტაცია, სამწუხაროდ, არ გააჩნია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ის სწორედ ახლა გადის აკრედიტაციასთან დაკავშირებულ პროცედურებს. მონიტორინგის პროგრამაში „სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ შეტანილი აქვს გენმოორგანიზმების კვლევის პროგრამა და, როგორც კი ლაბორატორიაში ეს პროცედურები დასრულდება, მზად ვართ, შესაბამისი კვლევები დავიწყოთ. მანამდე კი, ვინაიდან ეს დროში გაწელილი პროცესია, ასევე ვგეგმავთ, მთელი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე არსებული სურსათის ნიმუშების შესყიდვას და შემდეგ ევროპის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში მათ გამოკვლევას.

კონტროლის მექანიზმი და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები სწორედ მარკირების მართლზომიერად ჩატარების დასარწმუნებლად გვჭირდება. **ჩვენ ვალდებულები ვართ, გამოვიკვლიოთ ყველაფერი და დავრწმუნდეთ მეწარმეებისა და რეალიზატორების კეთილსინდისიერებაში, ამიტომ ვგეგმავთ, სურსათის ის საეჭვო ნიმუშები, რომლებშიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს გენმოორგანიზმები, გამოსაკვლევად საზღვარგარეთ აკრედიტებულ ლაბორატორიაში გავაგზავნოთ.** წლის დამლევს შედეგები აუცილებლად გვექნება. მსგავსი კვლევებითა და სხვადასხვა ღონისძიებით, გვინდა, არ ჩამოვრჩეთ იმ მოვლენებს, გამოწვევებსა და მოთხოვნებს, რომლებიც დღესდღეობით გენმოდიფიცირებული საკვების მიმართ არსებობს.

**— არსებობს თუ არა კანონი უშუალოდ გენმოდიფიცირებული პროდუქციისა და სურსათის შესახებ, რომელიც სრულად დაიცავს მომხმარებლის ინტერესებს?**

— კანონი კონკრეტულად სურსათის თემას არ შეეხება. ეს ფართო სპექტრის კანონია, რომელიც ბიოუსაფრთხოების საკითხებს, მთლიანად ბიოსაფარს არეგულირებს. მსგავსი კანონის შემუშავება მხოლოდ სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენცია ნამდვილად არაა. ის ფართო მოხმარების რეგულაციაა. კონკრეტული კანონის მიღების აუცილებლობა კი ნამდვილად არის. ამჟამად არსებული ზოგადი კანონპროექტი მოამზადა გარემოს დაცვის სამინისტრომ. შესაბამისად, სწორედ ისინი გამოდიან კანონის ინიციატორებიც, რომელშიც „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მხოლოდ მცირე სეგმენტია გათვალისწინებული. ამიტომ, პროექტი ჩვენც გადმოგვიგზავნეს და გარკვეული შენიშვნებიც გვქონდა, თუმცა მინიმალური. რამდენადაც ვიცი, პარლამენტი უახლოეს მომავალში მათ განიხილავს და შემდეგ უკვე დაამტკიცებს. ჩემთვის, როგორც მომხმარებლისთვის, მთავარია, სათანადოდ ინფორმირებული ვიყო, შემდეგ კი გავაკეთებ შესაბამის არჩევანს. **კონკრეტულად ნამდვილად არ ვიცი, გენმოდიფიცირებულმა საკვებმა რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ადამიანის ორგანიზმზე, მაგრამ აქ საუბარია მის გრძელვადიან შედეგებზე, რადგან, როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში ის მუტაციას განიცდის, რაც მრავალი დაავადების გამომწვევი შეიძლება გახდეს. სწორედ ამით აიხსნება მოსახლეობის შეშფოთება.**

დღესდღეობით გენმოდიფიცირებული საკვების უარყოფით ზეგავლენასთან დაკავშირებით დასკვნის სახით რაიმე რომ დაიდოს, ასეთი რამ ნამდვილად არ არსებობს. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გენმოდიფიცირებულ საკვებს ირიბად შეეხება, ენდემური ჯიშებია, ანუ **ჩვენთვის საამაყო იშვიათ ენდემურ ჯიშებს, რომლებიც მხოლოდ საქართველოში გვხვდება, დროთა განმავლობაში, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შედეგად, შეიძლება მუტაციის, გადაგვარების საფრთხე დაემუქროს და მათი ენდემურობა დაირღვეს, რის შედეგად მათ ისტორიული დატვირთვა უკვე აღარ ექნებათ.**

ესაუბრა
**შორენა ღვაჩლიანი**

## იაშვილის კლინიკაში, შესაძლოა, იძულებითი მმართველი შევიდეს

**ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკასა და ჰოლდინგში შემავალ სხვა პედიატრიულ ცენტრებში იძულებითი მმართველი შევა.**

ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში განვითარებულ მოვლენებზე ბრიფინგზე ისაუბრა და განაცხადა, რომ, თუ საჭირო გახდება, ამოქმედდება კანონი სტრატეგიული ობიექტების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა, სახელმწიფომ ლეგალურად და სტრატეგიულად გამოიყენოს უფლებები კლინიკების სტანდარტულ რეჟიმში, სამუშაო გარემოს შესაქმნელად.

როგორც მინისტრმა განაცხადა, იაშვილის სახელობის კლინიკა და დანარჩენი 4 პედიატრიული ცენტრი ჩუმად, „როგორც ლუდხანა, ისე გაიყიდა“.

**„მთავრობა სახელმწიფო ინტერესს არ დათმობს არანაირი კერძო ინტერესების სასარგებლოდ. ეს არის მსხვილი პედიატრიული ჰოლდინგი, ალოგიკურია იქ განვითარებული მოვლენები. ეს შეიძლება გააკეთოს მხოლოდ შეურაცხადმა ადამიანმა და გაყიდოს კლინიკები, როგორც ლუდხანა. უცხოელი ინვესტორები ეძებენ მყარ ლობისტებს სახელმწიფოსთან, მაგრამ ამ ინვესტორებმა ავნეს ამ კლინიკებს. თუ საჭირო გახდება, სახელმწიფო ლეგალურად და სტრატეგიულად გამოიყენებს კანონს სტრატეგიული ობიექტების შესახებ, ვინაიდან ეს პედიატრიული ცენტრები სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი სამედიცინო დაწესებულებებია“,** — განაცხადა დავით სერგეენკომ.

როგორც მინისტრმა განმარტა, მას ამ დრომდე ეგონა, რომ „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის“ წარმომადგენელმა თექინ ატიკმა კლინიკების მართვა არ იცოდა, თუმცა მან რელიგიური ინტერესები გამოავლინა ხატებისა და ჯვრების ჩამოხსნასთან დაკავშირებით.

**„მეგონა ამ უცხოელმა ინვესტორმა არ იცის სისტემის მართვა, მაგრამ აქ სხვა სიმპტომატიკა გამოიკვეთა რელიგიურ თემებთან დაკავშირებით და სიტუაცია მართვადი გამოდგა. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს სოფელ ჭელას მოვლენებს“,** — განაცხადა დავით სერგეენკომ.

მინისტრის ინფორმაციით, იაშვილის სახელობის კლინიკაში შექმნილი ვითარება საფრთხეს უქმნის პაციენტებს, ვინაიდან მომხდარის გამო მედპერსონალი დემორალიზებული აღმოჩნდა.

მისივე ინფორმაციით, თუ ვითარება არ დარეგულირდება „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის“ წარმომადგენლებსა და მედპერსონალს შორის, შესაძლოა, კლინიკებში იძულებითი მმართველი შევიდეს.

ჰაჰ, დრონი...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნორჩ ტყვე გოგონას ჰარამხანაში შეასწავლეს ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, მუსლიმთა პოეზია, სიყვარულის ხელოვნება. ჰარამხანის მეცნიერების ამ უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს იგი აზიარეს საჭურისებმა, რომლებიც ატარებდნენ განსაკუთრებულ ეროტიკულ ტრენინგს და მომავალმა ცხადყო, რომ გოგონა ნიჭიერი მოსწავლე აღმოჩნდა. შემდეგში, როცა უკვე საცნაური გახდა მისი მხიარული ხასიათი, მას ხურემ-სულთანი — მხიარული ქალბატონი შეარქვეს.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

## რედაქციისგან

ამ დღეებში, კერძოდ, 6 სექტემბრიდან სატელევიზიო არხი „მაესტრო“ იწყებს საინტერესო თურქული სერიალის ჩვენებას, რომელიც ამ ქვეყნის აყვავების ხანას ასახავს და რომლის მთავარი მოქმედი პირია უკრაინიდან გატაცებული და როკსოლანად წოდებული ანასტასია გავრილის ასული ლისოვსკაია — სულთან სულეიმან ბრწყინვალეს უსაყვარლესი ცოლი, რომლის თურქეთში მოვლინებით დაიწყო ოსმანთა იმპერიაში ქალთა მმართველობის ეპოქა. ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია, რომელიც სწორედ როკსოლანას ცხოვრების მიმოხილვითი ხასიათის აღწერაა, იმედი გვაქვს, დააკვალიანებს „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს ჩვენი მეზობელი ქვეყნის ისტორიის ამ უნიკალური პერიოდის სწორად აღსაქმელად და გასაგებად.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-31 (204-218)

**«ქალთა მმართველობის» პერიოდი დაიწყო სულეიმან ბრწყინვალის მეფობის ჟამიდან (1520-1566), როცა ოსმანებმა თავიანთი ძლიერების უმაღლეს დონეს მიაღწიეს. ამ საიდუმლო ძალაუფლებას სათავე დაუდო როკსოლანამ, უკრაინელმა ტყვე ქალმა**

### დიდი სერალის ვარსკვლავები

**ჰარამხანის რთულმა სამყარომ გამოაწრთო პიროვნებები, რომლებიც სულიერი სიმტკიცით, უშიშროებითა და ინტელექტით ტოლს არ უდებდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის უგამოჩენილეს მმართველებს. ისინი ჩრდილში იდგნენ და თითქმის სუკუნენახევრის განმავლობაში მართავდნენ უზარმაზარ იმპერიას.** „ქალთა მმართველობის“ პერიოდი დაიწყო სულეიმან ბრწყინვალის მეფობის ჟამიდან (1520-1566), როცა ოსმანებმა თავიანთი ძლიერების უმაღლეს დონეს მიაღწიეს. ამ საიდუმლო ძალაუფლებას სათავე დაუდო როკსოლანამ, უკრაინელმა ტყვე ქალმა. სამი საუკუნის შემდეგ სხვა ტყვე ქალი, ფრანგი ნახში-დოლი არანაკლებ ბრწყინვალე ფურცელს ჩაწერს დიდი სერალის ისტორიაში. ამ ქალების ცხოვრება წარმოგვიდგება არაჩვეულებრივ მოვლენათა დრამად. ისინი, ტყვე-ქრისტიანები, ჰარამხანის, მათთვის სრულიად უცხო გარემოში მოხვედრილები, იბრძოდნენ, გადარჩნენ და აღზევდნენ წარმოუდგენელ სიმაღლემდე.

### მცინარა ბოროტმოქმედი (ანასტასია ლისოვსკაია)

**სულეიმან ბრწყინვალე იმპერიას ორმოცი წლის განმავლობაში მართავდა. ამ სულთნის ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ყველაფერი მომხდარა: ტრიუმფები, ტრაგედიები და არნახული სიყვარული საიდუმლოებით მოცული როკსოლანას მიმართ, რომელიც ხურემ-სულთნის სახელითაც იყო ცნობილი. როკსოლანა, ანუ ანასტასია გავრილის ასული ლისოვსკაია** (დაახლოებით 1506-1558წ.წ.) **მისი უსაყვარლესი და ზოგიერთი ცნობით, ერთადერთი ცოლი, დაიბადა როგატინაში, უკრაინის ერთ პატარა ქალაქში, ხუცესის ოჯახში.** ტერიტორიას, რომელზეც განლაგებული იყო სულთნის მომავალი ჰასეკის მშობლიური ქალაქი, მუდმივად თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ ყირიმელი თათრები. ერთ-ერთი აწიოკების დროს გაიტაცეს ანასტასია. იგი, როგორც ომში მოპოვებული ალაფის ნაწილი, ყირიმელმა მურზამ, წესისამებრ, არ გაყიდა და თურქ დიდებულს — რუსტემ-ფაშას მიართვა სამაგიერო სიკეთის მიღების იმედით. ამან გადამწყვეტი გავლენა მოახდინა როკსოლანას ბედსა და იღბალზე. რუსტემ-ფაშამ ამ პატარა, გამხდარ უკრაინელ გოგოში განსაკუთრებული სილამაზე და სილაღე შენიშნა და აჩუქა მბრძანებელს — სულთან სულეიმანს. **ანასტასია, რომელიც ძლვნად იყო მირთმეული, თავისუფალ ადამიანად დარჩა და, ოსმანთა იმპერიის კანონით, შეეძლო სულთნის ცოლი გამხდარიყო, მაშინ, როცა მონა ქალი, ისლამის მიღების შემთხვევაშიც კი, ამაზე ფიქრსაც ვერ გაბედავდა.**

რუსტემ-ფაშამ, რომელსაც კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, პატარა ლამაზმანს ახალი სახელი დაარქვა — **როკსოლანა**. ამ სახელით დამკვიდრდა იგი ისტორიაში. როკსოლანებს უწოდებდნენ უძველეს დროში სარმატულ ტომებს, რომლებიც დნეპრსა და დუნაის შორის ეწეოდნენ მომთაბარეობას და რომლებსაც შუა საუკუნეებში სლავების წინაპრებად მიიჩნევდნენ.

**ნორჩ ტყვე გოგონას ჰარამხანაში შეასწავლეს ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, მუსლიმთა პოეზია, სიყვარულის ხელოვნება. ჰარამხანის მეცნიერების ამ უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს იგი აზიარეს საჭურისებმა, რომლებიც უტარებდნენ განსაკუთრებულ ეროტიკულ ტრენინგს და მომავალმა ცხადყო, რომ გოგონა ნიჭიერი მოსწავლე აღმოჩნდა. შემდეგში, როცა უკვე საცნაური გახდა მისი მხიარული ხასიათი, მას ხურემ-სულთანი — მხიარული ქალბატონი** შეარქვეს.

იყო თუ არა როკსოლანა თვალისმომჭრელად ლამაზი, უცნობია. შემორჩენილ პორტრეტებზე (რომლებიც, შესაძლოა, სრულად ვერ ასახავდა მის მომხიბვლელობას) ვხედავთ დახვეწილი სახის ნაკვეთების მქონე ქალს, მაღალი შუბლით, ცეცხლოვანი წითური თმებით, ჭკვიანი თვალებითა და ჩაფიქრებული მზერით.

მბრძანებლის ყურადღება მას უცებ არ მიუპყრია, მაგრამ ერთხელ, როგორც სულეიმანის პირადი ბიოგრაფი წერს, **როცა „ჩერქეზ და ქართველ ქალებს შორის მიმოდიოდა, რომელთა სილამაზე კლასიკურად ითვლებოდა, სულთანი უცებ შეჩერებულა ნაზი და საყვარელი სახის წინაშე“... „მან დაინახა სახე, რომელიც მას შესციცინებდა, თუმცა განსაკუთრებული სილამაზით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მაცდური ღიმილი ამშვენებდა,** — წერს ბიოგრაფი, — **მწვანე თვალები, წამწამების ჩრდილით გამოკვეთილი, მას არა მარტო ანცად შესცქეროდა, არამედ კადნიერადაც კი. და იგი, ვისაც ნანახი ჰქონდა უამრავი მზერა, ვნებით, წამებითა და დამცირებით სავსე, მოულოდნელად მოიხიბლა ქალიშვილის მომცინარი თვალებით, რომელსაც ჰარამხანაში შეარქვეს ხურემი. თავსაფარი, მსუბუქი, ვითარცა ობობას ქსელი, დატოვა მან მხარზე ქალიშვილისა, რომელსაც მალე მსოფლიო როკსოლანას უწოდებს“.** ასე დაიწყო მისი არნახული აღზევება.

ხურემი არაჩვეულებრივად ჭკვიანი იყო, ძალიან ნიჭიერი და, რაგინდ უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, ნაკითხი თავისი თექვსმეტი წლის ასაკისთვის. მან სწრაფად აითვისა თურქული ენა, შემდეგ სხვა ენებიც შეისწავლა და შეგნებულად გაოსმანდა. **მართლმადიდებელი მღვდლის შვილმა ნებაყოფლობით მიიღო ისლამი და იდეალურად მოერგო ჰარამხანის რთულსა და მკაცრ სამყაროს. დასაწყისში სულთნის ფავორიტი გახდა, შემდეგ მისი მესამე ცოლის რანგი მიიღო — „სიხარულის სახლის“ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წოდება.** თავის პირველ ვაჟს ხურემმა ქმრის პატივსაცემად სელიმი დაარქვა *(სულთანი სელიმ I — 1467-1520).* შემდეგ სულეიმანს კიდევ სამი ბიჭი და ორი გოგო გაუჩინა, რითაც კიდევ უფრო გაამაგრა თავისი პოზიციები ძალაუფლების მისადგომებზე, მაგრამ ტახტის მემკვიდრედ ოფიციალურად კვლავ **მუსტაფა** ითვლებოდა — ფადიშაჰის პირველი ცოლის, ჩერქეზი ლამაზმანის — **გიულბახარის** ვაჟი. მუსტაფას გარდა მას კიდევ სამი ჯანმრთელი და მაგარი ბიჭი ჰყავდა. ტახტი მუსტაფას უნდა რგებოდა, ეს კი ხურემის სამი ვაჟის სასიკვდილო განაჩენს უდრიდა: ტრადიციის თანახმად, ახალ სულთანს ისინი უნდა დაეხოცა: ჰარამხანის საშინელი წესებით, გულბახარი და მისი შვილები ხურემ-როკსოლანას დაუძინებელი მტრები ხდებოდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ არც ჩერქეზი ქალი იყო უსუსური კრავი. მეტსახელი **ბოსფორ-სულთანი** მას შეარქვეს ბოსფორის სრუტეში სეირნობის განსაკუთრებული სიყვარულის გამო, რომელშიც მისი ბრძანებით ტყავის თავმოკრულ ტომრებში მოთავსებულ მისთვის არასასურველ ოდალისკებსა და მათ შვილებს ახრჩობდნენ.

**დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. როკსოლანა ბრძოლას შეუდგა იმავე მეთოდებით, რომლებითაც თავი გამოიჩინა ბიზანტიელმა დედოფალმა ზოია პალეოლოგმა. ამ მეთოდების შესახებ, როგორც ჩანს, უკრაინელ გოგონას თავის მშობლიურ როგატინაში სმენოდა.**

ბიზანტიელი დედოფალი, რომელიც ცოლად მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-ს მისთხოვდა, მეთოდურად და დაუნდობლად სპობდა ყველას, ვისაც შეეძლო ხელი შეეშალა მისი ვაჟისთვის — ვასილისთვის (ივანე მრისხანის მამისთვის) ტახტზე ასასვლელად. **ანასტასია-როკსოლანა თავის ინტრიგას ისეთივე აუჩქარებლობითა და გამომგონებლობით წარმართავდა, როგორც ამ ინტრიგის პირველწყარო და, ამასთან, მაქსიმალურად ცდილობდა, სულ უფრო მეტად სასურველი და აუცილებელი გამხდარიყო თავისი მბრძანებლისთვის.** იგი ვალიდობაზე ოცნებობდა, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო, რომ მისი ერთ-ერთი ვაჟი ტახტის მემკვიდრედ დაენიშნათ. ეს საჭირო იყო არა მხოლოდ შვილების სიცოცხლის გადასარჩენად, არამედ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფადაც. ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა, სულეიმანი ახალი ლამაზმანისადმი ტრფობას გაეტაცა და კანონიერ ცოლად შეერაცხა. უარყოფილი ცოლის ბედი სავალალო იყო, მისი შვილებისა კი — ტრაგიკული.

**1526 წელს მოხდა ცნობილი დაპირისპირება ხურემსა და გიულბახარს შორის. იგი იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ, მაგალითად, ვენეციელმა დესპანმა დოჟების საბჭოს მისწერა ამ ინციდენტის შესახებ. გააფთრებულმა გიულბახარმა ვერ მოითმინა, როცა დაინახა, რომ როკსოლანა მედიდურად მიემართებოდა სულეიმანის საძინებლისკენ** (გამორიცხული არ არის, რომ ხურემი ფადიშაჰის პირველი ცოლის პროვოცირებისთვის საგანგებოდ ასე მოიქცა), **მივარდა მეტოქეს და გამეტებით ცემა დაუწყო. ხურემს სახე ძლიერ დაუზიანდა, მაგრამ მან შეძლო სიტუაციის სათავისოდ შემობრუნება — ჩაიკეტა თავის სავანეში და, დამახინჯებული სახის მომიზეზებით, არ ეახლებოდა სულთანს დაძახილზე. ეს დაუმორჩილებლობის არნახული აქტი იყო ჰარამხანისთვის. ხურემმა სიცოცხლისთვის რისკის ფასად იშვიათი უშიშარობა გამოავლინა.**

ჯერ კიდევ დავიწყებული არ ჰქონდათ გიულფემის ამბავი, რომელიც მოაშთეს იმისთვის, რომ მან სულეიმანთან დაწოლის თავისი რიგი გაყიდა. ჭორაობდნენ, რომ სწორედ ხურემმა ურჩია ამ საოცარი სილამაზის ცერცეტ ხარჭას, გადაედგა ასეთი უაზრო ნაბიჯი. **როკსოლანა-ხურემი თავისაზე ჯიუტად იდგა და მოითხოვდა, რომ სულთანს იგი თავის ოფიციალურ ცოლად გამოეცხადებინა. იმპერიის მრისხანე მბრძანებელი დამორჩილდა. როკსოლანას გულის მოსაგებად მან ჩამოიცილა მუსტაფა და შორეული პროვინციის მმართველად მიავლინა. მასთან ერთად ჰარამხანა გიულბახარმაც დატოვა.**

შემდეგ, თავისი ერთგულება ხურემისთვის რომ დაემტკიცებინა, სულთანმა გააუქმა ჰარამხანა და დაქორწინდა როკსოლანაზე, გააკეთა ის, რაც მანამდე არც ერთ სულთანს აზრადაც არ მოსვლია.

აი, როგორ აღწერა ეს ამბავი ინგლისელმა **ჯორჯ იანგმა**: **„ამ კვირაში აქ დატრიალდა ამბავი, რომლის მსგავსი აქაური სულთნების ისტორიას არ ახსოვს. დიდმა მბრძანებელმა სულეიმანმა იმპერატრიცად მოიყვანა მონა ქალი როკსოლანა რუსეთიდან, რაიც დიადი ზეიმით აღნიშნეს. ქორწინების ცერემონია სერალში გაიმართა, რომელსაც მიეძღვნა არნახული ნადიმები. ქალაქის ქუჩები ღამით განათებულია და ყველგან ერთობიან ადამიანები. სახლები ყვავილების გირლიანდებითაა დამშვენებული, ყველგან საქანელები კიდია და ხალხი საათობით ქანაობს. ძველ იპოდრომზე ააგეს დიდი ტრიბუნები, რომლებიც ზოგან ოქროს ბადეებითაა შემორაგული და განკუთვნილია იმპერატ-** ▶

**„მას იგი ისე უყვარს და იმდენად ერთგულია, რომ ყველანი გაოცებულები არიან და დაჟინებით იმეორებენ, რომ მან იგი მოაჯადოვა, ამიტომაც უწოდებენ მას ჯადის, ანუ ჯადოქარს. ამ მიზეზისა გამო სამხედროებსა და მოსამართლეებს სძულთ იგი და მისი შვილები, მაგრამ, როცა ხედავენ, როგორ უყვარს იგი სულთანს, დრტვინვას ვერ ბედავენ. მე თვითონ ბევრჯერ მსმენია, როგორ წყევლიან მას და მის შვილებს, სულთნის პირველ ცოლსა და მის შვილებს კი კეთილად მოიხსენიებენ“.**

## ვაჰ, დრონი...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რიცისა და მისი კარისკაცებისთვის. ამ ტრიბუნებიდან შესცქეროდნენ როკსოლანა და მასთან დაახლოებული ქალბატონები ასპარეზობას, რომელშიც მონაწილეობდნენ ქრისტიანი და მუსლიმი რაინდები; ტრიბუნის წინ გამოდიოდნენ მუსიკოსები, ჩაატარებდნენ გარეულ ცხოველებს, ცამდე ამართული გრძელკისერა ჟირაფების ჩათვლით... ამ ქორწილის შესახებ ბევრს ბჭობენ, მაგრამ ვერავინ ახსნა, თუ რას უნდა ნიშნავდეს იგი“.**

როგორც კი ძალაუფლება ხელთ იგდო, როკსოლანამ გადაწყვიტა, არ გაერისკა და თავისი გავლენის წყალობით ნორმად აქცია ყველა სისხლისმიერი პრინცის ფიზიკური მოსპობა, გარდა მემკვიდრისა. ასეთი რამ მანამდეც ხდებოდა, მაგრამ აუცილებელი არ იყო. როკსოლანას დროს ყველა სისხლისმიერი პრინცი მოკლეს. **ძალაუფლება რომ მოიპოვა, ამ ქალმა მთელი თავისი ცხოვრება ორი ამოცანის შესრულებას მიუძღვნა: მბრძანებლის გვერდით ყოფნისთვის ბრძოლას და ჰარამხანისა და მეფის კარისთვის აუცილებელი, უმკაცრესი რეჟიმის დამუშავებასა და დამყარებას. და წარმატებასაც მიაღწია, როგორც ამ საქმეში, ასევე ყველაფერში, რასაც კი ხელი მოჰკიდა.**

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი წესი უაზრო და ულმობელი იყო, მაგალითად ის, რომ გასასვლელებს სულთნის პირველი ცოლის სავანედან ადამიანი მიჰყავდა სულთნის ხაზინისკენ, სასახლის ციხისკენ, იქიდან კი ბოსფორის ნაპირისკენ. თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში თრგუნავდა „სიხარულის სახლის“ მცხოვრებთ ეს უმკაცრესი ეტიკეტი, მანამდე, სანამ **ნავშიდილმა** არ დაამკვიდრა ახალი დროის შესაფერისი ახალი წეს-ჩვეულება.

**დიდი სულთანი სულეიმანი მთლიანად მოექცა თავისი მშვენიერი, გონიერი და დაუნდობელი ცოლის გავლენის ქვეშ. „ერთადერთი ნაკლი სულეიმანის ხასიათში ცოლის მეტისმეტი ერთგულებაა“,** — წერდა ჰაბსბურგების დესპანი.

ბასანო და ზარა, წიგნის „კოსტიუმები და მოდა თურქეთში“ (1565) ავტორი წერდა: **„მას იგი ისე უყვარს და იმდენად ერთგულია, რომ ყველანი გაოცებულები არიან და დაჟინებით იმეორებენ, რომ მან იგი მოაჯადოვა, ამიტომაც უწოდებენ მას ჯადის, ანუ ჯადოქარს. ამ მიზეზისა გამო სამხედროებსა და მოსამართლეებს სძულთ იგი და მისი შვილები, მაგრამ, როცა ხედავენ, როგორ უყვარს იგი სულთანს, დრტვინვას ვერ ბედავენ. მე თვითონ ბევრჯერ მსმენია, როგორ წყევლიან მას და მის შვილებს, სულთნის პირველ ცოლსა და მის შვილებს კი კეთილად მოიხსენიებენ“.**

ევროპის სახელმწიფოთა ელჩები, აღმოსავლური გაგებით სულთნის მონოგამიის მოხდენილობას რომ აღწერდნენ, ამით თავიანთი მბრძანებლების თვალში მისი ავტორიტეტის ამაღლებასაც ხელს უწყობდნენ. **სულეიმანის ერთ ცოლთან ცხოვრების ფაქტს ქრისტიანი მმართველებისთვის გარკვეული და საკმაოდ სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა და ოსმანთა ბრძენი მბრძანებლის მიზანი, გამხდარიყო ყველა ევროპელი მონარქის მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული და პატივსაცემი პიროვნება, მიღწეული იყო.**

მაგრამ სულეიმანის საყვარელი და თავისებური ხასიათის ცოლს დაშოშმინება არ შეეძლო. **მას სურდა, ერთადერთი ყოფილიყო არა მხოლოდ სულთნის გულში, არამედ ძალაუფლების თვალსაზრისითაც და, სანამ ცოცხლები იყვნენ ადამიანები, რომელთაც გავლენა ჰქონდათ მის ქმარზე, იგი საკუთარ თავს ბედნიერად არ მიიჩნევდა.** როკსოლანას ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა სულთნის უახლოესი მეგობარი იბრაჰიმი, რომელსაც ომების დროს სულეიმანი გვერდიდან არ იცილებდა. იბრაჰიმი თავდაპირველად სულთანთან ბაზიერად მსახურობდა, შემდეგ რუმელიის მმართველად დაინიშნა, ბოლოს პირველი ვეზირი და სულთნის ალალი დის, ხატიჯერის, ქმარი — დამადა გახდა, მაგრამ ერთხელ ვეზირმა ვერ გაიღვიძა — ძილში მოაშთეს. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს როკსოლანას ბრძანებით გაკეთდა, მაგრამ არ იყო მტკიცებულებები და ამიტომ დაუნდობელ ხასეკას პასუხი ვერ აგებინეს.

**სხვა მტერი, რომელსაც გავლენა ჰქონდა სულთანზე, იყო როკსოლანას კეთილისმყოფელი, ჭკვიანი, ნიჭიერი და თავმდაბალი რუსტემ-ფაშა. როკსოლანამ კვლავ აუჩქარებლად და მეთოდურად დაიწყო ინტრიგის ხლართვა.** როგორც კი მის ქალიშვილს 12 წელი შეუსრულდა, გადაწყვიტა რუსტემ-ფაშასთვის მისი მითხოვება, რომელიც საპატარძლოზე 40 წლით უფროსი იყო. რუსტემ-ფაშა ტახტის მემკვიდრის, მუსტაფას მეგობარი და დამრიგებელი იყო. სულეიმანის პირველი ცოლის ვაჟი წარმატებით უძღვებოდა საქმეებს თურქეთის შორეულ პროვინცია ამასში, რომლის მმართველად როკსოლანას ხრიკებით მამის მიერ იყო მივლინებული.

როკსოლანას გადაწყვეტილება არასრულწლოვანი ასულის რუსტემ-ფაშასთვის მოთხოვების თაობაზე თავდაპირველად აღქმული იყო, როგორც მისი მხრიდან მადლიერების გამოხატვა თავისი კეთილისმყოფელისადმი (ტყვეობიდან დახსნა და სულთნისთვის საჩუქრად მიძღვნა), იგი იმდენად გულწრფელად განასახიერებდა მადლიერებით აღსავსე დედის როლს, რომ მეფისკარის ხანდაზმული მსახური ანკესს წამოეგო.

როკსოლანას ქალიშვილს დედის მომხიბვლელობა სრულად ჰქონდა მომადლებული და რუსტემ-ფაშაც უსაზღვროდ ბედნიერი იყო იმ პატივით, რომელიც არგუნეს.

ამასობაში კი **როკსოლანამ სწორედ თავისი პირმშოს დახმარებით მოხერხებულად შეაგროვა მამხილებელი მასალები და სულთანს წარუდგინა „უტყუარი მტკიცებულებანი“ მისი სიძის მოღალატური ქმედების — სულთნის დასამხობად რუსტემ-ფაშასა და მუსტაფას შეთქმულების თაობაზე.**

რუსტემ-ფაშა დაუნდობლად აწამეს და თავი მოჰკვეთეს. ბაზრებში კი ხმა დაირხა, რომ მისი მოკვეთილი თავი, რომელიც საყოველთაოდ სახილველად ტოპყალას ჭიშკართან იყო გამოდებული, სისხლშემხმარი ტუჩებით ჩურჩულებდა ერთადერთ სახელს: *„ხურემ“.*

მალე დაიღუპა მუსტაფაც — ჭკვიანი და ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი, რომელიც უყვარდა ხალხსაც და არმიასაც. თავისი პირველშობილი ვაჟი სულეიმანსაც უყვარდა. მაგრამ როკსოლანამ ოსტატურად გამოიყენა ძალაუფლებისა და სიცოცხლის დაკარგვისადმი სულთნების მუდმივი შიში და მამა შვილის წინააღმდეგ აამხედრა. ამ დაპირისპირებას მათი შებრძოლება მოჰყვა. ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად მუსტაფა უიარაღოდ და დაცვის გარეშე მამის კარავთან მივარდა. უვნებლად გაიარა ოთხი ოთახი, მაგრამ მეხუთეში რომ შეაბიჯა, კისერზე აბრეშუმის ზონარი მოუჭირეს და მოაშთეს.

მალე დაიხოცნენ მუსტაფას ძმებიც — მეხმედი და მურადი, უბედურებას ვერ გაუძლო, ჭკუაზე შეცდა და გარდაიცვალა მათი დედაც — ჩერქეზი გიულბახარი. დიდხანს დასტიროდა სულეიმანი თავის საყვარელ ვაჟს, ხოლო ხურემი — მცინარა ზეიმობდა მუსტაფას და რუსტემ-ფაშას სიკვდილს საჭურისების კივილის ფონზე, რომელთა ხელმეორედ კასტრირების ბრძანებაც გასცა.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ უკვე ვერაფერი დააბრკოლებდა ხასეკის უსაზღვრო გავლენას სულთანზე, მაგრამ აღშფოთდა სულეიმანის დედა, მრისხანე **ხამსე-სულთანი**, რომელიც წარმოშობით ყირიმელი ყაენების — გირეების გვარიდან იყო. იგი გამოეცხადა სულეიმანს და მოახსენა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა „შეთქმულებაზე“, წამებათა და სულეიმანის საყვარელი ცოლის შესახებ. მოითხოვა ამ უკანასკნელის შეჩერება. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამის შემდეგ ვალიდე ხამსემ მხოლოდ ერთი თვე იცოცხლა.

**სტამბოლი შიშმა მოიცვა. ხმაურიან ყავახანებში მსჯელობდნენ ყველაფერზე, მაგრამ სიტყვას არ ძრავდნენ ხურემის შესახებ. ყველგან მისი თვალები და ყურები იყო. თავიანთი გამონათქვამებით, ყველაზე მამაცებს ადგილზევე ასალმებდნენ სიცოცხლეს.**

1451 წელს ძველ სასახლეში, სადაც ჰარამხანა იყო განლაგებული, ხანძარი გაჩნდა და როკსოლანამ, როგორც ყოველთვის, ეს სიტუაციაც თავის სასარგებლოდ შეატრიალა: გარემოცვასთან ერთად ახალ სასახლეში გადაბარგდა, იქ, სადაც მანამდე ქალებს არ შეესვლებოდათ. აქ იგი უკვე მუდმივად სულეიმანის გვერდით და იმპერიის მართვის ცენტრში იმყოფებოდა. ასე დაიწყო ქალების მმართველობის ეპოქა.

**როცა სულეიმანმა ხურემს გამოუცხადა, რომ სურს, აუგოს ცალკე სასახლე, ქალი ფრიად შეწუხდა, არა იმიტომ, რომ ასეთი პატივის ღირსად არ მიიჩნია თავი, არამედ იმიტომ, რომ ცალკე სასახლეში ცხოვრება მას სულთანს დააშორებდა, მაშასადამე, შემცირდებოდა მისი გავლენაც იმპერიის მბრძანებელზე.**

და ხურემმა შესთავაზა სულთანს: უმჯობესი იქნება, უნიჭიერესმა არქიტექტორმა სინანმა ააგოს სულეიმანის სახელობის მეჩეთი. სულთანმა აიტაცა ეს იდეა და შედეგად გაჩნდა არქიტექტურული შედევრი „სულეიმანიიე“.

ხურემი თავისი მბრძანებლის გვერდით დარჩა, რითაც მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ იყო ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ვერა და ვერ მოაგვარა — სულთნის უსაყვარლესმა ცოლმა სულეიმანსა და იმპერიას ღირსეული მემკვიდრე ვერ მისცა.

ხურემს ოთხი ვაჟი ჰყავდა, რომელთაგან ერთი ბავშვობაშივე გარდაიცვალა. დარჩენილთაგან მემკვიდრედ აირჩია ხასიათით ყველაზე სუსტი სელიმი. დედის ჩანაფიქრით, სწორედ ეს ნაკლი დაიცავდა მის ძმებს განადგურებისგან, ვერ გაიმეტებდა სელიმი მათ მოსაკლავად. სელიმს თავად ეშინოდა სიკვდილის და თავის ამ შიშს ღვინოში კლავდა. ხურემი თავისი ვაჟის ამ მიდრეკილებას ხელს უწყობდა, რათა ამით სელიმის სულიერი ტანჯვა შეემსუბუქებინა. შემდეგ, როცა იგი სულთანი გახდა (1566-1574) ალკოჰოლისადმი მისწრაფების გამო სელიმ II სარს, ანუ მწითურს, ხალხმა დამსახურებლად შეარქვა სელიმ-ლოთი.



**როკსოლანა-ხურემი თავისაზე ჯიუტად იდგა და მოითხოვდა, რომ სულთანს იგი თავის ოფიციალურ ცოლად გამოეცხადებინა. იმპერიის მრისხანე მბრძანებელი დამორჩილდა**

**როკსოლანა 1558 წელს გარდაიცვალა, ისე, რომ მოახერხა, გამხდარიყო ვალიდე და აბსოლუტური ძალაუფლების სიტკბოებით დამთვრალიყო, მაგრამ იმ საბედისწერო წუთს ვერ მოესწრო, როცა ძმა ძმის წინააღმდეგ აღდგა და მამამ შვილზე აღმართა ხელი. ვერ მოესწრო მისი შვილების — სელიმისა და ბაიაზიდის დაპირისპირებას ტახტის ხელში ჩასაგდებად, თავისი თვალით არ უნახავს, როგორ მოკლა სულეიმანმა ბაიაზიდი და მისი შვილები (შვილიშვილები ხურემისა). უცნაური და გაუგებარი შემთხვევითობის წყალობით ბაიაზიდის საყვარელი ცოლი იყო ქალი სლავთა მიწიდან და მამის რისხვისგან გარიდებას მისი ვაჟი მოსკოვიტელებთან აპირებდა.**

**ლეგენდარული სულეიმანი გარდაიცვალა 74 წლის ასაკში. მისი მმართველობის დროს აყვავდა იმპერია, გაძლიერდა ეკონომიკა, არმია. იმპერია გადაჭიმული იყო ბუდაპეშტიდან ასუანამდე, ანუ დუნაიდან ნილოსის ჭორომებამდე და ევფრატიდან თითქმის გიბრალტარის სრუტემდე. უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მას ევროპის სახელგანთქმულ მონარქთა შორის. მისი ზეობის ხანას დაემთხვა დიდი მონარქების — კარლოს V ესპანელის და ელისაბედ I-ის ინგლისელის მეფობის პერიოდი.** გამოჩენილ მმართველს მისი ღირსი ცოლი უნდა ჰყოლოდა და, მართლაც, ასეთი იყო როკსოლანა, რომელიც 32 წლის განმავლობაში მხარში ედგა მეუღლეს. დასავლელი დიპლომატების ქრონიკებიდან და შეტყობინებებიდან ცნობილია, რომ როსკოლანა-ხურემის სასურველი მოსაუბრენი იყვნენ დიდი ხუროთმოძღვარი სინანი და პოეტები: ხიალი და ზათი. შემოქმედება არც როსკოლანასთვის იყო უცხო. ლექსების წერა ჰარამხანის ქალებსაც უყვარდათ, ხოლო 34 სულთნიდან 11 ნიჭიერი პოეტი იყო. სულეიმანიც წერდა ლექსებს და მეუღლენი ხშირად ერთმანეთს ლექსებით მიმართავდნენ. ერთ-ერთ ლექსში ხურემი ასე მიმართავს საყვარელ მეუღლეს: **„ნება მომეცი ხურემს, მსხვერპლად შევეწირო თუნდაც ერთ ღერს შენი ულვაშისა“.**

**როკსოლანა-ხურემს კარგად ესმოდა ვაჭრობის მნიშვნელობა და ხელს უწყობდა მის განვითარებას. იგი აქტიურად მონაწილეობდა თურქეთ-საფრანგეთის პირველი სავაჭრო-დიპლომატიური შეთანხმების დადებაში, ხელს უწყობდა ვაჭართა განსაკუთრებული კლანის ჩამოყალიბებას — „სასახლის ვაჭრების“ სახელწოდებით, რომელსაც დასავლეთის საქონელი შემოჰქონდა თურქეთში. მისი დახმარებით გაფართოვდა ნავსადგომები გალათას სავაჭრო კვარტალში, რის შედეგადაც ოქროს რქაში შესვლა შეძლეს 500 ტონა წყალწყვის გემებმა.**

ხურემი ინტერესდებოდა გეოგრაფიითაც, გამოჩენილი ოსმანი ზღვაოსნის **პირი რეისის** შრომებით, რომელმაც თავის რუკებზე დაიტანა ანტარქტიდა, რომელიც 300 წლის შემდეგ რუსმა მეზღვაურებმა აღმოაჩინეს.

**ვინ იყო ეს ქალი? ცივსისხლიანი ბოროტმოქმედი თუ ჰარამხანის მსხვერპლი, რომელიც ძალაუნებურად გახდა ულმობელი თავის გადასარჩენი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში? „სიხარულის სახლის“ ისტორია ბნელითა და საიდუმლოებითაა მოსილი.**

როკსოლანა-ხორემის გარდაცვალების შემდეგ ქალთა გავლენა მის დაქვრივებულ ქმარზე არ შენელებულა. დედის ადგილი მისმა ქალიშვილმა **მეჰრიმმა** და შვილიშვილმა **აიშე ხუმაშახმა** დაიკავეს. სწორედ მათ რჩევებს უგდებდა ყურს სულეიმანი გადაწყვეტილებების მიღებისას.

**ამ დიდი მმართველის სიკვდილის შემდეგ სულთნები თავიანთ „მცირე სამფლობელოებში“ ჩაიკეტნენ, ამ სამყაროს მბრძანებლებიცა და მძევლებიც გახდნენ ერთდროულად. ქალებმა, რომლებთანაც მთელ თავიანთ დროს ატარებდნენ, ისარგებლეს სიტუაციით და გააძლიერეს თავიანთი გავლენა.** 1603-1687 წლებში ნახში-დილს სტუმრობდა ჰოლანდიის ექსდედოფალი **ჰორტენზია, ალექსანდრ ბოგარნესა** და **ჟოზეფინას,** საფრანგეთის იმპერატორ **ნაპოლეონის** შვილი, რომელსაც თან ახლდა თავისი პატარა ვაჟი — **ლუი-ნაპოლეონი**. უმშვენიერესმა დიასახლისმა გულითადად მიიღო სისხლით ნათესავები და ბიჭს აჩუქა ძვირფასი ხანჯალი, რომელსაც იგი შეინახავს, როგორც თილისმას.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## პაემანი თანაგადახდით

**ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს გამოკითხვა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მამაკაცებს პაემანის ფინანსურ მხარესთან. გამოკითხულთა 64%-ს სურვილი აქვს, დანახარჯი ორივე მხარემ გაინაწილოს.** მამაკაცების 44% აღიარებს, რომ მათ პარტნიორის მიმართ ინტერესი ეკარგებათ, თუკი მას ფინანსური წილი არ შეაქვს მომავალ ურთიერთობაში. მიუხედავად ამისა, გამოკითხულ მამაკაცთა 76%-ს ეუხერხულება მანდილოსნისთვის თანხის გამორთმევა. ფსიქოლოგ დევიდ ფრედერიკის თქმით, ანალიზი აჩვენებს, რამდენად შეიცვალა გენდერული ნორმები. ტრადიციული სქემა, დაკავშირებული ქალის პატივისცემასთან, წარსულს ჩაბარდა. რაც შეეხება გამოკითხულ ქალებს, მათი 57% მამაკაცს პაემანზე ხარჯის თანაგადახდას სთავაზობდა, თუმცა 39%-ს იმედი ჰქონდა, რომ მამაკაცი ამაზე უარს იტყოდა.



## აშშ-ში ყველაზე მყრალი ყვავილი გაიშალა

**ვაშინგტონის ბოტანიკურ ბაღში მსოფლიოში ყველაზე უსიამოვნო სუნის ყვავილი აყვავილდა. ბოტანიკური კლასიფიკაციის მიხედვით, მას ტიტან არუმი ეწოდება.**

ბოტანიკოს ბილ მაკლაფლინის თქმით, ყველაზე მყრალი ყვავილი ამავე დროს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ყვავილოვანი მცენარეა. ეგზემპლარის სიმაღლე 2.5 მეტრს აღწევს.

„აშშ-ში ასეთი ზომის ყვავილი ძალიან ცოტაა, მაგრამ მთავარი მაინც მისი სუნია“, — აცხადებს ბოტანიკოსი.

ტიტან არუმის სამშობლო ინდონეზიაში, კუნძულ სუმატრას ტროპიკული ტყეებია, თუმცა მისი ცუდი სუნის გამო ყვავილი კუნძულზე თითქმის მთლიანად გაანადგურეს. სამაგიეროდ, მისი ხილვა ვაშინგტონის ბოტანიკურ ბაღშია შესაძლებელი, სადაც ადამიანები გრძელ რიგებში დგანან. ყველა ცდილობს, ყველაზე მყრალი ყვავილი ახლოდან შეათვალიეროს და მისი სუნიც იყნოსოს.

ყველა, ვისაც ამ უცნაური ყვავილის სუნი უგრძვნია, მას სხვადასხვანაირად აღწერს. ზოგი აყროლებული თევზის სუნს ადარებს, ზოგი — ლაყე კვერცხისას, ზოგიც ნიუ იორკის სანაგვის „სურნელს“. საბედნიეროდ, ტიტან არუმი ძალიან იშვიათად ყვავილობს. ამერიკაში მან სულ 30-ჯერ იყვავილა.

## ავტომობილი-აუზი



**ზაფხულის სიცხეს მძღოლები ორი ხერხით ებრძვიან: ან სალონში დამონტაჟებული კონდიციონერით გრილდებიან, ან მანქანის ფანჯრები აქვთ ღია, თუმცა გერმანელმა ახალგაზრდამ ორიგინალურ ხერხს მიმართა.**

27 წლის მამაკაცმა, რომელიც გერმანიის ქალაქ აიბენშტოკში ცხოვრობს, საკუთარი BMW-ს სალონი აუზად აქცია — სავარძლები მოხსნა და სალონი წყლით აავსო. ქუჩაში ბორბლებზე მოსიარულე აუზმა, სადაც საცურაო კოსტუმში გამოწყობილი მძღოლი და მისი მეგობრები სხედან, ყოვლისმნახველი გერმანელებიც კი გააოცა.

თუმცა შთამბეჭდავი იდეით დიდად არ აღფრთოვანდა ადგილობრივი პოლიცია. პოლიციელი გაოცდა, როდესაც ქუჩაში წყლით სავსე BMW და გასარუჯად მომზადებული მგზავრები დაინახა. პოლიციამ მძღოლი დააპატიმრა, რადგანაც ის ავტომობილს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა. ამასთან, მანქანას ლიცენზია არ ჰქონდა.

## შავი ჰოთ-დოგი პოპულარობის რეკორდს ხსნის



**ყოველ წელს, 18 ივლისს ჰოთ-დოგის საერთაშორისო დღე აღინიშნება. პირველად ეს დღე აშშ-ში 1893 წელს აღნიშნეს. დღეისთვის კი ჰოთდოგის პოპულარობის ყველა რეკორდს იაპონია ხსნის. სწორედ აქ გამოიგონეს შავი ჰოთ-დოგი, რომელიც სწრაფი კვების ობიექტების ნამდვილ ჰიტად იქცა.**

ამ 30 სმ-იანი ორიგინალური კერძის დაგემოვნება ტოკიოშია შესაძლებელი. შავი ჰოთდოგი ისე გამოიყურება, თითქოს მიკროტალღურ ღუმელში ზედმეტად დიდხანს გააჩერეს.

სწრაფი კვების ობიექტში — Vegas Premium Hot-Dogs-ში შექმნეს ჰოთ-დოგი, რომლის ყველა ინგრედიენტი აბსოლუტურად შავია. ადგილობრივი მედიის ცნობით, რაც გაყიდვაში ეს ეგზოტიკური კერძი გამოვიდა, ხსენებულ დაწესებულებასთან რიგები არ წყდება.

ყველას ეგონა, რომ შავი ჰოთ-დოგი საზოგადოებაში სკეპტიკურ დამოკიდებულებას აღძრავდა, თუმცა „დელიკატესის“ რეკლამის გამოჩენის შემდეგ, მოსახლეობაში ნამდვილი ბუმია.

სწრაფი კვების ქსელი ინგრედიენტების შესაღებად იყენებს ბამბუკის ნახშირს, რომელიც იჭმევა და ჯანმრთელობისთვის მავნებელი არაა. აზიაში ბამბუკის ნახშირს, უკვე დიდი ხანია, საკვებისთვის ფერის შესაცვლელად იყენებენ. მას გემო არ აქვს და არც კერძის გემოს აფუჭებს. შავი ჰოთ-დოგის ფასი 6 აშშ დოლარია.



## ყველაზე ხიფათიანი ადამიანი

**ფლორიდის შტატის 29 წლის მკვიდრი ერიკ ნორი ყველაზე ხიფათიანი ადამიანია დედამიწის ზურგზე. ბაჰამის კუნძულებზე ცოლშვილსა და სიმამრთან ერთად დასვენების დროს მან წყალქვეშა ნადირობით გართობა განიზრახა, თუმცა ერიკის განზრახვას ზვიგენმა შეუშალა ხელი, რომელმაც მას ლამის ფეხი მოაჭამა. დაშავებული ერიკი წყლიდან სიმამრმა ამოიყვანა.**

სიმამრმა ერიკს დაშავებული ფეხი გადაუხვია, მეუღლემ კი მაშველები დროულად გამოიძახა. საავადმყოფოში ექიმებმა შეიტყვეს, რომ ეს პირველი სახიფათო შემთხვევა არ იყო ამერიკელის ცხოვრებაში. როგორც აღმოჩნდა, ნორს მოგზაურობების დროს მეხის დაცემა, ჩხრიალა გველის კბენა და მაიმუნებთან შეტაკება აქვს გადატანილი, მაგრამ ზვიგენის თავდასხმა მისთვის ყველაზე საშინელ და დაუვიწყარ მოვლენად იქცა.

**„ეს დაუვიწყარი თავგადასავალი იყო. ვფიქრობდი, წყლიდან ცოცხალი ვერ ამოვაღწევდი“,** — ამბობს ერიკი, რომელიც წყალქვეშა ნადირობით 8 წლის ასაკიდან არის გატაცებული.

ახლა მან კანის გადანერგვის რამდენიმე ოპერაცია უნდა გაიკეთოს, რათა ფეხის დაზიანებული ნაწილი აღიდგინოს. ხიფათის მხრივ ერიკ ნორს კონკურენციას უწევს კოლუმბიელი ალექსანდრე მენდონი, რომელსაც მეხი ოთხჯერ დაეცა, მაგრამ სიკვდილისგან თავის დაღწევა ოთხჯერვე შეძლო.

## ოქრო — გახდომის სანაცვლოდ



**დუბაის მთავრობამ ქალაქის მცხოვრებლების წონის დაკლების სტიმულირება ოქროთი გადაწყვიტა.**

პროგრამის „თქვენი წონა ოქროში“ ფარგლებში, ქალაქის მცხოვრებლები ზედმეტი წონის ყოველ დაკლებულ კილოგრამზე ერთ გრამ ოქროს იღებდნენ (დაახლოებით 42 დოლარს). დაკლებული კილოგრამების რაოდენობის მიხედვით, პირველ სამ ლიდერს 20 000 დირჰამად (დაახლოებით 5,5 ათასი დოლარი) ღირებული ოქროს მონეტით დააჯილდოებენ.

მონაწილეებს რეგისტრაციის დროს და პროგრამის დასრულების დღეს აწონიან. ჯილდოს ის მიიღებს, ვინც ამ დროის განმავლობაში არანაკლებ 2 კილოგრამს დაიკლებს.

ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის — ჰუსეინ ჰასერ ლუტაჰის თქმით, დუბაიში სპორტის სხვადასხვა სახეობის 91 ობიექტი არსებობს. „ცხელი ამინდი თავის გამართლების საშუალებად არ უნდა იქცეს — ვარჯიში ან სირბილი საღამოს ან დილით ადრეც შეიძლება“, — დასძენს იგი.

გაერთიანებულ არაბთა ემირატებში ზედმეტი წონა ნაადრევი სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. 2007 წლის მდგომარეობით, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 68%-ს ზედმეტი წონა აწუხებდა.

## ეგვიპტური მუმია — ბებიის სახლის სხვენზე



**გერმანიის ჩრდილოეთით 10 წლის ბიჭმა, ალექსანდრ კეტლერმა, ბებიის სახლის სხვენზე ძველეგვიპტური მუმია აღმოაჩინა.**

ბავშვი სხვენზე სათამაშოდ ავიდა და შემთხვევით აღმოაჩინა სარკოფაგი, რომელზეც ძველი ეგვიპტური იეროგლიფები იყო ამოკვეთილი. მასში მუმია იწვა.

როგორც ბიჭის მამა იტყობინება, მუმია მართლაც შეიძლება ძველი ეგვიპტური იყოს. მისი თქმით, მისმა მამამ 1950-იან წლებში ეგვიპტის ტერიტორიაზე მართლაც იყიდა სარკოფაგი და გერმანიაში ჩამოიტანა. მოგვიანებით შენაძენი ყველას გადაავიწყდა, ახლა კი ის ოჯახის „პატარა არქეოლოგმა“ აღმოაჩინა.

ახლა ძველ არტეფაქტს ბერლინელი მეცნიერები შეისწავლიან.



## კოსმოსში დაკრძალვა 2000 დოლარი ეღირება

**ნასას ყოფილმა სპეციალისტმა წარმოადგინა პროექტი, რომელიც გარდაცვლილი ადამიანის ფერფლის კოსმოსში „დამარხვის“ საშუალებას იძლევა. გარდაცვლილის ახლობლები კი, ორბიტაზე „დაკრძალვის ცერემონიის“ თვალყურის დევნებას სმარტფონის საშუალებით შეძლებენ.** პირველი კოსმოსური დაკრძალვა მომავალი წლის ზაფხულში გაიმართება. უჩვეულო ცერემონიის ღირებულება 2000 დოლარამდეა. სპეციალური მოწყობილობა Elysium Space უკვე ხელმისაწვდომია ანდროიდებისთვის. Elysium Space-ი ამ სახის პირველი პროექტი არ არის. მაგალითად, Celestis-ი იმავე მომსახურებას უკვე სთავაზობდა მომხმარებელს 5000 დოლარად, თუმცა ახალი პროექტი გაცილებით იაფი ჯდება. აღსანიშნავია, რომ სპეციალურ საიტზე მომსახურების დაჯავშნის საშუალება უკვე არსებობს.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორი ადამიანები მოსწონთ კოღოებს

**თუ თქვენ მწერები უფრო ხშირად გკბენენ, ვიდრე თქვენს მეგობრებს, იცოდეთ, რომ მარტო არ ხართ. ხშირად ამის მიზეზი ადამიანებს მხოლოდ სისხლის ჯგუფი ჰგონიათ, თუმცა ეს ერთადერთი ფაქტორი არაა. მეცნიერების მტკიცებით, ადამიანთა 20% სხვადასხვა მიზეზის გამო, კოღოებისთვის გაცილებით უფრო მიმზიდველია. გთავაზობთ ამ მიზეზთა ჩამონათვალს:**



### სისხლის ჯგუფი

როგორც კვლევებმა აჩვენა, ყველა სისხლის ჯგუფი სულაც არ არის მიმზიდველი კოღოებისთვის. სისხლის პირველი ჯგუფის მქონე ადამიანები მწერებს ორჯერ მეტად იზიდავენ, ვიდრე მეორე ჯგუფის მქონეები.

### კანის ბაქტერიები

კვლევებმა აჩვენა, რომ ზოგიერთი ბაქტერია, რომელიც ადამიანის კანზე ბინადრობს, მწერებს იზიდავს. კოღოები ყველაზე ხშირად ადამიანებს ფეხებსა და მუხლებზე კბენენ. სწორედ სხეულის ამ ნაწილზე ბინადრობს ყველაზე მეტი სიცოცხლისუნარიანი ბაქტერია.

### ლუდი

როგორც მკვლევარები ირწმუნებიან, ერთი ქილა ლუდის დალევაც კი ზრდის იმის ალბათობას, რომ კოღოები დაგკბენენ. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს სხეულის ტემპერატურის ზრდასთან ან ოფლთან ერთად გამოყოფილ ეთანოლთან.

### ფიზიკური სავარჯიშოები და ნივთიერებათა ცვლა

გარდა სისხლის ტიპისა და ნახშიროჟანგისა, კოღოები თავიანთ მსხვერპლს იმ ნივთიერებათა მიხედვით პოულობენ, რომლებიც სხეულიდან ოფლთან ერთად გამოიყოფა. გარდა ამისა, დამატებითი ფაქტორი სხეულის გაზრდილი ტემპერატურაა, ანუ ადამიანები, რომლებიც სპორტს მისდევენ, მწერებისთვის გაცილებით უფრო „მადისაღმძვრელნი“ არიან.

### ნახშიროჟანგი

კოღოებისთვის კიდევ ერთი „მიმზიდველი“ ფაქტორი ნახშიროჟანგია, რომელსაც ადამიანი სუნთქვის დროს გამოყოფს. კოღოს მისი „დაჭერა“ 50 მეტრის დაშორებით შეუძლია. მას მწერი სპეციალური ორგანოს მეშვეობით შეიგრძნობს. რომელი ადამიანიც უფრო მეტ ნახშიროჟანგს გამოყოფს, უფრო მეტად იზიდავს სისხლისმწოველ მწერებს.

### ორსულობა

რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ ფეხმძიმეებს კოღოები ორჯერ უფრო მეტად კბენენ. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ორსული ქალები 21%-ით მეტ ნახშიროჟანგს გამოყოფენ. ამასთან, მათი სხეულის ტემპერატურა ბუნებრივად მაღალია.

### სამოსის ფერი

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კოღოებს მსხვერპლის ძებნისას სუნის გარდა, სამოსის ფერიც ეხმარებათ. ფლორიდის უნივერსიტეტის დოქტორის — ჯეიმს დეას მტკიცებით, მწერებს შავი, ლურჯი და წითელი ფერის სამოსი იზიდავთ.

### გენეტიკა

საერთო ჯამში, კოღოებისთვის ჩვენს მიმზიდველობას 85%-ით გენები განსაზღვრავენ. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ადამიანს არაფრის შეცვლა არ ძალუძს.



# მსოფლიოში ყველაზე დიდი დასარტყამი ინსტრუმენტი

**56 წლის მარკ ტემპერატოს დასარტყამი ინსტრუმენტების მსოფლიოში ყველაზე დიდი მოწყობილობა აქვს. მას 36 წელი დასჭირდა, რომ 813 ნაწილისგან შემდგარი ინსტრუმენტი „შეექმნა“.**

საკრავი დასარტყამი თეფშების, ზარებისა და დოლისგან შედგება. იმისთვის, რომ თითოეულ მათგანზე დაუკრა, ერთი საათია საჭირო. დაკვრა რომ გაადვილდეს, მამაკაცს სპეციალური სკამი აქვს. მარკს ჯერ კიდევ არ მობეზრებია ინსტრუმენტების შეგროვება, პირიქით, ის აპირებს, რომ დასარტყამი ინსტრუმენტების რაოდენობა 1000-მდე გაზარდოს. 56 წლის მამაკაცს ეს გინესის საკუთარი რეკორდის გასაუმჯობესებლად სჭირდება.

ინსტრუმენტების ნაკრები 2 000 კგ-ზე მეტს იწონის.

# აკვარიუმი ღალავნის ნაცვლად



**თურქეთის ქალაქ იზმირში თურქმა ბიზნესმენმა მეჰმეტ ალი გოკცეგლუმ საკუთარი ვილის გარშემო გალავნის ნაცვლად მთელ სიგრძეზე უზარმაზარი აკვარიუმი მოაწყო.**

ბიზნესმენმა დიზაინერებს 50 მეტრი სიგრძის აკვარიუმი 8 წლის წინ ააშენებინა. აკვარიუმში ათასზე მეტი თევზი დაცურავს. მეჰმეტის ოჯახი აბეზარმა ტურისტებმა შეაწუხეს. სახლთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. მეჰმეტს ოცნების აკვარიუმი 21 000 დოლარი დაუჯდა. დაქირავებული ჰყავს მუშების ჯგუფი, რომლებიც თევზებს უვლიან და აკვარიუმის სისუფთავეზე ზრუნავენ.

აკვარიუმს 17 სათვალთვალო კამერა აქვს დამონტაჟებული, რომელთა მეშვეობით სპეციალური ჯგუფი აკონტროლებს ტურისტების ქცევას — ძალიან ახლოს რომ არ მივიდნენ და შუშა არ დააზიანონ. ყველას შეუძლია ფოტოსა და ვიდეოს გადაღება, მაგრამ, როგორც კი ვინმე აკვარიუმს ეხება, სიგნალიზაცია ირთვება.

# ჰოიტების გუნდი

**„ჰოიტების გუნდი“ მხოლოდ ორი ადამიანისგან შედგება: მამა — ᲓᲘᲙ ᲰᲝᲘᲢᲘ და შვილი — ᲠᲘᲙᲘ, რომელიც დაბადებიდან ცერებრალური დამბლითაა დაავადებული. ამის მიუხედავად, მამა-შვილმა ათასამდე სპორტულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.**

ყველაფერი 1962 წელს დაიწყო, როდესაც ახალშობილ რიკის მძიმე დიაგნოზი დაუსვეს — ექიმებმა ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვის სპეციალურ თავშესაფარში დატოვება ურჩიეს მშობლებს. მაგრამ ახალგაზრდა წყვილმა ექიმების რჩევა უგულებელყო და შვილი სახლში წაიყვანა. რიკი, რომელსაც არც სიარული შეეძლო და არც საუბარი, 11 წლის ასაკიდან სპეციალური კომპიუტერის საშუალებით ურთიერთობდა გარესამყაროსთან. ამავე მოწყობილობის საშუალებით მან სკოლის დამთავრებაც შეძლო.

რიკის თანაკლასელის ოჯახში მომხდარი უბედური შემთხვევის შემდეგ სკოლამ საქველმოქმედო მარათონის ჩატარება გადაწყვიტა. ამ მარათონმა მამა-შვილის მთელი ცხოვრება შეცვალა. გარბენში მონაწილეობა 37 წლის დიკმა შვილის თხოვნით მიიღო. რიკის ბედნიერმა გამომეტყველებამ და გამარჯვებით გამოწვეულმა ემოციამ მამას მტკიცედ გადააწყვეტინა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გაეგრძელებინა რიკისთვის სიხარულის მინიჭება.



ველორბოლებში დიკი და რიკი სპეციალური ველოსიპედით გამოდიან, სპორტული მარათონის დროს კი რიკისთან ერთად სპეციალური სავარძლით დარბის. **„მისი სიცილი საუკეთესო ხმაა მთელ მსოფლიოში, რაც კი ოდესმე მომისმენია“,** — ამბობს 73 წლის დიკ ჰოიტი, რომელმაც 51 წლის შვილი მთელი ცხოვრება ხელით ატარა.



# ძაღლი ნარკომან მოზარდებს გამოავლენს

**მსოფლიოში უამრავ ოჯახს ტანჯავს პრობლემა, რომელსაც შვილის ნარკოდამოკიდებულება ჰქვია. ეს პრობლემა, როგორც წესი, თინეიჯერობაში იჩენს თავს და მშობლები ხშირად ვერაფერს ხვდებიან.**

სწორედ ამიტომ გერმანელმა მეწარმემ რეითნერ რეუტერმა საინტერესო სერვისი შექმნა: სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი, რომელიც ნარკოტიკებსა და სხვადასხვა მედიკამენტს ეძებს. ძაღლის, სახელად ტორის, დაქირავება 125 დოლარი ღირს. როდესაც გერმანელი მოსწავლეები სკოლებში არიან, ტორი მათ სახლში დაძვრება და ყველაზე უჩვეულო ადგილებშიც კი აგნებს დამალულ ნარკოტიკებს.

**„მშობლებს პრინციპულად ვურჩევთ, ამ პრობლემის დაძლევაში ფსიქოლოგი ჩართონ. თუმცა მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, როგორ ებრძოლონ შვილის ნარკოდამოკიდებულებას. ყველაზე ცუდად დამამახსოვრდა შემთხვევა, როდესაც მშობლებმა ძაღლი დაიქირავეს და დამტკიცდა, რომ მათი სკოლის მოსწავლე გოგონა ნარკოტიკებს შეუმჩნევლად მალავს. არ დამიჯერებთ და ძაღლმა კოკაინი სვიტერში იპოვა, რომელიც ბავშვმა ჭუჭყიან სარეცხში დამალა“,** — ამბობს რეუტერი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ტალახის პარკი ღორებისთვის

**ჰოლანდიელმა ფერმერმა ერიკ სტეხნიკმა საკუთარი ფერმის ტერიტორიაზე დაამონტაჟა პლასტმასის სასრიალო, რომელიც აკვაპარკში შეიძინა. სასრიალო განკუთვნილია ღორებისთვის, რომლებმაც იგი საკმაოდ სწრაფად აითვისეს.**

რამდენიმე გამოცემამ მოსრიალე ცხოველების ფოტოები გამოაქვეყნა. ისინი არა წყლით სავსე აუზში, არამედ ტალახში ეშვებიან, სადაც ღორებს დროის გატარება ძალიან უყვართ. სტეხნიკის თქმით, მან სასრიალო აკვაპარკში სტუმრობის შემდეგ იყიდა. ადამიანებზე დაკვირვებით შთაგონებულმა ფერმერმა იფიქრა, რომ სასრიალოზე სრიალი მის ცხოველებსაც ძალიან მოეწონებოდათ. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ რაც უფრო კარგ პირობებში იმყოფება პირუტყვი, მით უფრო კარგ პროდუქციას იძლევა.



## მწეველი კუ

**ჩინეთის პროვინცია გირინში ნიკოტინზე დამოკიდებული კუ ცხოვრობს. ის დღეში 10 ღერ სიგარეტს ეწევა და, თუ პატრონმა სიგარეტი არ მიაწოდა, სისინს იწყებს და აგრესიული ხდება.**

ყველაფერი 2 თვის წინ დაიწყო. კუს პატრონი ტანგი ამბობს, რომ ქვეწარმავალმა მოულოდნელად საკვების მიმართ ინტერესი დაკარგა. მას მუცელში ბასრი ძვალი ჰქონდა შერჩობილი. კაცმა ძვლის ამოღება სცადა, მაგრამ კუს ეტკინა და ტანგს თითებზე უკბინა. პატრონი მიხვდა, რომ კუსგან თავდასხმის მოსაგერიებლად ერთადერთი გზა კბილებქვეშ რაიმე ნივთის მოთავსება იყო. სწორედ ამიტომ სიგარეტი კუს პირში ჩაუდო, მაგრამ ვერ წარმოიდგენდა, რომ კუს სიგარეტს დააჩვევდა.

მეორე დღეს ტანგი სახლში მძიმე სამუშაო დღის შემდეგ დაბრუნდა და რელაქსაციისთვის სიგარეტის მოწევა დაიწყო. მოულოდნელად კუ მასთან მივიდა და სიგარეტის კოლოფში „შეძვრა“. ტანგის თქმით, მას შემდეგ ქვეწარმავალი ზრდასრული კაცივით დღეში 10 ღერ სიგარეტს ეწევა.

„კუ სიგარეტს ჩემთან ერთად ეწევა. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს გვერდით მეგობარი კაცი დგას. აღარ მინდა ნიკოტინზე დამოკიდებული იყოს, თანაც მომწყინდა მისთვის სიგარეტის ღერების განაწილება. ზოგჯერ სიგარეტი ჩემთვისაც კი აღარ მრჩება“, — დარდობს ტანგი.

## 25 წლის გოგო ალიგატორებთან ერთად დაცურავს

**25 წლის ფლორიდელი ქალი ეშლი ლოურენსი ირწმუნება, რომ მას შემდეგ, რაც ბრაკონიერების ხაფანგებისგან ალიგატორები გადაარჩინა, მათთან საერთო ენა გამონახა.** ეშლი ალიგატორებს ბრაკონიერთა ხაფანგებისგან ათავისუფლებს. ეს მისი პროფესიაა. ცოტა ხნის წინ ლოურენსი ჯგუფ Gator Boys-ში გაწევრიანდა. ამ ჯგუფის წევრები რეგულარულად დადიან ალიგატორებით დასახლებულ ადგილებში და რეპტილიებს ეხმარებიან. ეშლი ამ ჯგუფის ერთადერთი მდედრობითი სქესის წევრია.

„ეს ჩემი მოწოდებაა. ვხვდები, როგორც იქცევიან ალიგატორები. შემიძლია მათი ქცევების წინასწარ გამოცნობა, ასე რომ, ბევრი ძალისხმევა სულაც არ მჭირდება“, — განაცხადა ეშლიმ.

გოგონა იმდენადაა გატაცებული საკუთარი საქმით, რომ ვერ წარმოუდგენია, ნიანგების გადარჩენის გარდა, სხვა რა უნდა აკეთოს ცხოვრებაში.

ლოურენსი ადვილად უმკლავდება 5-მეტრიან ალიგატორებს. ბრაკონიერების ხაფანგებისგან გამოხსნილი ყველა ნიანგი სპეციალურ ფერმაში გადაჰყავთ, სადაც Gator Boys-ის წევრები წარმოდგენებს მართავენ.

ამ შოუების დროს ეშლი თავისუფლად დაცურავს აუზში მოზრდილ ალიგატორებთან ერთად და მათთან ფოტოებს ისე იღებს, თითქოს შინაური ცხოველები იყვნენ.



## პირველი მსოფლიო მოქალაქე გარდაიცვალა



**ვერმონტის შტატში გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე და პირველი მსოფლიო მოქალაქე გარი დევისი. დევისი, რომელმაც მსოფლიო მოქალაქეობა 1948 წელს მიიღო, თავის 92-ე დაბადების დღემდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა. მას ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი დარჩა.**

აშშ-ის მოქალაქემ, ბროდვეის ყოფილმა მსახიობმა და პილოტმა გარი დევისმა აშშ-ის მოქალაქეობაზე უარი 1948 წლის 25 მაისს თქვა. ეს მოხდა პარიზში, სადაც ის აშშ-ის საელჩოში პასპორტის ჩასაბარებლად მივიდა. თავისი გადაწყვეტილება ჰარიმ შემდეგნაირად ახსნა: თუ მსოფლიოში ყველა ადამიანი უარს იტყვის საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე, მაშინ დედამიწაზე აღარ მოხდება ომები.

ხელისუფლებამ მას საფრანგეთის ტერიტორიის დატოვება 12 სექტემბრამდე სთხოვა. 7-ში დევისი შაიოს სასახლეს ეწვია, სადაც გაეროს გენერალური ასამბლეა გაიხსნა. სწორედ ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეღწევით მოიპოვა მან მსოფლიო მოქალაქეობა.

ამის შემდეგ დევისს პირველი მსოფლიო პასპორტი მისცეს. გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე ჰარიმ თავისი პასპორტი CIA-ს ყოფილ თანამშრომელს, ედვარდ სნოუდენს გადასცა, რომლის დოკუმენტები აშშ-ის მთავრობამ გააუქმა.



## ჩხუბი მოზარდებში IQ-ს მაჩვენებელს დაბლა წევს

**ფლორიდის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევა ადასტურებს, რომ ჩხუბი მოზარდის IQ-ზე უარყოფითად მოქმედებს. ინტელექტის ექვივალენტის მაჩვენებლის დაქვეითება სკოლაში ერთ გაცდენილ წელს უტოლდება. კვლევის შედეგები Medical News Today-ში გამოქვეყნდა.**

როგორც აღმოჩნდა, მოზარდებს შორის კონფლიქტები და შეხლა-შემოხლა სერიოზულ გავლენას ახდენს ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე. განსაკუთრებით კი ეს მწვავედ გოგონებზე აისახება. კვლევის შედეგების მიხედვით, საერთო ჯამში IQ-ს მაჩვენებლის დაქვეითება ბიჭებში 1.62 პუნქტს, ხოლო გოგონებში 3.02 პუნქტს შეადგენს.

ის, რომ ფიზიკური ტრავმები ადამიანის მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება, ახალი ამბავი არ არის. ახლა კი გაირკვა, რომ თავის ტრავმები არა მხოლოდ IQ-ს მაჩვენებლის დაწევას, არამედ ნევროლოგიურ პრობლემებსაც იწვევს. ამის გათვალისწინებით, ექიმები ფეხბურთში ბურთის თავით მოგერიების წინააღმდეგ გამოდიან.

## მსოფლიო ხელოვნების შედევრები LEGO-თი

**ნიუ იორკში, Discovery Times Square-ის გამოფენაზე, LEGO-თი აწყობილი მსოფლიო ხელოვნების შედევრები გამოფინეს. ექსპონატებს შორისაა „მონა ლიზა“, „გოგონა მარგალიტის საყურით“, „კლეოპატრა“ და ხელოვნების სხვა ცნობილი ნიმუშები.**

კოლექციას The Art of The Brick (ხელოვნება აგურებისგან) ჰქვია. რეპროდუქციების ავტორია ნატან სავაი. LEGO-ს სათამაშოებით აწყობილი ფიგურები ცნობილი მოქანდაკეებისა და მხატვრების უნიკალური ნამუშევრების თითქმის ზუსტი ასლებია.

ნატანის მიერ შექმნილ ექსპონატებს შორის უამრავი ისეთი ფიგურაა, რომელთა შექმნა მხოლოდ სწორკუთხოვანი დეტალებით თითქმის წარმოუდგენელია, თუმცა LEGO-ს სპეციალისტმა ეს მაინც შეძლო.

მონა ლიზას „ლეგოთი“ აწყობილ პორტრეტს 4 573 დეტალი დასჭირდა, ხოლო ყველაზე დიდი ექსპონატი — დინოზავრის ჩონჩხი 80 020 დეტალითაა აწყობილი. ექსპოზიცია, რომელზეც LEGO-თი აწყობილი მსოფლიო ხელოვნების შედევრებია წარმოდგენილი, 14 ივლისს გაიხსნა და 2014 წლის 5 იანვრამდე გასტანს.



## 10 ათასი დოლარი საქმროს მპოვნელისთვის



**ქალი, რომლის ვინაობაც არ ხმაურდება, 10 ათას დოლარს გადაუხდის ნებისმიერს, ვინც მას საქმროს მოუძებნის.**

ის სან-ფრანცისკოში ცხოვრობს, კარგი ხელფასი აქვს და პრესტიჟულ სამსახურში მუშაობს. ამერიკელი ქალის შეთავაზება გავლენიანმა გამოცემებმა აიტაცეს და მის შესახებ ვრცელი სტატიებიც მოამზადეს.

მარტოხელა ამერიკელის წინადადებით უამრავი მამაკაცი დაინტერესდა. ქალის საფოსტო მისამართი მხოლოდ მისმა მეგობრებმა, ნათესავებმა და სარეკლამო სააგენტოების წარმომადგენლებმა იციან, თუმცა დაინტერესებული მამაკაცები შეთავაზების ავტორს შუამავლების გარეშე, ძირითადად Facebook-ით მიმართავენ.

როგორც ამბობენ, სასიძოების რიგი არ წყდება. ქალს განსაკუთრებული მოთხოვნები არ აქვს, უბრალოდ, „კარგ კაცს“ ეძებს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## იაპონიაში ჩანასახის 3D პორტრეტებს ბეჭდავენ

**დაივიწყეთ ექოსკოპიაზე ნანახი შავ-თეთრი ფოტოსურათი, იაპონელები ჩანასახის 3D პორტრეტებს ბეჭდავენ და შემდეგ პაწაწინა ფიგურებს ქმნიან.** იაპონურ სამედიცინო საინჟინრო კომპანიაში FASOTEC ჩანასახის 3D პრინტერისგან სკანირებას აკეთებენ და კრემისფერი რეზინისგან პორტრეტებს ქმნიან. ეს ყველაფერი იაპონელ მშობელს 500 დოლარი უჯდება. თუმცა ისინი მხოლოდ პორტრეტებზე არ მუშაობენ, მათ სხეულის ნაწილების სკანირებაც შეუძლიათ. სკანირება და ფიგურების შექმნა ფეხმძიმობის მერვე ან მეცხრე თვეში ხდება. „8 თვის ფეხმძიმე ვიყავი და კომპანიას ფოტოსურათისთვის მივაკითხე. ვიდრე ვიმშობიარებდი, უკვე ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა ბავშვი, რომელსაც მუცლით ვატარებდი. საოცარი შეგრძნება იყო“, — ამბობს ერთ-ერთი კლიენტი.



## სანაპიროზე, სადაც ადამიანები ზვიგენებთან ერთად ცურავენ

**ოკეანეში ზვიგენის გამოჩენა უეჭველ სიკვდილს ნიშნავს, მაგრამ ინგლისის საგრაფო კორნუოლში, სანაპირო Porthcurno-ზე მცხოვრები ადამიანები ასე არ ფიქრობენ.** ფოტოგრაფმა რეიჩელ ჰოსკენმა ეს ფოტო შემთხვევით გადაიღო. როგორც რეიჩელი ამბობს, ფოტოებს იღებდა, როდესაც წყალში მოცურავე ადამიანებთან ძალიან ახლოს უზარმაზარმა ზვიგენმა ჩაიარა. ფოტოგრაფმა იფიქრა, რომ საბედისწერო სცენის მომსწრე გახდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არც გიგანტურ ზვიგენს და არც მოცურავეებს არ შეშინებიათ და ერთმანეთისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

**„დაუჯერებელია, მაგრამ ძალიან მშვიდი სცენა იყო. ზვიგენმა გზა განაგრძო და მოცურავეებს ყურადღება არ მიაქცია. მსგავსი რამ არსად მინახავს“,** — ამბობს ფოტოგრაფი.

## ფიზიკური ვარჯიში ადამიანის დნმ-ს ცვლის



**ხანმოკლე სპორტულ ცხოვრებასაც შეუძლია დნმ-ში დადებითი ცვლილებები გამოიწვიოს და შეამციროს სიმსუქნისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების განვითარების რისკი. ამ დასკვნამდე ლუნდის უნივერსიტეტის მეცნიერები ნახევარი წლის განმავლობაში 23 ახალგაზრდა ქალსა და მამაკაცზე დაკვირვების შედეგად მივიდნენ. ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს წონის პრობლემა ჰქონდა, ისინი ვარჯიშის დაწყებამდე ფიზიკური აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ და ჯანმრთელი იყვნენ.**



კვლევის თანახმად, მონაწილეებს კვირაში სამჯერ უნდა ევარჯიშათ აერობიკასა და ველოაერობიკაში. თუმცა მამაკაცები, რომლებიც რეგულარულ ფიზიკურ ვარჯიშს არ იყვნენ მიჩვეულნი, მხოლოდ კვირაში ორჯერ ვარჯიშობდნენ. ექვსი თვის დაკვირვების შემდეგ მკვლევარებმა ექსპერიმენტში მონაწილე ადამიანების გენები გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ არახანგრძლივ ვარჯიშსაც არ ჩაუვლია ფუჭად — შეიცვალა იმ გენების მუშაობის პროცესი, რომლებიც ცხიმის შენახვასა და სიმსუქნის განვითარებაზე აგებენ პასუხს.

მეცნიერები დააკვირდნენ ცვლილებებს ე.წ. სამიზნე ჯგუფებში — ცხიმოვან უჯრედებში, ანუ იმ მოლეკულებში, რომლებიც გენების შემცველობაში შედიოდა. ცნობილია, რომ სამიზნე ჯგუფები „გენების ექსპრესიაზე“ ზემოქმედებენ. ისიც ცნობილია, რომ ყველა უჯრედი, მათ შორის ცხიმოვანი უჯრედები დნმ-ს შეიცავს და გენეტიკურ ინფორმაციას ინახავს. მიუხედავად იმისა, რომ გენები მემკვიდრეობით გადაიცემა და მთლიანობაში არ იცვლება, გენების შიგნით სამიზნე ჯგუფებზე სხვადასხვა ფაქტორი ზეგავლენას მაინც ახდენს. ეს ფაქტორებია: ფიზიკური ვარჯიში, დიეტა და ზოგადად, ადამიანის ცხოვრების წესი.

„ჩვენმა ექსპერიმენტმა ფიზიკური ვარჯიშის დადებითი ეფექტი აჩვენა, — ამბობს კვლევის ავტორი. აღმოჩნდა, რომ ეპიგენეტიკური ცვლილებები 7 000-მდე გენს შეეხო, რაც გენომის 35%-ს შეადგენს. გარდა ამისა, მეცნიერებმა გააანალიზეს ის გენებიც, რომლებიც ტრადიციულად შაქრიანი დიაბეტის მე-2 ტიპს და სიმსუქნეს უკავშირდება და აქაც დადებითი ცვლილებები აღმოაჩინეს. გარდა ამისა, შემცირდა გენების აქტიურობა, რომლებიც შაქრის შენახვაში მონაწილეობენ. ორი საკვანძო გენის მოდიფიკაციამ კი შეამცირა თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების გამომუშავება (მათი მაღალი დონე დაკავშირებულია შაქრიანი დიაბეტის მე-2 ტიპთან).

კვლევის შედეგები ლაბორატორიაში ჩატარებული ცდებით დამტკიცდა. კვლევამ აჩვენა, რომ ფიზიკური ვარჯიში ადამიანის დნმ-ზე დადებითად მოქმედებს.

## ყველაზე მიმზიდველი კაცები



**ყოველ წელს ტარდება გამოკითხვა, რომელშიც სუსტი სქესი ყველაზე სექსუალურ და მიმზიდველ კაცებს ასახელებს. ამჯერად, ყველაზე მიმზიდველი კაცები ბრიტანელები, ბრაზილიელები და იტალიელები აღმოჩნდნენ.**

ვებსაიტმა MissTravel-მა 30 741 ქალი გამოკითხა. ბრიტანელი კაცები რომ ჯენტლმენები არიან, ეს ცნობილი ფაქტია. ქალებს ისიც ხიბლავთ, რომ ბრიტანელი კაცები აქტიურად მისდევენ სპორტს. გამოკითხული ქალების ნაწილი კი უპირატესობას ტემპერამენტიან ბრაზილიელებს ანიჭებს. ტოპ-ხუთეულში მოხვდნენ იტალიელებიც, რომლებიც სექსუალური კაცების რეიტინგს ყოველ წელს ლიდერობენ. ქალებს იტალიელი კაცები მხოლოდ გარეგნობის გამო არ მოსწონთ. როგორც თავად ამბობენ, იტალიელი კაცები ქალს უყურადღებოდ არ ტოვებენ და გოგონასთან დაახლოებას ყველა ხერხით ცდილობენ. ამავე ვებსაიტის გამოკითხვით, რომელშიც 13 259 მამაკაცი მონაწილეობდა, ყველაზე სექსუალურ ქალებად კოლუმბიელები დაასახელეს.

## მსოფლიოში ყველაზე მხცოვანი კაცი 141 წლისაა

**ინდოეთში, ქაშმირში მცხოვრები ფეროზ უნ დინ მირი მსოფლიოში ყველაზე მოხუცი მამაკაცია — ის 141 წლისაა.**

ფეროზს თან აქვს დაბადების მოწმობა — საბუთში მითითებულია, რომ ის 1872 წლის 10 მარტს დაიბადა. გინესის მსოფლიო რეკორდების წარმომადგენლები ინფორმაციის ოფიციალურად გადამოწმებას რამდენიმე დღეში შეუდგებიან. თუ სერტიფიკატი ყალბი არაა, ინდოელი მამაკაცი გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის ყველაზე სასიამოვნო და პრესტიჟული ტიტულის, „მსოფლიოში ყველაზე მცხოვანი ცოცხალი ადამიანი“ მფლობელი გახდება.

ის ხუთჯერ იყო დაქორწინებული და პირველი მეუღლე 18 წლის ასაკში შეირთო. მართალია, ფეროზი 141 წლისაა, მაგრამ აქტიურ და ჯანმრთელ ცხოვრებაზე ხელი ჯერ არ ჩაუქნევია. ოჯახის წევრების დახმარებით ქუჩაში ადვილად გადაადგილდება, არც საუბარი უჭირს და არც მხედველობას უჩივის.

ოფიციალური სტატისტიკით, ყველაზე ხანდაზმულები იაპონელები არიან. იაპონიაში 50 000 მხცოვანია, რომელიც 100 და 100-ზე მეტი წლის არიან — ეს შედეგი, სიცოცხლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, სხვა ქვეყნებთან შედარებით რეკორდულია.



## ძიძა-მძარცველი

**ინდონეზიელმა მამაკაცმა, რომელმაც სახლის ძარცვის დროს ბავშვის ტირილის ხმა გაიგონა, ჩვილს საკვები აჭამა, უმღერა და დააძინა. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იტყობინება. ინციდენტი ჯაკარტაში მოხდა.**

როგორც ბრიტანული გამოცემა Metro იტყობინება, კოჯეკ მისტა სხვა ქურდებთან ერთად ძარცვის მიზნით სახლში დილით შეიჭრა. მათ დიასახლისი და ბავშვის ძიძა გაკოჭეს. ხმაურზე პატარას გაეღვიძა და ტირილი დაიწყო.

მისტამ დედას ჰკითხა, რა უნდა გაეკეთებინა, რომ ბავშვი გაჩუმებულიყო. მან ქურდს ბავშვის რძით გამოკვება სთხოვა. მაშინ მძარცველმა პატარა ხელში აიყვანა, უმღერა და აჭამა.

მალევე ბავშვს მძარცველის ხელში ჩაეძინა. კოჯეკმა ის კვლავ საწოლში ჩააწვინა.

„მეც მყავს შვილი და ვიცი, როგორ უნდა დავაძინო ბავშვი“, — განაცხადა კოჯეკმა პოლიციის განყოფილებაში ჟურნალისტთან საუბრისას.

ბავშვის გაჩუმების შემდეგ ქურდებმა სახლიდან ძვირფასი ნივთები გაიტანეს და მიიმალნენ, მაგრამ პოლიციამ ისინი მალევე იპოვა. მისტას 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება.



## ავსტრალიელმა თაგვებს სკეიტბორდით სრიალი ასწავლა

**ავსტრალიის ქალაქ გოლდ-კოსტის მცხოვრებმა შეინ უილმოტმა თავის შინაურ თაგვებს სკეიტბორდით სრიალი ასწავლა. მამაკაცი ამტკიცებს, რომ ცხოველებს სკეიტბორდზე დგომის სწავლა შეუძლიათ, თუ მათ პატარაობიდანვე გაწვრთნი.**

თაგვები პატარა სკეიტპარკში სრიალებენ, რომელიც უილმოტმა სახლის ეზოში ააგო. ზოგიერთ მღრღნელს დაფით აალებულ რგოლში გადახტომაც შეუძლია. უილმოტმა აღნიშნა, რომ შესაძლოა ზოგიერთს მისი თაგვებთან დამოკიდებულება სასტიკად მოეჩვენოს, მაგრამ მას საკუთარი შინაური ცხოველები ძალიან უყვარს.



# პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ დარჩენილი კაპიტალის მინიმუმ 90 პროცენტს ქვეყანას მოახმარს

**საქართველოს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურის თანამშრომლის — ანა გოჩაშვილის ინფორმაციით, პრემიერმა სააგენტო „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში პირველად განაცხადა, რომ დარჩენილი კაპიტალის მინიმუმ 90%-ს ისევ ქვეყანას მოახმარს ისევ უანგაროდ.**



როგორც ანა გოჩაშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს, იგი თავად ესწრებოდა ინტერვიუს, რომელიც პრემიერმინისტრთან „ბლუმბერგის“ ჟურნალისტებმა — ჰენრი მაიერმა და ჰელენა ბედველმა, იგივე თათია ნიკოლეიშვილმა ჩაწერეს. მისივე თქმით, აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების ექსკლუზიური უფლება ბიძინა ივანიშვილმა „ბლუმბერგს“ მიანიჭა, თუმცა „დასანანია, რომ ასეთმა გავლენიანმა და პრესტიჟულმა გამოცემამ ეს უფლება ვერ ან არ გამოიყენა“. ანა გოჩაშვილის ინფორმაციით, თვალშისაცემი ტენდენციურობის გარდა, სტატიაში ფაქტობრივი შეცდომებია დაშვებული.

**„სააგენტოს კითხვა ასე ჟღერს: „რას უზამს ივანიშვილი თავის მილიარდებს?“ „ბლუმბერგის“ დასკვნით, ეს დღეს ყველაზე აქტუალური თემაა, თუმცა გასაოცარი ის არის, რომ სწორედ ამ „აქტუალურ თემაზე“ მიღებულ პირდაპირ პასუხს არ აქვეყნებს. საინტერესოა, ბევრია მსოფლიოში ისეთი ადამიანი, რომელიც ოც წელზე მეტია, თავისი ხარჯების უდიდეს ნაწილს ქველმოქმედებას ახმარს? ჰელენა ბედველს კიდევ რომელი მილიარდერი ჰყავს ჩაწერილი, რომელიც ეტყოდა, რომ მისი ხარჯების 90%-ზე მეტი მიდის ქველმოქმედებაში, ხშირ შემთხვევაში კი ეს ციფრი 97-99%-ს აღწევს? რომ ქველმოქმედებაზე დახარჯული თანხა 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს და რომ დარჩენილი კაპიტალის ასევე მინიმუმ 90%-ს ისევ ქველმოქმედებას მოახმარს? როდესაც უშუალოდ პირველი პირისგან იგებ ამ ინფორმაციას, როდესაც შენს მთავარ კითხვაზე — სად წავა ბიძინა ივანიშვილის მილიარდები? — რესპონდენტი გიპასუხებს, რომ ის ზუსტად ასევე გააგრძელებს ქველმოქმედებას მომავალში (ანუ მისი კაპიტალის უდიდეს ნაწილს, 90%-ზე მეტს, უანგაროდ თავის ქვეყანას მოახმარს) და ამას არ აქვეყნებ, ბუნებრივად მიჩნდება ეჭვი სტატიის ავტორების ტენდენციურობაზე“,** — წერს ანა გოჩაშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

**„საქართველოს ხელგაშლილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს“** — ამ სათაურით რამდენიმე დღის წინ ამერიკულმა გამოცემა Bloomberg Businessweek-მა გამოაქვეყნა ჰენრი მაიერის სტატია ბიძინა ივანიშვილზე.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველოს მილიარდერი პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, 94 ჰექტარზე გადაჭიმული, აყვავებული ზღვისპირა ვილა ორი ელექტრონული კარის მიღმა მდებარეობს.

**„მისი ქონება საქართველოს 15,8 მილიარდდოლარიანი ეკონომიკის 35 პროცენტს შეადგენს და სწორედ ამიტომ ყველაზე აქტუალური თემა საქართველოში ახლა სწორედ ის არის, თუ რა იქნება შემდეგი, რასაც ივანიშვილი თავისი მილიარდებით გააკეთებს“,** — წერს ჰენრი მაიერი.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ბიზნესმენმა, რომელიც წლების განმავლობაში არ ჩნდებოდა საზოგადოებაში, 2011 წელს გამოაცხადა, რომ პოლიტიკურ კოალიციას აფინანსებდა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტ სააკაშვილის პარტიის დამარცხების მიზნით.

**„კოლიცია "ქართულმა ოცნებამ“, რომლის სახელწოდებაც პრემიერის შვილის სიმღერიდან მომდინარეობს, დაამარცხა კიდეც პრეზიდენტის პარტია და მოიპოვა კონტროლი საკანონმდებლო ორგანოზე. საპარლამენტო ოპოზიციის ამარად დარჩენილ პრეზიდენტ სააკაშვილს ისღა დარჩენოდა, რომ გასული წლის ოქტომბერში ივანიშვილის პრემიერმინისტრობა ეღიარებინა. მაგნატმა მინისტრთა საკუთარი კაბინეტი დანიშნა. სააკაშვილი კი თავის საპრეზიდენტო სასახლეში დარჩა იზოლირებულად“,** — წერს ჰენრი მაიერი.

**„პოლიტიკისგან სიამოვნებას ვერ ვიღებ, ეს ჩემს ხასიათში არ ჯდება“,** — ციტირებს სტატიის ავტორი ბიძინა ივანიშვილის კომენტარს, რომელმაც Businessweek-თან საუბრისას ასევე განაცხადა, რომ გააგრძელებს მთავრობაზე დაკვირვებას და უარყო გავრცელებული სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ კულისებს მიღმა დარჩება.

**„რატომ უნდა ვიყო არაფორმალური ლიდერი, როცა შემიძლია ვიყო ფორმალური ლიდერი“,** — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი Businessweek-თან საუბრისას.

**„ივანიშვილს მართლაც არ სჭირდება პრემიერმინისტრის ხელფასი. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე მისი ვილა კერძო პლაჟისგან, ორი აუზისგან, ორი გესთჰაუზისგან (პატარა სასტუმროსგან) და ლემურების, ზებრების, ფარშევანგების, თუთიყუშებისა და ფლამინგოების ვოლიერებისგან შედგება. თბილისის გარეუბანში მდებარე მისი მთავარი საცხოვრებელი კი, რომლის პროექტიც იაპონელ არქიტექტორ შინ ტაკამასუს ეკუთვნის, 50 მილიონი დოლარი ღირს. მის 1 მილიარდ დოლარად შეფასებულ არტკოლექციაში კი, რომელიც ლონდონში ინახება, 2006 წელს 95 მილიონ დოლარად შეძენილი პიკასოს „დორა მაარი კატასთან ერთად“ შედის“,** — წერს ჰენრი მაიერი.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ, როგორც ბიძინა ივანიშვილმა მასთან საუბრისას განაცხადა, **საკუთარი ქონებიდან 3 მილიარდი დოლარი მან საქართველოს მოახმარა და ეს თანხა სამხედროების ფეხსაცმელის, პოლიციელებისთვის კი საპატრულო მანქანების შეძენაში დახარჯა, ისევე, როგორც მუზეუმების, თეატრებისა და ეკლესიების აღდგენაში. მან ასევე აღადგინა გზები, ააშენა საავადმყოფოები და სკოლები მშობლიურ სოფელ ჭორვილაში.** ბიძინა ივანიშვილის თქმით, მან **1 მილიარდი დოლარი დააბანდა 6-მილიარდიან კერძო ინვესტირების ფონდში, რომელიც ინვესტიციებს განახორციელებს ტურიზმში, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და ენერგოპროექტებში მთავრობასთან ერთად.**

როგორც ჰენრი მაიერი წერს, სააკაშვილისთვის ივანიშვილის მილიარდებმა საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, სტატუსი, რისკის ქვეშ დააყენა.

**„თუ შენი პირადი ქონება შენივე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, მონოპოლიის დამყარების ძალიან დიდი ცდუნება არსებობს“,** — მოჰყავს სტატიის ავტორს საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის კომენტარი.

**„გარკვეულწილად, დასავლელმა ინვესტორებმა მიატოვეს კიდეც საქართველო მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოსულმა ივანიშვილის მთავრობამ გასული წლის ბოლოს ათობით ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავება დაიწყო, მათ შორის ექს-პრემიერმინისტრისაც“,** — აღნიშნავს ჰენრი მაიერი და დასძენს, რომ, როგორც მასთან საუბარში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, **პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ, შესაძლოა, კორუფციის ბრალდებით თავად სააკაშვილიც გასამართლდეს, თუმცა სააკაშვილი ამ ბრალდებებს „სასაცილოს“ უწოდებს.**

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, უცხოური კაპიტალის კლებამ საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი წელს 3 პროცენტამდე შეამცირა, როცა 2004-2012 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 6 პროცენტი იყო. მისივე თქმით, სააკაშვილმა დასავლეთში პატივისცემა კორუფციის დამარცხებით, კერძო კომპანიების პრივატიზებითა და ბიუროკრატიის აღმოფხვრით მოიპოვა. მას ასევე ხშირად ადანაშაულებდნენ ოპოზიციისა და მედიის უფლებების დარღვევაში.

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს ანალიტიკოს ალექსანდრე რონდელის სიტყვებს, რომელიც აცხადებს, რომ ივანიშვილის მემკვიდრე, ვინც მას პრემიერმინისტრის პოსტზე შეცვლის, სავარაუდოდ, მისი ერთ-ერთი მოკავშირე იქნება, რომელიც მილიარდერ ივანიშვილს მისცემს შესუსტებულ მთავრობაზე გავლენის მოხდენის უფლებას.

ჰენრი მაიერს სტატიაში კახა ბენდუქიძის ციტატაც მოჰყავს.

**„მას უნდა იმ საქართველოში ცხოვრება, რომელიც უსაფრთხო იქნება მისთვის, მისი ოჯახისთვის და მისი ქონებისთვის, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ის ყველაზე დიდი ქონების პატრონია“,** — განუცხადა ბენდუქიძემ Bloomberg Businessweek-ს და დასძინა, რომ **„ივანიშვილი ქართული პოლიტიკის ნათლიმამა გახდება“.**

**ინტერპრესნიუსი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დაიჯერეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894